




კოლონიური და
პოსტკოლონიური
მემკვიდრეობა:
ნაჩსული, ანაქო
და მომავალი

რედაქტორი: გიორგი თავაძე



**კოლონიური და პოსტკოლონიური
მემკვიდრეობა:
ნარსული, ანგუო და მომავალი**

რედაქტორი: გიორგი თავაძე

გამომცემლობა „ნეკერი“
თბილისი 2023

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტატი
ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი

EAST EUROPEAN UNIVERSITY
Varlam Cherkhezishvili Centre for Interdisciplinary Studies

**COLONIAL AND POSTCOLONIAL LEGACY:
PAST, PRESENT, AND FUTURE**

Edited by Giorgi Tavadze

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

Cover design and layout: *Giorgi Bagrationi*

© ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური
კვლევების ცენტრი, 2023

ISBN 978-9941-501-66-1

გიორგი თავაძე არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია: უმაღლესი განათლების ფილოსოფია, ინტერდისციპლინური პოსტკოლონიური კვლევები, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია, იდეების ისტორია, ფილოსოფიური გეოგრაფია.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის მიერ განხორციელებული სამეცნიერო გამოცემების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ცენტრის ვებ-გვერდს შემდეგ მისამართზე:

<https://eeu.edu.ge/portfolio/interdisciplinary-centre-publications/>

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა	7
<i>ანა ხვედელიანი</i> 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო კონცეფცია	9
<i>ნიკოლოზ სარაჯიშვილი</i> საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ იდეის ისტორიული საფუძვლები	32
<i>ნინო ჩიქოვანი</i> „დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ღამეს დაიწყო“	45
<i>ლალი ზაქარაძე</i> დისიდენტური ფილოსოფია საქართველოში: გიორგი ცინცაძე	63
<i>გიორგი თავაძე</i> მერაბ მამარდაშვილის ნააზრევი პოსტკოლონიური კვლევების ქრილში	78
<i>გიორგი არქანია</i> როგორ და რატომ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?	125
<i>ოთარ ნიკოლეიშვილი</i> 1990-1992 წლების ამერიკული პრესა ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე კონფლიქტის შესახებ	147

<i>Stefan Kiedroń</i>	
Post-Soviet Traces and Emotions in Poland After 1989: Selected Examples	163
<i>Владимир Липартелиани</i>	
Мягкая сила России в Грузии в ранний постсоветский период	181
<i>ირაკლი ჩხაიძე</i>	
ეროვნული პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ ცენტრალურ ევროპაში	204
<i>Giorgi Masalkin</i>	
“Russian Exodus” – “What does it bring to us?”	224
<i>ანატოლი ოლექსიენკო, გიორგი თავაძე</i>	
პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების დეკოლონიზაცია	236
ნაშრომთა რეზიუმეები	263
კრებულის ავტორები	277
სახელთა საძიებელი	279

რედაქტორის წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში გაერთიანებულია სტატიები, რომლებიც მოხსენებების სახით იქნა წარმოდგენილი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში ჩატარებულ ორ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე (პირველი კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-ფორმატში 2021 წლის 9-10 დეკემბერს, ხოლო მეორე კონფერენცია ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში 2023 წლის 15 სექტემბერს). აღნიშნული ღონისძიებები განეკუთვნება კონფერენციების სერიას „კოლონიური და პოსტკოლონიური მემკვიდრეობა: წარსული, აწმყო და მომავალი“, რომელთა ორგანიზატორია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი. კონფერენციების სერია მიზნად ისახავს ისეთი პლატფორმის შექმნას, რომლის ფარგლებშიც პოსტკოლონიური თემატიკით დაინტერესებული მკვლევრები საკუთარი პოზიციების გამოხატვას, იდეებისა და მიგნებების ურთიერთგაცვლასა და პროდუქტიული დისკუსიების წარმართვას შეძლებენ. კონფერენციების მიზანია, ასევე, ხელი შეუწყოს დიალოგს განსხვავებული დისციპლინების წარმომადგენლებს შორის.

საქართველო პოსტკოლონიური ქვეყანაა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყანა თანდათან ჩაერთო გლობალურ ეკონომიკურ, კულტურულ, ციფრულ, პოლიტიკურ და ა.შ. ნაკადებში. დაიწყო კოლონიური და საბჭოთა წარსულის რეინტერპრეტაციის დინამიკური პროცესი. თუმცა, პოსტსაბჭოთა პერიოდი ნამდვილად არ აღმოჩნდა ადვილი. ამ ფონზე ინტერდისციპლინური პოსტკოლონიური კვლევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. რაში გამოიხატება საქართველოს პოსტკოლონიური მემკვიდრეობა? კულტურის რომელ სფეროებზე შეგვიძლია ვისაუბროთ პოსტკოლონიურ ქრილში? შეგვიძლია თუ არა თანამედროვე პოსტკოლონიური კვლევების

გიორგი თავაძე

მოდელებითა და მიდგომებით ჩვენი წარსული თუ ახლანდელი გამოცდილების ახსნა? რა ტენდენციები შეიძლება გამოვყოთ კოლონიური/საბჭოთა მემკვიდრეობის რეინტერპრეტაციის პროცესებში? როგორ წარმოგვიდგენია ჩვენი განვითარება: კოლონიური/საბჭოთა მემკვიდრეობის რეინტერპრეტაციის, მისი უარყოფის, თუ მიღების გზით? ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე განსაკუთრებული სიმწვავეთ იჩენს თავს შემდეგი შეკითხვები: რა როლი ენიჭება ინტელექტუალს პოსტკოლონიური მემკვიდრეობის გააზრების პროცესში? რა სახის მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება მას ამ დროს? როგორ შეიძლება ხელახლა გააქტიურებულ იმპერიალისტურ დისკურსებთან დაპირისპირება და მათი გადალახვა? ასეთია იმ შეკითხვების არასრული ჩამონათვალი, რომლებზეც პასუხის გაცემას წინამდებარე კრებულში წარმოდგენილი სტატიების ავტორები ესწრაფვიან.

იმედი მაქვს, რომ აღნიშნული მცდელობები საინტერესო აღმოჩნდება მკითხველისთვის, რადგან ჩვენი თაობა ისეთ ეპოქაში ცხოვრობს, რომელშიც პოსტკოლონიალიზმს ნეოკოლონიალიზმი ანაცვლებს, ხოლო აგრესიულ იმპერიალისტურ ქმედებებს მხარს უმაგრებს ფსევდოიმპერიალისტური დისკურსი, რომელიც გამობატულად ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლურია. მიმაჩნია, რომ ჩვენი წარსულის კრიტიკული გააზრება საუკეთესო საშუალებაა იმის გასაგებად, თუ როგორ აწმყოში ვცხოვრობთ და როგორი მომავლის აშენება გვსურს.

გიორგი თავაძე

თბილისი, 12 დეკემბერი, 2023 წ.

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო კონცეფცია

1918-1921 წლების ქართული პრესა და პუბლიცისტიკა არ არღვევს მე-19 საუკუნეში დამკვიდრებულ ტრადიციას, – იყოს ეროვნული ინტერესების გამტარი ორგანო. დემოკრატიულობის პრინციპიდან გამომდინარე, დამოუკიდებლობის პერიოდის ქართული ბეჭდური მედია ხასიათდება მრავალპარტიული პრესის არსებობით: მენშევიკურ „ერთობასთან“, ეროვნულ-დემოკრატიულ „საქართველოსთან“ და სოციალისტ-ფედერალისტების „სახალხო საქმესთან“ ერთად გამოიცემა ოფიციალური სამთავრობო გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. სახალხო განათლების სამინისტროდან წამოსული ყველა ინიციატივა იბეჭდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. მაგალითად, 1918 წლის ივლისში გაზეთმა პირველმა ამცნო საზოგადოებას სკოლების გაეროვნებისა და ნაციონალიზაციის კანონპროექტის შესახებ. გარდა საკანონმდებლო ორგანოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა, გაზეთში ასევე აქტიურად იბეჭდებდა სადისკუსიო სტატიები საგანმანათლებლო პრობლემათიკის ირგვლივ. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეულია ნოე ქუთათელაძის სტატია „საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“.¹

ნოე ქუთათელაძის აზრით, არსებულ ვითარებაში, მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა ქვეყნის სახელწიფოებრიობის იდეასა და განათლების გარდაქმნას შორის ურთიერთკავშირის დადგენა, ევროპული გამოცდილების გაზიარება და სწავლების დეცენტრალიზაციის საკითხის დასმა ქართულ სასწავლო დაწესებულებებში. თუმცა, ისიც ფაქტი იყო, რომ ამ მიზნების მიღწევას არსებული რუსული მემკვიდრეობა და ქარ-

1 „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №21, №22, გვ. 5.

თული პედაგოგიური ტრადიციის უქონლობა აფერხებდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებისა და სკოლის, სახალხო განათლების ურთიერთკავშირის შესახებ, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუციის და აღნიშნავს, რომ ევროპაში სწორედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობამ ჩამოაყალიბა გამართული საგანმანათლებლო სისტემა. ამას კი დემოკრატიულობის პრინციპებმა შეუწყვეს ხელი, რადგანაც „დემოკრატიის აღიარება ერთგვარი პოსტულატია ამ დარგში ინიციატივის გამოჩენისა – ახალი თაობის აღზრდა დემოკრატიის საქმეა.“²

დემოკრატიულობის პოსტულატიდან გამომდინარე, სწავლა-განათლება სრულიად დეცენტრალიზაციას და მის საეროობო მმართველობაში გადასვლას მოითხოვდა. სწავლების დეცენტრალიზაცია გამართლებული იყო თუნდაც იმ მხრივ, რომ სწავლების პროცესი გათავისუფლდებოდა პარტიული და იდეოლოგიური ზეგავლენებისგან. ავტორი მომოიხილავს ამერიკის და ევროპის ცალკეული ქვეყნების მაგალითს და გამოთქვამს სურვილს, საქართველოშიც გატარდეს სრული დეცენტრალიზაცია სწავლა-აღზრდის სფეროში სამომავლოდ მაინც. თუმცა, 1918 წელს არსებული ვითარება პრობლემის სხვაგვარად გადაჭრის აუცილებლობის წინაშე აყენებს ავტორსაც და მთავრობასაც. კერძოდ, ნოე ქუთათელაძე თვლის, რომ სასკოლო საქმის აღორძინებისათვის ორი გზა არსებობს: ეროვნული ნიადაგის შემზადება და ევროპული გამოცდილების გაზიარება. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული პედაგოგიკა ჯერ კიდევ რუსული ლიბერალიზმის გავლენის ქვეშ იყო, „ერთადერთი გზა (გარდა ეროვნულისა) კულტურულ აღორძინებაში მხოლოდ დასავლეთისკენ არის.“³ ავტორი, სწორედ ევროპული განათლების კონტექსტში გვთავაზობს საინტერესო ანალიზს სკოლებში უცხო ენების შესწავლის თვალსაზრისითაც, თუ რომელ ენას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ცხადია,

2 „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №21, გვ. 5.

3 იქვე.

უცხო ენები მხოლოდ შემეცნებითი დისციპლინის რანგში არ განიხილებოდა. მას წმინდა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა: მაშინდელი პოლიტიკური ვითარება ევროპაში და ძალთა გადანაწილება დიპლომატიურ თუ საერთაშორისო სფეროში, აღმოსავლეთში, მცირე აზიასა თუ სამხრეთში ზრდიდა ინგლისური ენის დომინაციის შესაძლებლობებს. ამიტომაც, თუ ავტორი გერმანულ ენას სამეცნიერო და საუნივერსიტეტო ენად მიიჩნევდა, ინგლისური ენის ცოდნა მისთვის დიპლომატიური ურთიერთობებისათვის საჭიროებას უსვამდა ხაზს. ამავე კონტექსტში ავტორი ვრცლად მიმოიხილავს გერმანულ სკოლებს და აღნიშნავს, რომ გერმანიაში სკოლები დიფერენცირებულია ხალხის კლასობრივი და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ, გერმანული სასწავლო სისტემის წარმატების მთავარ მიზეზად, კლასიკური განათლებისაკენ სწრაფვას ასახელებს. ავტორს სურვილი აქვს, ქართულ სკოლებშიც ისწავლებოდეს კლასიკური ენები ახალ ევროპულ ენებთან ერთად. ეს დაახლოებს საქართველოს ევროპასთან და ეზიარება იმ ევროპულ საგანმანათლებლო ტრადიციებს, რამაც თავის დროზე ევროპაში ძლიერი საგანმანათლებლო სისტემა ჩამოაყალიბა. თუმცა, აქვე დასძენს, რომ ნებისიერი საგნის სწავლება განახლებულ ქართულ სკოლებში ეროვნულ ნიადაგზე უნდა მიმდინარეობდეს. ამას კი ქართული სკოლების სრული გაეროვნება შეძლებდა.⁴

ევროპული განათლების იდეა 1918-1921 წლების საგანმანათლებლო დისკურსში აქტუალური მიმართულება იყო. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში კი ეს განაპირობა პოლიტიკურმა ვითარებამ. 1917 წლის რევოლუცია აღმოჩნდა ის წყალგამყოფი ხაზი, რომლის შემდეგაც მოხდა სრული გადაფასება მანამდე არსებული პოლიტიკური წყობის, ღირებულებებისა თუ შეხედულებების. ახალმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმა ახალი მოთხოვნები წამოაყენა თითოეული ქვეყნის წინაშე, რომელიც მანამდე მეფის რუსეთის ნაწილს წარმოადგენდა. აუცილებელი გახდა მაშინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-კულტურ-

4 „საქართველო“, 1918, № 22, გვ. 5.

რული ვექტორის მკაფიოდ განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული კულტურა ტიპოლოგიურად ევროპული კულტურის სივრცის ნაწილს წარმოადგენდა, ე.წ. ხელახალი ევროპეიზაციის პროცესი ტრადიციულ სააზროვნო სივრცეში დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა. ამას ადასტურებს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის პავლე საყვარელიძის მოსაზრებაც, რომ „ჩვენ ევროპიელნი ვართ ეროვნულ ნიადაგზე, ქართველები ვართ, მაგრამ ევროპიულ შინაარსით უნდა ვანარმოვოთ ჩვენი წესყობილება.“⁵ თუ განვაზოგადებთ ამ განაცხადს, ის აშკარა დადასტურება იქნება დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა განწყობებისა, ქვეყნის სისტემური და მენტალური გაევროპულების შესახებ ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, – საგანმანათლებლო პოლიტიკაშიც.

ინტელექტუალურ ელიტასთან ერთად, პოლიტიკური და სამთავრობო ელიტაც აქტიურად აქვეყნებდა მოხსენებებს, ანგარიშებს საგანმანათლებლო რეფორმის გარშემო. ამ მხრივ, გამორჩეულია განათლების მინისტრის მოადგილის ნოე ცინცაძის მოხსენება „საშუალო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ“. ნოე ცინცაძე საუბრობს რუსიფიკატორული პოლიტიკის მიმე შედეგებზე ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, შესაბამისად, მისი გარდაქმნის და ახლით შეცვლის აუცილებლობაზე. მოხსენების დასაწყისშივე ის ხაზს უსვამს იმ უმთავრეს საფუძველს, რომელზეც ახალი სკოლა უნდა დაფუძნდეს: „დემოკრატიზმი სოციალურის ინტენციით – აი, მთავარი საფუძველი, რომელზედაც ჩვენი ახალი სკოლა უნდა აღმოცენდეს, ადამიანის მთლიანი ჰარმონიული ბუნების, კერძოდ მისი მისი ნებისყოფის განვითარება – აი, უმთავრესი მიზანი, რომელსაც სკოლა უნდა ემსახურებოდეს.“⁶ გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, იგი მუდმივად ჩართულია გარემოსთან ურთიერთობაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუდმივი სოციალი-

5 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის დამატება“, № 35, ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიში, 1918 წლის 4 ოქტომბერი, 44-ე სხდომა, გვ. 8.

6 სცსსა, ფონდი № 1935, ანაწერი №1, საქმე № 518. ფ. 2-8.

ზაციის პროცესშია, რომლის შედეგადაც ადამიანი იძენს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს. ასევე, როგორც შემოქმედებითი არსება მონაწილეობას იღებს ამ საზოგადოების ღირებულებების გარდაქმნასა და ჩამოყალიბებაში. განათლების სოციალური ფუნქციის უმთავრესი მიზანი, ადამიანის საზოგადოებისათვის ღირსეულ წევრად მომზადებაა. ნოე ცინცაძე, როდესაც განათლებას სოციალურ მიზნებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, – სოციალურ ინტენციას უსახავს, სწორედ იმ კომპეტენციების განვითარებას მოიაზრებს, რომლებიც საჭირო იქნებოდა 1918 წლის ახალი დემოკრატიული საზოგადოებისათვის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ განათლების სოციალური ფუნქციის ასრულება ვერ იქნებოდა ადვილი ახლადშექმნილი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში, იმ რთული მემკვიდრეობის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს რუსეთის იმპერიისგან ერგო.

როგორც ვიცით, დემოკრატია თანასწორობის პრინციპს ეფუძნება და ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალია. დემოკრატიულობის ამ თვისებიდან გამომდინარე, – თანასწორობის იდეა ადამიანებს არჩეული გზით განვითარების საშუალებას აძლევს კულტურულ თანასწორობასთან ერთად. რადგანაც კულტურული თანასწორობის კანონები დარღვეული იყო რუსეთის იმპერიის პირობებში, შესაბამისად, სკოლაც წოდებრივ შემადგენლობაზე იყო აგებული. დამოუკიდებლობის პერიოდში კი სკოლა არა მარტო შინაარსით, შემადგენლობითაც კი ერთიანი უნდა გამხდარიყო, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით ერთიანი სკოლის სისტემის ჩამოყალიბებით განხორციელდებოდა. ახალი სკოლა სამსაფეხურიანი სასკოლო სისტემას მოიცავდა: სახალხო სკოლა, უმაღლესი დაწყებითი სკოლა და ოთხ კლასიანი საშუალო სკოლა, რომელიც მცხუთე კლასიდან იწყებოდა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ახალი სკოლა ბუფერკაციის პრინციპზე აიგებოდა, რაც გულისხმობდა მოსწავლის უნარების ინდივიდუალიზაციასა და გამოკვეთას. მოსწავლეს მიეცემოდა საშუალება დამოუკიდებლად აერჩია

მისთვის სასურველი სპეციალობის კურსი. თუმცა, არსებული კულტურული უთანასწორობისა და საზოგადოებრივი დონის გათვალისწინებით ეს საკითხი პირველ ეტაპზე მხოლოდ იდეის დონეზე რჩებოდა.

ნოე ცინცაძის მოხსენება რამდენიმე ქვეპუნქტად შეიძლება დაიყოს, რომლებიც მნიშვნელოვან ღირებულებებს წამოსწევენ წინ საგანმანათლებლო კონცეფციის განსაზღვრისათვის. როდესაც ნოე ცინცაძე სვამს კითხვას, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ახალი სკოლა გარდა ცოდნის გადაცემისა, მას წინა პლანზე გამოჰყავს ადამიანი, როგორც ფასეულობა. საზოგადოებრივ ურთიერთობებში ინდივიდი ცენტრალიზებულია. „ცხოვრების სინამდვილე, რომლის ფარგლებშიაც ადამიანის შემოქმედებითი ნება იშლება, თვითონ ადამიანია. ცხადია ადამიანის ბუნების შემეცნება სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან მიზნად უნდა ჩაითვალოს, რისთვისაც სასკოლო პროგრამაში ფსიქოლოგიის შესწავლა საპატიო ადგილი დაეთმოს“. ადამიანისა და საზოგადოების დიქტომიის პრინციპი ადამიანის მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ნოე ცინცაძე მოქალაქეობრივი თვითშეგნების ზრდას ახალ სასკოლო სისტემას ერთ-ერთ უპირველეს მიზნად უსახავს და თვლის, რომ „ადამიანს სწორედ პოლიტიკურ ნიადაგზედ უხდება თავისი ნებისყოფის გაშლა და სკოლის უდიდესი მიზანიც ამ პოლიტიკური ცხოვრების კანონების გაშუქება უნდა იქმნეს მოზარდი თაობისათვის, მისი მოქალაქეობრივი საკითხი უდიდეს საკითხად უნდა ითვლებოდეს.“ ადამიანისა და საზოგადოების სრულფასოვანი ურთიერთმიმართება ვერ შედგება, თუ ადამიანს არ შესწევს უნარი, ჩანვდეს საზოგადოებისა და ქვეყნის ეროვნულ ფესვებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეისწავლის თავისი ქვეყნის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს, გეოგრაფიას. საქართველოს ისტორიასთან ერთად სასწავლო პროგრამას დაემატებოდა პოლიტიკური ეკონომია, ლოგიკა, სამართალი, ფიზიკური ვარჯიში და ხელსაქმის საგნები. ასევე, ფილოსოფია, საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნები. ნოე ცინცაძე ცალკე ყურადღებას უთმობს ჰუმანიტარული საგნების შეს-

წავლას. ახალი ევროპის კულტურა გამსჭვალულია ჰუმანიზმის იდეებით და დემოკრატიზმის პრინციპებით. ლათინური ენის სწავლებიდან ამოღება და თანამედროვე ევროპული ენების შესწავლა დაახლოვებს საქართველოს ევროპის მონინავე ქვეყნებთან. ნოე ცინცადის ამ მოხსენებიდან იკვეთება ის მთავარი კონტურები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა დემოკრატიული ქვეყნის განათლების სისტემა. ეროვნულ ნიადაგზე და კულტურული თანასწორობის პირობებში აღზრდილი, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებისგან შექმნილი საზოგადოება, – ახალი დემოკრატიული ქვეყნის განვითარების საწინდარს წარმოადგენდა.

სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებს შორის, რომლებიც აქცენტს განათლების პრობლემატიკაზე აკეთებდნენ, თავისი კომპეტენციით და არგუმენტირებულობით გამოირჩევა ჟურნალი „განათლება“, რომლის მთავარი რედაქტორი იმ დროის გამოჩენილი პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე იყო. 1918 წლის ჟურნალ „განათლების“ პირველივე ნომრის სარედაქციო კოლეგიის სვეტში ვკითხულობთ, რომ დამოუკიდებლობამ კიდევ უფრო აშკარა და ცხადი გახადა ქართული განათლების რთული მდგომარეობა რუსული მემკვიდრეობის გამო. სარედაქციო კოლეგია თვლიდა, რომ ქვეყნის ნამდვილი დამოუკიდებლობა იმით შეიძლება ყოფილიყო განსაზღვრული, რამდენად გამართული საგანმანათლებლო სისტემის შექმნას შეძლებდა და რამდენად მაღალი იქნებოდა განათლების დონე ქვეყნის მასშტაბით. ამიტომაც, სარედაქციო კოლეგია თავს მოვალედ თვლიდა, თავისი თავდაუზოგავი წვლილი შეეტანა განათლების სწორად დაგეგმვა-გაძლიერების საქმეში.⁷ შესაბამისად, სკოლის დემოკრატიზაცია, საერთო კულტურული აღმავლობა, თავისუფალი ერთიანი სკოლის პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრება, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება იყო ის საკითხები, რომელიც ჟურნალის პუბლიცისტებს ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ხელისშემწყობ ფაქტორებად მიაჩნდათ. ჟურნალი „განათლება“ ხაზგასმით აღ-

7 „განათლება“, 1918, №1, გვ. 1-2.

ნიშნავდა, რომ საქართველოში, პარტიული და იდეოლოგიური სხვადასხვაობის მიუხედავად, არსებობდა ერთიანი აზრი სახალხო განათლების ეროვნულ ნიადაგზე მოწყობის შესახებ. მას იზიარებდა როგორც სამთავრობო, ისე ოპოზიციური ფლანგი. ეს ფაქტი იმედისმომცემად ესახებოდა ჟურნალის რედაქტორის ლურსაბ ბოცვაძესაც. სწორედ ერთიანი საგანმანათლებლო პრინციპის კონტექსტში შემოგვთავაზა მან ერის/ნაციის კონცეფციის განსაზღვრაც, რომლის მიხედვითაც, – ერი არის კულტურული ერთობა და თუ ერთობის წევრებს შორის რაიმე სახის უთანასწორობაა, მაშინ ერი დაკარგავს თავის სასიცოცხლო ძალას და ეროვნულ ენერჯიას. განათლება კი არის ის ბერკეტი, რომელიც ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის განცდას კიდევ უფრო მეტად ამყარებს.⁸

ჟურნალი საგანმანათლებლო კონცეფციას აფუძნებდა სამ უმთავრეს დებულებაზე, რომლის ირგვლივაც უნდა განხორციელებულიყო რეფორმა. ესენია: 1. საქართველოს ეროვნული სკოლა უნდა იყოს ეროვნული; 2. საქართველოს ეროვნული სკოლა უნდა იყოს დემოკრატიული. 3. საქართველოს ეროვნული სკოლა უნდა წარმოადგენდეს გამართულ სისტემას პედაგოგიური თვალსაზრისით. თავად პედაგოგიური იდეა შეიცავდა სწავლების გაეროვნებასა და დემოკრატიზაციას, რომელიც თავად სახელმწიფოსგან იყო ნაკარნახევი და მის იდეოლოგიურ ასპექტებს წარმოადგენდა.

საუკუნოვანი რუსული ცნობიერების დომინირების გამო, რომელმაც სრულიად მოიცვა ქართული საგანმანათლებლო სივრცე, ქართველებისათვის რეორგანიზაციის ამგვარი ფორმატი სიახლე იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას ვკითხულობთ ჟურნალ „განათლებაში“ სერგი დანელიას ავტორობით. მისი აზრით, სასკოლო რეფორმის წარმატება, ერთი მხრივ, დამოკიდებული იყო პედაგოგიურ ხარისხზე. მეორე მხრივ კი, ის იყო საზოგადოებრივი ევოლუციის, მისი განვითარებისა და სამომავლო მიზნების შედეგი. თუ სამთავრობო ელიტა რიგ შემთხვევებში გაეროვნების პრაქტიკულ

8 „განათლება“, 1918, №1, გვ. 3-5.

მნიშვნელობაზე მიუთითებდა, სერგი დანელიასთვის ქართულ ენაზე სწავლების წარმართვა პროცესის ერთი მხარე იყო, რომელსაც სიღრმისეული და შინაარსობრივი ცვლილებები უნდა მოჰყოლოდა. კერძოდ კი, სკოლის გაეროვნულება მას ესმოდა, როგორც პროგრამისა და სწავლების მეთოდების ეროვნულ თვისებებთან შესაბამისობაში მოყვანა, მოსწავლეების ფსიქიკური და ფიზიკური თვისებების გათვალისწინება და ა.შ. სკოლების გაეროვნულებაზე საუბრისას ის გვერდს ვერ აუვლიდა იმ ფაქტს, რომ ქართული კულტურა, სხვადასხვა ისტორიული მოვლენის გამო, ხშირად ჩამორჩებოდა თანამედროვე ევროპულ ტენდენციებს. შესაბამისად, დასავლეთ ევროპის, როგორც დიდი კულტურული სივრცის გამოცდილების გაზიარება და მისი ბრმად ქართულ სასწავლო სივრცეში დანერგვა ისეთივე შედეგს ვერ გამოიღებდა, როგორი შედეგიც მას უკვე, მისთვის ბუნებრივ გარემოში, – ევროპულ სივრცეში ჰქონდა. ცხადია, ის ამით არ ეწინააღმდეგებოდა ევროპული გამოცდილების გაზიარებას. თუმცა, სისტემის შინაარსობრივი და სიღრმისეული გარდაქმნა ევროპულთან ერთად, ეროვნულის გათვალისწინებას მოითხოვდა: „ჩვენი საშუალო სკოლის გაეროვნება, უპირველესი პირობა მისი სწორი ორგანიზაციისა, ჩვენ უნდა გვესმოდეს როგორც საჭიროება საშუალო სკოლის შეფარდებისა ქართულ ეროვნულ სინამდვილესთან“.⁹

1918-1921 წლების პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისთვის გასაგები იყო ერთ მარტივი ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ეროვნული მხოლოდ წარსულიდან მიღებულ მემკვიდრეობას არ ნიშნავს. არამედ, ეროვნული მუდმივი პროგრესის იდეაა და შეთანხმებულია ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევ გარდაუვალობასთან. სერგი დანელიას ეროვნული სინამდვილე ორგვარად ესმის: მასში ის ისტორიულ-კულტურულ ასპექტებთან ერთად, მოიაზრებს „ბუნებრივ სინამდვილესაც“. ტერმინი ეკუთვნის თავად მას და ის უნდა გულისხმობდეს იმ რეალობას, რომელშიც უწევდა მოცემული მომენტისათვის საქართველოს ცხოვრება. ისტორიულმა

9 „განათლება“, 1920, № 4-5, გვ. 36-53.

კანონზომიერებამ და კლასობრივმა გათანაბრებამ, საზოგადოებრივი მსოფლხედველობა ერთიან ყალიბში მოაქცია და ხელი შეუწყო დემოკრატიული იდეოლოგიის გამარჯვებას. ავტორისათვის სწორედ ამგვარი სახელმწიფოებრივი თვისება ადგენს პირობებს ეროვნული ცნობიერების, თანამედროვე და ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნისათვის, რადგანაც „ამას მოითხოვს არა მარტო განყენებული სამართლიანობა, არამედ რეალური თავისებურობაც ჩვენი ერისა“.¹⁰ სერგი დანელიას ამ სტატიის ზოგადი პათოსი კრიტიკულია. ის დაწერილია 1920 წელს, საგანმანათლებლო რეფორმის მიმდინარეობისას. ასე რომ, ავტორი წერილში არ ერიდება მიუთითოს რეფორმის ნაკლოვანებებზე. თუმცა, მისი ამოსავალი პოსტულატი ერთიანი, ეროვნულ და დემოკრატიულ საფუძვლებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებაა.

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“, – ილიას ამ ცნობილ ერთგვარ ფორმულაში გამოიხატა ეროვნული, ძლიერი და განათლებული ქვეყნის მომავლის რწმენა. სწორედ ამ ფორმულის შესაბამისობაში განიხილავს ახალი ქართული სკოლის განვითარების იდეას მიხეილ ზანდუკელი 1920 წლისთვის განხორციელებული რეფორმის შეფასებისას წერილში „ახალი სკოლის ძირითადი პრინციპები“.¹¹ სახელმწიფოს შენება განათლებული ერის ხელშია და სახელმწიფოებრივი აზროვნების ხაზი – „მომავლის შემქმნელი ადამიანი“ სწორედ ამ პრინციპზე გადის. ავტორი გამოჰყოფს რამდენიმე საკითხს: ერთიანი სასკოლო სისტემის დანერგვა, წოდებრივი/კლასობრივი დიფერენციაციის მოსპობა, კლასიკური განათლების დემოკრატიული იდეოლოგიით ჩანაცვლება, რომელიც ავტორს სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების პირველ მექანიზმად მიაჩნია. მისი აზრით, კლასიკური განათლება ამორეზბდა მოსწავლეს ნამდვილ ცხოვრებას და იმ აზროვნებას, რომელიც თანამედროვე გამოწვევების მქონე ერი-სახელმწიფოს

10 „განათლება“, 1920, № 4-5, გვ. 50.

11 „განათლება“, 1920, №3, გვ. 3-9; №4, გვ. 3-10.

იდეაზე დაფუძნებულ ქვეყანას ესაჭიროებოდა. პირველ დადებით მოვლენად მას მიაჩნია ის, რომ მთავრობამ შეცვალა საშუალო სკოლის არსებული მემკვიდრეობა, მოსპო წოდებრიობა, ჩაატარა სკოლების გაერთვადობის პოლიტიკა და პირველ საფეხურზე უფასო სწავლებაც დაამკვიდრა. სხვა ავტორების მსგავსად, მიხეილ ზანდუკელიც ევროპეიზმისა და ახალი სახელმწიფოებრიობის იდეასთან თანხვედრაში განიხილავს ევროპული ენების შესწავლის აუცილებლობასაც. მიხეილ ზანდუკელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე ევროპული ენების შესწავლა სწავლა-აღზრდის რაციონალურად გადანაცვების საშუალება წარმოადგენდა, რადგანაც მე-20 საუკუნე, ახალი მეცნიერებების და წინსვლის ეპოქა, კიდევ უფრო ზრდიდა ევროპული ენების მნიშვნელობას. ასევე, ის სამეცნიერო მიღწევების გაცნობის ერთადერთი გზა იყო, სტუდენტებისათვის კი ევროპის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების საშუალებაც.

„დემოკრატიული წყობილება ერთი იდეით და აზრით არის გამსჭვალული და ამ იდეას ხალხი ჰქვია. სახელმწიფოს და ხალხს პოლიტიკური და კულტურული ერთობა აერთიანებთ“, – აღნიშნავს გაზეთი „ერთობა“ 1918 წელს.¹² სწორედ პოლიტიკის, კულტურისა და ხალხის ერთიანობისათვის ბრძოლის დადასტურებაა 1918-1921 წლების ჯანსაღი ოპოზიციური სპექტრი, რომლის ძირითად ფლანგსაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი ბეჭდური მედია, – გაზეთი „საქართველო“ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ოპოზიციაც სრულიად იზიარებდა ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის ეროვნულ ნიადაგზე დანერგვის აუცილებლობას, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კრიტიკულად განიხილავდა საგანმანათლებლო რეფორმას, როგორც ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიან ცხოვრებაში. მეოცე საუკუნის ათიან წლებში, გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე, ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა პოლიტიკური პროგრამის ჩარჩოებში მოექცა, რითაც ხელი შეუწყო მომავალ-

12 „ერთობა“, 1918, №118, გვ. 1.

ლი პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ფორმებს (ჯანელიძე, 2002:168). ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება დემოკრატიზმის საფუძვლებზე მთავარ სამოქმედო პრინციპად იყო აღიარებული. ამ მოსაზრებას ამყარებს გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტის ი. ხანანაშვილის სტატია, სადაც აცხადებს, რომ „სამმა დიდმა ფაქტორმა შეჰქმნა და წარმოშვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პირველი და უმთავრესი იყო იდეალური (იმ დროის არსებულ პირობების გამო) მისწრაფება ქართველ ერისა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისადმი და ერის ყველა სასიცოცხლო ელემენტების გაერთიანებისადმი. მეორე იყო მეტად თვალსაჩინო მიდრეკილება დემოკრატიულ წყობილებისადმი, ხოლო მესამე ასევე დაუმალავი და მეტად მტკიცე სურვილი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების კერძო საკუთრების პრინციპზე აგების“.¹³

1915 წელს ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ქვეყნის მომავალი დამოუკიდებლობის ბედი. შესაბამისად, გაზეთ „საქართველოს“ მესვეურები, ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ავტონომიის აუცილებლობის შესახებ საუბრობდნენ, რომლის უმთავრესი საფუძველიც საკუთარი ტერიტორია უნდა გამხდარიყო: „უპირველესი მნიშვნელოვანი ელემენტი, ურომლოდაც ყოვლად შეუძლებელია ნაყოფიერი ეროვნული შემოქმედება, ტერიტორია გახლავთ“¹⁴. ტერიტორიის საკითხთან ერთად, მათ სულიერი კულტურის განვითარება ესახებოდათ უპირველეს მიზნად, რომელშიც რელიგია, კულტურა, ისტორია, მშობლიური ენა შედიოდა. „ჩვენი მწერლობა, მხატვრობა, ხუროთმოძღვრება ეროვნულ ნიადაგს უნდა დაეყრდნოს და დიდ ისტორიულ ნიმუშებში უნდა ეძიოს წყაროები შთაგონებისა და აღფრთოვანებისა“, – აღნიშნავდნენ ეროვნულ-დემოკრატები. სახალხო განათლების და ეკლესიის როლიც მხოლოდ ეროვნულ მიზნებთან მიმართებაში განიხი-

13 „საქართველო“, 1919, №83, გვ. 2.

14 „საქართველო“, 1915, № 1, გვ. 1.

ლებოდა: „სკოლასა და ეკლესიას დიად ეროვნულ მიზნებს შევუკავშირებთ“, – აცხადებდნენ ისინი.¹⁵

როგორც სამოციანელების იდეური მემკვიდრე, ეროვნულ-დემორატიული პარტიის წარმომადგენელი ვასილ წერეთელი ეროვნების საკითხს მშობლიურ ენასთან მიმართებაში განიხილავს. მას ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მშობლიური ენა ერის სულიერი შემოქმედების ძლიერი გამოხატულებაა. მშობლიურ ენასთან ერთად ის ასახელებს იმ ფაქტორებს, რომლებიც სოციალურ-პოლიტიკური მრწამსის ძირითადი დებულებებია: ეროვნება, საქართველოს ავტონომია, ეკონომიკური სიძლიერე, ოჯახი, **სწავლა – განათლება**. ეროვნულ-დემოკრატიების შეხედულება სწავლა-განათლების შესახებ შესაბამისად განისაზღვრა პარტიის ძირითად დებულებებში: „სწავლება უნდა წარმოებდეს დედა-ენაზე. სწავლა უნდა იყოს საყოველთაო და თავისუფალი სქოლასტიკისა და სარწმუნოებრივი დოგმატიზმისგან.“¹⁶ თუმცა, „სარწმუნოებრივი დოგმატიზმისგან“ საყოველთაო სწავლა-განათლების განთავისუფლებამ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში საბოლოოდ წინააღმდეგობრივი განწყობები გამოიწვია.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და ცარიზმის დამხობის შემდეგ, ახალი პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბების ტენდენციებთან ერთად, ცვლილებები მოსალოდნელი იყო ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. გამონაკლისი არც საგანმანათლებლო სისტემა უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მოლოდინებზე მიუთითებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გვაზავაც 1917 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სკოლა და რევოლუცია“.¹⁷ ზოგადად, პოლიტიკური მოვლენები პირდაპირ კავშირში არის ეროვნულ საგანმანათლებლო პროცესების წარმართვა-განვითარებასთან. გიორგი გვაზავას რევოლუცია მიაჩნდა ეროვნუ-

15 იქვე.

16 „ჩვენი ქვეყანა“, 1917, № 51, გვ. 3.

17 „საქართველო“, 1917, № 104, გვ. 1.

ლი თვითგამორკვევის მძლავრ საშუალებად. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ეს თვითგამორკვევა ეროვნულ სკოლას ძველი რეჟიმისგან გამოსხნასა და ეროვნული სასკოლო სისტემის დაარსებაში დაეხმარებოდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ერთი წლით ადრე დანერილ სტატიაში, არ ჩანს მყარი წარმოდგენა ქვეყნის მომავალი პოლიტიკური მოწყობის შესახებ. შესაბამისად, გიორგი გვაზავას ხედვა ემყარებოდა ქვეყნის ავტონომიის ფარგლებში კულტურული თვითგამორკვევის პრინციპებს. მისი მოსაზრება მიჰყვება ილია ჭავჭავაძის და სამოციანელების პრაქტიკას ეროვნული თვითგამორკვევის, ეროვნული იდენტობის განსაზღვრის საქმეში. ამისათვის კი გიორგი გვაზავამ მთავარ ფაქტორებად მშობლიური ენა, ქვეყნის ისტორია, მშობლიური ლიტერატურა დაასახელა: „საქართველო თუ ტერიტორიულად არა, კულტურულად მაინც თითქოს გამოყოფილი იქნება“, – აღნიშნავს იგი.¹⁸ საქართველოს ავტონომიის მიღწევის პირობებში, ეროვნულ-დემოკრატიებისათვის, ეროვნული იდენტობის გამომხატველი მარკერები დაკავშირებული იქნებოდა ერის/ნაციის ჩამოყალიბების ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებებთან, ასევე მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალიზმის კულტურულ საფუძვლებთან, საიდანაც იწყება კიდევ ერის თვითგამორკვევის პროცესი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მრწამსი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის შესახებ არც პირველი რესპუბლიკის დაარსების შემდეგ შეცვლილა. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული ქართული საგანმანათლებლო სისტემა უპირობოდ ქვეყნის მომავალთან იყო დაკავშირებული, – მათი მრწამსი ქვეყნის განვითარების შესახებ აისახა საგანმანათლებლო პოლიტიკის ირგვლივ გამართულ დისკუსიაშიც. ხშირად ისინი სოციალ-დემოკრატებს პარტიული პროპაგანდისტული პოლიტიკის გატარებას და ეროვნული პოლიტიკისადმი გულგრილობას საყვედურობდნენ. ეს პათოსი შენარჩუნებულია იმ პუბლიცისტურ ნერილებში, რომლებიც გაზეთ „საქართველოში“ აქტიურად იბეჭდებოდა. ჩვენთვის

18 იქვე.

თითქმის ყველა მათგანი საინტერესოა და შევეცდებით მიმოვიხილოთ რამდენიმე მათგანი.

ერთ-ერთი ასეთი კრიტიკული წერილის ავტორია პუბლიცისტი და პედაგოგი იპოლიტე ვართაგავა. მან 1919 წელს გამოაქვეყნა წერილების სერია „სკოლის რეორგანიზაციისათვის“, სადაც ის საუბრობს განათლების რეფორმის ძირეულ საკითხებზე და მიმდინარე რეფორმის ხარვეზებზე.¹⁹ სტატია ვრცელია და ხუთ საგაზეთო ნომერს მოიცავს. ავტორი წერილებში ხაზს უსვამს სკოლისა და სახელმწიფოს ერთიანობის მნიშვნელობას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ერის სარკეა და მის ზნეობრივი, კულტურული თუ ეკონომიკური წინსვლა დამოკიდებულია მასზე, ერისა და სახელმწიფოს უმთავრეს საჭირობო საკითხს სწორედ გამართული სასკოლო სისტემის ჩამოყალიბება უნდა წარმოადგენდეს. სკოლა არის ერთგვარი ლაბორატორია, სადაც ყალიბდება ადამიანის ცნობიერება, ნებისყოფა. ის ქმნის ახალ ადამიანს, მოქალაქეს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია ერისა და სახელმწიფოს მომავალთან. გარდა ამისა, ავტორი ხაზს უსვამს სკოლის და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების გავლენების მნიშვნელობას სახელმწიფოებრივი აზროვნების ფორმირებისათვის. ცხადია ავტორმა იცის, რომ ახალ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ყოფაში ისეთი დამოუკიდებელი ინსტიტუციების არსებობა, როგორც საგანმანათლებლო კერებია, წარმოადგენს სახელმწიფოს გამაჯანსაღებელ ინსტრუმენტს და მთავარ ბერკეტს მისი დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის. თუმცა, მოცემული რეალობა ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევს წერილის ავტორს და ვრცლად მიმოიხილავს ქართული სკოლის მდგომარეობას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყო რუსული სასკოლო ცნობიერების მარწუხებიდან: „როგორც ვიცით, დღევანდელი ჩვენი და სხვა და სხვა ტიპი სკოლები, როგორც შემადგენლობით, ისე ორგანიზაციითაც, ქართული არ არის. ეს არის რუსული სკოლები, საქართველოს განთავისუფლების შემდეგ ჩვენს გამგებლობაში დარჩენილი. ტიპები ამ სკოლებისა რუსეთშია შემუშავებული

19 „საქართველო“, 1919, №75, №77, №78, №79, №81, №96.

რუსის ერის და სახელმწიფოს მოთხოვნების და ინტერესის მიხედვით. სწავლა-აღზრდის დეტალებიც კი რუსულ ცხოვრებასა და სინამდვილესთან არის შეფარდებული.²⁰ ავტორი საყვედურებს არ იშურებს განათლების სამინისტროს მიმართ და მას აქტიურ მოქმედებაზე გადასვლისკენ მოუწოდებს, რაც მრავალ პოლიტიკურ ქართველებს გამოვლილი ქვეყნისათვის მწყობრი ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებას გულისხმობს. როგორც ავტორის შეფასებებიდან ჩანს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის ერთი წლის თავზე (წერილი გამოქვეყნებულია 1919 წლის აპრილის თვეში), მთავრობამ ჯერ ისევ ვერ შეძლო „თავისუფალი ქართული სკოლის“ მოწყობა. ამის მიზეზი კვლავ რუსიფიკატორული პოლიტიკის ნარჩენებია, რომელმაც ბოლო მოუღო ყოველგვარ ეროვნულ ქართულ სკოლაში. ავტორი თვლის, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა „ქართულ ტერიტორიაზე“ (ტერმინი ეკუთვნის იპ. ვართაგავას) ქართული სკოლების განახლებას ბიუროკრატიული პრინციპებით მიუდგა. ამგვარი დამოკიდებულება ერთგვარად ეროვნული პოლიტიკის ნაკლოვანებაზე მიუთითებდა: მაგალითად, მაშინ როდესაც თბილისის სკოლების დირექტორების უმცირესობას ქართველები წარმოადგენენ, უმრავლესობას მაინც ის დირექტორები წარმოადგენდნენ, რომლებიც იყვნენ „ფორმალურად საქართველოს არა ქვეშემრდომი, იდეურად მისი თავისუფალი არებობის დაუძინებელი მტერი, – რასაკვირველია, სრულებით არ არის დაინტერესებული საქართველოსა და მისი სკოლის ბედით. და მხოლოდ გულის ფანცქალით მოელოდა და დღესაც მოელის რუსის ძლიერების და ბატონობის დაბრუნებას და დამკვიდრებას საქართველოში?!“²¹

განათლების მისია და საგანმანათლებლო სახელმწიფო პოლიტიკა ფართო ქრილშია განხილული კიდევ ერთ წერილში, რომელიც 1919 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“. მისი ავტორია ს. დარიანი. სტატიის შესავალში ავტორი ქვეყნის

20 „საქართველო“, 1919, №75, გვ. 1.

21 „საქართველო“, 1919, №78, გვ. 2.

ცხოვრებაში ისტორიული გარემოების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, კერძოდ კი იმ გარემოებას, რომ მოცემულ ვითარებაში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მისი ბედი მისავე ხელშია. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს უწევდა გარეშე მტრებს გამკლავებოდა. მათთან ბრძოლით დაუძლურებული, იძულებული გახდა სხვას შეჰკედლებოდა. ეს არის მიზეზი, რის გამოც ქვეყნის საშინაო საქმეები ქართველებს დიდი ხმის მანძილზე ყურადღების მიღმა რჩებოდათ. შინაურ საკითხებზე ისინი ზრუნავდნენ იმდენად, რამდენადაც ამას საგარეო საკითხები მოითხოვდა. დაუძლურებულ ქვეყანას აღარ შესწევდა უნარი, გამოეყენებინა ჯეროვანი მზრუნველობა ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, რამაც ეროვნული ძალების სრული დეგრადაცია გამოიწვია. ეს გრძელდებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე, სანამ ასპარეზზე უფრო მეტად განათლებულ ადამიანთა ჯგუფი არ გამოჩნდა. დღევანდელი ვითარება კი საქართველოს აძლევდა შანსს, დაუბრუნებოდა თავის ისტორიულ მისიას და „გავეშუროთ წინ კულტუროსან ერების დასაწევად და ვიბრძოლოთ მათთან ერთად მსოფლიო დანიშნულებისათვის,“ – აღნიშნავს ს. დარიანი.²²

კაცობრიობის განვითარების ევოლუციური ხანა – ასე უწოდებს ავტორი ახალ დროებას, ადამიანების ცხოვრების მოდერნულ ეპოქას. რით არის განპირობებული ამგვარი შეფასება? სავარაუდოდ, ავტორს სურს ხაზი გაუსვას გარემოებას, რომ კაპიტალიზმის, ინდუსტრიალიზაციისა თუ სეკულარიზმის გამოვლინებებმა კაცობრიობის სულიერ, კულტურულ და პოლიტიკურ მეტამორფოზას დაუდეს საფუძველი. ახალ დროებაში ახალი ადამიანი ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა და მათი აღსრულება მან თავის სულიერ მისიად დაისახა. ამ პროცესებს არც საქართველო ჩამორჩა. ერთ დროს კუთხეებად დაყოფილი ქვეყანა დღეს დემოკრატიზმის საზღვრებში იყო მოქცეული. აღარ არსებობდა ცალკეულ კუთხეებად დანაწევრებული საქართველო. ვინრო კარჩაკეტილობისგან განთავისუფლებული ერთიანი

²² „საქართველო“, 1919, № 113, გვ. 3.

საქართველო ევროპულ ცნობიერებას აზიის მისადგომებთან ხვდებოდა. მას შეუძლო კულტურის გამტარის მისია შეესრულებინა ევროპასა და აზიას შორის: „თუ აზიაში კულტურის შეტანა თავის ისტორიულ მისსიად ისახავენ ინგლისელები და გერმანელები, განა ჩვენ, ჩვენი წარსული მიხედვით, მეტი უფლება არ გვაქვს მივითვისოდ ეს ისტორიული დანიშნულება?“²³ ამ ისტორიული მისიის შესრულება შესაძლებელი იყო ერის ძალის არსებობის პირობებში. ავტორი სვამს კითხვას, თუ როგორ იქმნება ერის ძალა. ავტორისათვის პასუხი მდგომარეობს შემდეგში: „ერის ძალა განისაზღვრება მისი კულტურით, რომელსაც საფუძვლად უდევს სახალხო განათლება. ერის ძლიერება მის განათლებაზეა დამოკიდებული. სჯობნის ერი, რომელიც უფრო განათლებულია“.²⁴ სხვადასხვა ქვეყნები, ყოველი დიდი დამარცხების შემდეგ, გაცხოველებულ ენერგიას სახალხო განათლების მოწყობაში დებდნენ, რადგანაც ყოველგვარი ეროვნულის დამარცხება ყველა ერში განათლებისადმი მისწრაფებას იწვევდა. განათლებული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები ერთვებოდნენ საყოველთაო განათლების პროცესებში. ამგვარ გზას უნდა დადგომოდა საქართველოც. საქართველოს ეროვნული ინტერესი სწორედ სახალხო განათლების სწორ ნიადაგზე დაყენებაში და მის თანმიმდევრულ დაგეგმარებაში უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქართული სახელმწიფოს ეროვნული მისია მხოლოდ საგანმანათლებლო ძალების მობილიზებასა და ერის კულტურულ თუ ცნობიერ ალორძინებაში მდგომარეობდა.²⁵

ავტორი სტატიაში ქართული საგანმანათლებლო პოლიტიკის პერსპექტივებს ლოკალურ ჭრილში არ განიხილავს და მისი გაუმჯობესებისკენ სწრაფვას არც მხოლოდ მმართველი ელიტის ძალისხმევას მიაწერს. ავტორისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი კონტექსტია: მსოფლიო პოლიტიკის ცვლილე-

23 იქვე.

24 იქვე.

25 იქვე.

ბებმა საქართველო კიდევ უფრო მეტად დაახლოვა ევროპულ ცივილიზაციას და ხალხს მიანიჭა უფლება-მოსილება თავად განკარგოს თავისი მომავალი, მათ შორის განათლებისაც, რომელსაც ის „ხალხოსნურს“ ანუ ეროვნულს უწოდებს. ავტორს ასპარეზზე შემოჰყავს ხალხი, როგორც როგორც მთავარი ბირთვი ერი-სახელმწიფოს ფორმირებისათვის. ქვეყნის სახელმწიფოებრიობა კი ფართო სახალხო განათლების ფართო ქსელს ეფუძნება, რომლის სადავეებსაც სახელმწიფო აპარატებთან ერთად თავად ხალხის მასები იღებენ ხელში. მწყობრი საგანმანათლებლო სისტემა მხოლოდ ეროვნულ ხასიათსა და ეროვნულ პედაგოგიურ ტრადიციების შეთვისებული აღწევს თავის მიზანს. რაში მდგომარეობს განათლების ეროვნული ხასიათი? ავტორის აზრით, განათლების ეროვნული სისტემა არ იქმნება მხოლოდ სამეცნიერო კაბინეტებში. უპირველესად მას თავად ერი ქმნის მთელი თავისი შემადგენლობით. მთავრობების მოვალეობაა იცოდნენ, როგორი განათლება სჭირდება ერს მისივე თავისებურებების შემეცნებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი ერისათვის შესაფერისი პედაგოგიური სისტემის შექმნა, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით.

ისტორიული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ხელისუფლება ძალაუფლების ლეგიტიმაციის მიზნით იდეოლოგიას და პროპაგანდას მიმართავს. ამ ხერხს წარმატებით იყენებენ როგორც დემოკრატიული, ასევე, ტოტალიტარული სახელმწიფოები. შესაბამისად, როდესაც სიტყვებს „იდეოლოგიას“ და „პროპაგანდას“ ვიყენებთ, ხშირად მათ, ტოტალიტარული სახელმწიფოების მაგალითის გამო, უარყოფითი კონოტაცია აქვთ. სინამდვილეში კი, საქმე ეხება კონტექსტს, საიდანაც ნებისმიერი გამოცდილება გამომდინარეობს. ჩვენი აზრით, პირველი რესპუბლიკის გამოცდილება საგანმანათლებლო სისტემის პროპაგანდისტულ და პოლიტიკურ ხერხად გამოყენების თვალსაზრისით, დემოკრატიულია და ამას ფაქტებიც მონიშნობენ. თუმცა, ამ მოსაზრებას 1918-1921 წლებში მონინააღმდეგეები ჰყავდა: ოპოზიციური ფლანგი თვლიდა, რომ ხელისუფლება განათლების სისტემას პოლიტიკური მიზნებისათვისაც იყენებდა და მას სოციალ-დე-

მოკრავი პარტიის ელფერი დაჰკრავდა. სწორედ ამ საკითხს განიხილავს ს. დარიანი მორიგ სტატიამი „საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის“.²⁶ სწავლა-განათლება პოლიტიკის საგანს წარმოადგენდა, მაგრამ ის ყველანაირი პოლიტიკური მიზნებისგან უნდა ყოფილიყო თავისუფალი, რადგანაც მთავრობა დროებითია, სახელმწიფოებრივი ღირებულებები მარადიული. არსებული წყობილების შენარჩუნების იდეა კი სკოლის მთავარ საგანია, რომელსაც თითოეული სასწავლო დაწესებულება ავტონომიურ პირობებში შეძლებს, თუ ის არ იქნება გარე პოლიტიკური ძალებით მართული. როგორც ჩანს, ამით სტატიით ავტორს სურს გამოეხმაუროს სკოლების სრული ავტონომიის მოთხოვნას, რომელიც საკმაოდ მომნიჭებული იყო მაშინდელ საზოგადოებაში. ამ მოსაზრების საპირისპიროდ მას რამდენიმე არგუმენტი გააჩნია: ავტორი ეთანხმება სასწავლო დაწესებულებების ავტონომიას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა იმდენად დამოუკიდებელი იქნება სახელმწიფოსგან, რომ მატერიალურადაც თავად უზრუნველყოფს საკუთარ თავს. სკოლის ამგვარი დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი განვითარების პირდაპირპროპორციულია. სხვადასხვა ქვეყნებში სკოლების მთლიანი მართვა-გამგეობა სახელმწიფოს ხელში იყო, რაც ნიშნავდა, რომ სახალხო განათლება აღიარებული იყო სახელმწიფო საქმედ. ავტორის აზრით, ახლად შექმნილი დემოკრავიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემა სახელმწიფო საქმედ აღიარებას მოითხოვდა, თუმცა პოლიტიკური იდეოლოგიისგან განთავისუფლების პირობით.

საქართველოში, როგორც განაპირა კოლონიურ მხარეში, რუსეთმა დაიწყო ინტენსიური რუსიფიკაციის პროცესი და ეს პირველ რიგში, აისახა სკოლასა და სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში. ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება პოლიტიკური პროპაგანდის კერად იქცა მეფის რუსეთის ქვეშ. საქართველოს დემოკრავიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე აღიშნავს, რომ თვითმპყრობელობის ეროვნული პოლიტიკის დამახასიათებელია ეროვნების ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მანდ დაივიწყოს თავისი

26 „საქართველო“, 1920, №138, გვ. 4.

წარსული, თავისი ისტორიული მდგომარეობა, გაითქვიფოს რუსობაში, მოხდეს მისი „ასიმილაცია“, როგორც ამას უწოდებდნენ თავიანთ მოხსენებაში ა./კავკასიის მთავარმმართველნი (გიორგაძე, 1928:227). ამ მიზნის მისაღწევად ძირითადი საშუალებაა სკოლა, სადაც შეზუდულია მშობლიური ენის სწავლება, ქვეყნის ისტორია, გეოგრაფია და ყველაფერი ის, რომელთან მიმართებაშიც ქვეყნის მოქალაქეს საკუთარი ეროვნული იდენტობის განცდა უყალიბდება. სწორედ რუსიფიკატორული განათლების მიქმე შედეგებზე საუბარობს ვასილ ბარნოვი სტატიაში „სასწავლებელში“,²⁷ რომელიც 1920 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში“. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება მხოლოდ პოლიტიკური აქტი არ იყო და პირველ რიგში, ის ქვეყნის სულიერი კულტურის დეგრადაციის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა. მეფის რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა განსაკუთრებით ქართული ენის განვითარების პროცესებზე აისახა. როდესაც ავტორი დედა ენის მნიშვნელობაზე გვესაუბრება, მან კარგად უწყის, რომ მშობლიური ენა მხოლოდ სამეტყველო კატეგორია არ არის. ის პირველ რიგში, საზოგადოებრივი არეალია, რომლის ფარგლებშიც ადამიანის კულტურული თვითგამორკვევის საკითხი წყდება. გარდა ამისა, მშობლიური ენის შეზღუდვა და გადაგვარება ვერც ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ ერთიანობას უწყობს ხელს. ძველი წყობილების პოლიტიკურმა რღვევამ და ახალმა დროებამ ისტორიული სასწაულის მომსწრე გახადა ქართველი საზოგადოება: „დაირღვა უსაზღვრო რუსეთი; სხვათა დამთქმელმა ჩანთქა თითონვე თავისნი შვილნი. გაგვითენდა!“.²⁸ თუმცა, ახალი გარემოებების მიუხედავად, ქართველს მაინც დასდევს წარსულის აჩრდილი, რაც ხელს უშლის ნაბიჯი გადადგას უფრო გაბედული მოქმედებისაკენ. როგორც ჩანს, ვასილ ბარნოვი უკმაყოფილოა მთავრობის მიერ გატარებული საგანგებო სახელმწიფო პოლიტიკით. მას მიაჩნია, რომ დედა-ენა და

27 „საქართველო“, 1920, №118, გვ. 4.

28 იქვე.

მეცნიერების მშობლიურ ენაზე სწავლება კვლავ არ წარმოადგენს დამოუკიდებელი ქვეყნის ძლიერ მხარეს. ის მოუწოდებს მთავრობას, უზრუნველყოს ქართველებისათვის ქართულად სწავლების პირობები, ხოლო ეთნიკურ უმცირესობებისათვის კი თავიანთ ენაზე სწავლის საშუალება: „ქართველთ მიეცეს სავალი ქართული, არა ქართველთ თავიანთ დედა ენაზედ. ვერვის შეავინროებს თავისუფლების მოტრფიალე ქართველი, სხვებიც ნუ ახშობენ ჩვენის სვლის სილაღეს!“²⁹ ამკარაა, რომ ვასილ ბარნოვის ამგვარი ხედვა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ქართველი ერის განათლებისა და კულტურული თვითგამორკვევის პროცესებთან, რომელშიც გადამწყვეტი როლი მშობლიური ენის გაძლიერებამ უნდა მოახდინოს. მეორე მხრივ, კი ასევე უზრუნველყოფს სხვათა განათლების ხელმისაწვდომობისა და კულტურული თვითგამორკვევის უფლებებსაც.

დამონმებული საგაზეთო სტატიებიდან დავინახეთ, რომ საერთო საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, სწავლების დემოკრატიზაცია, კულტურული აღმავლობა, თავისუფალი ერთიანი სკოლის პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრება იყო ის საკითხები, რომელსაც თითოეული ამ სტატიის ავტორი პოლიტიკურ ელიტასთან ერთად აქტიურად განიხილავდა. ცხადია, დამოუკიდებლობის სამი წელი საკმარისი არ აღმოჩნდებოდა სრულიად გამართული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ მაშინდელი ქართული პრესა ნათლად ადასტურებს ფაქტს იმის შესახებ, რომ 1918-1921 წლების საგანმანათლებლო რეფორმა დემოკრატიის ქართული მოდელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, რომლის გარეშეც რთული იქნებოდა ახლადგამოცხადებული დემოკრატიული რესპუბლიკისათვის კოლონიალური მემკვიდრეობიდან თავის დაღწევა და სრულიად ახალი პოლიტიკურ-კულტურული ფორმაციის რელსებზე გადასვლა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების, საგანმანათლებლო პოლიტიკაში ევროპეიზმის იდეებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფ-

ლების, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბების ელემენტებს უზრუნველყოფდა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგაძე, გ. „საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში ბატონყმობის გადავარდნიდან პირველ რევოლუციამდე 1864-1905“, თბილისი: სახელგამი, 1928 წ.
2. ჯანელიძე, ო. „ნარკვევი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან“, თბილისი: „მეცნიერება“, 2002 წ.

საგაზეთო სტატიები:

1. „ერთობა“, 1918, №118.
2. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №21.
3. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918, №22.
4. „საქართველო“, 1915, №1.
5. „საქართველო“, 1917, №104.
6. „საქართველო“, 1918, №22.
7. „საქართველო“, 1919, №83.
8. „საქართველო“, 1919, №75, №77, №78, №79, №81, №96.
9. „საქართველო“, 1919, №113.
10. „საქართველო“, 1920, №118.
11. „საქართველო“, 1920, №138.
12. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №51.

ჟურნალი:

1. „განათლება“, 1918, №1.
2. „განათლება“, 1920, №3, №4, №5.

დამონმებული წყაროები:

1. სცსსა, ფონდი №1925, ანაწერი №1, საქმე №518, ფ.2-8.
2. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის დამატება“, №35, ეროვნული საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიში, 1918 წლის 4 ოქტომბერი, 44-ე სხდომა, გვ. 8.

საჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ იდეის ისტორიული საფუძვლები

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა 2021 წელს საქართველოში კვლევა – „რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულება და აღქმა“ – ჩაატარა. აღნიშნული შედეგები, საკითხის გარშემო მსჯელობისათვის მრავალ მასალას აწვდის სპეციალურ მკვლევართა ჯგუფებს. ხალხთა მეგობრობის საბჭოთადროინდელ იდეას, რომ ფესვები მყარად აქვს გადგმული და თავის დროზე პროპაგანდამ კარგად იმუშავა, ამას ამ კვლევის შედეგების ბევრი მონაცემიც ცხადყოფს. მაგალითად, კვლევაში ვკითხულობთ: „მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (52%) დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს რუსი ხალხის მიმართ, ხოლო რუსეთის ფედერაციის მიმართ დადებითი დამოკიდებულება ქართველების მხოლოდ მეექვსედს (18%) აქვს¹ და გამოკითხულთა აზრით, ხალხი არ უნდა განსაჯოს სახელმწიფოს ქმედებისთვის.² მეტი სიცხადისთვის მოვიტანთ ამონარიდს ერთ-ერთი რესპონდენტის ტექსტიდან: „საკმაოდ ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს [რუსი ხალხის მიმართ] იქიდან გამომდინარე, რომ ტურისტები როდესაც ჩამოდიან და მე რა კონტინგენტთანაც მაქვს შეხება... დადებითი განწყობით არიან ჩვენი ქვეყნის მიმართ... რუსეთი ოკუპანტია, კი ბატონო, მაგრამ ადამიანების ღიფერენცირებაც უნდა მოხდეს

1 „რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულება და აღქმა“, თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021, გვ. 13; ცხადია, კვლევა საყოველთაო არ ყოფილა და პროცენტულ ცდომილებებს დასაშვებად მივიჩნევთ (ავტ.).

2 რუსეთის მიმართ საქართველოში..., გვ. 14.

[სახელმწიფოსგან]“.³

რა თქმა უნდა, საინტერესოა მეორე მხარის პოზიციაც, თუმცა პირდაპირი წყაროები რაიმე სახის მსჯელობის წარმართვისა და შემდგომ, დასკვნების გამოსატანად, არ გვაქვს.

ხალხში იმ თეზისის დანერგვა, რომ რუსი და ქართველი, ისევე როგორც სსრკ სხვა ხალხები, ძმურად უკავშირდებიან ერთმანეთს, საბჭოთა კავშირში აქტიურად მიმდინარეობდა. უნდა ითქვას, რომ ამ პროცესის ბუნებრივ განხორციელებას ხელი დიდად შეუწყო მეორე მსოფლიო ომმა – როგორც თავიდანვე საბჭოთა პროპაგანდამ უწოდა – „დიდმა სამამულო ომმა“. ამ პერიოდში, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელს მოუწია საერთო მტრის – „ფაშიზმის“ წინააღმდეგ გაერთიანება და ბრძოლა, შემდეგ კი, ერთობლივი გამარჯვების მოპოვება, რამაც დამატებითი ემოციური სტიმულების გაღვიძებას შეუწყო ხელი.⁴ წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცდებით ნათლად წარმოვაჩინოთ და მიმოვიხილოთ უშუალოდ საქართველოს გარშემო არსებული რეალობა და ის ძირითადი ისტორიული ფაქტორები, რომელსაც იმპერიული ცენტრი და მისი

3 იქვე.

4 М. Рахманова, З. Пулатова, “Сила братской дружбы народов в победе над фашизмом, этих дней не смолкнет слава”. Материалы Республиканской студенческой военно-научной конференции, посвященная дню Победы в Великой Отечественной войне. Отв. ред. В. Корабач, Гродненский государственный медицинский университет, 2014, გვ. 148-150; <https://elibrary.ru/item.asp?id=47239863>. ბმულებზე წვდომა განხორციელდა: 07.11.2023; В.В Галыга, Дружба народов советского союза – важнейший фактор победы над фашизмом, Труды VIII международной научной конференции “инновации в науке и образовании – 2010”, посвященной 80-летию образования университета, 2010, გვ. 119-122; <https://elibrary.ru/item.asp?id=32584011>. Дмитрий Суржик, “Дружба народов в СССР как один из важнейших факторов победы в великой отечественной войне”, Экономические стратегии, ტ. 20, №3, 2018, გვ. 164-175; <https://elibrary.ru/>. ამ საკითხს შეეხო ა. გ. მათიაშვილის 1987 წელს კიევიშ დატული დისერტაცია – Дружба и братское сотрудничество украинского и грузинского народов в период великой отечественной войны (1941-1945 гг.); იმავე წელს კი საქართველოში გამოიცა ანტონ ლეჟავას ნიგნი – „ქართველი და უკრაინელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (1900-1920), „მეცნიერება“, თბილისი, 1987.

პროპაგანდისტული მანქანა ხალხთა მეგობრობის დასამტკიცებლად იყენებდა.

სწორედ საბჭოთა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეწოდა გეორგიევსკის ტრაქტატს – „ძმობის მანიფესტი“, „მეგობრობის ტრაქტატი“, მეგობრობის გზის საწყისი, და სხვა.⁵ ქვეყნდებოდა ნიგნები შემდეგი სათაურებით – „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის საფუძველია“ (1955), „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველია“ (1956), „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა სოციალისტური წყობილების ძალისა და უძლეველობის წყაროა“ (1956), „სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა – ჩვენი ქვეყნის ძლიერების უმრეტი წყარო“ (1979) და სხვა მრავალი.

ზოგადად, ეს პროცესიც, ისევე როგორც სხვა პროპაგანდისტული საქმიანობანი სსრკ-ში, არ იყო თავის ნებაზე მიშვებული და კონკრეტული დირექტივებით წარიმართებოდა. თუმცაღა, თავდაპირველად ამას არ ჰქონდა ისტორიული კონტექსტის სახე და მხოლოდ თეორიულ-პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენდა. „ხალხთა მეგობრობის“ იდეა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი იდეოლოგიური საყრდენი იყო. მოკლე განმარტებამდე რომ დავიყვანოთ – მასში იგულისხმებოდა სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარი ხალხების ძმური თანამშრომლობა. მართალია, საბჭოთა კონსტიტუციით თქვენ, მოკავშირე რესპუბლიკებს, კავშირის დატოვების უფლება გაქვთ, მაგრამ ამის საჭიროება არ გიდგათ, ვინაიდან ჩვენ ყველანი ერთ დიდ ძმურ ოჯახში ვცხოვრობთ.

ის, რომ ამ იდეას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, გარდა მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა, ადასტურებს 1960 წელს ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის, ხოლო 1972 წლის დეკემბერში ხალხთა მეგობრობის ორდენის დაარსება. ამას გარ-

5 ლოვარდ ტუხაშვილი, „ძმობის მანიფესტი: გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი“, „ჯეჯილი“. 1983. №21, გვ. 9-20; / მიხეილ ახოზაძე, „მეგობრობის ტრაქტატი 200“, საქ. სსრ ნიგნის მოყვ. საზ-ბა. საგამომცემლო ცნობები, თბილისი, 1983.

და, თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში არსებობდა ხალხთა მეგობრობის მუზეუმები.

საკითხი მით უფრო აქტუალურია, რომ დღევანდელ რუსეთსა და მისი გავლენის ქვეშ დარჩენილ ქვეყნებს შორის კვლავ არსებობს ამ იდეის მიმდევრობა⁶ და სხვადასხვა ავტორი არც თუ იშვიათად ეხება ხალხთა მეგობრობის საკითხის არა ისტორიულ, არამედ თანამედროვეობაში არსებულ ასპექტებს.⁷

მსგავსი დაწესებულება, რომელიც ცენტრალიზებულ პროპაგანდას გაუწევდა ხალხთა მეგობრობას, ბუნებრივია, საქართველოშიც დაარსდა – ხალხთა მეგობრობის საკითხზე მუშაობის გასაღრმავებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დაარსდა „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი“. ეს დაკავშირებული იყო სსრკ შექმნის 50 წლის იუბილესთან, რის გამოც, მთელი რიგი პროპაგანდისტული საქმეები გაიშალა, მოეწყო დღესასწაულები და შეხვედრები. გაზეთები მილოცვებით აჭრელდა. მუზეუმის „წინაშე დაისახა ამოცანა – გამხდარიყო სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც ფართო პროპაგანდას გაუწევდა ხალხთა მეგობრობას, ინტერნაციონალიზმსა და პატრიოტიზმის იდეებს.“ როგორც ედუარდ შევარდნაძე იმჟამად (1972 წ.) აცხადებდა: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ისტორიულ დღეებში მიიღო გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში შეიქმნას „ხალხთა მეგობ-

6 ამის დასტურად ისიც კმარა, რომ მეგობრობის ორდენები საბჭოთა კავშირის შემდეგ ხელახლა დაარსდა ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში – რუსეთში (1992/1994), 1995 წელს ყაზახეთში, 2002 წელს ბელორუსიაში, 2007 წელს აზერბაიჯანსა და „სამხრეთ ოსეთში“, 2012 წელს დნესტრისპირეთის მოლდავურ რესპუბლიკაში, 2014 წელს სომხეთში და 2017 წელს ყირგიზეთში.

7 Danakari R.A., “Patriotism and Friendship of Peoples as the Basic Determinants of the Russian Civilization”. *Vestnik Volgogradskogo gosudarstvennogo universiteta. Seriya 4. Istoriya. Regionovedenie. Mezhdunarodnye otnosheniya* [Science Journal of Volgograd State University. History. Area Studies. International Relations], 2019, vol. 24, no. 5, გვ. 193-204. (in Russian). DOI: <https://doi.org/10.15688/jvolsu4.2019.5.14>

რობის მუზეუმი“. ეს იქნება თანამედროვე სამეცნიერო და კულტურული ცენტრი, რომელიც ჩვენს თანამედროვეებსა და მომავალ თაობებს უამბობს ხალხთა ლენინური მეგობრობის ქმედითობისა და განვითარების, გმირული ისტორიული ეპოპეის, სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ ქართველი ხალხის ისტორიული გზის შესახებ“.⁸

საწყის ეტაპზე, მუზეუმის უმთავრესი მიმართულება მეორე მსოფლიო ომის, უფრო სწორი თუ ვიქნებით, „დიდი სამამულო ომზე“, უნდა აეღო აქცენტი, მით უმეტეს, რომ 1975 წელს მათ ფაშინზე გამარჯვების 30 წელი უნდა ეზეიმათ. მუზეუმმა ეს თარიღი ისე არ დატოვა, მოაწყო გამოფენები და სხვა სახის ღონისძიებები, სადაც უმთავრესი დატვირთვა ქართველი და რუსი მებრძოლების საბრძოლო მოქმედებების გმირულ ეპიზოდებზე მოდიოდა.

1981 წელს ოთარ ყეინაშვილის ავტორობით გამოიცა წიგნი – „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი – პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის კერა“. ეს წიგნი შეგვიძლია მუზეუმის 9 წლიანი არსებობის მოკლე (32 გვ.) ანგარიშად მივიჩნიოთ. მასში, ძირითადად, საუბარია მეორე მსოფლიო ომის დროს, ქართველი და რუსი (უმეტესად) ჯარისკაცების მეგობრობის მომენტებზე, წარმოჩენილია საბრძოლო პასაჟები, მოთხორბილია იმ ემოციურ შეხვედრებზე, რომლებიც ომის დასრულების შემდეგ გადახდათ სხვადასხვა ეროვნების მეომრებს და სხვა მრავალი.

წლების განმავლობაში, მუზეუმში ხშირად ეწყობოდა სხვადასხვა გამოფენა, რომლებიც ქართველი და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების (ძირითადად, რუსების), მეგობრობას ეძღვნებოდა. მაგალითად, 1983 წელს, მუზეუმმა, ბუნებრივია უყურადღებოდ ვერ დატოვა გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების 200 წლისთავი და მოამზადა გამოფენა – „მარად ერთად (მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი)“.

ამასთან, მუზეუმმა გამოსცა მრავალი ალბომი, მათ შორის

8 ოთარ ყეინაშვილი, „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი – პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის კერა“, თბილისი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, 1981, გვ. 5.

ჩვენთვის საინტერესო: „ჩვენ ლენინური მეგობრობით ვართ ძლიერნი“, „ქართველი ხალხის ძმური თანამეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან დიდი სამამულო ომის წლებში“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. აგრეთვე, სხვა სახის წიგნები (მაგალითად „ძმური საბჭოთა ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა“). მუზეუმი გამოსცემდა კრებულს „მეგობრობა“.

მეგობრობის მუზეუმის მოღვაწეობას ფართოდ აშუქებდა რესპუბლიკური პრესაც. 1976 წელს გაზეთ კომუნისტში ვრცელი საგაზეთო ნაწილი დაეთმო მუზეუმის შესახებ ინფორმაციას, გამოქვეყნდა მუზეუმის წიგნაკში დატოვებული დადებითი კომენტარების ნაწილიც. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „ჩემთვის ძალიან ძვირფასია მეგობრობის ეს მუზეუმი – ყველაზე ცოცხალი ყველა სხვა მუზეუმთა შორის, რადგან თვით სიტყვა – მეგობრობა – სხვა სიტყვათა შორის ყველაზე ცოცხალი და კეთილშობილურია“ – კონსტანტინე სიმონოვი. „მოხიბლული ვართ თქვენი მუზეუმით, კეთილი, მაღლიანი, საშვილიშვილო საქმისათვის გულწრფელი მადლობა“ – აზერბაიჯანის ნიზამის სახელობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი ვ. დხიტი. მოსკოველ ტურისტთა ჯგუფმა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი დატოვა – „საუცხოო მუზეუმია, ფრიად კარგ და საჭირო საქმეს აკეთებთ. დაე აქ ხშირად მოვიდეს ახალგაზრდობა, ამ დიდებულ ტრადიციებზე აღვზარდოთ თაობები“; ხოლო რუმინელი ტურისტები წერდნენ – „პირველად ვიყავით ასეთ მუზეუმში. ნანახით აღტაცებულები ვართ. აი თურმე რა ძალა ჰქონია ხალხთა მეგობრობას“.⁹

1978 წელს საქართველოს ტელევიზიამ წამოიწყო გადაცემათა ციკლი: „ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებსა და დარბაზებში“. „გადაცემები მოგვითხრობენ იმ დიად მეგობრობაზე, რომელმაც შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერის შვილები მომხდურ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ახალგაზრდა მემორებისთვის ეს გადაცემები პატრიოტიზმისა და მეგობრობის მკაფიო მაგალითად იქცა.“¹⁰

9 „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, ეს დღეები ხალხთა მეგობრობის მუზეუმში“, „კომუნისტი“, №247, გვ. 1976, გვ. 3.

10 ო. ყვინაშვილი. გვ. 30.

სწორედ ამ მუზეუმის ერთ-ერთ სამეცნიერო სესიაზე (1977 წელს) ნაიკითხეს მოხსენება „რუსი და ქართველი ხალხოსნების რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიიდან“. ამ საკითხს, ჩვენც მივაქციეთ ყურადღება იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი ქართველი ხალხოსანის, ივანე ჯაბადარის მოგონებებს ვთარგმნიდით და რიგ ბიოგრაფიულ ცნობებს ვეძებდით. თანამედროვე რუსულ ლიტერატურასთან გაცნობამ დაგვანახა, რომ თანამედროვე მკვლევრები „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ მოღვაწეობას კვლავაც, ნებისთ თუ უნებლიეთ, ხალხთა მეგობრობის იდეის განმტკიცებისათვის იყენებენ. და მართლაც, ივანე ჯაბადარის მოგონებები, მსგავს პროპაგანდისტებს, დასამონმებელი ციტატების საშუალებას აძლევს.¹¹

მსგავსი მიმართულება ჩვენში ადრეც გამოვლინდა. მაგალითად, ჩვენ მიერ დასახელებული ორგანიზაციის პირველი ქართველი მკვლევარი ზაქარია შველიძე, 1957 წელს, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში – Вопросы Истории – აქვეყნებს სტატიას: Сдружество русских и грузинских революционных народников в 70-80-х годах XIX века.¹²

გარდა იმისა, რომ თავად ხალხთა მეგობრობის ქადაგება მიმდინარეობდა, 80-იანი წლების დასაწყისიდან პროპაგანდაში ერთგვარი ახალი ეტაპო იწყება. მაგალითად, ჟანა ბლაგიძეს ეკუთვნის ნაშრომი – „ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის საკითხები იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“¹³, ცოტათი ადრე გამოქვეყნდა ტიტე სარიშვილის წიგ-

11 ივანე ჯაბადარი, „50-ის პროცესი (სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია 1874-1877 წწ.)“, რუსულიდან თარგმნა, შესავალი სიტყვა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ სარაჯიშვილმა, „ახალი და უახლესი ისტორიის წყაროები“, №1, უახლესი ისტორიის ცენტრი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2023.

12 З. Л. Швелидзе, “Сдружество русских и грузинских революционных народников в 70-80-х годах XIX века”, Вопросы Истории, №12, 1957, Москва, გვ. 124-134. აღსანიშნავია, რომ ზ. შველიძის სტატიას წინ უძღვის ა. ფ. ოსეტროვის სტატია – „საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრული კავშირების ისტორიიდან (1924-1927)“, გვ. 109-123.

13 ჟანა ბლაგიძე, „ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის საკითხები იაკობ

ნი – „პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“¹⁴. ნათელია, რომ პროპაგანდა არა მარტო საბჭოთა ილუზიებზე დაკმაყოფილებას აპირებდა, არამედ საქართველოს რეალობაში არსებულ ძვირფას მემკვიდრეობასაც გამოიყენებდა ხალხში დასანერგი ერთ-ერთი იდეის დასამტკიცებლად.

ჟანა ბლაგიძე, რომლის წიგნის რეცენზენტიც, სხვათა შორის, სწორედ ტ. სარიშვილია, შესავალ სიტყვაში შემდეგ პასაჟებს იმონებს: „ხალხთა შორის მეგობრობა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებული მშრომელი მასების შეკავშირების მონოლითური ძალაა, რომელსაც საერთო პოლიტიკური მრწამსი, ერთიანი კომუნისტური იდეალები და სოციალისტური ეკონომიკის საერთო საფუძვლები ადუღებენ. ჩვენი ქვეყნის სახელოვანმა მოღვაწეებმა „თვალსაჩინო როლი შეასრულეს ეროვნული შუღლის ლიკვიდაციაში, ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებაში“ (კ. უ. ჩერნენკო)“. „ხალხთა ძმობა და მეგობრობა დედამიწაზე მარადიული ღირებულებაა, ის იდეალია, რომელიც ასულდგუმლებს პროგრესულ კაცობრიობას, ყველა კეთილი ნების ადამიანს (ე. შევარდნაძე). „ხალხთა, ერთა დაახლოებამ შვა სიყვარული, ერთგულება, შვა ის დიდი და დიადი გრძნობა, რომელიც ჭირსაც გადაატანინებს და ლხინსაც გაულამაზებს ადამიანს“¹⁵.

შემდეგში, ავტორი თავისი და პარტიის ამ პროპაგანდისტული ხაზის გატარების ლეგიტიმაციისთვის იშველიებს საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი პიროვნებების სახელებს, მაგალითად – შოთა რუსთაველი, იოანე პეტრიწი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი

გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1984.

14 ტ. სარიშვილი, პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის საკითხები *ვეფხისტყაოსანში*“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1975.

15 ჟ. ბლაგიძე, „ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის საკითხები...“, გვ. 3.

წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვა. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მოღვაწენი „აღიარებდნენ ხალხთა ძმობისა და ქვეყანაზე მშვიდობის გამარჯვების უკეთილშობილეს იდეას. პედაგოგიკის ფუძემდებელმა საქართველოში, იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი შემოქმედებისა და ცხოვრების დევიზად აღიარა მოზარდი თაობის აღზრდა ამ სულისკვეთებით.“¹⁶ ავტორი თავისი ნაშრომის მიზანდასახულობას შემდეგნაირად გადმოგვცემს – „1. ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები; 2. ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის პედაგოგიური და მეთოდოკური პრინციპები; 3. ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის საკითხები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში; 4. ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის საკითხები იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებებში.“¹⁷ და იქვე დასძენს – „ნაშრომი გამიზნულია, რათა სკოლამ და მასწავლებელმა დიადი მოძღვრება ხალხთა შორის მეგობრობის შესახებ წარმატებით გამოიყენოს თავის სასწავლო და აღმზრდელობით მუშაობაში“.¹⁸

ავტორი საუბრობს XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებზეც (გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი), თუმცა ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ იმაზე, თუ როგორ არიან წარმოდგენილი ნიგნში ქართველი სამოციანელები. ამ პარაგრაფში, რომლის სათაურიცაა „ხალხთა შორის მეგობრობის იდეები ქართველ სამოციანელთა იდეურ-პოლიტიკურ კონცეფციაში“, ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს და ხშირად ახსენებს იმ ფაქტს, რომ 1. ქართველი სამოციანელები განიცდიდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატიების დიდ გავლენას და 2. ქართველი სამოციანელები მადლობას უხდიდნენ რუსულ კულტურას იმ გავლენებში, რაც მან ქართულზე მოახდინა.¹⁹

16 იქვე, გვ. 4-5.

17 იქვე, გვ. 5-6

18 იქვე, გვ.6.

19 იქვე, გვ. 12.

ცალკე მოკლედ გვსურს შევეხოთ იმას, თუ როგორ შუქდებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში „აფხაზ და ქართველ ხალხთა ერთობლივი ბრძოლა“. აღნიშნულია, რომ ამ ორი ხალხის (და არა მხოლოდ) დაახლოვება რუსი ხალხის წამყვანი მონაწილეობით „ინართობდა“. იმავეს ემსახურებოდა ედუარდ შევარდნაძის სიტყვა 1979 წლის ინტერვიუში: „აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიული ბედი მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. ათასწლეულების განმავლობაში ისინი ცხოვრობენ გვერდიგვერდ და ინანილებენ ერთმანეთში, როგორც შეეფერებათ ნამდვილ ძმებს, ყოველგვარ სიკეთესა და გასაჭირს.“²⁰

ამ მხრივ თვალსაჩინო მაგალითია რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი – „Из Истории совместной борьбы Грузинского и Абхазского народов“, რომლის ავტორებიც არიან გ. ძიძარია და ი. კაჭარავა. ავტორები ხაზგასმით ამბობენ, რომ სსრკ ხალხთა მეგობრობის ყველა ეტაპისა და ასპექტის კვლევა, ისტორიოგრაფიული მეცნიერების აქტუალური მისიაა.²¹ ავტორები წიგნში ხაზს უსვამენ, რომ „ქართული პედაგოგიური აზრის კორიფე“ იაკობ გოგებაშვილი ყველაფრით ეხმარებოდა აფხაზ ხალხს საკუთარი თვითმყოფადობის ჩამოყალიბებაში.²² იაკობის გვერდით, კი აფხაზი და ქართველი ხალხის დაახლოების საქმეში დიდი დამსახურებისთვის ცალკე გამოყოფს სერგო ორჯონიკიძეს, ა. წულუკიძეს და სხვა ბოლშევიკებს, რომელთა პროპაგანდაც, ავტორების თქმით, დიდად დაეხმარა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის ტრადიციის გაძლიერებას.²³

მკვლევარი ერასტი ახოზაძე 1972 წელს, სსრკ შექმნის 50 წლის იუბილესთან გამოცემულ წიგნში აღნიშნავს: „ჩვენი დიდი სამშობლოს მოძმე ხალხები ერთიან ინტერნაციონალურ

20 Г. А. Дзидзария, Ю. М. Качаравა, “Из истории совместной борьбы Грузинского и Абхазского народов (XIX – начало XX в.)”, Мещниереба, Тбилиси, 1981, გვ. 5.

21 იქვე, გვ. 8.

22 იქვე, გვ. 6.

23 იქვე, გვ. 7.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

ოჯახში ეგებებიან თავიანთი სახელოვანი ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღს – სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს“ და დასძენს, რომ წიგნში გადმოცემულია ის წარმატებები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა „მომე ხალხთა მთელი ძალებისა და რესურსების გაერთიანების“ შედეგად მოიპოვა.²⁴ ხალხთა მეგობრობის იდეის უცილობლობისა და აუცილებლობის მომენტს საბჭოთა ოფიციაში საყოფაცხოვრებო ამბებიც ამყარებდა. მაგალითად, გაზეთ „კომუნისტი“ 1976 წლის 247-ე ნომერში წარმოდგენილია წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. მელიქიშვილის წერილი – „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. ავტორი წერილს შემდეგნაირად იწყებს: „საქართველოში ძმობასა და მეგობრობას ოდითგანვე აფასებდნენ. ახლაც, როცა საბოჭოთა ხალხები ერთ, დიდ ოაჯახში ბედნიერად ცხოვრობენ, ძმობას დიდი როლი და მნიშვნელობა მიენიჭა. ამიტომაც ასე ხშირად ვამბობთ ხოლმე: ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი. დიახ, ძმა ძმით მაშინ არის ძლიერი, როცა ძმების ნიჭ და უნარი ერთმანეთის სიკეთეს ხმარდება“.²⁵ შემდეგ კი ავტორი საუბრობს იმ ამბებზე, რომელიც მას გადახდა თავს – ე. ი. გაეცნო „რუსი მეგობრების გამოცდილებას“, რომელსაც შრომაში გამოიყენებდა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

ახობაძე, მ. „მეგობრობის ტრაქტატი 200“, თბილისი: საქ. სსრ წიგნის მოყვ. საზ-ბა. საგამომცემლო ცნობები, 1983;

ბლაგიძე, ჟ. „ხალხთა შორის მეგობრობის აღზრდის საკითხები იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში“, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984;

ლეჟავა, ა. „ქართველი და უკრაინელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა სოციალისტური რევოლუციის გამარ-

24 ერასტი ახობაძე, გვ. 3.

25 „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, გაზეთი „კომუნისტი“, 1976, № 247, გვ. 3.

საგჟოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ ილენის ისტორიული საფუძვლები

ჯვეებისათვის ბრძოლაში (1900-1920)“, თბილისი: „მეცნიერება“, 1987;

რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდებულება და აღქმა, თბილისი: ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2021;

სარიშვილი, გ. „პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის საკითხები ვეფხისტყაოსანში“, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975;

ტუხაშვილი, ლ. „ძმობის მანიფესტი: გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი“, „ჯეჯილი“. 1983. № 21, გვ. 9-20.

ყეინაშვილი, ო. „ხალხთა მეგობრობის მუზეუმი – პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის კერა“, თბილისი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, 1981;

„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „კომუნისტი“, 1976, № 247, გვ. 3.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, ეს დღეები ხალხთა მეგობრობის მუზეუმში“, „კომუნისტი“, № 247, გვ. 1976, გვ. 3;

ჯაბადარი, ი. 50-ის პროცესი (სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაცია 1874-1877 წწ.), რუსულიდან თარგმნა, შესავალი სიტყვა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ სარაჯიშვილმა, ახალი და უახლესი ისტორიის წყაროები №1, უახლესი ისტორიის ცენტრი, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2023.

Галыга, В. “Дружба народов советского союза – важнейший фактор победы над фашизмом”, Труды VIII международной научной конференции “инновации в науке и образовании – 2010”, посвященной 80-летию образования университета, 2010, гв. 119-122; <https://elibrary.ru/item.asp?id=32584011>. ბმულებზე წვდომა განხორციელდა: 07.11.2023;

Дзидзария, Г., Качарава, Ю. *Из Истории совместной борьбы Грузинского и Абхазского народов (XIX – начало XX в.)*, Тбилиси: Мецниереба, 1981.

Рахманова, М., Пулатова, З. “Сила братской дружбы народов в победе над фашизмом, этих дней не смолкнет слава”. *Материалы Республиканской студенческой военно-научной конференции, посвященная дню Победы в Великой Отечественной войне*. Гродно, 2014 Издательство: Гродненский государственный медицинский университет (Гродно), сс. 148-150; <https://elibrary.ru/item.asp?id=47239863>.

Суржик, Д., “Дружба народов в СССР как один из важнейших факторов победы в великой отечественной войне”, *Экономические Стратегии*, №3, 2018, сс.164-175;

<https://elibrary.ru/item.asp?id=35002635&fbclid=IwAR1vVlcwVea-6qJ4AZa9mpD0-v19ywHiUYhfGPftSOIMTvuAPCchUN1uGqew>

Швелидзе, З. „Содружество русских и грузинских революционных народников в 70-80-х годах XIX века”, *Вопросы Истории*, N12, 1957, сс.124-134;

Danakari, R. “Patriotism and Friendship of Peoples as the Basic Determinants of the Russian Civilization”. *Vestnik Volgogradskogo gosudarstvennogo universiteta. Seriya 4. Istoriya. Regionovedenie. Mezhdunarodnye otnosheniya* [Science Journal of Volgograd State University. History. Area Studies. International Relations], 2019, vol. 24, no. 5, pp. 193-204. (in Russian). DOI: <https://doi.org/10.15688/jvolsu4.2019.5.14>

„დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ღამეს დაიწყო,“¹

„დრო, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ღამეს დაიწყო,“¹ – აი ასე, პირველ პირში და, ალბათ, ყველაზე ზუსტად გადმოსცა 9 აპრილის ტრაგიკული ღამის მნიშვნელობა რუსმა ჟურნალისტმა იური როსტმა ამ მოვლენიდან ოცდახუთი წლის შემდეგ. იმ ღამით რუსთაველის გამზირზე მის მიერ გადაღებული ფოტოები 9 აპრილის მეხსიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილად იქცა.

ორიოდე სიტყვა 1989 წლის 9 აპრილის შესახებ:

1989 წლის მარტში აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართული ყრილობის მონაწილეებმა წერილით მიმართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შეყვანას უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსით. აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოს მიტინგების ტალღამ გადაუარა. 4 აპრილს თბილისში, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით, მთავრობის სასახლესთან დაიწყო მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც აფხაზური სეპარატიზმის და მისი წამახალისებლების წინააღმდეგ იყო მიმართული. სულ მალე აქციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და კომუნისტური რეჟიმის საწინააღმდეგო ლოზუნგები გაჩნდა, მონაწილეთა ჯგუფმა დამოუკიდებლობის მოთხოვნით შიმშილობაც გამოაცხადა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა შეაშფოთა მზარდმა უკმაყოფილებამ, რომელიც სულ უფრო მეტად გამოდიოდა კონტროლიდან. მოსკოვთან შეთანხმებით,

1 Юрий Рост. „Стыдно мне,“ Аргумент, 26 მარტი, 2014, <http://argumentua.com/stati/yurii-rost-stydno-mne> (ბმულებზე წვდომა განხორციელდა: 30.10.2023).

გადაწყდა მიტინგის დარბევა. თბილისში არმიისა და შინაგანი ჯარების დამატებითი ძალები შემოიყვანეს. 9 აპრილს, დილის 4 საათზე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების ნაწილებმა დაარბიეს მიტინგი ხელკეტების, მესანგრის ნიჩბებისა და მომწამლავი ნივთიერების გამოყენებით. ადგილზე დაიღუპა 16 ადამიანი, უმეტესად ქალები, მომდევნო დღეებში გარდაიცვალა დარბევის დროს დაშავებული კიდევ ოთხი მომიტინგე, ერთი ახალგაზრდა კი კომენდანტის საათის დროს მოკლეს. სხვადასხვა სახის დაზიანებითა და მონამვლით საავადმყოფოებში მოთავსებული იქნა რამდენიმე ასეული მოქალაქე.²

9 აპრილი აღმოჩნდა ის „სეისმური ისტორიული ხდომილება“,³ რომელმაც დაანგრია საბჭოთა სისტემის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს საზოგადოების კულტურული და სიმბოლური ჩარჩოები, „ყირაზე დააყენა სოციალური რეალობა“⁴ და დიდი ხნით განსაზღვრა საზიარო მეხსიერება და იდენტობა.

ამგვარ ხდომილებას, რომელიც, როგორც წესი, უკიდურესი ძალადობით არის გამოწვეული, „ხანგრძლივ კვალს ტოვებს კოლექტიურ ცნობიერებაზე“⁵ და ცენტრალურ ადგილს იჭერს ეროვნულ მეხსიერებაში, ალეიდა ასმანი *პარადიგმულ მოვლენას* უწოდებს. მისი კულტურული გადაამუშავება – ინტერპრეტაცია და რეინტერპრეტაცია – აყალიბებს ე.წ. გავლენის ნარატივს, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს მოვლენას. ეს არ არის ერთი, ყოვლისმომცველი ტექსტი, არამედ იგი სხვადას-

2 გიორგი მჭედლიძე. „ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)“. ქუთაისი, 1999, გვ. 163-181; სტივენ ფონსი. „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“. თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2012, გვ. 44-48 და სხვ.

3 Aleida Assmann. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), გვ. 53.

4 იქვე.

5 იქვე.

ხვა ფორმით აისახება საისტორიო თუ მხატვრულ, მემუარულ თუ დოკუმენტურ ლიტერატურაში, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. ამ ინტერპრეტაციათა შესაძლებლობა ამოუნურავია.⁶ გავლენის ნარატივი სწორედ ამ მედიების ურთიერთქმედებით ყალიბდება.

პარადიგმული მოვლენის მენტალური რეპრეზენტაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს რჩეული ტრავმის სახით, რომელიც წარმოშობს *სხვა* ჯგუფიდან მომდინარე დამცირებითა და მარცხით გამოწვეული დანაკარგის, უმწეობის, მსხვერპლად ყოფნის განცდას.⁷ *რჩეული ტრავმის* ნარატივში ხაზი ესმება მსხვერპლის საჭიროებას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.⁸ ვამიკ ვოლკანი *რჩეულ ტრავმას* „იდენტობის ქსოვილის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან „დაფად“ მიიჩნევს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ჯგუფის წევრებს. შეიძლება, ეს „დაფი“ ყოველთვის შესამჩნევი არ იყოს, გადაეჯაჭვოს სხვა დაფებს ან დიდხანს დარჩეს შეუმჩნეველი, შემდეგ გააქტიურდეს და მძლავრ ფსიქოლოგიურ ძალად იქცეს. როცა ტრავმა აქტიურდება, ცოცხლდება მასთან დაკავშირებული შიშები, მოლოდინები, ფანტაზია, მყარდება ცნობიერი და არაცნობიერი კავშირი წარსულ ტრავმასა და თანამედროვე საფრთხეს შორის, ჩნდება „დროის კოლაფსი“: წარსული მოვლენა ისე განიცდება, თითქოს ეს გუშინ მოხდა.⁹

დამახსოვრება და რეპრეზენტაცია ადრე არსებულ მეხსიერებას და კულტურულ ნიშუშებს ემყარება.¹⁰ ა. ასმანის განმარტებით, კულტურული ნიშუშები წარმოადგენს განმეორებად სტრუქტურებს მოთხრობათა კანონიზებულ სისტემაში,

6 იქვე, გვ. 54-57.

7 Vamik D. Volkan, *When Enemies Talk: Psychoanalytic Insights From Arab-Israeli Dialogues*, Zigmund Freud Lecture (Vienna: 1999), გვ. 13.

8 Gilad Hirschberger. "Collective Trauma and the Social Construction of Meaning," *Frontiers in Psychology* 9 (10 August, 2018), გვ. 1.

9 Vamik D. Volkan, *When Enemies Talk*, გვ. 14.

10 Aleida Assmann, "Impact and Resonance..." , გვ. 43.

ღრმად ფესვგადგმულ ხატებს, რომელთა მეშვეობით კონკრეტული ერთობის წევრები ხედავენ, აღიქვამენ და აფასებენ ერთმანეთს, მნიშვნელობას ანიჭებენ სიტუაციებს, გამოცდილებას და მოვლენებს.¹¹

„საქართველოს ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთ-ერთი უდიდებულესი, როდესაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე, ამ ტანჯვასა და ვაებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად, ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე,“¹² – მერაბ კოსტავას მიერ 9 აპრილის ღამეს, დარბევამდე ცოტა ხნით ადრე წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა სათავე დაუდო 9 აპრილის წარატივს. მასში მკაფიოდ იკითხება ქართული კულტურული ნიშუმი: ერის ერთობის („შეკრული, [...] მთლიანი [...] ქართველი ერი“) და მამულისთვის თავგანწირვის „ფესვგადგმული ხატი,“ რომელიც „უზრუნველყოფს იდენტობისა და განგრძობადობის განცდას მკვეთრი ცვლილების პირობებში.“¹³

ქართული კულტურული ნიშუმის ელემენტებისა და ტრაგიკულ-ამალღებული რიტორიკის კონცენტრირებული გამოხატულება იყო ზვიად გამსახურდიას სიტყვა მიტინგზე 1989 წლის 26 მაისს, 9 აპრილიდან თვენახევრის შემდეგ: „ჩვენთან არს ღმერთი! და მარადის იქნება ღმერთი! და ამ შეგნებით ვძლიეთ უთვალავ ძალებს, ბნელეთის ძალებს, ბნელეთის იმპერიებს და ბნელეთის იმპერიებს შორის უდიდესს და უბოროტესსაც დავამარცხებთ. რამეთუ ჩვენთან არს წმინდა გიორგი, ჩვენთან არს წმინდა სისხლი ჩვენი მონამეებისა, რომელიც დაიღვარა საქართველოსთვის, დაიღვარა ქრისტესთვის, დაიღვარა 9 აპრილს, [...] რომელიც შეუერთდა იმ წმინდა მონამეთა სისხლს, ასიათასთა და მრავალთა მონამეთა სისხლს. და ეს სისხლი გვიხსნის ჩვენ [...]. ეს არის ჩვენი ერის გზა, სხვა გზა ჩვენს ერს არ გააჩ-

11 იქვე, გვ. 44.

12 „მერაბ კოსტავას სიტყვა 1989 წლის 9 აპრილს,“ <https://www.myvideo.ge/v/2303758>.

13 Aleida Assmann, “Impact and Resonance...”, გვ. 60.

ნია. ჩვენი გზა არის მონამეობრივი გზა, გზა ქრისტესი, გზა ეკლესიის გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა...“¹⁴

პირველი რეაქცია 9 აპრილის ტრაგედიაზე, ცხადია, ემოციური იყო – ელდა, ტკივილი, აღშფოთება, რისხვა, შურისძიების წყურვილი და, რა თქმა უნდა, მწუხარება და გლოვა, რომლებშიც თავს იყრიდა ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული კულტურული მნიშვნელობები და კულტურული პრაქტიკა. სახლების აივნებზე გადმოიფინა შავი დროშები, შენობების კედლებზე 9 აპრილის დილასვე გაჩნდა წითელი საღებავით შესრულებული წარწერები: „პატიაშვილი მკვლელი,“ „გორბაჩოვი მკვლელი.“¹⁵ ტრაგედიის ადგილი მეორე დღითვე მოიფინა ყვავილებით. ქალაქის ბევრ ადგილას გამოკრული იყო დაღუპულთა და დასახიჩრებულთა სიები.¹⁶ 11 აპრილი ქვეყანაში გლოვის დღედ გამოცხადდა. მთავრობის სასახლის წინ იდგნენ შავი სამგლოვიარო ლენტებით თავნაკრული ახალგაზრდები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ძირს დახრილი, ასევე შავი ლენტებით შემკული დროშებით. ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. ეს იყო დაღუპულთა ერთგვარი კოლექტიური პანაშვიდი. დაკრძალვის დღეებში უამრავი ხალხი მიაცილებდა სამგლოვიარო პროცესიებს.

დაძაბულ და ბუნდოვან ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ გლოვის გამოხატვის ეს ფორმა სრულიად გაუგებარი იყო საბჭოთა სამხედროებისთვის, რომლებიც დედაქალაქში ტრაგედიამდე ორიოდე საათით ადრე გამოცხადებულ კომენდანტის საათს (რომელიც მხოლოდ 17 აპრილს გაუქმდა) უზრუნველყოფდნენ და ნათლად გრძნობდნენ მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას.

ამ – ზოგჯერ მეტისმეტად ემოციურად გამოხატულმა – გლოვამ, რომელშიც ხელისუფლების წარმომადგენლებიც

14 „ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, თბილისი, 1989 წლის 26 მაისი,“ <https://bit.ly/3q44jh0>.

15 ნომადი ბართაია, „ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან. 1988-1993“, თბილისი: „ინტელექტი“, 2020, გვ. 41.

16 იქვე, გვ. 42.

მონანილეობდნენ,¹⁷ ტრავმული მოვლენის ამოთქმის შესაძლებლობა მისცა შოკირებულ საზოგადოებას. ამის ნათელი გამოხატულება იყო რუსთაველის გამზირზე, ჭადრებზე გაკრული ლექსები, რომელთა რიცხვი იზრდებოდა და იზრდებოდა. ჭადრებზე მიკრული ეს თეთრი ფურცლები, „ტიტების და ნარცისების ზღვის გარდა, ის კადრია,“ რომელიც „30 წლის წინანდელი აპრილის რუსთაველის გამზირიდან“ დაამახსოვრდათ თანამედროვეებს.¹⁸ 1989 წლის მთავარი მხატვრული სახე მონამლული და დასახიჩრებული გოგო-ბიჭების ახლო ხედი გახდა.¹⁹ სწორედ ამ გლოვამ გახადა შესაძლებელი ტრავმის ამოთქმა, გასაყოველთაოება, გაზიარება, დამნაშავეის და მსხვერპლის განსაზღვრა.

ყოველივე ამან სათავე დაუდო 9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენის, ნარატივის, რომელშიც გაერთიანდა ტრავმისა (შოკის, ტკივილის, უმწეობის, უსამართლობის, დაბნეულობის განცდა) და ტრიუმფის (სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვა, ამაღლება, სახელოვან წინაპართა საქმის გაგრძელება, მამულისთვის თავგანწირვა) ელემენტები. რუსთაველის გამზირზე დატრიალებული ტრაგედიის აღქმა და მისი ნარატივის ჩამოყალიბება სრულად შეესაბამება ტრავმული მოვლენის მახასიათებლებს, რომლებიც პიოტრ შტომპკას მიერ არის შემოთავაზებული: სისწრაფე და სიმწვავე, მოულოდნელობა და წარმოუდგენლობა, შოკური ეფექტი, ყოვლისმომცველობა და რადიკალურობა.²⁰ რაც შეეხება 9 აპრილის დატვირთვას

17 მაგალითად, თბილისში ტრაგედიის შემდეგ ჩამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ, საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალ მდივან გივი გუმბარიძესთან ერთად, ყვავილებით შეამკო ტრაგედიის ადგილი.

18 ეკა ქევანიშვილი, „9 აპრილის პოეზია – ხეებზე გაკრული ლექსები“, 8 აპრილი, 2019, <https://www.radiotavisupleba.ge/a/29867400.html>.

19 გოგი გვახარია, „ცრემლიანი სათვალე“, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013, გვ. 218.

20 Piotr Sztompka. “The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004), გვ. 158-159.

ტრიუმფის ელემენტებით, მან, ჩემი აზრით, ტრავმის დაძლევა-საც შეუწყო ხელი. მის ერთ-ერთ ძირითად მოტივად იქცა 9 აპრილს ქართველი ერის არნახული ერთიანობა („ასე შეკრული, ასე მთლიანი წარმოდგა ქართველი ერი“). ამ ერთიანობის ჰიმნი გახდა ტრაგედიიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ შექმნილი სიმღერა „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ (ლექსი მორის ფოცხიშვილის, მუსიკა ჯემალ სეფიაშვილის),²¹ რომელიც ორ კვირაში საქართველოს ტელევიზიამ ჩაწერა ორმოცდაათი ქართველი მომღერლის შესრულებით და მისივე ეთერით გადასცა. ეს სიმღერა მაშინვე იქცა 9 აპრილის სიმბოლოდ.

9 აპრილის ტრიუმფალური ნარატივის კიდევ ერთი მოტივი – სამშობლოსთვის თავგანწირვა – აისახა ანა კალანდაძის ლექსში, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ ტრაგედიის მომდევნო დღეებში გამოქვეყნდა: „ახლოა ჟამი შუალამისა, / ცაზე ვარსკვლავი უფლისა კრთება... / კვდება სრულიად საქართველოსთვის, ლოცვით, გალობით ვინც ახლა კვდება!“²² იმავე ლექსში ვხვდებით კიდევ ერთ – სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვისა და მკვდრეთით აღდგომის – მოტივს: „არა გაქრობა, – აღდგომა მკვდრეთით!“²³

ტრაგედიის წარმოდგენა გმირობის აქტად და ძალადობის წინააღმდეგ თავგანწირვად ხელს უწყობს სიკვდილის გარდაქმნას უკვდავების სიმბოლოდ, განამტკიცებს აზრს ჯგუფის/ერთობის განსაკუთრებულობის შესახებ, რომლისთვის სიცოცხლის გაღება საპატიო მისიაა. განცდილი ტრავმა მომავალი ბრძოლისათვის მნიშვნელობის მინიჭების საშუალებად იქცევა.²⁴

ტრავმისა და ტრიუმფის ნარატივის დამკვიდრებაში ორი

21 „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, <https://youtu.be/gelRCvBsdl?si=banQZXSZxrUouQC9>.

22 ანა კალანდაძე. „რომ ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდით,“ 9 აპრილი, შემდგენელი გურამ გვერდნითელი. თბილისი: მერანი, საბჭოთა საქართველო, 1990, გვ. 30.

23 იქვე.

24 Hirschberger, “Collective Trauma,” გვ. 6.

ვექტორი იკვეთება: ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ. ნარატივის ჩამოყალიბება ქვემოდან ტრაგედიისთანავე დაიწყო, მას საფუძვლად ემოცია და ტკივილთან გამკლავების სურვილი ედო. ხელისუფლებაც და ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც დაბნეული და შოკირებული იყვნენ, ამ უკანასკნელთა ნაწილი კი დაპატიმრებული გახლდათ, ამიტომ ისინი ნარატივის შექმნაში ნაკლებად იყვნენ ჩართული. მაგრამ შემდგომში ნარატივის დამკვიდრებაში პოლიტიკური ძალებიც ჩაერთნენ (ნარატივი ზემოდან): კომუნისტურმა ხელისუფლებამ და მისმა მხარდამჭერებმა, პირველ დღეებში შექმნილი საკუთარი ვერსიის (უპასუხისმგებლო ექსტრემისტები და უდანაშაულო მსხვერპლი) დამკვიდრების ნარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სწრაფად გადაინაცვლეს გლოვის თანამოზიარეთა რიგებში და სამშობლოსთვის თავგანწირვის გზით გამარჯვების იდეას შეუერთდნენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერებს ტრიუმფალური ნარატივი მსხვერპლის გამართლების საშუალებას აძლევდა და გადაფარავდა კითხვის ნიშნებს იმასთან დაკავშირებით, ჰქონდათ თუ არა გათვლილი მიტინგის დაშლაზე უარის თქმის შესაძლო შედეგები. საბოლოოდ, განსხვავებული მიზნები ტრავმისა და ტრიუმფის ერთიან ნარატივად შეიკრა.

დანაკარგთან და ტრაგედიასთან ერთად, ტრიუმფის გაცდა ხაზგასმულია სამი ათეული წლის შემდეგ გამოთქმულ შეფასებებში, მოგონებებში, პირად ისტორიებში, მაგალითად: „9 აპრილს არავინ დალუპულა, ისინი დალუპულები არ არიან. 9 აპრილს ადამიანები ღირსეულად აღესრულნენ და დაეცნენ, და თუ ჩვენ ქრისტიანობაზე ვლაპარაკობთ, რატომ გვგონია, რომ სიკვდილი არის დალუპვა?“²⁵ (ირაკლი წერეთელი, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი);²⁶ „დიდი ტრაგედიის მიუხედავად, 9 აპრილი მარტო გლოვის დღე არ არის, ბედნიერების დღეც არის, სამშობლოსათვის თავის შეწირვისა და სამშობლოს გადარჩენის დღეც არის“ (ეთერ ყაველაშვილი, 9

25 ეკა მიშველადის გადაცემა „პირველი სტუდია“, საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2014, <https://bit.ly/3G8VIPK>.

26 იქვე.

აპრილის აქციის მონაწილე).²⁷ ნანა მახარაძემ, 9 აპრილის სიმბოლოდ ქვეულმა გოგონამ იური მეჩითოვის ცნობილი ფოტოდან, ეს დამოკიდებულება ასე გადმოსცა: „9 აპრილი არის დღე, საიდანაც საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი დაიწერა. დღე, სავსე ტრაგიზმითა და უდიდესი სიამაყის გრძნობით.“²⁸

ამრიგად, კულტურულმა ნიმუშმა შექმნა ყველაზე მძიმე გამოცდილებისათვის მნიშვნელობის მინიჭებისა და მასთან გამკლავების საფუძველი, რამაც უზრუნველყო განგრძობადობა ტეხილის პირობებში.²⁹ რიტუალებში ხორცშესხმულმა ქართული კულტურის ნიმუშმა ხელი შეუწყო იმას, რომ 9 აპრილმა თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს ისტორიის „დიდებული წამების“ ისტორიულ მწკრივში.

აღვიდა ასმანი საუბრობს პარადიგმულ მოვლენათა რეზონანსზე. ეს ცნება გულისხმობს უფრო ადრე და შემდგომში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების/ფაქტების ურთიერთქმედებას, როცა ადრე მომხდარი ფაქტი ქვეცნობიერად განსაზღვრავს, აყალიბებს, ფორმას აძლევს შემდეგ მომხდარს.³⁰ 9 აპრილმა რეპრესირებული და თითქმის ნაშლილი მესხიერებიდან გამოიხმო შედარებით ახლო და უფრო შორეული წარსულის მნიშვნელოვანი და მტკივნეული მოვლენები, დაკავშირებული იმავე ადგილთან, სადაც 9 აპრილის ღამეს ტრაგედია დატრიალდა. დამახსოვრების პროცესში 9 აპრილმა, როგორც რეზონანსმა, ძველი და ახალი მოვლენები ერთმანეთს დაუკავშირა; უფრო ადრინდელმა გამოცდილებამ, ქვეცნობიერად ან არაცნობიერად,³¹ ხელი შეუწყო ახალი ტრავმის ჩამოყალიბებასა და განსაზღვრას.

ერთ-ერთი ასეთი მოვლენა იყო 1956 წლის 9 მარტის გა-

27 ჯიმშერ რეხვიაშვილი. „9 აპრილიდან 9 აპრილამდე,“ რადიო თავისუფლება, 9 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3EXpVQs>.

28 „ქალი 9 აპრილის ფოტოდან: ვფიქრობდით, ჩვენი თაობა შეძლებდა, ღირსეულად ეცხოვრა დამოუკიდებელ ქვეყანაში,“ 8 აპრილი, 2021, <https://metronome.ge/story/347711>

29 Aleida Assmann. “Impact and Resonance...”, გვ. 63.

30 იქვე, გვ. 45.

31 იქვე.

მოუგლოვებელი ტრაგედია, როცა საბჭოთა არმიამ სისხლიანი ანგარიშსწორება მოუწყო რუსთაველის გამზირსა და სტალინის სახელობის სანაპიროზე, მისსავე ძეგლთან შეკრებილ მოქალაქეებს, რომლებიც სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკას აპროტესტებდნენ. დაღუპულები, რომელთა ზუსტი რიცხვი დღესაც არ არის ცნობილი, უშიშროების ორგანოთა მეთვალყურეობით, სწრაფად და უხმაუროდ დაკრძალეს, მათი სახელები არ გახმაურებულა. ვამიკ ვოლკანის მიხედვით, როცა ტრავმული მოვლენით გამოწვეული დანაკარგის გამოგლოვება არ ხერხდება, მისი მენტალური რეპრეზენტაცია ინახება თაობის მეხსიერებაში და მომდევნო თაობას (შესაძლოა, თაობებსაც) გადაეცემა, რომელმაც უნდა შეძლოს მისი გამოგლოვება და შელახული თვითაღქმის აღდგენა. ჯგუფისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა ტრავმასთან დაკავშირებული ისტორიული რეალობა, არამედ ის, რომ გაზიარებული ტრავმა ერთმანეთთან აკავშირებს ჯგუფის წევრებს და მათი იდენტობის ნაწილად იქცევა. როგორც აღმოჩნდა, 9 მარტის რეპრესირებული მეხსიერება დროთა განმავლობაში კი არ გაქრა, არამედ იგი ჯერ კიდევ არსებობდა კომუნიკაციურ მეხსიერებაში და გამოცოცხლდა სხვა მტკივნეული ფაქტის ზეგავლენით. თუ ა. ასმანს დავესესხებით, მეხსიერება არაფორმალურიდან საჯარო, რიტუალურ ფორმაში გადავიდა.³² 9 აპრილმა შეასრულა „თერაპიული ეფექტის“³³ როლი და 9 მარტმა წარსულში დაიდო ბინა.

9 აპრილის რეზონანსი შეეხო რუსთაველის გამზირის ამავე ადგილას განვითარებულ სხვა მოვლენებსაც: წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლას თბილისის მისადგომებთან 1921 წლის თებერვალში და ამ ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების დაკრძალვას სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგ მთავრობის სასახლე ააშენეს და სადაც 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა;

32 Aleida Assmann and Linda Shortt. "Memory and Political Change: Introduction," *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt. New York: Palgrave Macmillan, 2012, გვ. 9.

33 იქვე, გვ. 7.

1978 წლის 14 აპრილის დემონსტრაციას კვლავ ამ ადგილას, რომლის შედეგად ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსის შეინარჩუნა.

თავის მხრივ, 1989 წლის 9 აპრილის კოლექტიურმა ტრავმა მომავალი ისტორიისა და მეხსიერების ათვლის ნერტილად იქცა. თემურ ქორიძემ, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, ამ დღეს ისტორიული გზაგასაყარი უწოდა, რადგანაც ამ დღიდან მოყოლებული, ქართველი კაცი უკვე აღარ იყო „ახალი ანთროპოლოგიური ტიპი – ჰომო სოვიეტიკუსი.“³⁴ 9 აპრილის მომდევნო პირველი შოკური დღეების შემდეგ საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება სულ უფრო დამთმობი ხდებოდა ეროვნული მოძრაობისა და, ზოგადად, მათი მოთხოვნებისადმი, ვინც უკვე „აღარ იყო ჰომო სოვიეტიკუსი.“ ხელისუფლების დუმის ფონზე, ხან კი მისი მონაწილეობითაც, საბჭოთა პერიოდში მეხსიერებიდან საგულდაგულოდ ამოშლილი სახელები, ფაქტები და მოვლენები ჯერ კომუნიკაციური მეხსიერების მეშვეობით ცოცხლდებოდა, შემდეგ კი თანდათან კულტურულ მეხსიერებაში ინაცვლებდა ტექსტების, მემორიალების, აღნიშვნების, რიტუალების და მეხსიერების სხვა არეების სახით. ეროვნული იდენტობის გამოცოცხლება აისახებოდა ქალაქების ლანდშაფტში – იქმნებოდა სპეციფიკური კულტურულ-პოლიტიკური ნარატივები, რომლებიც ხაზს უსვამდა ერთობას და ისტორიულ ტრადიციას. აღდგებოდა, ხელახლა გაიაზრებოდა ან შენდებოდა ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილები.

ამრიგად, საბჭოთა პერიოდში არსებული კონტრ-მეხსიერება თანდათან იქცეოდა ნორმატიულ, ოფიციალურად აღიარებულ მეხსიერებად, რეპრესირებული, თითქმის დაგინყებული ხმები საზოგადოების ყურადღების ცენტრში ინაცვლებდა და გაზიარებულ მეხსიერებად ყალიბდებოდა. „ძველი,“ საბჭოთა

34 თემურ ქორიძე. „კაცი არ ყველა სწორია,“ *წერილები, ჩანაწერები, პუბლიცისტიკა*, (თბილისი: „ინტელექტი“, 2016), გვ. 59; ჯიმმერ რეხვიაშვილი. „საქართველოს დამოუკიდებლობა – ორი 9 აპრილის პირმშო,“ *რადიო თავისუფლება*, 9 აპრილი, 2019, <https://www.radiotavisupleba.ge/a/29870412.html>.

მეხსიერება კი, რომელიც ასახული იყო მონუმენტებსა თუ რიტუალებში და არც ისე დიდი ხნის წინ საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა, სწრაფად კარგავდა ემოციურ მიმზიდველობას და, როგორც ა. ასმანი ამბობს, მეხსიერებიდან ისტორიაში გადადიოდა, ისტორიკოსთა „საკუთრებად“ და მეცნიერული კვლევის ობიექტად იქცეოდა.³⁵

ტრაგედიის ორი წლისთავზე, 1991 წლის 9 აპრილს, სწორედ იმ ადგილას, სადაც საბჭოთა არმია მშვიდობიან მომიტინგეებს გაუსწორდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა. ადგილის მუდმივობის ხაზგასმა ისტორიული განგრძობადობის, საზიარო მეხსიერებისა და იდენტობის განმტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მნიშვნელოვანი ხერხია.³⁶ როგორც ე. ზერუბაველი აღნიშნავს, „ადგილის მუდმივობა საშუალებას გვაძლევს, წარმოსახვითად „დავინახოთ“ ხალხი, რომელიც ჩვენზე ადრე იყო ამ ადგილას“ და იგი ფართოდ გამოიყენება იდენტობის რიტორიკაში.³⁷ ზვიად გამსახურდიას სიტყვაში ეს მომენტი ხაზგასმით იყო აღნიშნული: „სიმბოლოურია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა.“³⁸

რა თქმა უნდა, დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ 9 აპრილის შერჩევა შემთხვევით არ მომხდარა: მნიშვნელოვანი მოვლენების დამთხვევა თარიღებთან, რომელთაც უკვე დამკვიდრებული აქვთ ისტორიული მნიშვნელობა, გავრცელებული სოციალური პრაქტიკაა, რომელსაც ე. ზერუბაველი „იგივე

35 Aleida Assmann and Linda Shortt. "Memory and Political Change: Introduction," გვ. 8-9.

36 Eviatar Zerubavel, *Collective Memory and the Social Shape of the Past. Time Maps*. Chicago and London: The University of Chicago Press, 2003, გვ. 40-43.

37 იქვე, გვ. 42.

38 „ზვიად გამსახურდია – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება“, <https://www.youtube.com/watch?v=PsHAV7B3Uzg>.

დროს“ უწოდებს.³⁹ ისევე როგორც „იგივე ადგილი“, ისიც მიმართულია წარსულთან „მნემონიკური ხიდის გადებისა“⁴⁰ და დისკურსული უწყვეტობის შენარჩუნებისაკენ.

მნემონიკური ხიდი წარსულთან იმითაც გაიღო, რომ დამოუკიდებლობის აქტის პირველივე აბზაცში ხაზგასმით აღინიშნა ისტორიული მემკვიდრეობითობა და განგრძობადობა, რითაც, კვლავ ზერუბაველის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, საბჭოთა პერიოდით განწყვეტილი საქართველოს ისტორიის „ლეგატო-ნარატივი“⁴¹ აღდგა.

ზვიად გამსახურდიას სიტყვა 9 აპრილის ტრავმული ნარატივის ტრიუმფალური შინაარსით დატვირთვის გამოხატულება იყო: კეთილმა სძლია ბოროტს, სიკვდილმა დათრგუნა სიკვდილი. ამით კიდევ ერთხელ უნდა გასმოდა ხაზი თავისუფლებისათვის გაღებული მსხვერპლის ღირებულებას და ტრიუმფალური წერტილი დასმოდა 1921 წლიდან დაწყებულ მოვლენათა ტრაგიკულ მწკრივს.

ტრიუმფის განცდას ნათლად ასახავდა 6 წუთიანი უწყვეტი აპლოდისმენტები და ოვაცია, რომელიც ზვიად გამსახურდიას სიტყვას მოჰყვა სხდომათა დარბაზში; აქტზე ხელმოწერის ცერემონიალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროშების შემოტანა და იმდროინდელი სახელმწიფო ჰიმნის („დიდება“) შესრულება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმოწერა ტელევიზიის პირდაპირი ეთერით გადაიკვიმოდა, რუსთაველის გამზირზე თვალის დახამხამებაში შეიკრიბა უამრავი ხალხი, რომელიც ერთმანეთს ულოცავდა გამარჯვებას, ცეკვავდა, მღეროდა და აღფრთოვანებას გამოხატავდა.

„ასე შეიძინა ორმაგი შინაარსი „9 აპრილმა“, რომელშიც გაერთიანდა როგორც 1989 წლის 9 აპრილის სისხლში ჩახშობილი თავდადება, ასევე 1991 წლის 9 აპრილის ტრიუმფალუ-

39 Eviatar Zerubavel. *Collective Memory...*, გვ. 46-48.

40 იქვე, გვ. 44.

41 იქვე, გვ. 34-36.

რი გამარჯვება. მეტიც, ამ ორ „9 აპრილს“ შორის მომხდარმა მოვლენებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს ისტორიის მომდევნო 30 წლის ლოგიკაც.⁴²

ამგვარად, რჩეული ტრავმა – იმ მოვლენის მენტალური რეპრეზენტაცია, „რომელმაც გამოიწვია დიდი დანაკარგი, უმწეობის, მსხვერპლად ყოფნის განცდა“,⁴³ რომელმაც შეავსო კოლექტიური იდენტობა და მის მნიშვნელოვან მარკერად იქცა, მკვეთრად ტრანსფორმირდა „რჩეულ გამარჯვებად“, რომელმაც განამტკიცა საერთო წარმატებისა და ტრიუმფის შეგრძნება.

კოლექტიურ/კულტურულ მეხსიერებაში 9 აპრილს, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, დღემდე ერთგვარად ჩრდილავს 1989 წლის 9 აპრილის ღამე, რასაც ხელს უწყობს ამ უკანასკნელის ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანი ინსტიტუციონალიზაცია (ფოტოები, ლექსები, დოკუმენტური ფილმები, სიმღერები, მოგონებები, მემორიალები, აღნიშვნები, ადგილი მუზეუმების ექსპოზიციებში). დამოუკიდებლობის აღდგენის 9 აპრილი, ამ თვალსაზრისით, ბევრად უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. 9 აპრილის ყოველწლიური აღნიშვნის დროსაც აქცენტი მსხვერპლსა და გმირობაზე კეთდება, მათი ხსოვნის სათაღები ინთება, ყვავილებით ამკობენ ტრაგედიის ადგილს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე კი, 1990 წლიდან მოყოლებული, 26 მაისს აღინიშნება. რაც შეეხება 9 აპრილს, ეს პარადიგმული თარიღი 1993 წლიდან აღინიშნება როგორც „საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე“ და უქმე დღედ არის გამოცხადებული. საქართველოს პარლამენტის №211 დადგენილებაში, რომელიც 1993 წლის 8 აპრილს მიიღეს, ნათქვამია: „საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდია ცხრა აპრილის მნიშვნელობა. ამ დღეს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი სწრაფვა თავისუფლე-

42 ჯიმშერ რეხვიაშვილი, „9 აპრილიდან 9 აპრილამდე“.

43 Vamik Volkan, *When Enemies Talk*, გვ. 12.

ბისა და დამოუკიდებლობისაკენ, ამ დღეს დაიღვარა სამშობლოსათვის თავგანწირულ მამულიშვილთა უმანკო სისხლი და ამ დღესვე აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამდენად ეს დღე არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოა, არამედ საქართველოს ერთიანობისა და წინსვლის დღეც არის.⁴⁴

ასე ჩამოყალიბდა 9 აპრილი, როგორც პარადიგმული მოვლენა, მასთან ერთად კი რუსთაველის გამზირის ეს მონაკვეთი იქცა პარადიგმული მნიშვნელობის მატარებელ სივრცედ – „ჩვენს აგორად,“ „სადაც გასული 30 წლის მანძილზე იწერება საქართველოს ისტორია“.⁴⁵ ამ სივრცის „ფლობა“ სიმართლის, ძალის, ძალაუფლების ფლობად მიიჩნევა. „ყველა ძირითადი დრამა ეროვნულ დონეზე ამ სივრცეში გათამაშდა;“ „ეს ტერიტორია, საქართველოში მცხოვრები ადამიანებისთვის, ერთგვარი მეხსიერების ადგილია, სადაც საზოგადოება იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.“⁴⁶ ეს აღქმა ადასტურებს 9 აპრილის როგორც პარადიგმული ტრავმული მოვლენის აღქმას.

კვლევამ აჩვენა, რომ 9 აპრილი იქცა პარადიგმულ მოვლენად, რომელმაც ცენტრალური ადგილი დაიკავა ქართველთა კოლექტიურ მეხსიერებაში და განსაზღვრა როგორც წარსულში, ასევე მომავალში მომხდარი ბევრი ფაქტის მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, იგი მართლაც იქცა საქართველოს თანამედროვე ისტორიის ათვლის წერტილად.

44 საქართველოს პარლამენტის დადგენილება „9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ,“ *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე*, 8 აპრილი, 1993, <https://bit.ly/3qYMiX8>.

45 „ერთი წელი გავრილოვის ღამიდან -‘სირცხვილია’ 20 ივნისის აქციისთვის ემზადება,“ 5 ივნისი, 2020, <https://mtavari.tv/news/6538-erti-celi-gavrilo-vis-ghamidan-sirtskhvia-20>.

46 ჯიმშერ რეხვიაშვილი. „ევრორემონტი საკრალურ ადგილზე,“ *რადიო თავისუფლება*, 20 ივლისი, 2020, radiotavisupleba.ge/a/30737952.html.

ბიბლიოგრაფია

გვახარია, გოგი. *ცრემლიანი სათვალე*, (თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013).

კალანდაძე, ანა. „რომ ფრთებს უფრორე ძლიერად ვშლიდით,“ 9 აპრილი, შემდგენელი გურამ გვერდნითელი (თბილისი: მერანი, საბჭოთა საქართველო, 1990).

მჭედლიძე, გიორგი. *ისტორია უდისტანციოდ (მღელვარე 1988-1995 წლების ქრონიკები)* (ქუთაისი, 1999).

ქორიძე, თემურ. „კაცი არ ყველა სწორია,“ *წერილები, ჩანაწერები, პუბლიცისტიკა* (თბილისი: „ინტელექტი“, 2016).

ჯონსი, სტივენ. *საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ* (თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2012).

Assmann, Aleida. “Canon and Archive,” *A Companion to Cultural Memory Studies*, eds. Astrid Erll and Ansgar Nunning (De Gruyter, 2010), 97-107.

Assmann, Aleida. “Impact and Resonance – Towards a Theory of Emotions in Cultural Memory,” *The Formative Past and the Formation of the Future: Collective Remembering and Identity Formation*, eds. Terje Stordalen and Saphinaz-Amal Naguib (Oslo: Novus Press, 2015), 41-69.

Assmann, Aleida and Linda Shortt. “Memory and Political Change: Introduction,” *Memory and Political Change*, eds. Aleida Assmann and Linda Shortt (New York: Palgrave Macmillan, 2012),

Hirschberger, Gilad. “Collective Trauma and the Social Construction of Meaning,” *Frontiers in Psychology* 9 (10 August, 2018):1-14.

Sztompka, Piotr. “The Trauma of Social Change: A Case of Post-communist Societies,” Jeffrey C. Alexander et al., *Cultural Trauma and Collective Identity* (Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2004).

Volkan, Vamik D. *When Enemies Talk: Psychoanalytic Insights From Arab-Israeli Dialogues, Zigmund Freud Lecture* (Vienna: 1999).

Zerubavel, Eviatar. *Collective Memory and the Social Shape of the Past. Time Maps* (Chicago and London: The University of Chicago Press, 2003).

ელექტრონული რესურსები

ეკა მიშველადის გადაცემა „პირველი სტუდია,“ საზოგადოებრივი მაუწყებელი, 2014, *YouTube* (ვიდეოს ატვირთვის თარიღი მითითებული არ არის), <https://bit.ly/3G8VIPK> (ბმულზე წვდომის თარიღი: 30.10.2023).

„ერთი წელი გავრილოვის ღამიდან - 'სირცხვილია' 20 ივნისის აქციისთვის ემზადება,“ 5 ივნისი, 2020, <https://mtavari.tv/news/6538-erti-celi-gavrilovis-ghamidani-sirtskhvilia-20>.

„ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, თბილისი, 1989 წლის 26 მაისი,“ <https://bit.ly/3q44jh0>.

„ზვიად გამსახურდია – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება,“ ატვირთულია 2017 წლის 31 მარტს, <https://www.youtube.com/watch?v=PsHAV7B3Uzg>.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „9 აპრილიდან 9 აპრილამდე,“ რადიო თავისუფლება, 9 აპრილი, 2021, <https://bit.ly/3EXpVQs>.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „ევრორემონტი საკრალურ ადგილზე,“ რადიო თავისუფლება, 20 ივლისი, 2020, radiotavisupleba.ge/a/30737952.html.

რეხვიაშვილი, ჯიმშერ. „საქართველოს დამოუკიდებლობა – ორი 9 აპრილის პირმშო,“ რადიო თავისუფლება, 9 აპრილი, 2019, <https://www.radiotavisupleba.ge/a/29870412.html>.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ,“ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 8 აპრილი, 1993, <https://bit.ly/3qYMIX8>.

წინეო ჩიქოვანი

„ქალი 9 აპრილის ფოტოდან: ვფიქრობდით, ჩვენი თაობა შეძლებდა, ღირსეულად ეცხოვრა დამოუკიდებელ ქვეყანაში,“ 8 აპრილი, 2021, <https://metronome.ge/story/347711>.

ქევანიშვილი, ეკა. „9 აპრილის პოეზია – ხეებზე გაკრული ლექსები,“ 8 აპრილი, 2019, <https://www.radiotavisupleba.ge/a/29867400.html>.

Рост, Юрий. “Стыдно мне,” Аргумент, 26 მარტი, 2014, <http://argumentua.com/stati/yurii-rost-stydno-mne>.

დისიდენტური ფილოსოფია საქართველოში: გიორგი ცინცაძე

„არყოფნა ესაა დროის გარეშე ყოფნა, ისეთი ყოფნა, რომელიც დროშია, მაგრამ რომელსაც საკუთარი ყოფნა არ გააჩნია. იგი არ არსებობს. [...] პატიმრობაში გატარებული წლები მოგონებაში ერთ დღედ აღიქმება. ესაა უცნაურად მტკივნეული აღქმა; ეს ტკივილი ადამიანს არასოდეს გაუვლის. ესაა მონის ყოფნა, არმყოფნის ყოფნა...“¹.

გიორგი ცინცაძე

დისიდენტობის და რეპრესიების მასშტაბურმა და ტრაგიკულმა ისტორიამ საკაცობრიო აზროვნებას შესძინა პოეტების, მწერლების, მხატვრების, ფილოსოფოსების და მეცნიერების ტანჯვით შექმნილი შემოქმედება. ამ ადამიანებმა გაუძლეს, განიცადეს და ბოლომდე გაიგეს საბჭოეთის თავშივე სასტიკი და გახრწნილი პოლიტიკური რეჟიმის და კლასობრივი მორალის სისასტიკე. ამ ადამიანებმა გამოიარეს „ჯოჯოხეთის ის ლაბირინთები, რომელიც გამოტოვებულია დანტესთან, რადგან დანტეს რწმენით მართალნი ჯოჯოხეთში არ ხვდებოდნენ (sancta Simplicitas)². მათი ცხოვრებისა და ტექსტების შესწავლა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ჩვენც გვაახლოებს XX საუკუნის ამ არნახულ ტრაგედიასთან, მილიონობით ადამიანის ტანჯვასთან და დაკარგულ ისტორიასთან. ისინი სხვაგვარად იცხოვრებდნენ თავისუფალ სამყაროში, ბევრ მათგანს სხვა გასაქანი ექნებოდა

1 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, რედ.: ი.კალანდია, თბილისი, 2010, გვ. 22.

2 ეს სიტყვები ეკუთვნის უფრო „ადრინდელ ნაციონალისტებს“, ნიკოლოზ ქამუშაძესა (იგი 1934 წლიდან იჯდა სატუსალოში და 1955 წელს გაანთავისუფლეს) და გიორგი ცისკარიშვილს, რომელთაც პატიმრობაში შეხვდა გიორგი ცინცაძე კოლიმასა და ტაიშეტში. ამის თაობაზე იხ.: განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 17.

კაცობრიობის სულიერ და ინტელექტუალურ არენაზე. ამ ადამიანებმა განსაკუთრებული, შიშში და ტანჯვაში გადარჩენილი თავისუფლების ისტორია შექმნეს. ეს ისტორია თავისუფლებისთვის, ადამიანის უფლებებისა და ადამიანური ღირსების დაცვისთვის თავგანწირული ბრძოლის ისტორიაა.

ყველაზე დიდი პარადოქსი კი ის არის, რომ პოსტსაჭოთა და/ან პოსტკოლონიური საზოგადოებაში ჯერ კიდევ დავანებულა შიშში თავისუფალი აზროვნების და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების მიმართ! ჯანსაღი კრიტიკა, რომელიც საზოგადოების, სახელმწიფოს და პიროვნული წინსვლის და პროგრესის საფუძველია, ისევე საბჭოეთის „მტრის ხატებს“ ქმნის ინსტიტუციებში, ის დღესაც ხშირად იდევენება, ისჯება და უკეთეს შემთხვევაში თავიდან არის არიდებული. ამგვარი რეალობაა კვლავაც გვაბრუნებს ფილოსოფიის სანყისებთან და მის მთავარ ფუნქციასთან. ფილოსოფია არ არსებობს ცხოვრების გარეშე, ის მუდმივი რეფლექსიაა სამყაროზე, საზოგადოებაზე და ადამიანზე, მაშასადამე, ჩვენი დროის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. ფილოსოფიამ „განმანათლებლურ-კრიტიკული პათოსი უნდა გამოამჟღავნოს და ხელი უნდა შეუწყოს ადამიანთა დაბრუნებას თავისუფალი აზროვნებისკენ! ფილოსოფიამ უნდა გამოაფხიზლოს ადამიანები, უჩვეულო აზრებისა და სხვაგვარად აზროვნებისთვის [...] შესაძლებლობათა ვრცელი ჰორიზონტი უნდა მოხაზოს“³. ფილოსოფია რეფლექსიაა ისტორიაზე, რომელიც ზოგჯერ იქცა სასაფლაოდ „ჩანასახშივე მკვდარი დაბადებისა, [...]“, იმისა, რაც დარჩა არშობილ სულთა ენაში“⁴. ამდენად, ხელახლა დაბადება გადაუდებელი ამო-

3 თ. ირემაძე, იდეების მსხვერვა. – თავისუფლების იდეის ბედი საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში // რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ. შარლ ლუი მონტესკიე, ჟან ჟაკ რუსო, გ.ვ. ფრ.ჰეგელი, ჰერბერტ სპენსერი, ერის ფრომი ავტორები: შ. შნაიდერი, ლ. ზაქარაძე, გ. თავაძე, დ. ლაბუჩიძე, თ. ირემაძე, თბილისი, 2010, გვ. 129.

4 მერაბ მამარდაშვილი, ევროპული პასუხისმგებლობა // ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რედაქტორ-შემდგენელი და წინათქმის ავტორი თ. ირემაძე, თბილისი, 2013, გვ. 213.

ცანაა, დაბადების გარეშე არ არსებობს სიცოცხლე და მომავალი, ასე იქმნება ახალი ეპოქები და თაობები, რომელთა მიზანი ადამიანის თავისუფლება და თავისუფალი აზროვნების დამკვიდრება უნდა იყოს. თავისუფლება კი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გზადაა!

რეფლექსია დისიდენტურ აზროვნებაზე, დისიდენტი მოაზროვნების შემოქმედების საფუძვლიანი კვლევა ხელს შეუწყობს დისიდენტური აზროვნების როლის სათანადო გააზრებას ახალი სამყაროს და ახალი საზოგადოების გზაზე. ამ გზით არის შესაძლებელი გადავიაზროთ „დისიდენტური აზროვნების“ ცალმხრივი, კერძოდ, მხოლოდ პოლიტიკური კონტექსტი და გავიაზროთ რეალური ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები, რაც, ხშირად, შესაძლოა, იგნორირებული, მეორეხარისხოვანი, ან კიდევ, სულაც, უცნობი იყო საზოგადოების ფართო წრეებისთვის.

* * *

დისიდენტური აზროვნების წარმოშობა აზროვნების თავისუფლებას და თავისუფლების ცნობიერებას უკავშირდება. დისიდენტი (ლათ. „უთანხმოება“) სხაგვარად მოაზროვნეს ნიშნავს, განსხვავებული მსოფლმხედველობის, აზროვნების და მოქმედების ადამიანს. თავდაპირველად, ეს ტერმინი აღნიშნავდა ადამიანს, ვინც საეკლესიო მოძღვრების, ღვთისმსახურების ან ეკლესიის მონყობის საკითხებში გაბატონებულ ოფიციალურ თვალსაზრისს ეწინააღმდეგებოდა. ცივი ომის პერიოდში ტერმინი გამოიყენებოდა სოციალური ბანაკის იმ პირთა აღსანიშნავად, ვინც არ ეთანხმებოდა გაბატონებული იდეოლოგიის პოლიტიკურ დოგმატიკას და ის ამ პერიოდში მოძრაობად ჩამოყალიბდა. რთულია ერთი რომელიმე ცნებით ამ მოძრაობის სახელდება, ისინი არ იყვნენ არც მემარჯვენეები, არც მემარცხენეები, არ ჰყავდათ ერთი კონკრეტული ლიდერი, მაგრამ ჰყავდათ ავტორიტეტები. დისიდენტები მიზნად არ ისახავდნენ ხელისუფლებაში მოსვლას, არც კონკრეტული სახელმწიფო რეფორმების პროგრამა ჰქონდათ; მათი საერთო მიზანი იყო ადამიანის ფუნდამენტური უფლებების

ლალი ზაქარაძე

(რწმენის, გამოხატვის, შეკრებების, გადაადგილების თავისუფლებისა და ა.შ.) პატივისცემა.

დისიდენტების ბრძოლის ფორმები მშვიდობიანი იყო. ისინი ღიად, დაუფარავად გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს. ტოტალიტარულ სისტემებში, იდეოლოგიზირებული მეცნიერების და აზროვნების პირობებში, სახელმწიფოს მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ტოტალური კონტროლის და იდეოლოგიური ცენზურის პირობებში, დისიდენტები მიმართავდნენ პოლიტიკური (და ეროვნული) შინაარსის ლიტერატურის გავრცელების არალეგალურ ფორმებს, ე.წ. „თვითგამოცემებს“ (ანუ „სამიზდატი“)⁵, ფსევდონიმებით გამოქვეყნებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში იყო საბჭოეთის კრიტიკა. მათი ინტელექტუალური ძალისხმევა⁶, აზროვნების სითამამე, მოქალაქეობრივი გმირობა აფხიზლებდა საზოგადოებას, ისინი ქმნიდნენ საბჭოეთში მომავლის ხედვას, ადამიანად გახდომის, ადამიანში დაბრუნების შესაძლებლობას⁷.

ამ პროცესებმა⁸ ცხადყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების

5 რუსი დისიდენტი ვლადიმირ ბუკოვსკი თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „და ბრუნდება ქარი...“ (1978 წ.) ასე განმარტავდა ამ ტერმინს: “Самиздат: сам сочиняю, сам редактирую, сам цензирую, сам издаю, сам распространяю, сам и отсуживаю за него” (სამიზდატი: თავად ვთხზავ, თავად ვარედაქტირებ, თავად ვახორციელებ ცენზურას, თავად გამოვცემ, თავად ვავრცელებ და თავად ვზივარ ციხეში ამის გამო“). იხ. <https://www.vehi.net/samizdat/bukovsky.html>

6 1970 წ. ალექსანდრე სოლჟენიცინი იღებს ლიტერატურაში ნობელის პრემიას, ხოლო 1975 წ. აკად. ანდრეი სახაროვი იღებს ნობელის პრემიას მშვიდობის დარგში.

7 ამ კონტექსტში მწვავედ ისმის ჰუმანისტური კულტურისა და ჰუმანიზმის ტრადიციული გაგების შეფასებისა და გადახედვის საკითხი. ამის თაობაზე იხილეთ უახლესი ქართულენოვანი გამოკვლევა: თ. ირემაძე, პოსტჰუმანისტური ფილოსოფია. დიდი იდეების კრიზისისა და მსხვერვის ურთიერთმკვეთი კონტექსტები, თბილისი, 2023.

8 დისიდენტური მოძრაობების ტენდენციები საბჭოეთში 1965-1966 წლებში მწერლების, ანდრეი სინიავსკის და იური დანიელის სასამართლო პროცესებიდან იღებს სათავეს. აკად. ანდრეი სახაროვი, ფიზიკოსი ვალენტინ ტურჩინი, ისტორიკოსი როი მედვედევი საპროტესტო წერილებში აკრიტიკებდნენ სისტემას, მმართველობის არაეფექტურ და დესტრუქციულ ფორმებს, რომლებიც აფერხებდა მეცნიერების, ეკონომიკის, კულტურის და საზოგადოების

შერყევის არცერთი მცდელობა, განსხვავებული აზრი არ იქნებოდა შეწყნარებული. მინიმალური გადახვევები ოფიციალური კურსისგან, ყოველგვარი მცდელობა აზროვნების დემოკრატიზაციისა უმკაცრესად ისჯებოდა. ამ რეალობამ ჩამოაყალიბა სოციალური მოქმედების გაუკუღმართებული ფორმები⁹. ისინი სისტემის, „ბოროტების იმპერიის“ (რ. რეიგანი) სტაბილურობას უზრუნველყოფდნენ და მის შეცვლას¹⁰ ეწინააღმდეგებოდნენ.

* * *

ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ დისიდენტური მოძრაობა საბჭოთა საქართველოში XX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს დაიწყო¹¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ „დისიდენტური აზროვნება“ საქართველოში ცალმხრივად იყო აღქმული, კერძოდ, მისი მხოლოდ პოლიტიკური კონტექსტი იქნა გააზრებული.

წინვლას. საბჭოთა დისიდენტები ცდილობდნენ ახალი განვითარების პერსპექტივები დაესახათ. ეს იყო ბრძოლა ადამიანის უფლებებისათვის, თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად. ამ აზვორთა 1970 წლის 19 მარტის ღია წერილი (ე.წ. „სამთა წერილი“) მიუთითებდა საბჭოთა ხალხის სავალალო მდგომარეობაზე, საბჭოთა ხელისუფლებას მოდერნიზაციის და საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესის დაწყების აუცილებლობაზე. იხ. <https://www.sakharov.space/lib/memorandum-a-saharova-v-turchina-i-r-medvedeva>

- 9 მ. გოგატიშვილი, სოციალური მოქმედების გაუკუღმართებული ფორმები // ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, რედ.-შემდგენელი თ. ირემაძე, თბილისი, 2013, გვ. 132-143; ამავე კრებულში, ასევე, იხ.: რევაზ ჯორბენაძე, საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირმშო: *Homo Sovieticus* (მერაბ მამარდაშვილის შეხედულებების შუქზე, გვ. 144-154.
- 10 ყოფილ საბჭოთა კავშირში მიხეილ გორბაჩოვის მიერ „პერესტროიკისა“ და „პლურალიზმის“ გამოცხადების შემდეგ დისიდენტობამ ფუნქცია დაკარგა.
- 11 იქმნებოდა არალეგალური ორგანიზაციები: ეროვნული თვითშეგნების აღორძინება, ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი (1974 წ.), რომელშიც შედიოდნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რეხილაძე, ასევე, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფი, შემდგომში „ჰელსინკის ჯგუფი“ (1976 წ.). გარდა ამისა, ქართულ აზროვნებაში არსებული პროტესტი არსებული რეჟიმის შესახებ აისახებოდა შემდეგ ჟურნალებში: „საქართველოს მოამბე“, „ოქროს სანძისი“, საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის და წმინდა ილია მართლის საზოგადოების საინფორმაციო ჟურნალი „მატიანე“.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქართულ საზოგადოებაში გააქტიურებული სამოქალაქო მოძრაობა, გამოვლიძებული ეროვნული გრძნობა, ქართველი ახალგაზრდების სულისკვეთება, დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს იდეის გააქტიურება იყო სულიერი საყრდენი და გამაერთიანებელი XX საუკუნის 40-50-იანი წლების ადამიანთა ძალისხმევის გამოვლენისა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა! სოციალიზმის და ტოტალიტარიზმის „შიშის ინერციას“ 40-50-იანი წლების რეპრესიების ახალი ტალღა მოჰყვა. ექსპერიმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანთა ცნობიერების გადაკეთებას და სახელმწიფო მანქანის ძლიერების დემონსტრაციას, ისევ მწარედ შეეხო საქართველოს. ისევ დადგა დღის წესრიგში, ჩაეკლათ როგორც ინდივიდუალური, ისე ეროვნული თავისუფლების სულისკვეთება.

მიგვაჩნია, რომ დისიდენტური ფილოსოფიური აზროვნება საქართველოში XX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან დაიწყო და ეს უფრო მწვავე პროცესი იყო. იმ პერიოდის დისიდენტი მოაზროვნეები მკაცრი რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ. ამავე საუკუნის 80-იან წლებში კი საერთოდ ქართული დისიდენტური მოძრაობა გახდა ფართომასშტაბიანი და უაღრესად ფართო ინტელექტუალური კონტექსტი მოიცვა. ეროვნულ მოძრაობიდან და ერთა თვითგამორკვევის პროცესებიდან ამოზრდილი დისიდენტობა, საბჭოთა სიტემის დაშლას, აზროვნების საბჭოურ წესის, საბჭოთა ადამიანის და უკვე სტაბილური, სახეზე მყოფი ტოტალიტარული საზოგადოების კრიტიკას, დემოკრატიული ღირებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია იყო იშვიათი გამონაკლისი და დიდი ძალისხმევა, გაერღვია საბჭოთა სისტემის ჩაკეტილი საზღვრები, შემოეტანა საბჭოთა ფილოსოფიაში აზროვნების განსხვავებულ ტრადიციათა გამოცდილება, დაენგრია მითი *homo sovieticus*-ის სიდიადის შესახებ და „საბჭოთა ინტელიგენციის ნამდვილი ცხოვრებისეული დრამა წარმოეჩინა“ (ჟ. პ. ვერნანი)¹².

12 ჟ. პ. ვერნანი, ქართველი სოკრატე, თარგმნა მ. ხარბელიამ, იხ.: „არილი“, 12 ოქტომბერი (თბილისი, 2000 წ.), გვ. 8.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი დისიდენტი ფილოსოფოსების შემოქმედება ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ფუნდამენტური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. ქართველ დისიდენტ ფილოსოფოსთა სრულყოფილი ჩამონათვალიც კი არ არსებობს, არადა, XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში იყვნენ დისიდენტი, ამასთან, რეპრესირებული ქართველი ფილოსოფოსები, რომლებმაც უდიდესი ბოროტების და დანაშაულებრივი რეჟიმის პირობებში იგემეს და თავის თავზე გამოსცადეს „არყოფნის რისკი“, იცხოვრეს „ცხოვრების გარეშე“, მუდმივი შიშის, ეჭვის, ღირსების შელახვის და არათავისუფლების გარემოში. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ღირსების, პატიოსნების, ჰუმანურობის, თავისუფალი აზროვნების და ძლიერი სულისკვეთების შენარჩუნება.

საქართველოს თავისუფლების იდეით შთაგონებული გიორგი ცინცაძე, სტუდენტობისას, 21 წლის ასაკში დააპატიმრეს (მასთან ერთად დააპატიმრეს 10 სტუდენტი). იგი 12 წელი კოლიმას (მაგადანი) საკონცენტრაციო ბანაკის¹³ მკაცრ პი-

13 „კოლიმა“, – „სიცივის და სისატიკის პოლუსი“, – ასე მოიხსენიებს მას ალექსანდრე სოლჟენიცინი. კოლიმა (ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რუსეთი, ოხოტის ზღვის ჩრდილოეთ სანაპირო) 1920-1930 წლებში გახდა ცნობილი შრომა-გასწორების ბანაკებით. 1931 წ. 11 ნოემბერს ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება: „კოლიმას შესახებ“, ოქროს, ურანის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და იაკუტის და კოლიმას ათვისების მიზნით (ამ დადგენილებას ხელს აწერს სტალინი; იხ.: Бацаев И. Д., Козлов А. Г., Дальстрой и Севвостлаг НКВД СССР в цифрах и документах: В 2-х ч., Ч.1 (1931-1941), Магадан: СВКНИИ ДВО РАН, 2002, გვ. 18-20), ხოლო ეს იდეა უნდა განხორციელებულიყო მილიონობით ადამიანის მონური შრომის, კერძოდ, მძიმე და იძულებითი შრომის შედეგად! ამ მიზნით 1932 წ. შეიქმნა ჩრდილო-აღმოსავლეთის შრომა-გასწორების ბანაკი. 1932–1952 წლებში ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა იძულებითი შრომის შედეგად, მათ შორის მრავალი ინტელექტუალი და მეცნიერი. ასე შეიქმნა მაგადანის ოლქი, ასე იქმნებოდა და ძლიერდებოდა რუსეთის სახელმწიფო და მისი სისტემა. სულ 476 კოლონია შედიოდა ГУЛАГ შრომა-გასწორების კოლონიების მთავარ სამმართველოში, რომელიც НКВД-ს ქვედანაყოფი იყო. ისტორიის სახელმძღვანელოებში არ წერია, რომ მესამე რაიხის საკონცენტრაციო ბანაკების რეფორმირების შემდეგ ინვენტარი და ქონება „ლაგერებში“ გადაანაწილეს: სტეპლაგი, მინლაგი, დუბროვლაგი, იზორლაგი, ბერლაგი (უვადო პატიმრებისთვის) და სხვ. საერთო ჯამში, 25 მლნ. ადამიანი, მოსახლეობის 15% იყო რეპრესირებული.

საბჭოთა „ლაგერებს“ შორის კოლიმა ერთ-ერთი ყველაზე საშინელი

რობებში იმყოფებოდა, 12–14 საათი სამუშაო დღით, 40 –60 გრადუსიან ყინვაში, მუდმივი შიშის, დამცირების და შიმშილის ვითარებაში. 1948 წლის 16/17 ოქტომბრიდან 1956 წლის 22 აგვისტომდე გიორგი ცინცაძე უბრალოდ იყო #F₂-55¹⁴.

მეგობარ თანაკურსელებთან ერთად „საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა ორგანიზაციის“ (პირობითად ასე უწოდებდნენ საკუთარ თავს თსუ სტუდენტთა ჯგუფის წევრები) 11 წევრი აიყვანეს, 9 გაასამართლეს, 25–25 წელი სასჯელის მოხდა ეკონომიკური და პოლიტიკური კატეგორიის „ლაგერში“. ეს ახალგაზრდები უბრალოდ საქართველოს თავისუფალ მომავალზე ოცნებობდნენ, იკრიბებოდნენ, კამათობდნენ და აცნობიერებდნენ, რომ თავისუფლება „მოსაპოვებელია“... ისინი საკუთარ თავს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის სუბიექტებად აღიქვამდნენ. სტუდენტები – შოთა ჯიჯაძე, ალექო მელაძე, ჟორეს გიორგი ცინცაძე, იური მაჩაიძე, ბორის ხუხუა, კუკური ძიმისტარაშვილი, თენგიზ ზალდასტანიშვილი, ოტია პაჭკორია (მწერალი), გივი მალულარია (ლიტერატურის კრიტიკოსი). გივი ანთელავა (ფსიქოლოგი), ფაქტობრივად, ცემით სიკვდილამდე მიიყვანეს, ამიტომ აღარ გაასამართლეს. გასამართლებული და რეპრესირებული იყვნენ ლექტორები: ბიძინა ფოჩხუა, მირიან აბულაძე, ზურაბ მიქელაძე, მოსე გოგიბერძე, მიშა ნანეიშვილი... ზოგი დაბრუნდა, ზოგი კი ვერ... ზოგი ბანაკს გადაურჩა, ცოცხალი გადარჩა, მაგრამ „მონობისგან მოისრნენ“.

* * *

თავისუფლების ისტორია არათავისუფლების ისტორიასაც მოიცავს. თავისუფლების ისტორიის გააზრება არათავისუფლე-

ბანაკი იყო, ფაშისტური „სიკვდილის ბანაკების“ ანალოგი. ოსვენციმში და ტრებლინკაში თუ სხვაგან ადამიანებმა იცოდნენ, რისთვის ანადგურებდნენ – ნაცისტური რეჟიმის მონინალმდეგეებს, ებრაელებს, რუს ტყვეებს. ციმბირის ბანაკებში კი ბოლომდე რჩებოდნენ შემცბარი და გაოგნებული ადამიანები, ვერ ხვდებოდნენ, რისთვის იხდიდნენ სასჯელს. აპატიმრებდნენ შემთხვევით ადამიანებს, პროფესორებს, პარტიულ მუშაკებს, სტუდენტებს, სამხედროებს, ინჟინრებს, გლეხებს, განურჩევლად ყველას.

14 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 9.

ბის ისტორიის გარეშე სრულყოფილ სურათს ვერასოდეს შექმნის¹⁵. რეპრესიების გამოძახილი „ეგზისტენციალური გამოძახილი“¹⁶ იყო. დისიდენტებისა და რეპრესირებული პიროვნებების ოჯახები, ახლობლები და ნათესავებიც ტყვეობაში იყვნენ, ასე ვთქვათ, შინაგან ტყვეობაში. შიში, არათავისუფლების განცდა და ცნობიერება, დუმილი, პასიურობა, ყოველგვარი კრიტიკისგან დისტანცირება, საკუთარ თავში ჩაკეტილობა დროთა განმავლობაში ფსიქიკურ დონეზე განმტკიცდა, ყოფით ჩვევებში და თაობებშიც გადავიდა. ასე იქმნებოდა რეპრესირებული საზოგადოება. ტოტალიტარული საზოგადოება სტაბილური გახდა, განვითარების „სტაციონარულ ფაზაში“¹⁷ გადაიზარდა. ის თვითაღდგენის და თვითფორმირების პროცესს განიცდის და თაობიდან თაობაში განახლებას ექვემდებარება. ადამიანების ცნობიერების გადაკეთებას მილიონობით ადამიანის მსხვერპლი დასჭირდა. „უაზრო ისტორიული ექსპერიმენტის“ შედეგი, გ. ცინცაძის აზრით, იყო „შერყვნილი ეთნიკურობა და შერყვნილი პატრიოტიზმი“¹⁸, შერყვნილი ნაციონალიზმის გაუკუღმართებული ფორმა. ამგვარი პატრიოტიზმის გამოხატულება იყო ის, რომ ბევრი ქართველი ტყვე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დასავლეთ გერმანიამ შეიფარა და გადაარჩინა. ტყვეობიდან ვინც შინ დაბრუნდა, მათ პატიმრობა ციმბირის ბანაკებში მიუსაჯეს. ვინც ომს გადაურჩა, ბევრი შიმშილითა და სიცივით, ნელი სიკვდილით ციმბირში დაიღუპა. სისტემამ შექმნა პათოლოგიური ცნობიერების ადამიანები, რომლებისთვისაც მოვალეობის შესრულება გართობად იქცა: ჩეკისტი გამომძიებლები, სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდებს რომ აწამებდნენ, ფაქტიურად, ერთობოდნენ ამ პროცესში.

15 ამ საკითხის შესახებ დანვრილებით იხ.: თ. ირემაძე, თავისუფლების იდეის ბედი საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში // თავისუფლების იდეა ფილოსოფიაში, თეოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებში, კრებულის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი – თ. ირემაძე, თბილისი, 2016, გვ. 204-205.

16 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 79.

17 В. Турчин, Инерция страха. Социализм и тоталитаризм-Хроника, Нью-Йорк, 1978.

18 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 83.

გ. ცინცაძის წერილები აჩვენებს იმ სასისასტიკეს, რაც პიროვნების ტოტალურ განადგურებას და სამუდამო დეგრადაციას იწვევდა. ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გოგი ჩიქოვაძე ცემით იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ გასამართლებას აღარ ექვემდებარებოდა. მას ცხოვრება წაართვეს, სამუდამო განმარტოება „მიუსაჯეს“. რამდენ ადამიანს წაუშალეს თავისუფლების ცნობიერება, რამდენი სულიერად დაავადდა, ტოტალურად მოირღვა მილიონობით ადამიანის შელახული ღირსება! – ბოთლებზე დასმა, 300 გრამი პურისტვის ზედამხედველების ხარჭებად ქცევა, ყოველ ღამე ჰომოსექსუალებისგან თავდაცვის რეჟიმში მყოფი 14-15 წლის ბიჭები, განწირული კვილის ხმები საკნებიდან, 60 გრადუსიან ყინვაში კარცერში მშვიერი და გაყინული სიცოცხლე, 10-12 საათიანი სამუშაო დღე... ყოველივე ეს პატიმარს საიმისოდ უბიძგებდა, რომ ეთქვა: „თავისუფალ პიროვნებად მე ჩემი თავი არასოდეს ჩამითვლია“¹⁹. გ. ცინცაძის ჩანაწერები, მის მიერ განცდილი და ნანახი, გამოუქვეყნებელი ტექსტები, საბჭოთა [ქართული] დისიდენტური და რეპრესირებული ლიტერატურის საინტერესო ფურცლებს წარმოადგენს²⁰.

საკუთარ ისტორიას გიორგი ცინცაძე „სიბრძნის მოყვარულთა ტრაგიკომედიას“ უწოდებს, ფილოსოფიურ ტრაგიკომედიას. პატიმრობა მხოლოდ საკანში ყოფნას არ უკავშირდება. საბჭოთა იდეოლოგიის არათავისუფალ სივრცეში ყოფნა გ. ცინცაძისთვის იგივე ტუსაღობას ნიშნავდა. ძალისხმევა იქითკენ იყო მიმართული, რომ პატიმრობაში თავისუფლება შეენარჩუნებინათ.

გ. ცინცაძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია და საყურადღებოა არისტოკრატის ქრობის, არისტოკრატის „სიკვდილის“ ანალიზი ქართულ [საბჭოთა] საზოგადოებაში,

19 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 21.

20 აქვე უნდა დავასახელოთ დისიდენტური ლიტერატურის რამდენიმე სწორუპოვარი ნიმუშიც: (1) ალექსანდრე სოლჟენიცინი – „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ (1962 წ.), „არქიპელაგი გულაგი“ (1958-1968 წწ.), (2) ვალენტინ ტურჩინი – „შიშის ინერცია“ (1978 წ.), (3) ვარლამ შალამოვი – „კოლიმური მოთხრობები“ (1954-1973 წწ.), (4) ევგენია გინზბურგი – „რთული მარშრუტი“ (1967 წ.), მენახემ ბეგინი – „თეთრ ღამეებში“ (1957 წ.) და სხვ.

მისი როლის გააზრება. „პავლოვის პირობითი რეფლექსების და განწყობის თეორია ბრწყინვალედ გამოიყენეს ბოლშევიკებმა“²¹. ადამიანებს უქმნიდნენ ფიქსირებულ განწყობას, პოლიტიკური პროპაგანდა კი აბსურდის თეატრს ემსგავსებოდა. რეპრესიების, სიკვდილის ბანაკების არნახული მასშტაბების მიუხედავად, სტალინის სიყვარული ამგვარი აბსურდულობის აპოგეა იყო. რუსეთის იმპერიამ წარმატებით განახორციელა პროექტი, რომ „ინტელიგენცია და არისტოკრატია ზიზლის და დაცინვის საგანი გამხდარიყო“²². გ. ცინცაძე არაერთგზის უბრუნდება ამ საკითხს გვიანდელ შრომებში. იგი აანალიზებს ინტელიგენციის მდგომარეობას ფაშიზმის პერიოდის ევროპაში. ემანუელ მუნე²³, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი, მიზნად ისახავდა, გადაერჩინა ადამიანში არისტოკრატიაში, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. გ. ცინცაძის აზრით, „რაც არისტოკრატულია ადამიანში, სწორედ ის არის ადამიანი“²⁴. ეს კი მოისპო საბჭოთა საზოგადოებაში. ინტელიგენციისა და არისტოკრატის მომავალს გ. ცინცაძე ინტელიგენციისა და ეკლესიის კავშირში, ეკლესიის გაინტელიგენტურობაში ხედავდა. ტყვეობიდან გამოსვლის ყველაზე ცხადი სირთულე, მისი აზრით, არის „შიში თავისუფლებისა და პირადი პასუხისმგებლობის მიმართ“²⁵.

საბჭოთა მემკვიდრეობა მძიმე ისტორიული ტვირთია. როგორ უნდა ზიდოს თაობებმა ეს ტვირთი? (ხომ არ შეამსუბუ-

21 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 88.

22 იქვე.

23 ემანუელ მუნე (1905-1950 წწ.), ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ფრანგული პერსონალიზმის მთავარი წარმომადგენელი და ევროპაში საყოველთაოდ ცნობილი ჟურნალის “Espirit” დამფუძნებელი და გამომცემელი. იგი მეორე მსოფლიოს ომის დროს, საფრანგეთზე გერმანიის გამარჯვების შემდეგ, 1940 წელს დატყვევებული იქნა, თუმცა განთავისუფლების შემდეგ კვლავაც განაგრძობდა ამ ჟურნალის გამოცემას. საბოლოო ჯამში, ჟურნალის გამოცემა მაინც შეწყდა, რადგან 1941 წელს ვიშის რეჟიმის მიერ აიკრძალა. დასავლელი ადამიანის კრიზისის შესახებ მსჯელობისას გიორგი ცინცაძე სწორედ ემანუელ მუნეს ნააზრევსაც ეყრდნობოდა.

24 განცდილი და ნანახი... გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, გვ. 88.

25 იქვე, გვ. 89.

ქებდა ლუსტრაციის კანონი ამ ტვირთს?). აქ აუცილებელია, რომ „ჩვენი ღირსების ხელშესახები, დაზიანებადი და დაკარგვადი სფეროდან [...] განვასხვავოთ დაუკარგავი, აუნონავი, განუკარგავი, აბსოლუტური და აუცილებელი, როგორც ადამიანური თავისუფლების საწყისი ელემენტი“, [...] ის, რაც შესაძლებელს ხდის სუბიექტის თვითუარყოფას, თვითგანსაზღვრებას, თვითპატივისცემას და თვითფორმირებას“²⁶. ის, რაც ადამიანის ღირსებას ქმნის, არის თავისუფლება – „უმადლესი სიკეთე ღმერთისა და ადამიანისთვის.“²⁷ თავისუფლება არ არსებობს თვითცნობიერების გარეშე. კრიტიკული რეფლექსია და თვითრეფლექსია კი არის გზა თვითგამორკვევისკენ, გზა თანამედროვე რეალობის რაციონალური აღქმისკენ.

ქართული დისიდენტური აზროვნებისა და ქართული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ფილოსოფოსისა და თეოლოგის გიორგი (ყოველ) ცინცაძის სამეცნიერო არქივი (ამ მოაზროვნის გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებული ნაშრომები, პირადი ხელნაწერები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა) 2016 წელს ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით არქივს (დაარსდა 2015 წელს ქ. ფოთში) გადმოეცა. არქივის სამეცნიერო-კვლევითი პერსპექტივების ერთ-ერთ მაგისტრალურ საზად კავკასიის რეგიონში მოღვაწე დისიდენტი ფილოსოფოსებისა და მათი შემოქმედების კვლევაც გამოიკვეთა.

გ. ცინცაძის საარქივო მემკვიდრეობის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია: ქრისტიანული ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ფილოსოფიური ჰერმენევტიკა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თეოსოფია, ანთროპოსოფია, ადამიანი, პიროვნება და მისი ექსისტენცია ბიბლიური და ფილოსოფიური პერსპექტივიდან, ადამიანი, როგორც ღმერთის ყოფიერების ნაწილი და მისი ასახვა, დროის თეოლოგიური გაგება ჰაიდეგერთან, ღმერთის

26 თ. კობუში, ადამიანთა ღირსება, გერმანულიდან თარგმნა ი. თაბორიძემ // სახელმწიფო და რელიგია, რედ.: მ. ბერიაშვილი, ა. პოლმანი, ქუთაისი, 2017, გვ. 214-215.

27 იქვე, გვ. 215.

პრობლემა ყოფიერების ჰერმენევტიკაში. გ. ცინცაძე ასევე იკვლევდა შემდეგ ავტორებს: პავლე მოციქული, თომა აქვინელი, ბონავენტურა, ირინეოს ლიონელი, მარტინ ლუთერი და სხვ. გ. ცინცაძის არქივში არის ნაშრომები ნეიროთეოლოგიის თემებზე, კარდიოცენტრისტული სწავლების შესახებ, სულისა და სხეულის შესახებ ბიბლიაში და სხვ.

გიორგი ცინცაძის სიცოცხლეში მხოლოდ სამი მონოგრაფია გამოიცა: „მათემატიკური ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლების კრიტიკისათვის“ (1968 წ.), „გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა“ (1975 წ.), „პიროვნება, დრო, განწყობა“ (1981 წ.).

დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული გიორგი ცინცაძის, როგორც დისიდენტი და რეპრესირებული ფილოსოფოსის, ცხოვრებისა და შემოქმედების სრული სურათი. მისი აზროვნებისა და ცხოვრების წესი, საჯარო გამოსვლები და სამეცნიერო თემატიკა ცხადყოფს, რომ იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართველი დისიდენტი და რეპრესირებული ფილოსოფოსია. მისი საარქივო მასალების სისტემატიზაცია და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომების შემდგომი შესწავლა-ანალიზი ხელს შეუწყობს ამ დისიდენტი მოაზროვნის შემოქმედების ადეკვატურ შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა

განცდილი და ნანახი... (გიორგი (ყორეს) ცინცაძე), ინტერვიუები, საგაზეთო პუბლიკაციები და მოგონებები, რედაქტორი – ი. კალანდია, თბილისი: „უნივერსალი“, 2010.

გოგატიშვილი, მიხეილ: სოციალური მოქმედების გაუკუღმართებული ფორმები // ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), რედაქტორ-შემდგენელი და წინათქმის ავტორი თ. ირემაძე, მეორე გამოცემა, თბილისი: „ნეკერი“, 2013, გვ. 132-143.

ლალი ზაქარაძე

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებ-
ბიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეც-
ნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი,
თბილისი), რედაქტორ-შემდგენელი და წინათქმის ავტორი თ.
ირემაძე, მეორე გამოცემა, თბილისი: „ნეკერი“, 2013.

ვერნანი, ჟან პოლ: ქართველი სოკრატე, თარგმნა მ. ხარბედიამ,
იხ.: „არილი“, 12 ოქტომბერი (თბილისი, 2000 წ.), გვ. 8.

ირემაძე, თენგიზ: იდეების მსხვერვა. – თავისუფლების იდეის
ბედი საბჭოთა საქართველოს ფილოსოფიაში // რა არის
თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის
შესახებ. შარლ ლუი მონტესკიე, ჟან ჟაკ რუსო, გეორგ ვილ-
ჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, ჰერბერტ სპენსერი, ერის ფრომი
ავტორები: ჰ. შნაიდერი, ლ. ზაქარაძე, გ. თავაძე, დ. ლაბუ-
ჩიძე, თ. ირემაძე, თბილისი: „ნეკერი“, 2010, გვ. 114-130.

ირემაძე, თენგიზ: თავისუფლების იდეის ბედი საბჭოთა საქარ-
თველოს ფილოსოფიაში // თავისუფლების იდეა ფილოსო-
ფიაში, თეოლოგიასა და სოციალურ მეცნიერებებში, კრებუ-
ლის შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი თ. ირემაძე,
თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2016, გვ. 204-217.

ირემაძე, თენგიზ: პოსტჰუმანისტური ფილოსოფია. დიდი
იდეების კრიზისისა და მსხვერვის ურთიერთმკვეთი კონ-
ტექსტები, თბილისი: „ფავორიტი სტილი“, 2023.

კობუში, თეო: ადამიანთა ღირსება, გერმანულიდან თარგმნა
ი. თაბორიძემ // სახელმწიფო და რელიგია, რედაქტორები:
მ. ბერიაშვილი, ა. პოლმანი, ქუთაისი: „აკაკი წერეთლის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2017, გვ. 193-
215.

ცინცაძე, გიორგი: ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ფილოსო-
ფიური საფუძვლების კრიტიკისათვის, თბილისი: „მეცნიე-
რება“, 1965 წ. (თანაავტორი – რევაზ ბალანჩივაძე).

ცინცაძე, გიორგი: მათემატიკური ფსიქოლოგიის ფილოსოფიური
საფუძვლების კრიტიკისათვის, თბილისი: „მეცნიერება“, 1968.

ცინცაძე, გიორგი: გაგების მეთოდი ფილოსოფიაში და პიროვნების პრობლემა, თბილისი: „მეცნიერება“, 1975.

ცინცაძე, გიორგი: პიროვნება, დრო, განწყობა, თბილისი: „მეცნიერება“, 1981.

ჯორბენაძე, რევაზ: საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირმშო: *Homo Sovieticus* (მერაბ მამარდაშვილის შეხედულებების შუქზე // ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), რედაქტორ-შემდგენელი და წინათქმის ავტორი – თ. ირემაძე, მეორე გამოცემა, თბილისი: „ნეკერი“, 2013, გვ. 144–154.

გიორგი ცინცაძის პირადი საარქივო მასალები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა და მათი აღწერილობა: ახალი საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივი (ქ. ფოთი, გურიის ქ. 1).

Бацаев, И. Д., Козлов, А. Г.: Дальстрой и Севвостлаг НКВД СССР в цифрах и документах: В 2-х ч., Ч.1 (1931-1941), Магадан: “СВКНИИ ДВО РАН”, 2002.

Бегин, М. В белые ночи. Иерусалим, 1979.

Гинзбург, Е. Крутой маршрут: хроника времен культа личности, Москва: АСТ, 2008.

Солженицын, А. Архипелаг ГУЛАГ, 1918—1956: Опыт художественного исследования, Москва: “Просвещение”, 2010.

Турчин, В. Инерция страха. Социализм и тоталитаризм, Нью-Йорк: “Хроника”, 1978.

Шаламов, В. Собрание сочинений в 6 томах., т. 1: Рассказы 30-х годов, Колымские рассказы, Левый берег, Артист лопаты. Москва: Книжный Клуб Книговек, 2013.

მერაბ მამარდაშვილის ნააზრავი პოსტკოლონიური კვლევების ჭრილში

1. შესავალი: მეთოდოლოგიური განაზრებები. პოსტკოლონიური კვლევები როგორც აკადემიური შესწავლის სფერო, XX საუკუნის მეორე ნახევარში აღმოცენდა და ის ფოკუსირებული იყო იმ კომპლექსური მიმართებების შესწავლაზე, რომლებიც ყოფილ მეტროპოლიებსა და ახლად გათავისუფლებულ კოლონიებს შორის არსებობდა.¹ ფრანც ფენონი (1925-1961 წწ.), ედუარდ საიდი (1935-2003 წწ.) და გაიათრი ჩაკრავორტი სპივაკი (დაიბ. 1942 წ.) იმ ავტორთა რიცხვს განეკუთვნებიან, რომელთა შრომებმაც დიდი გავლენა მოახდინეს პოსტკოლონიური თეორიის განვითარებაზე.² თავდაპირველად პოსტკოლონიური თეორია ორიენტირებული იყო ბრიტანეთის იმპერიაზე, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაზე, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა პოსტკოლონიური პერსპექტივის მიყენება ყოფილი „სოციალისტური ბანაკისა“ და პოსტსაბჭოთა სივრცისთვის.³ აღ-

1 პოსტკოლონიური თეორიის შესახებ კოლონიალიზმის ჭრილში იხ. Margarete Kohn, Kavita Reddy, "Colonialism", *The Stanford Encyclopedia of Philosophy* (Spring 2023 Edition), Edward N. Zalta & Uri Nodelman (eds.), <https://plato.stanford.edu/archives/spr2023/entries/colonialism> (ამ და ქვემოთ მოცემულ ბმულებზე წვდომის განხორციელების თარიღი: 01.07.2023).

2 საიდის შესახებ იხ. გიორგი სანიკიძე, „დასავლეთის მიერ აღქმული აღმოსავლეთი: დებატები ედვარდ საიდის ორიენტალიზმის გარშემო“, წიგნში: ნინო კილურაძე, ეკა კვაჭანტირაძე, გიორგი სანიკიძე, „ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია“, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014 წ., გვ. 98-151. სპივაკისა და ფენონის შესახებ იხ., მაგალითად, Leela Gandhi, *Postcolonial Theory: A Critical Introduction*, second edition, New York: Columbia University Press, 2019, *passim*.

3 იხ. А. Прусаускас, СНГ как постколониальное пространство, *Независимая газета*, 02.02.1992; Marko Pavlyshyn, Post-colonial features in contemporary Ukrainian culture. *Australian Slavonic and East European Studies* 6.2 (1992), pp. 41-55; David Chioni Moore, Is the Post- in Postcolonial the Post- in Post-Sovi-

ნიშნული დისკუსია დღესაც გრძელდება.⁴

წინამდებარე სტატიაში მერაბ მამარდაშვილის ნააზრავი პოსტკოლონიური კვლევების ფართო კონტექსტშია განხილული. იმთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი მიზანი არაა, მამარდაშვილის იდეები, ასე ვთქვათ, „ძალით მოვარგო“ პოსტკოლონიურ პერსპექტივას. ქვემოთ შევეცდები, ვაჩვენო, რომ მამარდაშვილის შეხედულებები ღირებული და საინტერესოა პოსტკოლონიური მიდგომის ჭრილში, რადგან ქართველი ფილოსოფოსისთვის საბჭოთა კავშირი კოლონიური და ტოტალიტარული იმპერია იყო და, შესაბამისად, მისი ფიქრი 1980-იანი წლების მიწურულს მიმართული იყო იქითკენ, რომ გაეაზრებინა, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო საზოგადოება დეკოლონიზაციის პირობებში, როდესაც საბჭოთა რეჟიმი, ფაქტიურად, დღითიდღე იმსხვრეოდა. ის საკითხები, რომელთა გააზრებასაც მამარდაშვილი ცდილობდა, – საბჭოთა ადამიანის ფენომენი, საბჭოთა კავშირი და ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური აპარატის ფუნქციონირების მექანიზმი, ტოტალიტარული საზოგადოებიდან სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის პროცესში არსებული გამოწვევები – მისთვის პოსტ-იმპერიულ მოცემულობაში არსებული პრობლემები იყო, რომელთა გადასაჭრელად საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ **რა მოხდა** საბჭოთა პერიოდში, რა ცვლილებები განიცადა საზოგადოებრივმა ცნობიერებამ ამ დროს, რა წარმოადგენდა საბჭოთა მემკვიდრეობას და როგორ იყო შესაძლებელი მისგან გათავისუფლება. ამ ჭრილში შეიძლება ითქვას, რომ მამარდაშვილი ერთ-ერთი პირველი (ან სულაც პირველი) პოსტკოლონიური მოაზროვნეა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

et? Toward a Global Postcolonial Critique, *PMLA*, Vol. 116, No. 1, Special Topic: Globalizing Literary Studies (Jan., 2001), pp. 111-128; Gayatri Chakravorty Spivak, Nancy Condee, Harsha Ram and Vitaly Chernetsky, Are We Postcolonial? Post-Soviet Space, *PMLA*, Vol. 121, No. 3 (May, 2006), pp. 828-836.

4 ob. Tamar Koplatadze (2019), Theorising Russian postcolonial studies, *Postcolonial Studies*, 22:4; Viacheslav Morozov (2021), Post-Soviet subalternity and the dialectic of race: reflections on Tamar Koplatadze's article, *Postcolonial Studies*, 24:1, 159-166.

მამარდაშვილის ფიგურასა და მის ნააზრევზე ყურადღების გამახვილება შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც პოსტკოლონიური კვლევების კონტექსტში არსებობს. ეს სიცარიელე გამონვეულია მკვლევართა ცალმხრივი ფოკუსირებით რუსულენოვან სივრცესა და რუსეთის პერსპექტივაზე, რის შედეგადაც იმპერიული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პერიფერიების ინტელექტუალური ცხოვრება ხშირად უგულებელყოფილია.⁵ გარდა ამისა, მამარდაშვილის შეხედულებების პოსტკოლონიურ პერსპექტივაში განხილვა შინაარსობრივად უფრო მრავალფეროვანს გახდის პოსტკოლონიურ კვლევებს, რომლებიც ხშირად ლიტერატურის თეორიაზეა ფოკუსირებული. თავის ინტერვიუებსა და ლექციებში მამარდაშვილი აქტიურად განიხილავდა ტოტალიტარული სახელმწიფოს ფენომენს, კოლონიზაციის საკითხს, მეტროპოლიის (რუსეთის) და კოლონიის (საქართველო), ასევე, რუსებისა და ქართველების ურთიერთმიმართების საკითხებს, პოსტ-ტოტალიტარული განვითარების წინაშე არსებულ პერსპექტივებსა და საფრთხეებს. ამრიგად, მამარდაშვილის ნააზრევის ანალიზი და იქ არსებული საკვანძო საკითხების დაკავშირება პოსტკოლონიური კვლევების დისკურსთან, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქართველი ფილოსოფოსის ინტელექტუალური მემკვიდრეობის ფართო ჭრილში გააზრებას და, მეორე მხრივ, განავრცობს პოსტკოლონიური კვლევების ჰორიზონტს პოსტსაბჭოთა სივრცესთან მიმართებით.

5 შდრ. Tamar Koplatadze, *Theorising Russian postcolonial studies, passim*; Harsha Ram, *Between 1917 and 1947: Postcoloniality and Russia-Eurasia*, in: Gayatri Chakravorty Spivak, Nancy Condee, Harsha Ram and Vitaly Chernetsky (2006), *Are We Postcolonial? Post-Soviet Space*, *PMLA*, Vol. 121, No. 3 (May, 2006), გვ. 832-833. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მამარდაშვილის ნაშრომები რუსულ ენაზეა გამოქვეყნებული, ეს დუმილი უფრო მეტ შეკითხვას აჩენს. ვფიქრობ, აღნიშნული გარემოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბოლო პერიოდამდე არ არსებობდა მამარდაშვილის შრომების ინგლისურენოვანი თარგმანები. დღესდღეობით ეს მდგომარეობა ნელ-ნელა იცვლება. იხ., მაგალითად, Merab Mamardashvili, *A Spy for an Unknown Country: Essays and Lectures*. Edited by Julia Sushytska and Alisa Slaughter, Stuttgart: ibidem-Verlag, 2020.

2. საბჭოთა სისტემა და საბჭოთა ადამიანი. პირველ რიგში, მოკლედ მოვხაზავ საბჭოთა სისტემის მამარდაშვილისეულ შეფასებას, რადგან იმპერიისა და კოლონიალიზმის შესახებ მისი განაზრებები ამ შეფასებიდან გამომდინარეობს. ქართველი ფილოსოფოსი მიიჩნევდა, რომ საბჭოთა სისტემის ტიპი „აბსოლუტურად უნიკალურია“,⁶ იმდენად უნიკალური, რომ ევროპელისთვის⁷ ის უბრალოდ წარმოუდგენელია. აქ მამარდაშვილი გულისხმობს, რომ ევროპელისთვის შეუძლებელია ამ გამოცდილების მოხელთება საკუთარი აზროვნების შესაძლებლობის ფარგლებში. ამ აბსურდული, „მწარე და უაზრო“ გამოცდილების გაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი თავად გამოცდი მას „შიგნიდან“.⁸

მამარდაშვილის თანახმად, თითქმის სამოცდაათწლიანმა საბჭოთა მმართველობამ თავისი დაღი დაასვა საზოგადოებრივ სხეულს. ინტერვიუში ანა შევალიესთან, რომელიც 1990 წლის 20 აგვისტოს თბილისში შედგა, ხოლო პირველად 1991 წელს გამოქვეყნდა სათაურით „ჯაშუშის ცხოვრება“, მამარდაშვილი მიუთითებს ფრანც კაფკას ნაწარმოებზე „გარდასახვა“, რომლის მთავარი პერსონაჟი – გრეგორი ზამზა – ერთ დღეს გაიღვიძებს და აღმოაჩენს, რომ საშინელ მწერადაა გადაქცეული: „თუკი ჩვენ გვეძინა კიდეც სამოცდაათი წელიწადი, – არა წმინდანის მშვიდი ძილით, რომელიც მთელი მშვენიებითა და სისუფთავით იღვიძებს. ძილში ჩვენ გარდავიქმენით, გადავგვარდით. მწერად გაღვიძებაც ხომ შეიძლება, როგორც კაფკას ერთ-ერთ პერსონაჟს ემართება. [...] ადამიანები შესაძლოა

6 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, რედ. გ. ნოდია, თბილისი, 2015 წ., გვ. 6.

7 ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მამარდაშვილი თავად გამოყოფს „ევროპელს“ და არა, დავუშვათ „ამერიკელს“ ან „აფრიკელს“. ევროპის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სივრცე ქართველი ფილოსოფოსის ინტელექტუალური ფოკუსის ცენტრს ქმნის. იხ., ასევე, მ. მამარდაშვილი, „ევროპული პასუხისმგებლობა“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, თარგმნა დიმიტრი უჩანეიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2020 წ., გვ. 33-38.

8 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 7.

ილვიძებენ და უკვე მწერებად არიან გადაქცეულნი.“⁹ ძილის მეტაფორა მოქალაქეთა პოლიტიკური პასიურობის, კრიტიკული ცნობიერების არარსებობის აღმნიშვნელად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ პასიურობას, ჩაკეტილობას, მამარდაშვილის აზრით, დამღუპველი შედეგები მოჰყვა. საბჭოთა მოქალაქეები სახელმწიფოსთან მიმართებით ჩანასახოვან, ემბრიონალურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ისინი სახელმწიფოსგან დაცვასა და მფარველობას მოელოდნენ, თუმცა, ამავდროულად, საკუთარ ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობას უარყოფდნენ.¹⁰ „საბჭოთა ადამიანი [...] უხილავ ცვლილებათა, დეგრადაციისა და პროგრესირებადი დეფორმაციის პროდუქტია,“ – წერდა მამარდაშვილი.¹¹

კრიტიკული დისკურსის არარსებობა ასეთი მდგომარეობის უმთავრესი მახასიათებელია. თავის ცნობილ ინტერვიუში „სამოქალაქო საზოგადოება“, – რომელიც 1989 წელს ქართველი ფილოსოფოსის აშშ-ში ვიზიტისას ჩაინერა (გამოქვეყნდა იმავე წელს ჟურნალში *The Civic Arts Review*), – მამარდაშვილი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი იყო სახელმწიფო, რომელიც სრულად აკონტროლებდა ცნობიერების სტრუქტურებს და საფუძველშივე ახშობდა კრიტიკული აზროვნების ნებისმიერ მცდელობას.¹² ვფიქრობ, აქ მამარდაშვილი გულისხმობს საჯარო კრიტიკული დისკურსის არარსებობას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამას ადასტურებს ქართველი ფილოსოფოსის მიერ სიტყვების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ სპეციფიკური გამოყენება: „სიკვდილი“ ტოტალიტარულ სახელმწიფოს და კრიტიკული აზროვნების ჩახშობას აღნიშნავს, ხოლო „სიცოცხლე“

9 იხ. მ. მამარდაშვილი, „ჯაშუშის ცხოვრება“, კრებული: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 284 [თარგმანი შეცვლილია].

10 შდრ. იქვე, გვ. 286.

11 იქვე, გვ. 284.

12 შდრ. იქვე, გვ. 234.

სამოქალაქო საზოგადოების დინამიკის აღმნიშვნელ ცნებად გვევლინება.¹³

ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში კრიტიკული დისკურსის არარსებობა, მამარდაშვილის თანახმად, წარმოშობს ისეთ სოციალურ ვითარებას, რომლის პირობებშიც ინდივიდებს არ შეუძლიათ საზოგადოებრივი პროცესების გაგება და სოციალური მსჯელობის ჩამოყალიბება.¹⁴ მამარდაშვილს ტოტალიტარული სახელმწიფო, პირველ რიგში, **აზროვნების, ცნობიერების სფეროსთან** მიმართებით აინტერესებს. „ჩემი ინტერესის საგანია ის აზროვნება, რომელიც სოციალური სუბიექტის ან მოქალაქის თავშია“, – აღნიშნავს იგი.¹⁵ რადგან ამ შემთხვევაში აზროვნება, მამარდაშვილის აზრით, „სოციალური და კულტურული სტრუქტურების ელემენტი“,¹⁶ შესაბამისად, ტოტალიტარული სახელმწიფოს ზემოქმედება მასზე აუცილებლობით დამანგრეველად აისახება. თუმცა, ეს არ გამოიხატება იმაში, რომ გარკვეული თემების შესახებ აზროვნება და მათი განხილვა აკრძალულია. „ეს იქნებოდა კლასიკური დესპოტიზმი, რომელიც გამოიხატება ცენზურის სახით.“¹⁷ სინამდვილეში, მამარდაშვილის აზრით, ტოტალიტარული სისტემა კიდევ უფრო ღრმად აღწევს: ის იმგვარად ახდენს აზროვნების კოლონიზებას, რომ სპობს დადგენილი ჩარჩოს მიღმა **განსხვავებულად** აზროვნების შესაძლებლობას.

13 შდრ. „მერაბ მამარდაშვილი“, შემდგენელი და შესავალი წერილის ავტორი: თეიმურაზ მთიბელაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007 წ., გვ. 112; „აზროვნებისა და ენის განსაბჭობა“, წიგნში: მერაბ მამარდაშვილი, „ცნობიერების ტოპოლოგია: ლექციები, მოხსენებები, ინტერვიუები, სტატიები“, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011 წ., გვ. 191; იქვე: „ინტერვიუ გაზეთისთვის *Le Monde*“, გვ. 248, 259-260; იქვე: „ნაციონალიზმი და პოსტტოტალიტარული საზოგადოება“, გვ. 244-245; „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 184.

14 შდრ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 240.

15 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 6.

16 იქვე.

17 იქვე, გვ. 8.

ბიორგი თავაძე

„იდეოლოგიამ, თავისი შინაგანი კანონის თანახმად, უნდა მი-
აღწიოს ისეთ წერტილს, სადაც მისი ეფექტი გაიზომება არა
იმით, თუ რას დააჯერებს იგი ადამიანს, არამედ იმით, თუ რას
არ აფიქრებინებს იგი მას.“¹⁸

ამ მიმართებით აღსანიშნავია პარალელი მამარდაშვილსა და
ისტორიკოს მიხაილ ჰელერს შორის. ებრაული წარმოშობის ჰელ-
ერი საბჭოთა მოქალაქე იყო და ექვსი წელი საბჭოთა საკონცენ-
ტრაციო ბანაკში გაატარა. გათავისუფლების შემდეგ ჰელერი ჯერ
პოლონეთში გადავიდა საცხოვრებლად, შემდეგ კი – საფრანგეთ-
ში, სადაც აქტიურად აქვეყნებდა ანტისაბჭოთა შინაარსის კვ-
ლევებს. ნაშრომში „მანქანა და ჭანჭიკები: საბჭოთა ადამიანის
ფორმირების ისტორია“ (1985 წ.) ჰელერი საბჭოთა იდეოლოგიუ-
რი აპარატის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად მიიჩნევს ინდივიდებში
განსხვავებულად აზროვნების შესაძლებლობის გამორიცხვას და
სამყაროსადმი კრიტიკული დამოკიდებულების მოშლას.¹⁹

ამრიგად, ტოტალიტარული იდეოლოგიის ტყვეობაში ყოფ-
ნა, მამარდაშვილის აზრით, არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ
ინდივიდი, მაგალითად, ეთანხმება ოფიციალური იდეოლოგიის
ამა თუ იმ დებულებას. ვითარება უფრო რთულია: ინდივი-
დი, შესაძლოა, უარყოფდეს ოფიციალურ იდეოლოგიას, თუმ-
ცა აზროვნებდეს იმ ენობრივ ველში და იმ კატეგორიების
ფარგლებში, რომელიც ოფიციალური იდეოლოგიის მიერაა
შემუშავებული და დამკვიდრებული. აღნიშნულ მდგომარეობას
მამარდაშვილი შემდეგნაირად აღწერს:

„რამდენიმე თაობაა, რაც ჩვენ ვიბადებით ატმოსფეროში,
რომელიც ისეა გაჟღენთილი სისხლით, ჭუჭყითა და ტყუილით,

18 იქვე, გამოყოფა ჩემია.

19 შდრ. Михаил Геллер, *Машина и винтики: история формирования советского человека*. London: Overseas Publications Interchange LTD, 1985, გვ. 87. იხ.,
ასევე, გ. თავაძე, „პოსტკოლონიური ინტერვენციები I. ჰომო სოვიეტიკუ-
სის ფენომენი საბჭოთა იდეოლოგიური განზომილების კონტექსტში: ფი-
ლოსოფიური ანალიზი, თბილისი: ვარლამ ჩერქეზიშვილის სახ. ინტერდის-
ციპლინური კვლევების ცენტრი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი),
2021 წ., გვ. 39 და შმდ. (შემდგომში მითითებული იქნება როგორც „ჰომო
სოვიეტიკუსის ფენომენი“).

როგორც ჰაერი, რომელიც წვიმის წვეთებითაა გაჯერებული. ვერავის ექნება პრეტენზია, გამოვიდეს ამ პერიოდიდან და ტანსა და სულში არ ატაროს ასეთი დაბადების კვალი.²⁰

ტოტალიტარული სისტემის იდეოლოგიური აპარატები, რომლებიც ადამიანთა აზროვნებას სისტემისთვის სასურველ კალაპოტში წარმართავს და ჩანასახშივე ანშობს კრიტიკულ აზრსა და განსხვავებულად აზროვნების შესაძლებლობას, მამარდაშვილის აზრით, წარმოშობს დეფორმირებულ ენობრივ ველს, რომელშიც „ჰომო სოვიეტიკუსი“, ანუ საბჭოთა ადამიანი არსებობს. ენობრივი ველის დეფორმირების საილუსტრაციოდ მამარდაშვილს მოჰყავს მაგალითი საბჭოთა კავშირის ავღანური (კოლონიური) გამოცდილებიდან: სიტყვა „ომის“ ნაცვლად საბჭოთა იდეოლოგია იყენებს ტერმინს „интернациональная помощь“ (ინტერნაციონალური დახმარება), ხოლო „საბჭოთა ჯარისკაცის“ ნაცვლად იყენებენ სიტყვას „воин-интернационалист“ (ჯარისკაცი ინტერნაციონალისტი). თვით ის ფაქტი, რომ ამ ფრაზების გამოყენება ხდება, უკვე ჩქმალავს ომის (= კოლონიური აგრესიის) ნამდვილ ბუნებას და სპობს შეკითხვის დასმის შესაძლებლობას ომის ნამდვილი ბუნებისა და მიზნის შესახებ.²¹

მამარდაშვილი მიიჩნევს, რომ იდეოლოგიური სახელმწიფო აპარატების მიერ დამკვიდრებული ცნებების გამოყენებით,

20 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 9. იხ., ასევე, იქვე, გვ. 166: „ჩვენ ყველა რამდენიმე თაობის მანძილზე ვიბადებოდით ასეთ მენტალურ ატმოსფეროში, როგორც შობის აპკში და ვიჟლინთებოდით იმ სითხით, რომელიც არის სოციალისტური, ანუ საბჭოთა აზროვნება.“

21 შდრ., იქვე, გვ. 10. იხ., ასევე, მ. მამარდაშვილი: „სინამდვილის ფილოსოფია“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 192. თვალშისაცემია ავბედითი მსგავსება რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მიერ გამოყენებულ ტერმინთან „საგანგებო სამხედრო ოპერაცია“ (специальная военная операция), რომლითაც რუსეთის ხელისუფლება უკრაინაში საკუთარ აგრესიას ნიღბავს და მას „ფაშიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლად წარმოაჩენს. თანამედროვე რუსულ სახელმწიფოში ენობრივი (და მისი შესატყვისი – სააზროვნო) ველის დეფორმაცია საგანგაშო ნიშნულს აღწევს.

ოფიციალურად დადგენილი კლიშეების ფარგლებში აზროვნებითა და მოქმედებით საბჭოთა მოქალაქეები თავად აყალიბებდნენ საკუთარ თავს იდეოლოგიის სუბიექტებად.²² გასააზრებელია ის, აღნიშნავდა მამარდაშვილი, რომ „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ საკუთარ თავთან გვაქვს საქმე, რომ **ჩვენ თვითონა ვართ ტოტალიტარიზმის სუბიექტები**, მისი ჩვევებით დამძიმებულნი – მის მიერ დანგრეული აზროვნებით ვაზროვნებთ, მის მიერ დანგრეული ცნობიერებით ვაცნობიერებთ ყველაფერს“.²³

არსებითად, მამარდაშვილი ამტკიცებს, რომ ტოტალიტარული სისტემის პირობებში ამ სისტემის იდეოლოგიური აპარატების ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცნობიერებაზე ზემოქმედების შედეგად საბჭოთა მოქალაქეებს ჩამოუყალიბდათ სპეციფიკური, ტოტალიტარული სისტემისთვის დამახასიათებელი აზროვნებისა და მოქმედების ნესი. საბჭოთა ადამიანი, ანუ „ჰომო სოვიეტიკუსი“ ინფანტილური, სახელმწიფოზე დამოკიდებული ინდივიდია, რომლისთვისაც კრიტიკული აზროვნება უცხოა.²⁴ ეს თეზისი სოციალურად პასიური საბჭოთა ადამიანის შესახებ, რომელიც ტოტალიტარული სისტემის მსხვერპლია, უცხო არ იყო იმ პერიოდის სააზროვნო სივრცისთვის. „მანქანა და ჭანჭიკებში“ მიხაილ ჰელერი განიხილავს საბჭოთა სახელმწიფოს მცდელობებს, რომლებიც ახალი, „საბჭოთა ადამიანის“ შექმნისკენ იყო მიმართული. აღსანიშნავია, რომ ჰელერისა და მამარდაშვილის მიდგომებს შორის მთელი რიგი მსგავსებები არსებობს; კერძოდ, ისევე როგორც მამარდაშვილი, ჰელერი საუბრობს ინფანტილიზაციის,²⁵ სინამდვილის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების გაქრობის,²⁶

22 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 12.

23 იხ. იქვე, გვ. 13 (გამოყოფა ჩემია). შდრ., ასევე, იქვე, გვ. 17: „[...] მთელი რაიკომ-ალმასკომები და მათ უკან მდგომი ჯარი, თავზე რომ გვასხედან, **ჩვენს ჩვევებზე** დაყრდნობით მართავენ ქვეყანას“ (გამოყოფა ჩემია).

24 შდრ. ზემოთ შენიშვნა 10.

25 შდრ. გ. თავაძე, „ჰომო სოვიეტიკუსის ფენომენი“ გვ. 53-55.

26 იქვე, გვ. 62.

დაქვემდებარებული მოქალაქეების მხრიდან სისტემასთან შერწყმის, მასთან ინტეგრირების²⁷ სურვილის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი მომენტი (ტოტალიტარული სისტემის მოქალაქეების მიერ ამ სისტემის აღიარება) მამარდაშვილისა და ჰელერის შეხედულებებს აახლოებს იდეოლოგიის შესახებ ფრანგი ფილოსოფოსის **ლუი ალთუსერის** განაზრებებთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მამარდაშვილის ზემოთ მოყვანილი ფრაზა „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ საკუთარ თავთან გვაქვს საქმე, [...] ჩვენ თვითონა ვართ ტოტალიტარიზმის სუბიექტები“. ანალოგიურად, ალთუსერი დაინტერესებულია იდეოლოგიის მოქმედების მექანიზმით, რომელიც კონკრეტულ ინდივიდებს უბიძგებს, მოცემული იდეოლოგიის შესაბამისად იმოქმედონ, გარე ძალდატანების გარეშე.²⁸

ზოგადად, მამარდაშვილი „ჰომო სოციეტკუსის“ სტატიკური მოდელისკენ იხრება, რომელიც საბჭოთა მოქალაქეს ტოტალიტარული სისტემის პროდუქტად წარმოაჩენს და მას გარკვეულ თვისებებს მიანერს, რომლებიც ამ სისტემისგან განპირობებულად მიიჩნევა.²⁹ ემპირიულ ჭრილში ეს მოდელი პრობლემურია.³⁰ თუმცა, ჩემი აზრით, საკითხი განსხვავებულად წარმოჩნდება, თუკი ლუი ალთუსერის მსგავსად დავინტერესდებით, რატომ ხდება ისე, რომ ადამიანები მოქმედე-

27 იქვე, გვ. 44-45.

28 იქვე, გვ. 25 და შმდ. მამარდაშვილისა და ალთუსერის მიმართების შესახებ იხ. Evert van der Zweerde, *Between Althusser and Arendt: Mamardashvili and the Political*, in: *Rethinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, edited by V. Luarsabishvili, Leiden and Boston: Brill, 2022, გვ. 155-186; Встреча: Мераб Мамардашвили – Луи Альтюссер, ред.: Е. Мамардашвили, Москва: Фонд Мераба Мамардашвили, 2016.

29 იხ., მაგალითად, მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 123: „ჯერ რალაც მუტაციების, შემდეგ კი მიზანდასახული ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ანთროპოლოგიური ტიპი, რომელიც ამავე დროს არის გადაგვარებული ვარიანტი ნორმალური, ტრადიციული ადამიანური სახისა.“

30 იხ. გ. თავაძე, „ჰომო სოციეტკუსის ფენომენი“, გვ. 22-23.

ბენ გაბატონებული იდეოლოგიის შესაბამისად და ამ დროს მიაჩნიათ, რომ საკუთარი მოტივებით მოქმედებენ.³¹ ვფიქრობ, მამარდაშვილთან ამგვარ მცდელობას ვხვდებით. ქართველი ფილოსოფოსი ცდილობდა, ალენერა და კრიტიკულად გაეანალიზებინა ის ენობრივი ველი, რომლის წიაღშიც საბჭოთა მოქალაქეები არსებობდნენ, აზროვნების კატეგორიები და სქემები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფაქტობრივად, იგი ამბობდა, რომ ეს ენობრივი ველი და ეს კატეგორიები იმგვარად იყო მოწყობილი, რომ ისინი თავისთავად ცხადად და გამჭვირვალედ წარმოჩნდებოდა, თუმცა სინამდვილეში გაბატონებული იდეოლოგიის კონსტრუქტებს წარმოადგენდა. ადამიანები იყენებენ ამ კატეგორიებს, მაგრამ თავად ამ ფაქტით ისინი უკვე ტოტალიტარული სისტემის სუბიექტები ხდებიან. მამარდაშვილი განიხილავს ქარხნის აშენების მაგალითს: აშენებენ ქარხანას და ამბობენ, რომ ამით სოციალიზმი შენდება, ანუ ერთმანეთთან აიგივებენ ქარხნის აშენებასა და სოციალიზმის შენებას. თუკი ინდივიდი იღებს ამ ფორმულას, ეთანხმება ამ „გამჭვირვალე“ დებულებას, მაშინ იგი უკვე ყველაფერს ამ ქრილში ხედავს. ანალოგიურად, თუკი ვამბობთ, რომ ავღანეთში მებრძოლი საბჭოთა ჯარისკაცი „ოკუპანტი“ კი არაა, არამედ „მებრძოლი ინტერნაციონალისტი“, უკვე თავად ამ სიტყვის გამოყენებით გაბატონებული იდეოლოგიის მიერ სტრუქტურირებულ ენობრივ ველში ვექცევით.³²

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, მამარდაშვილი „საბჭოთა ადამიანის“ სტატიკური მოდელისკენ იხრება, თუმცა აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ამისკენ მას უბიძგებს თავისი მეთოდი (მოცემულ შემთხვევაში ამ მეთოდს (პირობითად) „პოლიტიკური ფენომენოლოგია“ ვუნოდოთ³³), რომელიც ენობრივი

31 იქვე, გვ. 25.

32 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 10-11.

33 პოლიტიკური ფენომენოლოგიის შესახებ თანამედროვე პერსპექტივებისთვის იხ. *Political Phenomenology: Experience, Ontology, Episteme*, edited by Thomas Bedorf and Steffen Herrmann, New York and London: Routledge, 2020.

ველისა და მასში არსებული კატეგორიების ყოველდღიური გამოყენების ანალიზს ეფუძნება. რადგან ეს ენობრივი ველი ტოტალიტარული სისტემის მიერაა დეფორმირებული, შესაბამისად, მისი გამოყენებით, ინდივიდიც ძალაუწებურად ტოტალიტარული სისტემის სუბიექტი ხდება.³⁴

თუმცა, მამარდაშვილი არ ჩერდება სისტემისადმი დაქვემდებარებული ინდივიდის მოდელზე. გარკვეულ შემთხვევებში სისტემას ვილაცეები უკეთესად ერგებიან. ისინი, ასე ვთქვათ, „აბრიყვებენ“ სისტემას და მის ხარჯზე მოგებას ნახულობენ. ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს ეს უფრო უკეთ გამოუდით, სხვა ჯგუფები კი ამას საერთოდ ვერ ახერხებენ. ამ საკითხს ეროვნულ პრობლემამდე მივყავართ.

3. მერაბ მამარდაშვილი რუსეთის იმპერიის, რუსი და ქართველი ხალხების და საქართველო-რუსეთის მიმართებების შესახებ. ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური აპარატების დესტრუქციული ზეგავლენა საზოგადოების კოლექტიურ ცნობიერებაზე, მამარდაშვილის აზრით, არის ის, რაც არსებითად განასხვავებს საბჭოთა იმპერიას ევროპის „კლასიკური იმპერიებისგან“: საბჭოთა კავშირში იმპერიული სისტემის მიერ დამკვიდრებული ახალი, იდეოლოგიზებული-პარტიული ენობრივი ველი ყველა მოქალაქის ცნობიერებას შეეხო მათი ეთნიკურობის მიუხედავად (როგორც რუსს, ასევე, უკრაინელს, როგორც ყაზახს, ასევე, ქართველს და ა.შ.). აღნიშნულის გათვალისწინებით უფრო ნათელი ხდება მამარდაშვილის შემდეგი განცხადება: „ი, მაგალითად, გვგონია, რომ ჩვენი მტერი რუსე-

34 შდრ. M. Nemtsev and V. Faybshenko, *The Political Thought of Merab Mamardashvili*, in: *Rethinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, გვ. 133. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამარდაშვილთან, ისევე როგორც ჰელერთან, ტოტალიტარული სისტემის მოქმედება მხოლოდ საბჭოთა კავშირით არ შემოიფარგლება. იდეოლოგიური აპარატების ზემოქმედების შედეგად აზროვნების სტრუქტურები ყველგან ზიანდება: „იგივე ხდება ყველგან – გინდა სოციალისტურ ვიეტნამში, გინდა სოციალისტურ პოლონეთში თუ სოციალისტურ რუსეთში“ (იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 90). იგივე მომენტისთვის ჰელერთან იხ. გ. თავაძე, „ჰომო სოვიეტიკუსის ფენომენი“, გვ. 46-47.

თია. სინამდვილეში ჩვენი მტერია საბჭოთა სისტემა.³⁵ ცნობილია, ასევე, მისი შემდეგი განცხადებაც: „[...] რუსეთის იმპერია შეიძლება ასე განვსაზღვროთ: ეს არის არა იმპერია რუსი ხალხისა, არამედ იმპერია რუსი ხალხის მეშვეობით.“³⁶ აქ იკვეთება შემდეგი მომენტები: 1. მამარდაშვილი თვლის, რომ **საბჭოთა** სისტემა, **საბჭოთა** აზროვნება, **საბჭოთა ადამიანი** არის ის, რაც წარმოადგენს ნამდვილ საფრთხეს და არა რუსეთის სახელმწიფო;³⁷ 2. რუსი ხალხიც ისეთივე მსხვერპლია სისტემისა, როგორც, ვთქვათ, ქართველები, ან სომხები. შეიძლება ითქვას, რომ ისინი უფრო მეტად დაზარალდნენ: „ჩვენ გადავირჩინეთ თავი, **მოვირგეთ** საბჭოთა სისტემა და ისე არ გავლატაკებულვართ, როგორც რუსული სოფელი, უფრო კარგად ვცხოვრობთ, ვიდრე მოსკოველები ან სხვები [...].“³⁸ მიუხედავად იმისა, რომ მამარდაშვილი აღიარებს რუსეთის დომინანტურ როლს საბჭოთა სისტემაში, ის უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მმართველობის ტოტალიტარულ სისტემას, რომელმაც საზოგადოებრივ ცნობიერებაზე უწყვეტი ზემოქმედების შედეგად ადამიანთა განსხვავებული ტიპი, საბჭოთა ადამიანი ანუ „ჰომო სოვიეტიკუსი“ ჩამოაყალიბა. როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატა აჩვენებს, მამარდაშვილი არ თვლის, რომ რუსმა ხალხმა უფრო მეტი სარგებელი ნახა საბჭოთა სისტემით, ვიდრე, მაგალითად, ქართველებმა. პირიქით, მამარდაშვილის თანახმად, რუს ხალხს აქვს გარკვეული თვისებები, რამაც ის განსაკუთრებით მონყვლადი და შემგუებელი გახადა იმპერიული და ტოტალი-

35 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 12.

36 იქვე, გვ. 19.

37 იქვე, გვ. 124: „ჩვენ მთელ სიმართლეს არ ვამბობთ, როცა ვამბობთ, რომ ოკუპირებული ვართ იმპერიის მიერ; ჩვენ ოკუპირებული ვართ **ახალი ადამიანის** მიერაც“ (გამოყოფა ჩემია); იქვე, გვ. 166-167: „ჩვენ სინამდვილეში ოკუპირებული ვართ არა მარტო იმპერიით და იმპერიის წარმომადგენელი ხალხით – რუსებით, არამედ „საბჭოიზმით“, რომელიც წარმოადგენს ხანდახან თვალსაჩინო, ხანდახან უჩინარი ეკონომიკური, მენტალური, ფსიქიური, ყოფითი სტრუქტურების ერთობლიობას.“

38 იქვე, გვ. 14 (გამოყოფა ჩემია). სისტემასთან „მორგების“, ადაპტირების ცნებას მამარდაშვილი ისევ უბრუნდება (იხ. ქვემოთ).

ტარული სისტემისთვის,³⁹ რამაც მასზე დამლუპველი ზეგავლენა მოახდინა: გააღატაკა ის და ყოფითი კულტურა დაუკარგა მას. ამას ადასტურებს ბევრი მწარე შენიშვნა რუსების შესახებ მამარდაშვილის გვიანდელი პერიოდის ინტერვიუებიდან, რომელთაგან ალბათ, ყველაზე ცნობილია შემდეგი: „მაგიდაზე მე სუფრას ვაფენ და არა გაზეთს. რუსები თანახმა არიან, ქაშაყი მიირთვან გაზეთის ნაგლეჯზე. ნორმალურ, გადაუგვარებელ ქართველს ეს არ შეუძლია.“⁴⁰

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი: „მე ვიტყვოდი, რომ რუს ხალხს რალაცნაირად დარღვეული აქვს ის ფენომენი, რასაც ჰქვია სიცოცხლის სიყვარული, ან სიცოცხლის გემო. მათგან განსხვავებით ქართველებს [...] შერყეული და დარღვეული არა გვაქვს ფუნდამენტური ურთიერთობა სიცოცხლესთან, როგორც ფენომენთან. ის ოდნავ შელახული კია, მაგრამ მისი საძირკველი ფუნდამენტში სალია.“⁴¹ ამრიგად, მამარდაშვილის შეხედულება იმპერიაზე ემყარება დაშვებას, რომელიც კოლონიზატორ ერში გარკვეულ მეტაფიზიკურ პრობლემაზე მიუთითებს, რომელიც უფრო ნაკლები ხარისხით გვხვდება დაპყრობილ ერში, რომელმაც თავისი სიმარჯვით ისიც მოახერხა, რომ ეკონომიკურად უფრო უკეთ ცხოვრობს, ვიდრე დამპყრობელი ერი.

რა მეტაფიზიკური პრობლემა აქვს მხედველობაში მამარდაშვილს? ამ პრობლემის წყაროდ იგი მიიჩნევს ისტორიულ ფიგურას – რუსეთის მეფე ივანე მრისხანეს (1530-1584 წწ.), რომელმაც, მისი აზრით, ტირანული მმართველობა დაამყარა და მეფის ფიგურა „სოციალურად და პოლიტიკურად ცენტრალურ

39 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 19, 26; მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 235.

40 იხ. მ. მამარდაშვილი, „ჯგაშუმის ცხოვრება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“ გვ. 293.

41 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 27. შდრ., ასევე, იქვე, გვ. 89-90, სადაც მამარდაშვილი აცხადებს, რომ ქართველთა „რაინდული“ თვისების (არ მოახვიოს სხვებს საკუთარი ტრაგედია) გამო, სოციალიზმის ბევრმა „დამანგრეველმა სტრუქტურამ“ ვერ შეძლო ქართველთა მენტალიტეტის ბოლომდე განადგურება.

რეალობად აქცია. ყველაფერი, რაც მეფის ნებას არ ემთხვეოდა, მნიშვნელობადაკარგული იყო. მთელი საზოგადოება მეფის გადიდებულ ჩრდილად იქცა. მაგრამ ჩრდილი რეალური არ არის. იმ დროიდან არარეალობა იქცა რუსეთში სოციალური ცხოვრების პირობად. რუსეთი ჩრდილოვან საზოგადოებად იქცა [...].⁴² სავარაუდოდ, ავტორიტარიზმის გაბატონება და მისი შემდგომი პროგრესია მამარდაშვილს მიაჩნია რუს ხალხში იმ თვისებების გამომწვევ მიზეზად, რომლის გამოც ეს ხალხი (მისი აზრით) უფრო მიდრეკილია იმისკენ, რომ თავის წიაღში ტოტალიტარული რეჟიმი წარმოშვას. კოლექტიურ ცნობიერებაში წარმოიშვება „ერთგვარი მისტიკური წერტილი“, რომლის გამოვლინების ფორმები განსხვავებულია (რუსეთი, მეფე, იმპერატორი) და რომელთანაც ინდივიდები ორმაგ მიმართებას ამყარებენ: ერთი მხრივ, ისინი თავს გრძნობენ ამ უზენაესი ძალის განკარგულების ქვეშ და მას ექვემდებარებიან, ხოლო მეორე მხრივ, მათ თავად უვითარდებათ სხვებზე ბატონობის სურვილი.⁴³ აქ, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გავავლოთ პარალელი ალთუსერთან: ერთი მხრივ, ინდივიდები ცენტრალური სუბიექტის ძახილს ეხმაურებიან და საკუთარ თავს მოცემული იდეოლოგიის სუბიექტებად აყალიბებენ,⁴⁴ მეორე მხრივ კი ისინი ცენტრალური სუბიექტის იმიტირებას ახდენენ („მანქანასა და ქანჭიკებში“ ჰელერი საუბრობს მსგავსი ფენომენის შესახებ, როდესაც აღნიშნავს, რომ „პარტიის თითოეული მდივანი [...] მისდამი დაქვემდებარებულ ზონაში მინი-სტალინი იყო. თითოეულ მათგანს სტალინმა თავისი ავტორიტეტის ნაწილი გადასცა, სამაგიეროდ კი სრული მორჩილება მოითხ-

42 იხ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“ გვ. 235.

43 შდრ. М. Мамардашвили, Философ может не быть пророком, Фонд Мераба Мамардашвили, <https://mamardashvili.com/ru/merab-mamardashvili/publiacii-iz-arhiva/interview/filosof-mozhet-ne-byt-prorokom>. იხ., ასევე, М. Nemtsev and V. Faybyshenko, The Political Thought of Merab Mamardashvili, in: *Re-thinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, გვ. 143.

44 შდრ. გ. თავაძე, „ჰომო სოვიეტის ფენომენი“, გვ. 30.

ოვა⁴⁵). ამრიგად, ის, რაც ალთუსერთან ცენტრალური სუბიექტია, მამარდაშვილთან „მისტიკურ ნერტილად“ იქცევა.

ავტორიტარიზმს, ერთი პირის ნების გაბატონებას საზოგადოებაზე მამარდაშვილი უპირისპირებს კანონის უზენაესობის პრინციპს. ამით შესაძლოა აიხსნას ის, რომ იგი რუსეთს „მოჩვენებით იმპერიას“ უწოდებს, ხოლო მეფის ფიგურას – ფიქციას, აჩრდილს, რომელიც „სახელმწიფოებრივ საქმეს“, ანუ კანონის უზენაესობის პრინციპს ეწინააღმდეგება.⁴⁶

ასეთმა მოცემულობამ განაპირობა ის, რომ მამარდაშვილის აზრით, რუსეთს განმანათლებლობამ „გვერდი აუარა“, რამაც, თავის მხრივ, დიდად შეუწყო ხელი 1917 წლის რევოლუციას. რევოლუციით განპირობებულმა ნგრევამ, პირველი მსოფლიო ომით გამოწვეულ განადგურებასა და შოკთან ერთად, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ტოტალიტარული რეჟიმის წარმოშობას რუსეთის ტერიტორიაზე.⁴⁷

მამარდაშვილის ასეთი პოზიცია რუსი ხალხის მიმართ ერთგვარად უახლოვდება თეზისს რუსეთის „შინაგანი კოლონიზაციის“ შესახებ, რომლის თანახმად თავად რუსი ხალხი იქცა იმპერიის კოლონიზაციის ობიექტად; რომ რუსეთის იმპერიული სისტემა, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის კოლონიზებას ახდენდა.⁴⁸ მამარდაშვილი თვლის, რომ საბჭოთა კავშირი „მეტად თავისებური იმპერიაა“: ერთი მხრივ, ის იმპერიაა, რადგან ერთი დიდი ერი (რუსები) სხვა ერებს ჩაგრავს, მაგრამ, მეორე მხრივ, „რუსი ხალხი არ არის მეტროპოლია კლასიკური გაგებით“. კლასიკურ იმპერიაში მამარდაშვილი გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ ერთეულს (მაგალითად, ბრიტანეთის იმპერიას), სადაც

45 იხ. Михаил Геллер, *Машина и винтики: история формирования советского человека*, გვ. 80; იხ., ასევე, გ. თავაძე, „*შომო სოვიეტიკუხის ფენომენი*“, გვ. 59-60.

46 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 28.

47 შდრ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“ გვ. 235; იხ., ასევე, მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 28.

48 შდრ. Tamar Koplatadze (2019), *Theorising Russian postcolonial studies*, გვ. 5-6.

ერთი მხარე – მეტროპოლია – უფრო ცივილიზებულია მეორეზე (უნდა ითქვას, რომ დღევანდელი პერსპექტივიდან ასეთი გაგება პრობლემურია) და კოლონიის ხარჯზე მოგებას ნახულობს. რაც შეეხება რუსეთს, მამარდაშვილი თვლის, რომ ის „ყოველთვის ამის საწინააღმდეგო ფენომენი იყო“, რადგან კოლონიები ხშირად ეკონომიკურად უფრო უკეთეს ვითარებაში იყვნენ, ვიდრე რუსეთის ცენტრალური ნაწილი. თუმცა, ამავე დროს, რუსი ხალხის გარკვეული თვისებების გამოყენება ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, „მთელი საბჭოთა კავშირი მართოს“.⁴⁹

მამარდაშვილის შეხედულებები რუსი და ქართველი ხალხის, ასევე, რუსეთის იმპერიის შესახებ, ჩემი აზრით, რამდენიმე მიმართებით პრობლემურია. მივუთითებ რამდენიმე მათგანზე:

თეზისი, რომლის თანახმად, საბჭოთა იმპერია იმართება რუსი ხალხის გარკვეულ თვისებებზე დაყრდნობით და რომ რუსეთის იმპერია არ არის რუსი ხალხის იმპერია, არამედ იმპერია რუსი ხალხის **მეშვეობით**, პრობლემურია, რადგან მთელ ერს მიანერს გარკვეულ თვისებებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში უცვლელია და რომელთა ექსპლუატირებაც ხდება გარკვეულ ადამიანთა მიერ (რომლებიც, თავის მხრივ, თავად ფლობენ გარკვეული ხარისხით ამ თვისებებს, თუმცა მათში, როგორც ჩანს, სხვებზე ბატონობის სურვილი უფრო ძლიერია). ხოლო დებულება, რომლის თანახმად რუსი ხალხი თავად იყო (და არის) საკუთარი ნეგატიური თვისებების მსხვერპლი, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ახლოს დგას ე.წ. „შინაგანი კოლონიზაციის“ თეზისთან. თუმცა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ასეთი მიდგომა უგულებელყოფს არარუსი ერების დაქვემდებარებულ პოზიციას რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში და ხელს უწყობს რუსეთის იმგვარ რეპრეზენტაციას, რომელიც მას „კეთილგანწყობილ კოლონიზატორად“ წარმოაჩენს, რომელიც საკუთარი თავისთვის მკაცრია, სხვების მიმართ კი – რბილი და სარგებლის მომტანი.⁵⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მამარდაშვი-

49 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 26-27.

50 შდრ. Tamar Koplatadze (2019), *Theorising Russian postcolonial studies*, გვ. 6-7.

ლის პოზიცია უფრო კომპლექსურია: იგი მიუთითებს, რომ ერთი დიდი ერი სხვა ერებს ჩაგრავს,⁵¹ თუმცა ეს ერი, ამავე დროს, ამ ერისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მსხვერპლად გამოჰყავს და ისტორიის პროცესში მას დამოუკიდებელი მოქმედების უნარს არ მიაწერს. ამავე დროს, სხვა დაქვემდებარებული ერი, მოცემულ შემთხვევაში – ქართველები, სარგებელს ნახულობენ თავიანთი სიმარჯვით და ეკონომიკურ კეთილდღეობას აღწევენ იმპერიის წიაღში. ქართველებმა **მოირგეს** საბჭოური ცხოვრების წესი, ადაპტირდნენ ვითარებასთან, რომელიც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მსგავსი იყო საზოგადოებრივ ქსოვილში ტოტალიტარული სისტემის მაღალი შეღწევადობის გამო⁵² (თუმცა, ტოტალიტარიზმმა, მამარდაშვილის აზრით, ქართველ ერზეც მავნე ზეგავლენა მოახდინა).

51 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 26.

52 შდრ., იქვე, გვ. 30. ამ „მორგების“ საფუძველზე, მამარდაშვილის თანახმად, ჩამოყალიბდა „გაგების“ კულტურული ფენომენი, რომელიც ინდივიდუალურ გადარჩენაზე ორიენტირებულ მოქალაქეებში სისტემისთვის გვერდის ასავლელად გამიზნულ ქცევებს აყალიბებს, რომლებიც სისტემის, როგორც მთლიანის, უკანონობას საკუთარი „უკანონოებით“ პასუხობს. თავისუფალი შრომის პრინციპის ნაცვლად, როდესაც ინდივიდმა თავისი გარჯის საფუძველზე უნდა შექმნას საკუთარი შრომის პროდუქტი (იხ. ქვემოთ), ყალიბდება „გადანაწილებაზე“ ორიენტირებული გარემო, როდესაც ინდივიდები ცდილობენ, მაქსიმალურად მეტი, ასე ვთქვათ, გამოგლიჯონ სისტემას (შდრ. იქვე, გვ. 30-32. იხ., ასევე, გვ. 20, 23, 34, 37, სადაც მამარდაშვილი ქართველი გლეხის მიერ კოლმეურნეობის „მორგებაზე“ საუბრობს; გვ. 250-251, სადაც საუბარია იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება „მორგების“ ფენომენზე დამყარებით მართავს საზოგადოებას). ასეთი მენტალიტეტის მქონე საზოგადოებას მამარდაშვილი „**მაფიას**“ ანუ „**ანტისაზოგადოებას**“ უწოდებს. მისი აღწერით, ეს არის „წარმონაქმნი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებებს იმ პირობებში, სადაც ბუნებრივი, ნორმალური სოციალური კავშირების დისოციაცია მოხდა [...]“ (იქვე, გვ. 301). სხვაგან ის ამ წარმონაქმნს „სიკვდილის სხეულს“ უწოდებს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მორგების შედეგადაა წარმოქმნილი. „სინამდვილე რო დავინახოთ, ეს მორგების ჯაჭვი უნდა გავწყვიტოთ, რაც ნიშნავს, რომ ხანდახან მოგვიხდება გავწყვიტოთ სიყვარულის, ურთიერთგაგების კავშირები, დავარღვიოთ ადამიანური სიმყუდროვე. თუ საიმისიო ძალა და ვაჟკაცობა გვეყო, რომ ამის მიღმა დავდგეთ, გავვიჩინებთ „შეხვედრის“, „დანახვის“ შანსი“ (იქვე, გვ. 37).

ნა⁵³). ორივე შემთხვევაში მამარდაშვილი გარკვეულ თვისებებს მიანერს ერებს და ამ თვისებებს იგი ისტორიულ პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: ისინი, ფაქტიურად, განსაზღვრავენ, თუ რამდენად შეძლებს მოცემული ხალხი სოციალური ცვლილების განხორციელებას. ამგვარ მიზეზებზე მითითებით აცხადებს მამარდაშვილი, რომ, მაგალითად, რუსეთს განმანათლებლობამ „გვერდი აუარა“.⁵⁴ თუმცა, განმანათლებლობის ეპოქამდეც და განმანათლებლობის ეპოქის დროსაც ევროპისთვის უცხო არ იყო ძლიერი ავტოკრატიული სისტემები (მაგალითად, აბსოლუტური მონარქია საფრანგეთში, პრუსიის სამეფო), თუმცა განმანათლებლობა, როგორც მოვლენა, იქ მაინც განხორციელდა.

ასეთი მასშტაბური სახის განზოგადებები ისტორიულ-ფილოსოფიურ ჭრილში, რა თქმა უნდა, საკმაოდ პრობლემურია და კულტურული თავისებურებების გააბსოლუტების, სოციალური ცვლილების უგულვებელყოფის და ისტორიული პროცესის კომპლექსურობის გამარტივების საფრთხეებს შეიცავს. ჩემი აზრით, უფრო ადეკვატურია ქართველი ფილოსოფოსის აღნიშნული განცხადებების **პოლიტიკურ-რიტორიკულ** ჭრილში განხილვა, რაც ქვემოთ იქნება მოცემული (იხ. ქვემოთ 5. ფილოსოფიიდან პოლიტიკისკენ).

გარდა ამისა, რუსი ხალხის მამარდაშვილისეული შეფასება სხვა წინააღმდეგობასაც შეიცავს: ერთი მხრივ, იგი ამბობს, რომ რუს ხალხს აქვს გარკვეული თვისებები, რაც ხელს უწყობს რუსეთში იმპერიის არსებობას,⁵⁵ თუმცა იქვე აღნიშ-

53 იქვე, გვ. 14, 18 (კორუფცია), გვ. 21-22 (საგარეო პოლიტიკის დამოუკიდებელად წარმართვის უნარის დაკარგვა რომლის ფონზეც გაიდვალე-ბულია კოლონიურ პერიოდამდე ქართველთა მეფეების მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკა), გვ. 90 (აზროვნების სტრუქტურის დაზიანება. რადგან მამარდაშვილი აზროვნებისა და მოქმედების ცნებებს ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს, აზროვნების სტრუქტურაში იგი გულისხმობს ისეთ მოქმედებას, „რომელიც ხორციელდება ჩვენი ყოველდღიური სამოქალაქო ორიენტაციების, ჩვენი შინაგანი არჩევანის სახით“, იხ. იქვე).

54 შდრ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“ გვ. 235.

55 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 19.

ნავს, რომ მხოლოდ ეს თვისებები არ კმარა იმპერიის წარმოსაქმნელად: საჭირო იყო ისეთი დამატებითი ფაქტორების არსებობა, როგორც იყო, მაგალითად, პირველი მსოფლიო ომი (იხ. ზემოთ). მეორე მხრივ, სხვაგან მამარდაშვილი მიჯნავს რუსი ერის თვისებებს იმისგან, რასაც „გარკვეული სივრცის ბედისწერას“ უწოდებს⁵⁶ და რომელიც წარმოშობს ამ სივრცის დამახასიათებელ თვისებას: დაუსრულებლად გაიმეოროს გარკვეული ქმედებები, კერძოდ, მამარდაშვილის აზრით, ამ რუსულ სივრცეში ადამიანები არ არიან მზად, კრიტიკულად იაზროვნონ, მეტაფიზიკურ ჭრილში შეხედონ თავიანთ ცხოვრებას, შეასრულონ „გარკვეული სულიერი აქტები“, ისინი არ არიან ამისთვის მზად და გაუთავებლად გადადებენ ხოლმე ამ ქმედებებს.⁵⁷ ამრიგად, ერთი მხრივ არსებობს გარკვეული

56 იქვე, გვ. 87.

57 იქვე, გვ. 87-88, 91, 241-242. აღსანიშნავია, რომ მამარდაშვილის აზრით, სწორედ ეს „გარკვეული სულიერი აქტები“ არის ის, რაც ეთნოსს ანუ ხალხს ერად აქცევს. ეთნოსიდან ერად გარდაქმნის მამარდაშვილისეული კონცეფცია მეტაფიზიკურია და შემოკლებული სახით ის შეიძლება ამგვარად გადმოვცეთ: არსებობს ე.წ. „მარადიული ანმყოს“ ველი. ყველა ადამიანი ესწრაფვის თვითგანხორციელებას, საკუთარი ცხოვრების სისავსის ერთ წერტილში შეკრებას. თვითგანხორციელების ეს მცდელობები ხორციელდება უნივერსალურ საკაცობრიო სივრცეში, რომელიც რელიგიური გამოცდილებითა და რელიგიური სიმბოლოებითაა აღსავსე. სწორედ ამ უნივერსალურ სივრცეს უწოდებს მამარდაშვილი „მარადიულ ანმყოს“. ეთნოსი სწორედ ასეთ რელიგიურ სივრცეში არსებობს. ამ მეტაფიზიკურ სივრცესთან ზიარების შედეგად კონკრეტული ინდივიდები ეთნოსის წიაღში იწყებენ ერის ჩამოყალიბებას (იხ. М. Мамардашвили, „Одиночество – моя профессия...“, интервью Улдиса Тиронса, в: М. Мамардашвили, Очерк современной европейской философии. Санкт-Петербург: „Азбука“, 2012, გვ. 539-541). ეს შესაძლოა, საკმაოდ ბუნდოვნად ჩანდეს, თუმცა, თუკი გავითვალისწინებთ მამარდაშვილის ფრაზას, რომ „ფილოსოფია მარადიულ ანმყოსთან ზიარების საშუალებაა“ (იქვე, გვ. 539), ვფიქრობ, უფრო ნათლად იჩენს თავს პლატონური მოტივი: ფილოსოფოსი, რომელიც გამოქვაბულს თავს აღწევს, მეტაფიზიკურ რეალობას ეზიარება და შემდეგ პოლისში ბრუნდება მის გასაუმჯობესებლად (პლატონი, „სახელმწიფო“, VII წიგნი). ამ მეტაფიზიკური განზომილების გარდა მამარდაშვილთან გვხვდება სეკულარული განზომილება: ერი არის ის, რაც ყოველდღე გვეძლევა აგორაზე (იხ. ქვემოთ) მოქალაქეთა ერთობის სახით, რაც ყოველდღიურ პლებისციტს ექვემდებარება (იქვე, გვ. 541). ერის, როგორც ყოველდღიუ-

თვისებები ხალხში, ხოლო მეორე მხრივ, გარკვეული სივრცის გარკვეული თვისება. მიმართება თვისებათა ამ ორ სახეს შორის, ჩემი აზრით, ბუნდოვანია. გარდა ამისა, „გარკვეული სივრცის ბედისწერის“ თეზისთან ერთად მამარდაშვილი აღიარებს, რომ ტოტალიტარული სისტემის სტრუქტურები ყველა სივრცეში ერთნაირად მოქმედებს.⁵⁸ შესაბამისად, ბოლომდე ნათელი არაა, რუსეთის შემთხვევაში „გარკვეული სივრცის ბედისწერას“ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური მექანიზმების მოქმედება ემატება, თუ თავად ეს „ბედისწერა“ საკმარისი იმ შედეგის მისაღებად, რომელიც ამ სივრცეში ხორციელდება.

მამარდაშვილის ცენტრალურ ფოკუსს ტოტალიტარული სახელმწიფო და მისი სპეციფიკა წარმოადგენს, რომელიც წარმოშობს ისეთ ვითარებას, „ტრადიციულ“ პოსტკოლონიურ მიმართებებს რომ სცდება და სრულიად განსხვავებულ რეალობას აყალიბებს. რადგან ქართველი ფილოსოფოსისთვის საკვანძო მომენტს ქმნიდა საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა და ინდივიდუალურ/კოლექტიურ ცნობიერებაზე მისი ზემოქმედება, ის მკვეთრად მიჯნავდა რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებს და მათ ერთ სიბრტყეში არ განიხილავდა: „დღეს ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან სულაც არ არის ის, რაც იყო მე-19 საუკუნის საქართველოსი პეტერბურგთან.“⁵⁹ მეფის

რი პლებისციტის კონცეფცია **ერნესტ რენანს** ეკუთვნის: „ერის არსებობა [...] ყოველდღიური პლებისციტია, ისევე როგორც ინდივიდის არსებობა სიცოცხლის მუდმივი განმტკიცებაა“ (იხ. Ernest Renan, “What is a nation?,” in: *Nation and Narration*, H. Bhabha (ed.), London and New York: Routledge, 2000, გვ. 19). იხ., ასევე, მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 230: „ერი არის თვითქმედითი, თვითშემქმნელი არსი, რომელიც ყოველ წუთს იბადება ჩვენი ძალისხმევით.“ შდრ., ასევე, იქვე, გვ. 303.

58 იხ. ზემოთ, შენიშვნა 34.

59 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 12. მამარდაშვილის მიერ გატარებულ სპეციფიკურ განსხვავებას რუსეთისა და საბჭოთა იმპერიებს შორის ემატება, ასევე, მის მიერ ტერმინ „პოსტკოლონიურის“ თავისებური გამოყენება. 1988 წლის იანვარში პარიზის საერთაშორისო სიმპოზიუმზე ევროპის კულტურული იდენტობის შესახებ მერაბ მამარდაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ევროპული პასუხისმგებლობა“. აღნიშნული მოხსენ-

რუსეთი მამარდაშვილისთვის ტრადიციული დესპოტიზმია, „კლასიკური იმპერიების“ მსგავსი. რაც შეეხება ტოტალიტარულ სახელმწიფოს, – საბჭოთა კავშირს, – ის სრულიად განსხვავებული ფენომენია და მისი ზემოქმედების არეალი უფრო ფართოა: ის იმდენად მძლავრია, რომ ცნობიერების სტრუქტურებსაც კი განმსჭვალავს. თუმცა, **ტოტალიტარულ სახელმწიფოზე გადაჭარბებული ფოკუსირება ნაციონალური მომენტების უგულებელყოფის საფრთხეს შეიცავს. იმპერიული ჩაგვრა ეროვნული ჩაგვრაც იყო.**⁶⁰ მამარდაშვილი თითქოს ცდი-

ების ტექსტში გვხვდება შემდეგი ფრაზა: „ქვეყანა, სადაც მე დავიბადე, პარადოქსის განსახიერებაა: ის ყოფილი იმპერიის ნაწილია და, ამავე დროს პოსტკოლონიურია, რადგან კანონის უზენაესობის რომაული კონცეფცია მას არ შეეხება“ (იხ. M. Mamardashvili, *A Spy for an Unknown Country*, გვ. 59-60; M. Mamardashvili, *Сознание и цивилизация, Санкт-Петербург: Азбука, 2011*, გვ. 29; მ. მამარდაშვილი, „ევროპული პასუხისმგებლობა“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“ გვ. 35). ნათელია, რომ მამარდაშვილი სიტყვა „პოსტკოლონიურს“ განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს. ამას აღნიშნული მოხსენების ინგლისურ ენაზე მთარგმნელებიც აღნიშნავენ (იხ. M. Mamardashvili, *A Spy for an Unknown Country*, გვ. 60). აზრობრივად მსგავსი პასაჟი გვხვდება მოხსენების ტექსტში, რომლის სათაურია „სამოქალაქო საზოგადოების შესახებ“. აქ გვხვდება მითითება რომაულ სამართალზე და მისგან დაშორებაზე, თუმცა სიტყვა „პოსტკოლონიური“ ნახსენები არაა: „[...] რომაული სამართლისგან ჩვენ დიდად არ დავცილებულვართ და იმედი მაქვს, მისგან შორს არასოდეს წავალთ და პირიქით, დავუბრუნდებით მას“ (მდრ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოების შესახებ“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 179). სავარაუდოდ, „პოსტკოლონიურ“ მდგომარეობაში მამარდაშვილი გულისხმობს კანონის უზენაესობის პრინციპის არარსებობას, უკანონობის არსებობას, რაც მისი აზრით, საბჭოთა ყოფისთვისაა დამახასიათებელი (რომელიც თავისი არსებობის წესით უპირისპირდება ევროპული არსებობის მოდუსს, რომლისთვისაც, ქართველი ფილოსოფოსის აზრით, კანონის უზენაესობაა დამახასიათებელი). განსხვავებული ინტერპრეტაციისთვის იხ. V. Luarsabishvili, „The Freedom of Complaint“: Mamardashvili on Georgian Society at the End of the 1980s, in: *Rethinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, გვ. 103-104.

60 აღსანიშნავია, რომ მამარდაშვილის შესახებ თანამედროვე კვლევებშიც ამ საკითხს ზოგჯერ სათანადო ყურადღება არ ეთმობა. მაგალითად, მ. ნემცევი და ვ. ფაბიბენკო თავიანთ სტატიაში ახსენებენ სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში და აღნიშნავენ ეთნიკური დაძაბულობის არსებობას ქართველებსა და აფხაზებს შორის, თუმცა არაფერს ამბობენ რუსეთის როლზე ამ დაპირისპირების სისტემური ნახალისებისა და გაღვივების ჭრილში. მათი პერსპექტივით „დაძაბულობებმა ესკალაცია დაიწყო 1988

ლობს, თავი აარიდოს ნაციონალურ საკითხს და სტრუქტურულ ასპექტებზე გაამახვილოს ყურადღება, თუმცა ამას ბოლომდე ვერ ახერხებს: ნაციონალური მომენტები, ასე ვთქვათ, უკანა კარიდან შემოდის მის ნააზრევში და, როგორც ზემოთ ვიხილეთ, მეტროპოლიისა და კოლონიის მაცხოვრებელი ხალხებისთვის გარკვეული ფიქსირებული თვისებების მიწერაში, უკვე პოლიტიკურ-რიტორიკული დისკურსის სახით ავლენს თავს.⁶¹ ქართველი ხალხის გამორჩეულ თვისებებზე საუბარი მამარდაშვილმა, ფაქტობრივად, დაასრულა ცნობილი განცხადებით: „თუკი ჩემი ხალხი აირჩევს გამსახურდიას, მაშინ მე მომიწევს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წასვლა საკუთარი შეხედულებებისა და განწყობების ქრილში. არ მინდა ეს დავიჯერო.“⁶²

წელს, როდესაც გარდაქმნის პოლიტიკამ ესკალაციის მრავალრიცხოვანი შესაძლებლობები გააჩინა“. ამგვარი ერთი შეხედვით „ობიექტური ფაქტების“ ენა ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ჩქმალავს რუსეთის მიერ ათწლეულობით განხორციელებულ იმპერიულ და ეროვნულ ჩაგვრას და divide et impera-ს პოლიტიკას. იხ. M. Nemtsev and V. Faybysenko, *The Political Thought of Merab Mamardashvili*, გვ. 143. გარდა ამისა, როგორც კი ავტორები განიხილავენ აფხაზების შესახებ მამარდაშვილის შეხედულებებს, ისინი აღნიშნავენ, რომ მამარდაშვილი „თავს ვერ არიდებს ორაზროვნებას“ (იქვე, გვ. 148). საეჭვოა, რომ აფხაზების შესახებ მამარდაშვილის შეხედულებები განსაკუთრებული ორაზროვნებით გამოირჩევა, ვიდრე, დაფუძვით, რუსების შესახებ მისი შეხედულებები. ხომ არ არის ასეთი შეფასება იმით გამოწვეული, რომ მამარდაშვილი იცავს საქართველოს სუვერენიტეტის იდეას იმ საზღვრებში, რომლებიც დღეს აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ (და რომელიც უგულებელყოფილია რუსეთისა და მისი მარიონეტი სახელმწიფოების მხრიდან) და აფხაზთა დამოუკიდებლობას „მითიურს“ უწოდებს?

61 პოლიტიკურ-რიტორიკული და პირადი (მამარდაშვილი როგორც რუსულენოვანი ფილოსოფოსი, რომელიც საქართველოში დაბრუნდა და ძირითადად ქართველებს ესაუბრებოდა) მომენტების გარდა ასეთი განცხადებები შეიძლება აიხსნას ეპოქის სულითაც. ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა, ეთნიკური კონფლიქტების გამწვავება, ზოგადად, ეროვნული საკითხის წინ წამოწევა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა ამგვარი განაზრებებისთვის.

62 იხ. M. Mamardashvili, *Верю в здравый смысл*, Фонд Мераба Мамардашвили, <https://mamardashvili.com/ru/merab-mamardashvili/publikacii-iz-arhiva/interview/veryu-v-zdravij-smysl>. ეს პესიმისტური განწყობა ჩანს, ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1990 წლის 22 სექტემბერს

4. რა არის გამოსავალი? როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტოტალიტარული პოლიტიკური სტრუქტურის რღვევა არ ნიშნავს ტოტალიტარიზმის სუბიექტის გაქრობას, სუბიექტისა, რომელიც ტოტალიტარიზმის პირობებში ჩამოყალიბდა, ტოტალიტარული სისტემის მიერ დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში აზროვნებს და ამ სისტემის ნიაღში დამკვიდრებული ენობრივი ველის მეშვეობით გამოხატავს თავის სათქმელს. მაგრამ თუკი ტოტალიტარიზმის სუბიექტი ისევ არსებობს და, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის მსხვრევის მიუხედავად, ისევ დეფორმირებული ენობრივი ველის ნიაღში აზროვნებს და მოქმედებს, რისი მეშვეობითაა შესაძლებელი ამ მდგომარეობის გადალახვა? თავად მამარდაშვილი ასე სვამდა შეკითხვას: „როგორ დავაღწიოთ თავი ამას [იგულისხმება საბჭოთა ადამიანი – გ. თ.], როგორ შევექმნათ საკუთარ თავში სხვა საყრდენები [...]“⁶³

აქ, უპირველეს ყოვლისა, თავს იჩენს გამოღვიძების მოტივი, რომელიც ეხმიანება ზემოთ მოყვანილ პასაჟს, სადაც მამარდაშვილი კაფკას ნაწარმოებს ახსენებს: „ჩვენ რომ ვიღვიძებთ რაღაც შესაძლებლობების წინაშე, თვითონ თავისუფლების წინაშე, ვიღვიძებთ ისეთები, როგორებიც დავიბადეთ და ამ დაბადების ნიშნები გვემჩნევა,“ – აღნიშნავს ის.⁶⁴ ამრიგად, ტოტალიტარული სისტემა ინდივიდების აზროვნებას დაღს ასვამს, თუმცა დგება დღე, როდესაც ინდივიდები იღვიძებენ, როდესაც მათ წინაშე ახალი შესაძლებლობები ჩნდება, ტო-

ნაკითხულ ლექციაში: „30 წელი ვიცხოვრე რუსეთში იმ რწმენით, რომ ქართველი ვარ და რომ ქართველები მანაც არა ვართ ისეთი ბნელი, როგორც რუსები. [...] ამის კონსტანტაციას ყოველდღე ვაკეთებდი მოსკოვში და მის შემოგარენში. დავბრუნდი და აღმოჩნდა, რომ ეს ილუზია ყოფილა, რომ მენტალური, ფსიქოლოგიური, სიტყვიერი დამონების პროცესი ძალიან წინ და შორს წასულა.“ იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 242-243.

63 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 124.

64 იქვე, გვ. 9 (გამოყოფა ჩემია); იხ., ასევე, იქვე, გვ. 17-18: „შესაძლებელი გამოსავალი გამოჩნდება მაშინ, როდესაც მოძრაობას დაეწეობ. [...] ჩვენი საქმეა, ვიცოდეთ, რისკენ უნდა მივმართოთ მოძრაობა.“

ტალიტარული პოლიტიკური სტრუქტურა იმსხვრევა და ჩნდება **თავისუფლების** შესაძლებლობა.⁶⁵ მამარდაშვილს ეს ამოცანა საკმაოდ რთულად მიაჩნია,⁶⁶ თუმცა ის არ თვლის მას შეუძლებლად:

დამოუკიდებლობის მოპოვება აუცილებელი წინაპირობაა. „სანამ დამოუკიდებლობას ვერ მივაღწევთ, ვერ დავინახავთ რეალობას, ვერ გავიგებთ ჩვენს თავს.“⁶⁷ მაგრამ ტოტალიტარული სისტემის მიერ ცნობიერებაზე განხორციელებული ხანგრძლივი წნეხის გამო მხოლოდ დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი ფორმალური გამოცხადება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ტოტალიტარიზმის სუბიექტის, ანუ „ჰომო სოვიეტიკუსის“ გაქრობას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტოტალიტარული სისტემა შეიძლება არ არსებობდეს, თუმცა ინდივიდები **უკვე დეფორმირებული** ენობრივი ველის წიაღში აგრძელებდნენ აზროვნებასა და მოქმედებას. ეს სპეციფიკური ვითარება, რომელშიც, მამარდაშვილის აზრით, ქართული საზოგადოება იმყოფებოდა, განაპირობებდა მის განსხვავებულობას სხვა პოსტკოლონიური საზოგადოებებისგან, რომლებიც ადრე „კლასიკური იმპერიების“ შემადგენლობაში იყვნენ. სწორედ ამიტომ შენიშნავს იგი დამოუკიდებლობის იდეის განდისეული ხედვის განხილვის შემდეგ: „სინამდვილეში ჩვენი ამოცანა

65 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 9. იხ., ასევე, იქვე, გვ. 29: „ჩვენ ვიმყოფებით პოსტ-ტოტალიტარულ სიტუაციაში, გამოვდივართ გვირაბიდან და საშუალება გვეძლევა, დავინახოთ საკუთარი თავი.“ გალვიძების მეტაფორა საკუთარი თავის დანახვის შესაძლებლობას გულისხმობს. ეს ქმნის სანყის პოზიციას, ათვლის ნერტილს, რომლიდანაც გარდაქმნა უნდა დაიწყოს, როდესაც ინდივიდებმა დამოუკიდებლად უნდა იმოქმედონ და იაზროვნონ. ამისგან განსხვავებით, ტოტალიტარულ პერიოდში ადამიანებს ეს უნარი არ გააჩნიათ: „აქამდე ჩვენში ჩვენი საკუთარი თავი არ მოქმედებდა. ჩვენ ვიყავით მარიონეტი საკუთარი აზრებისა, რომლებიც ჩვენი აზრები არ იყო“ (იქვე).

66 „პირველი მომენტები [სიცოცხლისკენ – გ.თ.] დაბრუნების მცდელობისა ძალიან ძნელი იქნება“. იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 184-185.

67 იქვე, გვ. 13.

გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე გვგონია.⁶⁸ იმისთვის, რათა ემანსიპაცია სრული იყოს, საჭიროა როგორც გარკვეული **აზრობრივი კლიშეებისგან გათავისუფლება**, ასევე, **გარკვეული პრაქტიკების დანერგვა**, რომლებიც ამ კლიშეებისგან გათავისუფლებულ აზროვნებასთან იქნებიან შესაბამისობაში. „ჩვენ გვჭირდება განთავისუფლება არა მხოლოდ იმპერიისგან, არამედ ჩვენივე ცხოვრების გარკვეული შინაგანი პრინციპისაგან“, – აღნიშნავდა მამარდაშვილი.⁶⁹

დავინწყებ პრაქტიკების განხილვით. მამარდაშვილის მიერ შემოთავაზებული პრაქტიკები შესაძლებელია ორ – პოლიტიკურ და ეკონომიკურ – განზომილებას მივაკუთვნოთ. პოლიტიკურ განზომილებაში არსებული პრაქტიკებიდან მამარდაშვილისთვის უმნიშვნელოვანესია მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქართველი ფილოსოფოსი ერთმანეთს უპირისპირებს ორგვარი სახის მოქალაქეს. პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ინდივიდები, რომლებსაც არ შეუძლიათ, საზოგადოებაში არსებული მოვლენები საკუთარ შეხედულებებთან დააკავშირონ,⁷⁰ ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ადამიანები, „რომლებიც იმდენად განვითარებულნი არიან, რომ გააჩნიათ საზოგადოებრივი მსჯელობის უნარი და კუნთები საზოგადოებაში სარისკო და საპასუხისმგებლო ქმედებების განსახორციელებლად“.⁷¹ მათთვის წარმოუდგენელია ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, რომელშიც ისინი საკუთარი თავისა და ქმედებების ანარეკლს ვერ დაინახავენ.⁷² ეს ერთგვარად იდეალისტური ხედვაა, თუმცა მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მამარდაშვილის სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში.

68 იქვე.

69 იქვე, გვ. 24.

70 შდრ. მ. მამარდაშვილი, „ცნობიერება და ცივილიზაცია“ (ინტერვიუ „სამოქალაქო საზოგადოება“, 1989 წ.), გვ. 240.

71 იქვე, გვ. 245.

72 იქვე.

დამოუკიდებლობის ქონა და თავისუფალი საზოგადოების არსებობა აუცილებელი წინაპირობაა მოქალაქეთა ჩართულობისთვის. ის აყალიბებს პოლიტიკურ კულტურას, „რესპუბლიკური ცხოვრების გამოცდილებას“, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. მამარდაშვილის აზრით, ქართული საზოგადოებისთვის ტოტალიტარიზმიდან პოლიტიკური და გონებრივი გათავისუფლების გზაზე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ამგვარი რესპუბლიკური ცხოვრების გამოცდილების არქონა, რაც, მაგალითად, ჰქონდათ ბალტიისპირეთის ქვეყნებს მათი უფრო ხანგრძლივი დამოუკიდებლობის პერიოდში.⁷³

„აგორას“, ანუ ეფექტური და კრიტიკული საჯარო დისკურსის ცნებას ცენტრალური ადგილი უკავია მამარდაშვილის სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში. ქართველი ფილოსოფოსი მიიჩნევს, რომ „ისტორიულ რეალობას მოქალაქეები აღმოაჩინენ ერთობლივი განხილვით საზოგადოებრივ ფორუმებზე“.⁷⁴ იგი ყურადღებას ამახვილებს დელიბერაციის ანუ საჯარო განხილვის და საჯარო კრიტიკული დისკურსის ფარგლებში აზრების თავისუფალი გამოხატვის მნიშვნელობაზე. ამ კუთხით მამარდაშვილი ემყარება ბერძნული პოლისის იდეალიზებულ გაგებას, რომელიც მისთვის „არტიკულირებული პოლისის“ იდეალურ ვერსიას წარმოადგენს.⁷⁵ „არტიკულაცია“ თვითგამოხატვასა და საჯარო საკითხების განხილვას უკავშირდება. მამარდაშვილის თანახმად, „არტიკულირებული სივრცე“ არის ისეთი სივრცე, სადაც მოცემულია ყველაფერი, რაც ღიაა გამოცდილებისთვის, სურვილისთვის, აზროვნებისთვის.⁷⁶ აგორაზე ხდება აზრების „აგორავება“: „მე შემძლია, ჩემ გარეთ გავიტანო ჩემი მდგომარეობანი, გრძნობები, აზრების დასაწყისები, ნახევარაზრები,

73 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 14.

74 იხ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 237.

75 იხ. M. Мамардашвили, „Одиночество – моя профессия...“, გვ. 535.

76 შდრ. მ. მამარდაშვილი, „ევროპული პასუხისმგებლობა“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 37.

ან აზრის მესამედები და ვაგორავო აგორაზე.⁷⁷ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „აგორა“ მამარდაშვილისთვის ნიშნავს საჯარო სივრცეს, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ აზრების თავისუფალი ურთიერთგაცვლა და დისკუსიის შედეგად ახალი აზრებისა და შეხედულებების ჩამოყალიბება: „აგორა იმის შანსს მაძლევს, რომ საჯაროობაში გადაგდებულ არარსებულს არსებობა შეეძინო.“⁷⁸

ამგვარად, „აგორას“ ცნება მჭიდრო კავშირშია **აზროვნების** ცნებასთან. თუმცა მხოლოდ აზროვნება არაა საკმარისი. იმისთვის, რათა აგორა მოვლენად, ხდომილებად იქცეს, საჭიროა აზრების „აგორავება“: „აზრის მიღწეული მდგომარეობა ჯერ უნდა „აგორავდეს“, როგორც აგორაზე, კუნთებით გადაიდდეს, როგორც თოვლის პაპა დიდდება თოვლით, შეიძინოს ძალა თავისი საკუთარი შესაძლებლობის განსახორციელებლად.“⁷⁹ მამარდაშვილი საგანგებოდ იყენებს ფიზიკურ მეტაფორებს („კუნთები“, „აგორავება“), რათა გადმოსცეს აზროვნებასა და მოქმედებას შორის არსებული კავშირი.

აგორაზე მოქალაქეობა უფლება კი არაა, არამედ სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობის ვალდებულებას ნარმოადგენს.⁸⁰ მხოლოდ ამ ჩართულობის მეშვეობით იგებს მოქალაქე, თუ რას ფიქრობს და გრძნობს იგი სინამდვილეში.⁸¹ ამრიგად, აგორაზე ჩართულობა ნიშნავს სხვების, ანუ სხვა მოქალაქეების, მათი შეხედულებების აღმოჩენას და საკუთარი აზრების ფორმირებას მათთან დებატების მეშვეობით. ამ პროცესის დროს აზროვნება იძენს „კუნთებს“ და მოქმედებად იქცევა. „აგორა“ აქ მხოლოდ კონკრეტულ ფიზიკურ სივრცედ კი არ

77 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 112.

78 იქვე.

79 იხ. მ. მამარდაშვილი, „ცნობიერება და ცივილიზაცია“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 26 (თარგმანი შეცვლილია).

80 შდრ. მ. მამარდაშვილი, „სამოქალაქო საზოგადოების შესახებ“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 181.

81 შდრ. მ. მამარდაშვილი, „თუ გავბედავთ, ვიყოთ“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 96.

უნდა გავიაზროთ (როგორც ეს ანტიკურ პოლისში იყო), არამედ უფრო როგორც თავისუფალი და კრიტიკული დისკურსის (აბსტრაქტული) სივრცე, რომლის ფარგლებშიც მოქალაქეები ერთმანეთთან კომუნიკაციას ამყარებენ და ჩართულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში (თუმცა, ამგვარი აბსტრაქტული სივრცის, როგორც წინაპირობის არსებობა კონკრეტული ფიზიკური სივრცეების – სადაც მოქალაქეები შეიკრიბებიან და იკამათებენ – არსებობას არ გამორიცხავს, პირიქით, გულისხმობს კიდევც). თავისუფალი და საჯარო კრიტიკული დისკურსის არსებობას მამარდაშვილი სამოქალაქო საზოგადოების ცნებას უიგივებს, რომლის წიაღშიც საზოგადოებრივი ქსოვილი კომუნიკაციური ნაკადებითაა დაქსელილი. ეს არის წინააღმდეგობებითა და დაძაბულობებით აღსავსე სივრცე, რომლის წიაღშიც მოქალაქეები ბჭობენ, კამათობენ და „აზროვნების კუნთებს“ ავითარებენ.⁸² აგორა არის ის სივრცე, რომელშიც ერი ერთად ყალბდება, რადგან ყოველდღიურ პლემბისციტს ექვემდებარება (აქ მამარდაშვილი ერენსტ რენანის ცნობილ ფრაზას იყენებს, ოღონდ მითითების გარეშე).⁸³

თუკი აგორას ცნება პოლიტიკურ განზომილებას განეკუთვნება, **შრომის გათავისუფლების, ანუ თავისუფალი შრომის** ცნება ისეთ პრაქტიკებს აღნიშნავს, რომლებიც ეკონომიკურ განზომილებას განეკუთვნებიან. აქ მამარდაშვილი გულისხმობს თავისუფალ შრომით ურთიერთობებს თავისუფალ ინდივიდებს შორის, ისეთ ვითარებას, როდესაც ინდივიდები თავად წყვეტენ, რა მიმართულებით წარმართონ თავიანთი შრომა,

82 შდრ., ასევე, M. Nemtsev and V. Faybyshenko, *The Political Thought of Merab Mamardashvili*, გვ. 141 (ავტორები აღნიშნავენ აზროვნების არტიკულაციისა და პოლიტიკური განზომილების საფუძველმდებარე კავშირს მამარდაშვილთან). აგორის, როგორც აზროვნებისა და მოქმედების სინთეზის საპირისპირო მდგომარეობაა მიტინგი, რომელიც მამარდაშვილთან გამოხატავს ემოციურ, აფექტურ მდგომარეობას, რომლის პირობებშიც აზროვნება და საკითხების სერიოზული განხილვა შეუძლებელია. შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 12. იხ., ასევე, იქვე, გვ. 9: „მიტინგი არ არის ადგილი, ტოპოსი, სადაც შეიძლება მოხდეს აზროვნების აქტი.“

83 ეთნოსიდან ერთად გარდაქმნის მამარდაშვილისეული კონცეფციის შესახებ იხ. ზემოთ შენიშვნა 57.

როდესაც მათ თავად უნდა გასწიონ შესაბამისი რისკი და პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ გადაწყვეტილებებზე. თავისუფალი შრომითი ურთიერთობების დამყარება არის ის გზა, რომლითაც საბჭოთა მოქალაქემ საკუთარ ინფანტილურ მდგომარეობას თავი უნდა დააღწიოს და სახელმწიფოზე დამოკიდებულება საკუთარი ავტონომიურობით ჩაანაცვლოს:⁸⁴ „[...] უნდა განთავისუფლდეს შრომა – განხორციელდეს თავისუფალი შრომის თანამედროვე ევროპული პრინციპი.“⁸⁵

ამ მიმართებით მამარდაშვილი ლიბერალურ მოაზროვნედ გვევლინება, რომელიც მხარს უჭერს სახელმწიფოს როლის შეზღუდვას ეკონომიკის სფეროში. თუმცა, ვიდრე ინდივიდები სახელმწიფოს იმედად იქნებიან, ისინი ვერ შეძლებენ საკუთარი ავტონომიურობის განვითარებას. „დემოკრატია – ესაა შრომის თავისუფლება და არა ვალდებულება შრომისა, როგორც ეს სოციალისტურ და კომუნისტურ უტოპიებშია ჩამოყალიბებული. შრომის თავისუფლება – ესაა შესაძლებლობა შენი საქმის კეთებისა ისე, როგორც ეს შენ გესმის. სხვა შემთხვევაში შრომას ადგილი არ აქვს.“⁸⁶

აგორას ამოქმედებისა და თავისუფალი შრომის პრაქტიკების დანერგვისთვის, მამარდაშვილის აზრით, აუცილებელია აზროვნების კლიშეებისგან გათავისუფლება. მაგალითად, თავისუფალი შრომის პრაქტიკა ვერ დაინერგება, თუკი ადამიანები იფიქრებენ, რომ ხელისუფლებამ უნდა იფიქროს ხალხის გამოკვებაზე,⁸⁷ საბჭოთა მენტალობისგან გათავისუფლება ვერ მოხდება, თუკი უკანონობა, კანონისთვის გვერდის ავლა, მოქა-

84 შდრ. მ. მამარდაშვილი: „სინამდვილის ფილოსოფია“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 201-202.

85 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 24. იხ., ასევე, შენიშვნა 7.

86 იხ. მ. მამარდაშვილი, „ჯაშუშის ცხოვრება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 282.

87 შდრ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 17; იხ., ასევე, იქვე, გვ. 24: „არ გვინდა არც კარგი, არც ცუდი პარტია, არც კომუნისტური და არც სხვა, რომელიც იკისრებს ხალხის გამოკვებას და მომარაგებას. ესაა სწორედ საბჭოთა პრინციპის გამოხატულება.“

ლაქებისთვის ჩვეულებრივი *modus operandi* იქნება⁸⁸ და თუკი არ მოხდება ტოტალიტარული რეჟიმის მიერ დეფორმირებული ენობრივი ველის განმენდა.⁸⁹ ეს კი აგორაზე – ღია საზოგადოებრივ სივრცეში – აზრების გაცვლა-გამოცვლით, აზრთა „აგორავეებით“ უნდა განხორციელდეს. ამით, თავის მხრივ, იკვრება წრე, რომელსაც ისევ პრაქტიკებამდე მივყავართ: ერთი მხრივ, საჭიროა შინაგანი მუშაობა, ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ დეფორმირებული ენობრივი ველის განმენდა კრიტიკული აზროვნების გააქტიურებით, ძალისხმევა,⁹⁰ რათა ადამიანმა გადადგას გაბედული მოქმედებები, რათა მან საზოგადოებაში თავისი მოქმედებების შედეგები დაინახოს (თავისუფალი შრომა, შრომის თავისუფლება ამის წინაპირობად გვევლინება) და ამით ემპრიონალური მდგომარეობიდან ავტონომიურ მდგომარეობას მიაღწიოს; მეორე მხრივ კი აუცილებელია, რომ ეს პროცესი სხვებთან ურთიერთქმედებით, აგორაზე იდეების გაცვლა-გამოცვლის ფონზე წარიმართოს. ინდივიდუალური, შინაგანი განზომილებიდან გარეგანი, სოციალური განზომილებისკენ მიმართულ ამ ვექტორს გულისხმობდა მამარდაშვილი, როდესაც ამბობდა, რომ ადამიანის უდიდესი ნაწილი მის გარეთაა, კერძოდ, არტიკულირებულ, აგორის/ენის სივრცეში, სადაც სოციალური ქსოვილის ნერვებში სიცოცხლის იმპულსები ფეთქავენ.⁹¹

5. ფილოსოფიიდან პოლიტიკისკენ. 1980-იანი წლების მიწურულს მამარდაშვილი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო. განსხვავებული შეხედულებების

88 შდრ. იქვე, გვ. 30-32.

89 იხ. მ. მამარდაშვილი, „აზროვნებისა და ენის განსაზღვრება“, კრებულში: „ცნობიერების ტოპოლოგია“, გვ. 194: „დღეს, ენისა და მეტყველების სოვიეტიზაციის შემდეგ, ჩვენ გვესაჭიროება ხელახლა ვიპოვოთ თითოეული სიტყვის მნიშვნელობა.“

90 შდრ. მ. მამარდაშვილი, „ევროპული პასუხისმგებლობა“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 38: „[...] ადამიანი – ეს ერთობ ხანგრძლივი ძალისხმევაა.“

91 შდრ. იქვე.

ქონის გამო წარმოიშვა კონფლიქტი მამარდაშვილსა და ზვიად გამსახურდიას (და მის მომხრეთა ბანაკს) შორის. საყოველთაოდ ცნობილია მისი ფრაზა სახალხო ფრონტის ყრილობაზე „ჭეშმარიტება უფრო მალლა დგას, ვიდრე სამშობლო“, რასაც დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. მნიშვნელოვანია ამ ფრაზის კონტექსტის ცოდნაც, რადგან მას ხშირად სწორედ კონტექსტიდან ამოვარდნილი სახით იმონებენ. მამარდაშვილი ამბობს:

„[...] მესმის ისიც, რომ ჩვენი ადგილი არ არის დასატოვებელი, ვინც გადალახა ეს სახიფათო წერტილი და ჩამოყალიბდა როგორც ადამიანი, რომელსაც აქვს ერთი მხოლოდ კანონი მის ზევით – ეს პირადი სინდისი. და ეს პირადი სინდისი გვიკარნახებს, თუ ქრისტიანები ვართ, რომ ყველაზე მალლა დგას ამ **სინდისის ნათელი წერტილი, ანუ ჭეშმარიტება**. [ჭეშმარიტება] სამშობლოზეც მალლა დგას, იმიტომ რომ ხანდახან ჩვენ სამშობლოს ინტერესად მიგვაჩნია რაღაცა, რომელიც სინამდვილეში არ არის სამშობლოს ინტერესი. [...] მის ინტერესად დანახვას გვიკარნახებს ვნება, სისხლის ჩქეფა ჩვენში, ან მშობლიური ნიადაგი. ამის იქით არ ვიხედებით და ამის იქით გახედვა შეიძლება მხოლოდ ჭეშმარიტების ვარსკვლავის ქვეშ, მისი სხივის ქვეშ. ეს არის, სხვათა შორის, ელემენტარული ქრისტიანული მრწამსი. ვიმეორებ, ჭეშმარიტება უფრო მალლა დგას, ვიდრე სამშობლო. ამიტომ საქართველო არ შეიძლება იყოს ფეტიში. ქრისტიანობაში საერთოდ კერპები და ფეტიშები არ არსებობენ.“⁹²

92 იხ. 1989 წელი, სახალხო ფრონტის ყრილობა, <https://youtu.be/j4P1wfohLSc> (5:25-6:44, გამოყოფა ჩემია). იმდროინდელი პოლიტიკური კონტექსტის და კერძოდ, სახალხო ფრონტის ყრილობის მიმდინარეობისა და სხდომაზე არსებული დაპირისპირებების შესახებ იხ. დ. შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამსობა საქართველოში: 1987-1992 წწ.“, მეორე გამოცემა, თბილისი: „არტანუჯი“, 2021 წ., გვ. 57-84. დიდი ალბათობით, მამარდაშვილის აღნიშნული ფრაზისთვის შთაგონების წყარო იყო რუსი ფილოსოფოსი პეტრე ჩაადაევი (1794-1856 წწ.), რომელიც თავის ნაწარმოებში „შეშლილის აპოლოგია“ (1837 წ.) წერს: „მშვენიერი რამეა სამშობლოს სიყვარული, მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მშვენიერი რამ: ესაა ჭეშმარიტების სიყვარული. სამშობლოს სიყვარული გმირებს წარმოშობს, ხოლო ჭეშმარიტების სიყვარული წარმოშობს ბრძენ

პრობლემა, რომელსაც მამარდაშვილი წაანყდა, იყო ძველთაგანვე ცნობილი დაპირისპირება ფილოსოფიურ და პოლიტიკურ დისკურსებს შორის. ანტიკურობაში ამის ცნობილი მაგალითია სოკრატეს ის ფიგურა, რომელიც პლატონმა შემოგვინახა თავის დიალოგებში. გამოქვაბულის მითში, რომელიც აღწერილია დიალოგში „სახელმწიფო“ (VII წიგნი), პლატონის სოკრატე აღწერს გამოქვაბულიდან თავდაღწეულ ადამიანს და იმ საფრთხეს, რომელიც მას ემუქრება, როდესაც ის გამოქვაბულში დაბრუნდება და სხვა ადამიანებს გარე სინამდვილის შესახებ მოუყვება, რაც მათ ილუზიად მიაჩნიათ (514a-517c). გამოქვაბულის მითი მიუთითებს იმ დაძაბულობაზე, რომელიც ფილოსოფიურ და პოლიტიკურ დისკურსებს შორის არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული სოკრატეც ამ დისკურსებს შორის დაპირისპირების მსხვერპლი გახდა (ყოველ შემთხვევაში, პლატონის ნარატივში ეს ასეა). სოკრატემდე ასეთივე ბედი ეწია პითაგორასაც, რომელიც მის მიერ დაარსებული სკოლის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას ემსხვერპლა, ან გაქცევით უშველა თავს.⁹³

პოლიტიკურ დისკურსს თავისი ტერმინოლოგია, ტემპი და დინამიკა აქვს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ტოვებს ადგილს ფილოსოფიური დისკურსისთვის. მამარდაშვილი, ერთი მხრივ, ცდილობდა, საკუთარი ფილოსოფიური შეხედულებები გადმოეცა, მაგრამ რადგან თავისი ეპოქის მშფოთვარე მოვლენებში უწევდა ჩართულობა, ბუნებრივია, აქტუალური საკითხები (ნაციონალიზმი, ერი, სამშობლო, მეტროპოლია, კოლონალიზმი და სხვ.) მის მსჯელობაზეც აისახებოდა, მით

ადამიანებს, კაცობრიობის კეთილისმყოფელებს. სამშობლოსადმი სიყვარული განაცალკევებს ხალხებს, აღვივებს ეროვნულ ზიზღს და ზოგჯერ დედამიწას გლოვით მოსავს. ჭეშმარიტების სიყვარული ავრცელებს ცოდნის შუქს, წარმოშობს სულიერ კმაყოფილებას და აახლოებს ადამიანებს ღვთაებასთან. ზეცისკენ მიმავალი გზა სამშობლოზე კი არ გადის, არამედ ჭეშმარიტებაზე.“ იხ. П. Чаадаев, Апология сумасшедшего, в: П. Чаадаев, Полное собрание сочинений и избранные письма, т. 1, Москва: “Наука”, 1991, გვ. 523.

93 იხ. C. Huffman, “Pythagoras”, *The Stanford Encyclopedia of Philosophy* (Winter 2018 Edition), Edward N. Zalta (ed.), <https://plato.stanford.edu/archives/win2018/entries/pythagoras/>.

უმეტეს, როდესაც საჯარო ლექციის ფორმატი იყო ის, რამაც მას საბჭოთა კავშირის მასშტაბით დიდ პოპულარობა მოუტანა.⁹⁴

შესაბამისად, 1980 წლის შემდეგ ქართულ სივრცეში დაბრუნებული მამარდაშვილის ინტერვიუებსა თუ ლექციებში ხშირად ვხვდებით **პოლიტიკურ-რიტორიკულ მომენტებს** (ქართველთა განსაკუთრებულ ნიჭიერებასა და სიმარჯვეზე მითითება, ქრისტიანულ მოტივები, რუსებისა და რუსეთის გაკენწვლა და ა.შ.). ამით იმის თქმა როდი მსურს, რომ ამ პერიოდში მამარდაშვილის ყველა განცხადება პოლიტიკურ (ან რიტორიკულ) ხერხად განვიხილოთ: შეუძლებელია იმის ცოდნა, რა ინტენციები იდგა კონკრეტულად ამა თუ იმ განცხადების უკან. თუმცა, დაძაბული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ასევე, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ მამარდაშვილი ჩართული იყო პოლიტიკურ პროცესებში და გამსახურდიას მკვეთრად დაუპირისპირდა, რიტორიკულ-პოლიტიკურ მომენტებს მის განცხადებებში ვერ გამოვრიცხავთ. უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევებში შეიძლება ითქვას, რომ პოლემიკა გამსახურდიასთან უფრო ნათლად ავლენს თავს (ქრონიკული მიტინგის მდგომარეობის კრიტიკა,⁹⁵ ქრისტიანობის უკეთ გააზრებაზე პრეტენზიის ქონა,⁹⁶ ღია საუბარი არსებულ დაპირისპირება-

94 მამარდაშვილის საჯარო ლექციებზე დარბაზი ისე იყო ხოლმე გადავსებული, რომ დასაჯდომი ადგილის პოვნა რთულდებოდა და ადამიანები ფეხზე იდგნენ. იხ. ბ. ოდიშარია, „ლიმილის გახსენება“, კრებულში: „მერაბ მამარდაშვილი“, გვ. 162; A. DeBlasio, *The Filmmaker's Philosopher: Merab Mamardashvili and Russian Cinema*, Edinburgh: Edinburgh University Press, 2019, გვ. 1, 6.

95 იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, გვ. 8-9.

96 1990 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლში მამარდაშვილი ხშირად იმონშებს სახარებას და ქრისტიანობის კონტექსტში განიხილავს მთელ რიგ საკითხებს. იხ. მ. მამარდაშვილი, „საუბრები ფილოსოფიაზე“, რედ. გ. ნოდია, თბილისი, 2015 წ. მამარდაშვილთან ქრისტიანობის ცნების მნიშვნელობის შესახებ იხ. M. Nemtsev and V. Faybyshenko, *The Political Thought of Merab Mamardashvili*, გვ. 146-147. თავის მხრივ, ზვიად გამსახურდია ცდილობდა, ეროვნული საკითხი ქრისტიანობის ჭრილში გაეაზრებინა. იხ. ზ. გამსახურდია, „საქართველოს სულიერი მისია“, თბილისი: „განათლება“, 1990 წ.

ზე⁹⁷ და ა.შ.). შესაბამისად, ვერ გავიზიარებ პოზიციას, რომ 1990 წლისთვის ქართულ საზოგადოებას ორ დისკურსს შორის უწევდა არჩევანის გაკეთება, რომელთაგან ერთი წმინდად ფილოლოგიური იყო (ასე ვთქვათ, „გამსახურდიას ხაზი“), ხოლო მეორე – წმინდად ფილოსოფიური (მამარდაშვილის ხაზი).⁹⁸ ჩემი არგუმენტი ასეთია: **მამარდაშვილის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ფილოსოფიურ დისკურსთან წმინდა სახით, არამედ პოლიტიკურ სივრცეში, პოლიტიკურ პროცესებში გარკვეული ფილოსოფიური კატეგორიების შემოტანასთან, ფილოსოფიური და პოლიტიკური დისკურსების სინთეზირების მცდელობასთან.** შედეგად წარმოიქმნა დისკურსი, რომელიც ფილოსოფიური და პოლიტიკური განზომილებების დაძაბულობებით ვიბრირებს და დიდი ალბათობით არასწორი მიდგომა იქნება, თუკი მას თავიდან ბოლომდე „ფილოსოფიურად“ მივიჩნევთ.⁹⁹ კომპლექსური პოლიტიკური რეალობის გამარტივება იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ქართულმა საზოგადოებამ ორი პოლიტიკური დისკურსიდან ერთი აირჩია: 1990 წლის ჩახლარ-

97 იხ., მაგალითად, მ. მამარდაშვილი, „ჯაშუშის ცხოვრება“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 291-292; 301.

98 აღნიშნული პოზიციისთვის იხ. Заал Андрионишвили, Георгий Майсұрадзе, Грузия-1990: филологема независимости, или Неизвлеченный опыт, НЛО, (1) 2007, <https://magazines.gorky.media/nlo/2007/1/gruziya-1990-filologema-nezavisimosti-ili-neizvlechennyj-opyt.html>.

99 ვერ ვიტყვით, რომ პოლიტიკურ-რიტორიკული ელემენტის არსებობა თავისთავად უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა. მაგალითად, თომას პეინის „სალი აზრი“ (1776 წ.) ანტიმონარქისტული ნაწარმოებია, რომელშიც პოლიტიკური ფილოსოფიის პრინციპები ოსტატურადაა გადაწული რიტორიკულ ელემენტებთან და არსებული სინამდვილის პოლიტიკურ ანალიზთან. თუმცა, თუკი „სალი აზრში“ ფილოსოფიური და პოლიტიკური დისკურსების თანამყოფობა პეინისთვის სასარგებლო გამოდგა, იგივეს ვერ ვიტყვით მის ნაშრომზე „გონების ეპოქა“, რომლის პირველი ნაწილი 1794 წელს დაიბეჭდა და რომელიც პეინის მოწინააღმდეგეებმა იმისთვის გამოიყენეს, რათა მისი ავტორისთვის ათეიზმი დაებრალეზინათ. აღნიშნულმა ნაშრომმა პეინს საგრძნობლად შეუღალა რეპუტაცია (იხ. J. Fruchtman Jr., *The Political Philosophy of Thomas Paine*, Baltimore: The Johns Hopkins University Press, 2009, გვ. 25). ფილოსოფიური და პოლიტიკური დისკურსების სინთეზირების მცდელობა გარკვეულ რისკებს შეიცავს.

თულ, დაძაბულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც მალე სამოქალაქო ომის ბიძგებით შეჯანჯვლარდა, ქართული საზოგადოება არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ ფილოლოგიურ და ფილოსოფიურ დისკურსებს შორის არჩევანი გაეკეთებინა. რეალობა საამისოდ საკმაოდ ბუნდოვანი იყო.

ფილოსოფიურ და პოლიტიკურ დისკურსებს შორის არსებული ეს დაძაბულობა განაპირობებდა იმას, რომ მათი სინთეზირების მამარდაშვილისეული მცდელობა ყოველთვის არ იყო წარმატებული. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს გამოვლინდა სახალხო ფრონტის ყრილობაზე მამარდაშვილის ზემოთ მოყვანილ სიტყვებში, რომლებსაც დამსწრე საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი, დიდწილად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ჩაადაევისეული და კანტიანური მოტივები, რომლებიც ამ სიტყვების მიღმა მოქცეული, ბუნებრივია, ყველასთვის ნათელი არ იყო. შესაბამისად, აღნიშნულმა სიტყვებმა წარმოშვეს გაურკვეველობა და დაძაბულობა (ეს უკანასკნელი, როგორც თვითმხილველები გადმოსცემენ, ისედაც არ აკლდა ყრილობას), რადგან პოლიტიკური ყრილობის ფორმატი **არ იყო** საჯარო ლექციის ფორმატი და ის, რაც იქნებოდა უფრო ნათელი გზავნილი საჯარო ლექციის ფორმატში, როდესაც აუდიტორიამ იცის, რომ ფილოსოფოსს უსმენს და მოელის კიდევ მისგან ფილოსოფიურ წიაღსვლებს, არ აღმოჩნდა გასაგები და მისაღები ფილარმონიის დარბაზში შეკრებული აუდიტორიისთვის, რომელიც **პოლიტიკურ** საკითხებს განიხილავდა და მომხსენებლებისგან **პოლიტიკური** გზავნილების მიღებას მოელოდა.¹⁰⁰

100 ეს განწყობა კარგადაა ასახული ისტორიკოს დ. შველიძის შეფასებაში: „მერაბ მამარდაშვილი, როგორც ფილოსოფოსი, მართალი გახლდათ, მაგრამ ათასჯერ მართალი იქნებოდა, რომ თავისი თეზისი ფილოსოფოსთა სიმპოზიუმზე ან ინტელექტუალთა შეხვედრაზე ემტკიცებინა. სახალხო ფრონტის ყრილობა არც ერთი იყო, არც მეორე. იგი პოლიტიკური თავყრილობა გახლდათ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალურ პრობლემებს არკვევდა.“ იხ. დ. შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წწ.“, გვ. 69.

უზენაესი საბჭოს 1990 წლის არჩევნებში გამსახურდიას მომხრეთა მოსალოდნელმა გამარჯვებამ მამარდაშვილის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკურ-პოლემიკური ელემენტი კიდევ უფრო გააძლიერა: ემოციური ტონი უკიდურესად დაძაბულ პოლიტიკურ ატმოსფეროს ავლენს. ჩემი აზრით, აქ უკვე მკვეთრად იჩენს თავს ის, რასაც მ. ნემცევი და ვ. ფაიბიშენკო „არსებული დღის წესრიგისადმი ფილოსოფიური დისკურსის დაქვემდებარებას“ უწოდებენ.¹⁰¹ სტატიაში „მნამს სალი აზრის“, რომელიც 1990 წლის 21 სექტემბერს გამოქვეყნდა, მამარდაშვილი ემბრობა ეროვნული კონგრესის იდეას, რადგან თვლის, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგად შესაძლოა პარლამენტში არაკომპეტენტური ადამიანები აღმოჩნდნენ.¹⁰² ფაქტობრივად, იგი უარყოფს არჩევნების დემოკრატიული მექანიზმების ეფექტურობას და ე.წ. ეროვნულ კონგრესს აცხადებს „სახალხო ინიციატივის ორგანოდ“, „პოლიტიკური კადრების გამოჭედვის საპარლამენტო სკოლად“, რომელმაც უნდა გაანეიტრალოს „შემთხვევითი ძალების“ ან „ექსტრემისტული ჯგუფის“ მიერ „ძალაუფლების ხელში ჩაგდების“ შედეგები.¹⁰³ მთელი ეს მსჯელობა უაღრესად პრობლემურია, რადგან ის ფილოსოფიურ ელიტიზმს განასახიერებს და შეიცავს მინიშნებებს პოტენციურ ძალადობაზე: ე.ი. თუკი არჩევნების შედეგები არ იქნება სასურველი, მაშინ ხელისუფლებაში მოსული ძალა იქნება „შემთხვევითი“, „ექსტრემისტული“ და შესაძლებელი იქნება მისი „განეიტრალება“. სამწუხაროდ, სამოქალაქო ომის სისხლიანმა ქრონიკებმა აჩვენა, თუ რამდენად საშიშია ასეთი სახის მსჯელობები, რადგან ამგვარი შეხედულებების კულტივირება (და შემდეგში მათი ძალადობრივ მოქმედებებში გადატანა) სწორედ იმ ორგანოში ხდებოდა, რომელიც ქართველ ფილოსოფოსს „პოლიტიკური კადრების გამოჭედვის საპარლამენტო სკოლად“ წარმოედგინა.

101 შდრ. M. Nemtsev and V. Faybyshenko, *The Political Thought of Merab Mamardashvili*, გვ. 142.

102 შდრ. M. Мамардашвили, *Верю в здравый смысл*, <https://mamardashvili.com/>.

103 იქვე.

ნ. შემჯამებელი განაზრებები.

შემჯამების სახით შეიძლება შემდეგი ითქვას:

- მამარდაშვილის აზრით, საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა არ ჰგავს სხვა სახის დესპოტურ ან კოლონიზატორ საზოგადოებებს **აზროვნების სფეროზე** განხორციელებული უპრეცედენტო წნეხის გამო. ტრადიციული კოლონიზატორი სახელმწიფოებისგან (რუსეთის იმპერია, დიდი ბრიტანეთი) განსხვავებით, საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული სახელმწიფო იყო, რომელიც ცნობიერების სტრუქტურების სრულ გაკონტროლებას ესწრაფოდა.
- ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იდეოლოგიური წნეხი იწვევს **ენობრივი ველის დეფორმირებას**, რის გამოც დადგენილი იდეოლოგიური კატეგორიების მიღმა განსხვავებულად აზროვნების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი. წარმოიქმნება ადამიანის ახალი ტიპი, საბჭოთა ადამიანი („ჰომო სოვიეტიკუსი“), რომელიც ინფანტილური, სახელმწიფოზე დამოკიდებული ინდივიდია და სისტემის მიერ დადგენილი კატეგორიების ჩარჩოებში აზროვნებს და მოქმედებს. საერთო ჯამში, მამარდაშვილი „საბჭოთა ადამიანის“ სტატიკური მოდელისკენ იხრება, რომელიც საბჭოთა მოქალაქეს გარკვეულ ფიქსირებულ თვისებებს მიაწერს.
- არსებობს მთელი რიგი პარალელები, ერთი მხრივ, ალთუსერისა და მამარდაშვილის და, მეორე მხრივ, ჰელერისა და მამარდაშვილის შეხედულებებს შორის. ალთუსერის იდეოლოგიის თეორიასთან მსგავსება იკვეთება მამარდაშვილის განცხადებაში, რომ საბჭოთა მოქალაქეები თავად ხდებიან ტოტალიტარიზმის სუბიექტები დეფორმირებული ენობრივი ველის გამოყენების შედეგად და, ასევე, დებულებაში, რომ არსებობს ერთგვარი „მისტიკური წერტილი“, რომელიც დაქვემდებარების მიმართებას წარმოშობს (ალთუსერის ცენტრალური სუბიექტის მსგავსად). ჰელერთან

მსგავსება იკვეთება საბჭოთა ადამიანის ინფანტილურობისა და რეალობისადმი კრიტიკული დამოკიდებულების არარსებობის შესახებ დებულებებში. ალთუსერის შეხედულებების ჰელერსა და მამარდაშვილზე შესაძლო გავლენის საკითხი შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

- ტოტალიტარული წნეხის ქვეშ ყველა მოქალაქე ექცევა: როგორც დომინანტი, ასევე, დაქვემდებარებული ერების წარმომადგენლები. მამარდაშვილი თვლის, რომ საბჭოთა სისტემის ფარგლებში ქართველებმა რუსებზე უკეთ მოახდინეს ადაპტირება, რაც მათ ეკონომიკურ კეთილდღეობაზეც აისახა. თუმცა, ამის სანაცვლოდ დაიკარგა პოლიტიკური ავტონომიურობა და ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოების ფენომენი.
- მამარდაშვილი მიიჩნევს, რომ **რუსეთი არაა კლასიკური იმპერია** (ბრიტანეთის იმპერიის მსგავსად), მიუხედავად იმისა, რომ მის ფარგლებში რუსი ხალხი სხვა ხალხებს ჩაგრავს. თუმცა, ამავდროულად, ეს წარმონაქმნი არ არის რუსი ხალხის იმპერია, რადგან მმართველი ჯგუფი იყენებს რუსი ხალხის გარკვეულ თვისებებს, რომელთაგან უმთავრესია გარკვეული „მისტიკური ნერტილისადმი“ დაქვემდებარების სურვილი. შესაბამისად, ხდება რუსი ხალხის გარკვეული თვისებების ექსპლუატირება იმისთვის, რათა რუსი ხალხის სახელით განხორციელდეს მართვა მთელი იმპერიის ტერიტორიაზე.
- რუს ხალხში ავტოკრატიისა და ტოტალიტარიზმისადმი დაქვემდებარების სურვილის წარმოქმნას, მამარდაშვილის აზრით, მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ივანე მრისხანეს მმართველობამ, რომლის პირობებშიც მოხდა მეფის ფიგურის გააბსოლუტება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დინამიკის ჩახშობა. ამ მიზეზის გამო, მამარდაშვილის აზრით, რუსეთს განმანათლებლობამ „გვერდი აუარა“. რუსული სივრცის შესახებ მამარდაშვი-

ლის შეხედულებებში თავს იჩენს წინააღმდეგობა: ერთი მხრივ იგი აღიარებს, რომ არსებობს „გარკვეული სივრცის ბედისწერა“, რაც რუსეთში ხელს უწყობს ტოტალიტარული რეჟიმის წარმატებას, ხოლო მეორე მხრივ, იგი თვლის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური მექანიზმები რუსეთშიც ისევე მუშაობს, როგორც, მაგალითად, კომუნისტურ ვიეტნამში.

- მამარდაშვილის შეხედულებები ხალხების შესახებ ესენციალისტურია: ხალხებს მიენერებათ გარკვეული თვისებები, რაც მათ პასიურ ობიექტებად აქცევს ისტორიულ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მამარდაშვილთან მოცემულია ტოტალიტარული მდგომარეობიდან თავის დაღწევის საშუალებები, ეს არ ცვლის საერთო სურათს, რომლის ფარგლებშიც ხალხებს თვითნებურად მიენერება გარკვეული ნეგატიური თუ პოზიტიური თვისებები. გარდა ამისა, სტრუქტურულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება მამარდაშვილთან რუსეთის მიერ განხორციელებული ეროვნული ჩაგვრის უგულებელყოფის საფრთხეს წარმოშობს.
- ტოტალიტარული სტრუქტურების მსხვრევა ახალ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს წარმოშობს. საბჭოთა სისტემის მავნე მემკვიდრეობისგან გასათავისუფლებლად, მამარდაშვილის აზრით, საჭირო იყო დეფორმირებული ენობრივი ველის კრიტიკული ანალიზი (განსაბჭოება), თავისუფალი ბაზრის პრინციპების დამკვიდრება, ანუ შრომის გათავისუფლება, ასევე, თავისუფალი საჯარო სივრცის („აგორა“) შექმნა, სადაც მოქალაქეები ღიად და შეზღუდვის გარეშე შეძლებდნენ იდეების ურთიერთგაცვლას, კამათს, ახალი იდეების ჩამოყალიბებას და შემდეგ მათ შესაბამისად მოქმედებას.
- ხალხების თვისებების შესახებ მამარდაშვილის შეხედულებები, ასევე, მისი ფართო ისტორიული განზოგადებები შესაძლოა, უკეთ იქნეს გააზრებული, თუკი

მათ განვიხილავთ როგორც **პოლიტიკურ-რიტორიკულ** განცხადებებს. 1980-იანი წლების მიწურულიდან მამარდაშვილი აქტიურად ერთვება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. შესაბამისად, მის ფილოსოფიურ დისკურსში აქტიურად შემოდის პოლიტიკურ-რიტორიკული ელემენტები. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ფილოსოფოსი ცდილობდა, **ფილოსოფიური და პოლიტიკური დისკურსების სინთეზირება** მოეხდინა.

- აღნიშნული სინთეზი, საბოლოო ჯამში, ვერ განხორციელდა: პოლიტიკური ვითარების გამწვავებასთან ერთად მამარდაშვილის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ დისკურსში პოლიტიკურ-პოლემიკური ელემენტების ხვედრითი წილი გაიზარდა. უფრო მეტიც, აღნიშნულ დისკურსებს შორის არსებული დაპირისპირება მთელი სიცხადით გამოვლინდა. ქართველი ფილოსოფოსის ნააზრევი ეროვნული ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული ელიტის ხელში პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაიქცა. სამოქალაქო ომის სისხლიანმა სინამდვილემ კი იმ პერიოდისთვის უტოპიურად აქცია როგორც გამსახურდიას, ასევე, მამარდაშვილის ხედვები.
- ზემოთქმული საერთოდ არ ისახავს მიზნად მამარდაშვილის ნააზრევის დაკნინებას. დიდი ალბათობით, ის არის **პირველი ფილოსოფოსი მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც შეეცადა, კომპლექსურად გაეაზრებინა საბჭოთა კავშირში მომხდარი გარდაქმნები და რომელმაც პოსტ-ტოტალიტარულ საზოგადოებაზე გადასვლის საკუთარი ხედვა წარმოადგინა**. აღნიშნული ხედვა ახლოს დგას დელიბერაციული დემოკრატიის მოდელთან. გარდა ამისა, მამარდაშვილი გვევლინებოდა როგორც ჭეშმარიტი **პარესიასტი ინტელექტუალი**, რომელიც ამბობდა იმას, რაც შინაგანად სწამდა და ჭეშმარიტად მიაჩნდა. მიშელ ფუკო პარესიის („გაბედულად საუბრის“, „ჭეშმარიტების თქმის“) ცნების განხილვისას მიუთითებდა,

რომ აქ განმსაზღვრელია არა შინაარსი, არამედ გამოთქმის ფორმა: პარესია ხორციელდება მაშინ, როდესაც მთქმელი თავისი განცხადებით საკუთარ თავს სარისკო მდგომარეობაში აყენებს. მან იცის, რომ მის განცხადებას, შესაძლოა მძიმე შედეგები მოჰყვეს მისთვის, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ამბობს იმას, რასაც ამბობს. ამიტომაცაა პარესია გაბედული საუბარი.¹⁰⁴ მამარდაშვილი პარესიასტი იყო: თავისი განცხადებებით იგი მიდიოდა რისკზე, რადგან იცოდა, რომ მის განცხადებებს მისთვის არასასურველი შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა. მისი ფიგურა დღესდღეობით, სულ მცირე, ორი მიმართებითაა მნიშვნელოვანი: ერთი მხრივ, ფილოსოფოსობის მისეული მანერა, გაბედული საუბარი და საკუთარი აზრების ღიად დაფიქსირება სამაგალითოდ რჩება დღესაც, როდესაც გარეგნული დემოკრატიის მიუხედავად, ინტელექტუალურ ნრეებში თვითცენზურა და ძალაუფლებრივი ცენტრების იდეოლოგიური გამართლება საკმაოდ გავრცელებულია. მეორე მხრივ, ინტელექტუალის მიერ პოლიტიკურ სფეროში „ჭეშმარიტების“ იდეით სპეკულირება (ეს ეხება როგორც მამარდაშვილს, ასევე, გამსახურდიასაც), შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს, რადგან „დემოკრაციას არა აქვს პრეტენზიები ფილოსოფიური სამყაროს მიმართ, ხოლო ფილოსოფოსებს არა აქვთ განსაკუთრებული უფლებები პოლიტიკური საზოგადოების შიგნით. შეხედულებათა სამყაროში ჭეშმარიტება სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი შეხედულება, ხოლო ფილოსოფოსი მხოლოდ ის პიროვნებაა, რომელიც შეხედულებებს აყალიბებს.“¹⁰⁵ ეს არ ნიშნავს

104 შდრ. M. Foucault, *The Government of Self and Others. Lectures at the Collège De France: 1982–1983*. New York: Palgrave Macmillan, 2010, გვ. 43-56. იხ., ასევე, მიშელ ფუკო, „ცინიკოსები და მათი ხერხები (1983 წლის ლექციიდან)“, თარგმნა გაგა ლომიძემ, „სჯანი“, 22 (2021), https://sjani.ge/?page_id=5056.

105 იხ. M. Walzer, “Philosophy and Democracy”, in: *Philosophy and Democracy. An Anthology*, edited by T. Christiano, Oxford: Oxford University Press, 2003, გვ. 272.

იმის თქმას, რომ ჭეშმარიტება არ არსებობს. ეს **ნიშნავს** იმას, რომ ის, რაც ჭეშმარიტად მიიჩნევა ფილოსოფიური დისკურსის ნიაღში, ავტომატურად ვერ შეინარჩუნებს ამ მნიშვნელობას პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში, სადაც მრავალი ურთიერთდაპირისპირებული ძალა მოქმედებს, რომელთაგან თითოეული თავის ჭეშმარიტებებს ამტკიცებს. ამ მიმართებით მამარდაშვილის ფიგურა მნიშვნელოვანია როგორც ნეგატიური მაგალითი, რომელიც შეგვახსენებს, რომ ფილოსოფიური და პოლიტიკური დისკურსების სინთეზირების მცდელობა სარისკო ნამოწყებაა. რეალურ აგორაზე, რეალურ საჯარო სივრცეში ძალუმად ბობოქრობს ნაციონალური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა სახის ვნებები, ხოლო „ჭეშმარიტების“ ვარსკვლავი, სამნუხაროდ, ერთობ მკრთალად ანათებს.

ამ ერთი შეხედვით პესიმისტური დასკვნის ბოლოს მსურს, მამარდაშვილის ერთ-ერთ საყვარელ ფილოსოფოსზე მივეუბნოთ და, ამავე დროს, მომავალი კვლევის შესაძლო ტრაექტორია მოვხაზო. **იმანუელ კანტის** პოლიტიკური ფილოსოფია საზოგადოებრივი სივრცის **სამართლებრივი** მოწესრიგების საჭიროებაზე მიუთითებს. ამ იდეის გამოძახილი მამარდაშვილთანაც გვხვდება.¹⁰⁶ პოლიტიკურ სივრცეში „ჭეშმარიტების“ დისკურსის ეფექტურ ალტერნატივად სწორედ ეს პერსპექტივა მიმაჩნია. **კანონის უზენაესობის პრინციპი**, თავისი საყოველთაო (და წმინდად ფორმალისტური) ბუნების წყალობით, წარმოადგენს ერთ-ერთ საფუძველმდებარე პრინციპს, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოება უნდა დაემყაროს. ჩემი ღრმა

106 შდრ., მაგალითად, მ. მამარდაშვილი, „ცნობიერება და ცივილიზაცია“, კრებულში: „ცნობიერება და ცივილიზაცია“, გვ. 23, 26-27. კანტის პოლიტიკური ფილოსოფიის შესახებ იხ. გ. თავაძე, „მარადიული მშვიდობა: განუხორციელებელი უტოპია თუ პოლიტიკური იდეალი? განაზრებანი იმანუელ კანტის ნაშრომზე მარადიული მშვიდობისკენ“, ნიგნში: იმანუელ კანტი, „მარადიული მშვიდობისკენ. ფილოსოფიური მონახაზი“. თარგმნა გ. თავაძემ, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2020 წ., გვ. 9-86.

მერაბ მამარდაშვილის ნააზრევი პოსტკოლონიური კვლევების ჭრილში

რწმენით, მამარდაშვილის ნააზრევი, – რომელიც დანაწევრებადი იმპერიული სხეულის ნიაღში ავტონომიური და დემოკრატიული (პოსტ-იმპერიული, პოსტ-კოლონიური) ელემენტების წარმოქმნის, შენარჩუნებისა და განმტკიცების პირობების გააზრების მცდელობას წარმოადგენს, – დაინტერესებულ მკვლევარს ამ მხრივ საინტერესო აღმოჩენებს ჰპირდება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

გამსახურდია, ზ. „საქართველოს სულიერი მისსია“, თბილისი: „განათლება“, 1990 წ.

თავაძე, გ. „მარადიული მშვიდობა: განუხორციელებელი უტოპია თუ პოლიტიკური იდეალი? განაზრებანი იმანუელ კანტის ნაშრომზე მარადიული მშვიდობისკენ“, წიგნში: იმანუელ კანტი, „მარადიული მშვიდობისკენ. ფილოსოფიური მონახაზი“. თარგმნა გ. თავაძემ, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2020 წ., გვ. 9-86.

თავაძე, გ. „პოსტკოლონიური ინტერვენციები I. ჰომო სოვიეტიკუსის ფენომენი საბჭოთა იდეოლოგიური განზომილების კონტექსტში: ფილოსოფიური ანალიზი, თბილისი: ვარლამ ჩერქეზიშვილის სახ. ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი), 2021 წ.

მამარდაშვილი, მ. „ცნობიერების ტოპოლოგია: ლექციები, მოხსენებები, ინტერვიუები, სტატიები“, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2011 წ.

მამარდაშვილი, მ. „საუბრები ფილოსოფიაზე“, რედ. გ. ნოდია, თბილისი, 2015 წ.

მამარდაშვილი, მ. „ცნობიერება და ცივილიზაცია“, თარგმნა დ. უჩანეიშვილმა, თბილისი: გამომცემლობა „აქტი“, 2020 წ.

მთიბელაშვილი, თ. (შემდგ.) „მერაბ მამარდაშვილი“, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007 წ.

ოდიშარია, ბ. „ლიმილის გახსენება“, კრებულში: „მერაბ მამარ-

ბიოგრაფიული მონაცემები

დაშვილი“, შემდგენელი და შესავალი წერილის ავტორი: თეიმურაზ მთიბელაშვილი, თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2007 წ., გვ. 161-164.

სანიკიძე, გ. „დასავლეთის მიერ აღქმული აღმოსავლეთი: დებატები ედვარდ საიდის ორიენტალიზმის გარშემო“, წიგნში: ნინო კილურაძე, ეკა კვაჭანტირაძე, გიორგი სანიკიძე, „ქართული, დასავლური და აღმოსავლური ისტორიოგრაფიული ტრადიცია“, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014 წ., გვ. 98-151.

სახალხო ფრონტის ყრილობა, 1989 წელი, <https://youtu.be/j4P-1wfohLSc>

ფუკო, მ. „ცინიკოსები და მათი ხერხები (1983 წლის ლექციონიდან)“, თარგმნა გაგა ლომიძემ, „სჯანი“, 22 (2021), <https://sjani.ge/?page-id=5056>

შველიძე, დ. „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში: 1987-1992 წწ.“, მეორე გამოცემა, თბილისი: „არტანუჯი“, 2021 წ.

Bedorf, T., Herrmann, S. (eds.) *Political Phenomenology: Experience, Ontology, Episteme*, New York and London: Routledge, 2020.

Foucault, M. *The Government of Self and Others. Lectures at the Collège De France: 1982-1983*. New York: Palgrave Macmillan, 2010.

Fruchtman J. Jr. *The Political Philosophy of Thomas Paine*, Baltimore: The Johns Hopkins University Press, 2009.

Gandhi, L. *Postcolonial Theory: A Critical Introduction*, second edition, New York: Columbia University Press, 2019.

Huffman, C. “Pythagoras”, *The Stanford Encyclopedia of Philosophy* (Winter 2018 Edition), Edward N. Zalta (ed.), <https://plato.stanford.edu/archives/win2018/entries/pythagoras/>

Kohn, M., Reddy, K. “Colonialism”, *The Stanford Encyclopedia of Philosophy* (Spring 2023 Edition), Edward N. Zalta & Uri Nodelman (eds.), <https://plato.stanford.edu/archives/spr2023/entries/colonialism>

- Koplatadze T. Theorising Russian postcolonial studies, *Postcolonial Studies*, 22:4 (2019), <https://doi.org/10.1080/13688790.2019.1690762>
- Luarsabishvili, V. “The Freedom of Complaint”: Mamardashvili on Georgian Society at the End of the 1980s, in: *Rethinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, edited by V. Luarsabishvili, Leiden and Boston: Brill, 2022, pp. 92-108.
- Mamardashvili, M. *A Spy for an Unknown Country: Essays and Lectures*. Edited by Julia Sushytska and Alisa Slaughter, Stuttgart: ibidem-Verlag, 2020.
- Moore, D. C. Is the Post- in Postcolonial the Post- in Post-Soviet? Toward a Global Postcolonial Critique, *PMLA*, Vol. 116, No. 1, Special Topic: Globalizing Literary Studies (Jan., 2001), pp. 111-128.
- Morozov, V. Post-Soviet subalternity and the dialectic of race: reflections on Tamar Koplatadze’s article, *Postcolonial Studies*, 24:1 (2021), pp. 159-166, <https://doi.org/10.1080/13688790.2020.1790829>
- Nemtsev, M., Faybyshenko, V. The Political Thought of Merab Mamardashvili, in: *Rethinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, edited by V. Luarsabishvili, Leiden and Boston: Brill, 2022, pp. 128-154.
- Pavlyshyn, M. Post-colonial features in contemporary Ukrainian culture. *Australian Slavonic and East European Studies* 6.2 (1992), pp. 41-55.
- Renan, E. “What is a nation?,” in: *Nation and Narration*, H. Bhabha (ed.), London and New York: Routledge, 2000, pp. 8-22.
- Spivak G. C., Condee, N., Ram, H., Chernetsky, V. Are We Postcolonial? Post-Soviet Space, *PMLA*, Vol. 121, No. 3 (May, 2006), pp. 828-836.
- van der Zweerde, E. Between Althusser and Arendt: Mamardashvili and the Political, in: *Rethinking Mamardashvili: Philosophical Perspectives, Analytical Insights*, edited by V. Luarsabishvili, Leiden and Boston: Brill, 2022, pp. 155-186.

- Walzer, M. "Philosophy and Democracy", in: *Philosophy and Democracy. An Anthology*, edited by T. Christiano, Oxford: Oxford University Press, 2003, pp. 258-274.
- Андроникашвили, З., Майсурадзе, Г. Грузия-1990: филологема независимости, или Неизвлеченный опыт, НЛО, (1) 2007, <https://magazines.gorky.media/nlo/2007/1/gruziya-1990-filologema-nezavisimosti-ili-neizvlechennyj-opyt.html>.
- Геллер, М. Машина и винтики: история формирования советского человека. London: Overseas Publications Interchange LTD, 1985.
- Встреча: Мераб Мамардашвили – Луи Альтюссер, ред.: Е. Мамардашвили, Москва: Фонд Мераба Мамардашвили, 2016.
- Мамардашвили, М. Философ может не быть пророком, Фонд Мераба Мамардашвили, <https://mamardashvili.com/ru/merab-mamardashvili/publikacii-iz-arhiva/interview/filosof-mozhet-ne-byt-prorokom>
- Мамардашвили, Верю в здравый смысл, Фонд Мераба Мамардашвили, <https://mamardashvili.com/ru/merab-mamardashvili/publikacii-iz-arhiva/interview/veryu-v-zdravyj-smysl>
- Мамардашвили, М. Сознание и цивилизация, Санкт-Петербург: "Азбука", 2011.
- Мамардашвили, М. "Одиночество – моя профессия...", интервью Улдиса Тиронса, в: М. Мамардашвили, Очерк современной европейской философии. Санкт-Петербург: "Азбука", 2012, стр. 539-541.
- Празаускас, А. СНГ как постколониальное пространство, Независимая газета, 02.02.1992.
- Чаадаев, П. Апология сумасшедшего, в: П. Чаадаев, Полное собрание сочинений и избранные письма, т. 1, Москва: "Наука", 1991.

როგორ და რატომ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

1980-1990-იანი წლების მიჯნა საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პერიოდია, რომელიც აღინიშნა მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბის მნიშვნელოვანი მოვლენით, მაგალითად: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით, პირველი მრავალპარტიული არჩევნებით, საერთო-სახალხო რეფერენდუმით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით, საბჭოთა კავშირის დაშლით, ცივი ომის დასასრულით და სხვა. ამავე დროს, კოლონიური დაქვემდებარებიდან გამოსვლის პარალელურად, აღნიშნულ ეპოქას კრიზისული და კონფრონტაციული მოვლენებიც ახასიათებს, მათ შორის ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი ერთ-ერთია.

ცხინვალის რეგიონის საკითხი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი გამოწვევაა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ რეგიონზე კონტროლი სრულად დაკარგა, იგი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელმაც მისი დამოუკიდებლობა აღიარა და ყველა შესაძლო მეთოდებით ცდილობს კონფლიქტის ხანგრძლივ „გაყინვას“, რეგიონის საერთაშორისო აღიარებას, სეპარატისტული ხელისუფლების მხარდაჭერას, სადემარკაციო ხაზის უკანონოდ გავლებას და ქართველებსა და ოსებს შორის კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის ხელის შეშლას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ნაშრომი და პროექტი, რომელიც ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს, მის ისტორიას, გენეზისს, გამომწვევ მიზეზებს, მიმდინარეობას და ა.შ. შეეხება, აქტუალურია და მნიშვნელობას არ კარგავს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დანყების გარემოებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების მიზეზები და

ბიორგი არქანი

შედეგები, გასცეს პასუხი შეკითხვებს: რამდენად მართებული იყო ოლქის გაუქმება სამართლებრივი თვალსაზრისით და რა როლი შეასრულა ამ აქტმა რეგიონში კონფლიქტის გამწვავების თვალსაზრისით.

ცხინვალის რეგიონში ვითარება გამწვავდა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1988 წლიდან. 1985 წელს საბჭოთა კავშირის პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები მოხდა – ხელისუფლებაში მიხაილ გორბაჩოვი მოვიდა, რომელმაც მომდევნო წელს არსებული სისტემის „გარდაქმნისა“ და „საჯაროობის“ პოლიტიკა დაიწყო. ის და მისი გუნდი ხედავდნენ საბჭოთა კავშირის მკვეთრ ჩამორჩენას დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი აშშ-სთან შედარებით. ეს განსხვავება ერთი შეხედვით ჩანდა სსრკ-ში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაც. გორბაჩოვის გუნდმა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის გაჯანსაღება, საგარეო კონფრონტაციის შენელება და საბოლოო ჯამში საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს, გადარჩენა დაისახა მიზნად. 1987 წლიდან „პერესტროიკა“ აქტიურ ფაზაში შევიდა, ეკონომიკაში თანდათან გაჩნდა კერძო ინიციატივები, დაიწყო აშშ-სთან თანამშრომლობა შეიარაღების შემცირების მიმართულებით, საბჭოთა კავშირის შიგნით შემცირდა ცენზურა, იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ დისიდენტური ძალები და ა.შ.

მკაცრი ტოტალიტარული სისტემის შერბილებამ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ტერიტორიაზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს მისცა გასაქანი. მეტი ან სრული სახელმწიფოებრივი თვითგამორკვევისთვის დაიწყო მასშტაბური გამოსვლები ბალტიისპირეთის ქვეყნებში, საქართველოში, უკრაინასა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. მანამდე თუ ეს მოძრაობები ვინრო, შეზღუდული დისიდენტური მოქმედებებით შემოიფარგლებოდნენ, უკვე მათ საჯარო და ხალხმრავალი დემონსტრაციების მეთოდს მიმართეს, რაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ღია მოწოდებებში გადაიზარდა. 1989 წლის აპრილიდან საქართველოს ე.წ. „არაფორმალური“ ორგანიზაციების უმთავრეს მიზანს საბჭოთა

კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლა წარმოადგენდა. მდგომარეობა მალე ძნელად კონტროლირებადი გახდა, რამაც საკავშირო ხელისუფლებას გამოსავლის ძიებისკენ უბიძგა. საჭირო გახდა სეცესიური ტენდენციის შემაკავებელი მექანიზმის ამუშავება, მოკავშირე რესპუბლიკებისთვის კავშირიდან გასვლის პროცედურის მაქსიმალურად გართულება და ისეთი ბარიერების შექმნა, რომელიც მას კავშირის დატოვების სურვილს დაუკარგავდა. ამ ბარიერებს შორის დიდი როლი ენიჭებოდა იმ ავტონომიურ ერთეულებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შედიოდნენ და ეთნიკური უმცირესობებით იყვნენ დასახლებული.

რესპუბლიკების პარალელურად ავტონომიებშიც დაიწყო მეტი სუვერენტეტის მოთხოვნა. ამას ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: 1) ცენტრალური ხელისუფლების მიერ ავტონომიების საკითხის გამოყენება მოკავშირე რესპუბლიკებზე ზეწოლის მოსახდენად და 2) ავტონომიური ერთეულების სეპარატისტული ძალების შიში იმისა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მიერ სსრ კავშირის დატოვების შემდეგ მათი ავტონომია კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. 1988 წლის ბოლოსთვის უკვე აშკარა გახდა, რომ საქართველოს პრობლემები ელოდა ავტონომიებში, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

1988 წლის ბოლოს ცხინვალში ჩამოყალიბდა ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“, რომელმაც საწყის ეტაპზე ავტონომიურ ოლქში ოსური ენის დაცვისთვის, მეტი ეკონომიკური და კულტურული ავტონომიისთვის ბრძოლა გამოაცხადა მიზნად. შემდეგ ამას მოჰყვა ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის მცდელობა, ბოლოს კი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლის დეკლარირება. „ადამონ ნიხასის“ აქტიურობის შედეგად, ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და რესპუბლიკის სამართლებრივი სივრციდან გასვლა სცადა. ოლქსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ე.წ. „კანონთა ომი“ რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს საგანგებო XII სესიამ ავტონომიური ოლქი ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნა, რაც საქართველოს სსრ კონსტიტუციური წყობის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ეწერა, აღნიშნული სესიის 10 ნოემბერს მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინა დღეს, 9 ნოემბერს მიიღო, „ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ წარმომადგენელთა მუქარითა და ზეგავლენით“. ოლქის პროკურორის პროტესტის საფუძველზე აღმასრულებელმა კომიტეტმა მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა და სესიის მოწვევის თარიღად 25 ნოემბერი დაასახელა. მიუხედავად ამისა, „ადამონ ნიხასის“ აქტიური ზემოქმედების შედეგად, 10 ნოემბერს სესია მაინც ჩატარდა.¹

16 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს 10 ნოემბრის გადაწყვეტილებები, როგორც კანონთან შეუსაბამო. რა თქმა უნდა, პრეზიდიუმს ამ გადაწყვეტილების სრული სამართლებრივი საფუძველი ჰქონდა, მითუმეტეს, 10 ნოემბრის სესია მოწვევისა და ჩატარების წესების დარღვევით გაიმართა²³.

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს XX მოწვევის XIV სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“ და სსრკ-ს უზენაეს საბჭოს მიმართა ამ „რესპუბლიკის“ სსრკ-ის დამოუკიდებელი სუბიექ-

1 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №11 (ნოემბერი) თბილისი, 1989, გვ. 7-8.

2 „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ კანონის“ თანახმად, საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სესიის ჩატარების დრო, ადგილი და განსახილველად შესატანი საკითხები დეპუტატებისა და მოსახლეობისთვის ორი კვირით ადრე მაინც უნდა ეცნობებინა.

3 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №11 (ნოემბერი) თბილისი, 1989, გვ. 7-8.

ტად მიღების შესახებ. დადგენილების ტექსტში ეს გადანყვეტილება იმით იყო დასაბუთებული, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის ნოემბერში, 1990 წლის 9 მარტს და 20 ივნისს მიღებული გადანყვეტილებები⁴ უკანონოდ და ბათილად აცხადებდნენ ყველა სახელმწიფო სტრუქტურას და შეთანხმებას 1921 წლის თებერვლის შემდეგ, ავტონომიური ოლქი კი ამის შემდეგ შეიქმნა. ამავე დღეს მიღებული მეორე გადანყვეტილებით, სსრკ-ის კონსტიტუცია და სსრკ-ის სხვა საკანონმდებლო აქტები გამოცხადდა ერთადერთ მოქმედ საკანონმდებლო აქტებად სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე⁵. ეს გადანყვეტილება ნიშნავდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გასვლას საქართველოს სამართლებრივი სივრციდან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოშლას და ენი-ნაალმდეგობადა როგორც საქართველოს სსრ, ასევე სსრ კავშირის კონსტიტუციას.

მეორე დღეს, 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააუქმა ეს გადანყვეტილება და განაცხადა, რომ იგი „საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობის შეცვლის, რესპუბლიკის სუვერენიტეტის ხელყოფის, ავტონომიური წარმონაქმნების უფლებათა მექანიკური გათანაბრების სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო ცდაა და საქარ-

4 9 მარტის დადგენილებით საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ (საოკუპაციო ხელისუფლების ორგანომ) 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები საქართველოს ოკუპაციად და ფაქტობრივ ანექსიად აღიარა, შესაბამისად განაცხადა, რომ თავად იგი წარმოადგენს დე-ფაქტო სახელისუფლებო ორგანოს და იურიდიული ძალის არმქონეა ყველა აქტი, რომელიც 1921 წლის შემდეგ არის მიღებული, ისევე, როგორც 1990 წლის 9 მარტის შემდეგ გამოცემული აქტები და ამ სამართლებრივი ჩიხიდან გამოსვლის მიზნით განაცხადა მზაობა, დაეწყო მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

5 Решение четырнадцатой сессии Юго-Осетинского областного Совета народных депутатов двадцатого созыва от 20 сентября 1990 года о преобразовании Юго-Осетинской автономной области в Юго-Осетинскую советскую демократическую республику, “Советская Осетия”, №180 (22 сентября), 1990.

თველოს, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების, სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს შესახებ კანონის დარღვევას წარმოადგენს“.⁶

მიუხედავად ამისა, იმავე წლის 16 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XV სესიამ აირჩია ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი“ ტორეზ კულუმბეგოვის ხელმძღვანელობით, აგრეთვე მიიღო ამ „რესპუბლიკის“ კონსტიტუციის პროექტი, შექმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია და დანიშნა ე.წ. „საბჭოთა რესპუბლიკის“ უზენაესი საბჭოს არჩევნები იმავე წლის 2 დეკემბერს⁷.

რამდენიმე დღეში საქართველოში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზენოლის შედეგად, 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, ეს იყო პირველი არჩევნები 1921 წლის შემდეგ, რომელშიც საქართველოს მოსახლეობას საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება მიეცა, აგრეთვე პირველი მრავალპარტიული არჩევნები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. შესაბამისად, მისი შედეგები ლეგიტიმაციის უმაღლეს დონეს ანიჭებდა ახლადარჩეულ საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობას.

არჩევნებში გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. ახალი უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა 1990 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა. საქართველოში საბჭოთა მმართველობა ამით დასრულდა და ქვეყნის უახლეს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ქვეყნის სათავეში 1921 წლის შემდეგ პირველად მოვიდა ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის აზრს გამო-

6 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №9 (სექტემბერი), 1990, გვ. 9.

7 საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №5-6, 1990 წ.

ხატავდა. ამ დღიდან უნდა ავითვალთ საქართველოს „მეორე რესპუბლიკის“ პერიოდი. თუმცა ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო მრავალი გადასაჭრელი საკითხი, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მიმდინარე კონფლიქტური პროცესი.

პირველივე სხდომაზე უზენაესმა საბჭომ თავმჯდომარედ და შესაბამისად, რესპუბლიკის პირველ პირად ზვიად გამსახურდია აირჩია. ახალმა ხელისუფლებამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდენის დეკლარირებისგან თავი შეიკავა, რადგან ამას შეეძლო ქვეყანაში ისედაც დაძაბული ვითარების უფრო გამწვავება, განსაკუთრებით ავტონომიებში და სსრ კავშირის ხელმძღვანელობას მიეცემოდა საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოსაცხადებლად. სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დროის მნიშვნელოვან პერიოდს, ძირეულ საკანონმდებლო ცვლილებებს და რეალური დამოუკიდებლობის გარანტიების საფუძვლიან მომზადებას მოითხოვდა.

უზენაესმა საბჭომ ქვეყანაში „გარდამავალი პერიოდი“ გამოაცხადა, რომლის ფარგლებშიც უნდა მომზადებულიყო დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლები; ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე საქართველოს რესპუბლიკის დროებითი ძირითადი კანონის სახით იმოქმედებდა 1978 წელს მიღებული კონსტიტუცია⁸. სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ გამოცხადდა; გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ კანონში ჩაინერა, რომ არსებული „რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში იძულებულია უზრუნველყოს სსრ კავშირისათვის მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით უფლებები, რომლებიც განსაზღვრულია

8 ამ კონსტიტუციაში მომდევნო თვეების განმავლობაში იმ მასშტაბის ცვლილებები და დამატებები შევიდა, რომ ფაქტობრივად ახალი კონსტიტუციის სახე მიიღო.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლით⁹. ამავე დროს, საქართველოს რესპუბლიკის კანონისგან სსრ კავშირის კანონის განსხვავების შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე იმოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი; ამავე კანონით გაუქმდა საბჭოთა სიმბოლიკები, აღდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში მოქმედი გერბი, დროშა და ჰიმნი⁹. ახალმა ხელისუფლებამ შექმნა ახალი კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისია, დაიწყო დეპარტიზაცია, საბჭოთა სტრუქტურების გარდაქმნა და ა.შ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ახალმა ხელისუფლებამ პირველივე დღეს განაცხადა საქართველოში არსებული ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიების შენარჩუნების განზრახვის შესახებ. ეს პოზიცია მკაფიოდ დაფიქსირდა 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს სხდომაზე ზვიად გამსახურდიას გამოსვლაში: „ჩვენ არ უგულვებლავყოფთ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს, რომელნიც კანონიერად მკვიდრობენ ჩვენს მიწა-წყალზე და ხელს უწყობენ ქართველი ერის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამასთან დაკავშირებით განზრახული გვაქვს, საქართველოში შევინარჩუნოთ ეროვნულ უმცირესობათა არსებული ავტონომიები, ცხადია, უფრო მყარ კონსტიტუციურ-სამართლებლრივ საფუძველზე“¹⁰; აგრეთვე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, აკაკი ასათიანის მიერ 16 ნოემბერს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე წარმოთქმულ სიტყვაში: „საქართველოში ავტონომიები რჩება. მათ არავინ უპირებს გაუქმებას... ასეთი განცხადება არავის არ გაუკეთებია არც არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ“¹¹.

1990 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე უზენაესმა საბჭომ გან-

9 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №11 (ნოემბერი), 1990, გვ. 17-21.

10 ზვიად გამსახურდიას სიტყვა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე, გაზ. „ახალი საქართველო“, №2-3, 1990.

11 აკაკი ასათიანის სიტყვა სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე, გაზ. „აფხაზეთი“, №223, 1990.

ცხადება მიიღო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების კონცეფციის შესახებ. განცხადებაში ეწერა, საქართველო, – ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სტრუქტურებიდან გამომდინარე, – ფაქტობრივად რჩება სსრ კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ „აღნიშნული სტრუქტურების რეორგანიზაციის გზით ესწრაფვის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას“; უზენაესმა საბჭომ შეუძლებლად გამოაცხადა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა, სანამ საქართველო არ მოიპოვებდა ნამდვილ დამოუკიდებლობას და არ გახდებოდა საერთაშორისო სამართლის სრულფუნქციონირებელი სუბიექტი. ამავე დროს, აღინიშნა, რომ ეს არ ნიშნავდა საბჭოთა კავშირთან ყველანაირი კავშირის განწყვეტას და ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიურ, კულტურულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობაზე უარის თქმას, რა თქმა უნდა, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე¹².

ამავე სხდომაზე უზენაესმა საბჭომ განიხილა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დადგენილების პროექტი. უზენაესმა საბჭომ ოლქში მიმდინარე პროცესები სეპარატიზმად, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ხელყოფად შეაფასა; გააუქმა ყველა აქტი, რომელიც მიიღო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ“, რადგან ისინი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციას, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს და ჯერ კიდევ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებას. ამასთანავე, უზენაესმა საბჭომ დაადასტურა საქართველოს უზენაესი საბჭოს ადრინდელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ შემდგომშიც დაცული იქნებოდა რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, როგორც ეს საერთაშო-

12 საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №5-6, 1990.

რისო სამართლის პრინციპებით იყო გარანტირებული. შესწორებათა შეტანისა და დაზუსტების შემდგომ სესიამ დადგენილება მიიღო. ამ დადგენილებით უზენაესმა საბჭომ მიმართა ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ყველა ეროვნების მოქალაქეს, განსაკუთრებით კი ოს მოქალაქეებს, გამოეჩინათ „კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფხიზლე და სწორად“ შეეფასებინათ „სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები“¹³.

მიუხედავად უზენაესი საბჭოს მონოდებისა, 1990 წლის 28 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XVI (II) რიგგარეშე სესიამ კვლავ დაადასტურა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სტატუსი (მისი სახელწოდებიდან ამოიღო სიტყვა „დემოკრატიული“) და მისწრაფება, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებას შეერთებოდა დამოუკიდებელი სუბიექტის სახით¹⁴.

9 დეკემბერს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა მიმართვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი და მოუწოდა, რომ გამოეჩინათ პოლიტიკური სიმწიფე და კეთილგონიერება, არ აჰყოლოდნენ სეპარატისტული ძალების „პოლიტიკურ პროვოკაციას“, მონაწილეობა არ მიეღოთ ანტიკონსტიტუციურ არჩევნებში, „რომლის შედეგებს არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნება, პირიქით, გართულებს საერთო ვითარებას, შექმნის ახალ სიძნელეებს ქართველი და ოსი ხალხების საუკუნეობრივი მეგობრობის განმტკიცების გზაზე“¹⁵. აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ გააფრთხილა ის პირები, რომლებიც ორ-

13 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, N11 (ნოემბერი), 1990. გვ. 57-58.

14 Южная Осетия: хроника событий грузинской агрессии 1988 – 1992 гг, ინტერნეტბმული: <http://cominf.org/node/1137017124>. უკანასკნელად გადამონმებულია: 08.11.2023.

15 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისადმი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №3, 1991.

როგორ და რატომ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

განიზებას გაუწევდნენ ან მონაწილეობას მიიღებდნენ უკანონო არჩევნებში, რომ მათი საქმიანობა შეფასდებოდა როგორც ხელისუფლების გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩლებლობა, კონსტიტუციით დადგენილი საარჩევნო სისტემის უხეში დარღვევა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, თანამდებობის პირთა მიერ კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ბოროტად გამოყენება, რაც სისხლის საამართლის დანაშაული იყო და შესაბამისად, ისინი დაისჯებოდნენ კანონის მთელი სიმკაცრით.¹⁶

ზემოთ აღნიშნული მონოდებებისა და გაფრთხილებების მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არჩევნები თვითნებურად მაინც ჩატარდა. სეპარატისტული ძალების ცნობით, მასში მონაწილეობა ამომრჩეველთა 72%-მა მიიღო. გამარჯვება სეპარატისტული მოძრაობა „ადამონ ნიხასის“ წარმომადგენლებმა მოიპოვეს. რეგიონის ქართულმა სოფლებმა ეს არჩევნები უკანონოდ მიიჩნიეს და მასში მონაწილეობა არ მიიღეს¹⁷.

10 დეკემბერს მუშაობას შეუდგა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. თავმჯდომარედ აირჩიეს ტორეზ კულუმბეგოვი. ჩამოყალიბდა „რესპუბლიკის“ მმართველი ორგანოები.

სეპარატისტთა მოქმედებების საპასუხოდ, 11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელმაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხი განიხილა. ზვიად გამსახურდიამ დეკლარაციებს ვრცელი მოხსენება წარუდგინა, სადაც ნაჩვენები იყო ოლქის შექმნის და საბჭოთა პერიოდში მისი სტატუსის გარემოებები. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს ახალმა ხელმძღვანელობამ არაერთხელ დააფიქსირა ეროვნული უმცირესობების ავტონომიების შენარჩუნების აუცილებლობა, რაც „ერთაშორისი ურ-

16 იქვე.

17 არჩევნები სამხრეთ ოსეთში, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №4, 1991.

თიერთობების მშვიდობიანად განვითარებას, საკონფლიქტო საკითხების მოლაპარაკების გზით მოგვარებას, სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობას“ ისახავდა მიზნად. „დღეს ოსი სეპარატისტები ცდილობენ მოსწყვიტონ საქართველოს მისი შუაგული, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიული კერა, და, თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის საბაბით, ქმნიან ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკას“. თანაც გვარწმუნებენ, რომ ეს გეგმა არაფრით არ ემუქრება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას... საქართველოს მთავრობის ყველა ცდა, შეენწყვიტა ეს ანტიკონსტიტუციური ქმედობა მშვიდობიანი, ურთიერთმოლაპარაკების საშუალებით, უშედეგო აღმოჩნდა. თვითმარქვია ხელისუფლების მესვეურები განსაცვიფრებელი ცინიზმითა და უტიფრობით პასუხობდნენ ყოველ ასეთ წინადადებაზე, შეენწყვიტათ თავის უკანონო საქმიანობა... ამგვარად, კონფლიქტის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მოხერხდა და დღეს ჩვენ ვდგავართ ფაქტის წინაშე – საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელიც არ ცნობს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობას და ხელყოფს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.... გამოვდივართ რა პოლიტიკური და სამართლებრივი რეალებიდან, ვეყრდნობით რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ სრული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გარადაამავალი პერიოდით ნაკარნახევ ამოცანებს, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები სწორედ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, რადგან ვიცით, რომ ჩვენი ოპონენტები ამ აქტებით შეიარაღებულნი შემოგვიტევენ...“ – აღნიშნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ.¹⁸

მსჯელობის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შე-

¹⁸ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №5-6, 1991.

სახეზე. კანონით ძალადაკარგულად ჩაითვალა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მონუქობის შესახებ“ და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“. აგრეთვე, კანონში ჩაინერა, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ჰქონდათ და მომავალშიც ექნებოდათ კულტურული ავტონომიის ყველა უფლება.¹⁹

რამდენად სამართლიანი იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ?

აღნიშნული საკითხის პოლიტიკური და სამხედრო მხარეები ამ ნაშრომის განხილვის თემა არ არის, შესაბამისად არ ვისაუბრებ იმ შედეგებზე, რომელიც ოლქის გაუქმების გადაწყვეტილებას პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით მოჰყვა, ამჯერად საინტერესოა მხოლოდ მისი სამართლებრივი ასპექტები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სამართლებრივი თვალსაზრისით ყველა ძირითადი ნორმა და პროცედურა დაიცვა, რადგან:

პირველი – პირველივე სხდომაზე ნათლად განაცხადა, რომ არ აპირებდა ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიური ერთეულების, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და საქართველოში გარანტირებული იქნებოდა თითოეული მოქალაქისა და ეროვნული უმცირესობის უფლებათა დაცვა. ნაცვლად იმისა, რომ ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებს მიეღოთ ეს მოცემულობა და გამოეყენებინათ ავტონომიური ოლქის ფარგლებში მინიჭებული თვითმმართველობა, მათ საქართველოს შემადგენლობიდან ცხინვალის რეგიონის გასვლის განზრახვა არ შეცვალეს, საქართველოს რესპუბლიკა დაშლისა და დეზინტეგრაციის საფრთხის წინაშე დააყენეს, რესპუბლიკის ხელისუფლებამ კი ადეკვატური ნაბიჯი გადადგა;

¹⁹ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №5-6, 1991.

ბიორგი არქანიზა

მეორე – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ავტონომიური ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო შექმნილი ვითარების მშვიდობიანად მოგვარებისკენ მრავალგზის მონოდებისა და გაფრთხილების შემდეგ. ამავდროს, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს რამდენჯერმე სცადეს ოლქის სტატუსის შეცვლა და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა. უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება სწორედ ამ მცდელობათა საბოლოოდ აღკვეთას ისახავდა მიზნად;

მესამე – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, განსხვავებით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებისგან, შეიქმნა საქართველოს ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, რეგიონის ქართული მოსახლეობის ინტერესთა საწინააღმდეგოდ, შესაბამისად, ის არალეგიტიმურ წარმონაქმნად ითვლებოდა. ეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებამ დაადასტურა.

მეოთხე – მართალია, არც საქართველოს სსრ, საქართველოს რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში არ იყო განწერილი ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხი და პროცედურა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს 1980 წლის 12 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ შემდეგი დებულება: „ავტონომიური ოლქის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს თანხმობის გარეშე“. საქართველოს უზენაესი საბჭო აღნიშნულ ორგანოსთან ვერცერთ საკითხს სამართლებრივ დონეზე ვეღარ შეათანხმებდა, რადგან თავად ამ ორგანოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი აღარ არსებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ავტონომიური ოლქის სტატუსზე საოლქო საბჭომ თავად თქვა უარი, საქართველოს უზენაესმა საბჭომ კი შექმნილი ფაქტობრივი რეალობა დაადასტურა;

მეხუთე – საოლქო საბჭომ დაარღვია საქართველოს სსრ

როგორ და რატომ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის 18 ნოემბერს მიღებული კანონი, რომლის მიხედვითაც ავტონომიური ერთეულების სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა კოლექტიური განხილვა და საჯაროობა, უნდა გაეთვალისწინებინათ საზოგადოებრივი აზრი, მოქალაქეთა განსახილველად უნდა გამოეტანათ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი საკითხები (მუხლი 90). საოლქო საბჭომ ოლქი „რესპუბლიკად“ გამოაცხადა ისე, რომ არ ჩაუტარებია ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვა, უფრო მეტიც – მისი განზრახვა წინასწარ არც ყოფილა ცნობილი მოსახლეობისთვის. თანაც, რეგიონის მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენდა.

მეექვსე – 1990 წლის 18 ნოემბერს მიღებულ კანონში აგრეთვე ეწერა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს უფლებამოსილებას წარმოადგენდა ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებების გაუქმება, თუ ისინი არ შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კანონებს (მუხლი 104). როგორც ვნახეთ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მრავალჯერ გააუქმა საოლქო საბჭოს უკანონო გადაწყვეტილებები, თუმცა ამან სეპარატისტული მოძრაობა ვერ შეაჩერა. ამრიგად, ერთადერთ გამოსავლად ავტონომიური ოლქის გაუქმება დარჩა.

მეშვიდე – როგორც აღვნიშნეთ, არც საქართველოს სსრ, არც საქართველოს რესპუბლიკის და არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ავტონომიური ოლქის გაუქმების ნორმებსა და პროცედურებს, მაგრამ კონსტიტუციაში არც იყო განერილი, რომ ოლქის გაუქმება მოკავშირე რესპუბლიკას არ შეეძლო. ამ შემთხვევაში უზენაესი საბჭო დაეყრდნო სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებულ სუვერენიტეტს, რომელიც ჰქონდა მოკავშირე რესპუბლიკას. როდესაც ეს სუვერენიტეტი დაირღვა, დადგა საშიშროება, რომ რესპუბლიკის იურისდიქცია მის ცენტრალურ რეგიონზე აღარ გავრცელდებოდა, უზენაესმა საბჭომ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოიტანა ის გადაწყვეტილება, რომელიც მი-

ნიმუშ იურიდიულ დონეზე აღადგენდა ცხინვალის რეგიონზე საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

მერვე – საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 1990 წლის დეკემბერში საქართველო არ წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, თუმცა 14 ნოემბერს მიღებულ დადგენილებაში „გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ განისაზღვრა, რომ საქართველოს რესპუბლიკა საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასთან ერთად, საერთაშორისო სამართლის პრინციპებით იხელმძღვანელებდა.²⁰ „ჩვენ ვცნობთ მხოლოდ საერთაშორისო სამართალს და მასზე დავაფუძნებთ ჩვენი ქვეყნის შიდა კანონმდებლობას... რამდენადაც ჩვენ ვიბრძვით ადამიანის უფლებათა დაცვისათვის, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი სახელმწიფო ნყობილება უნდა ემყარებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ჰელსინკისა და ვენის საერთაშორისო შეთანხმებებს, რათა ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დასამკვიდრებლად“ – განაცხადა ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის 14 ნოემბერს.²¹ აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტში შემდეგი ჩანაწერის შეტანა: „საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად“.²²

20 ზვიად გამსახურდიას გამოსვლა უზენაესი საბჭოს სესიაზე, გაზ. „ახალი საქართველო“, №2-3, 1990.

21 იქვე.

22 საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, № 4 (აპრილი), 1991, გვ. 27.

როგორ და რატომ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

საერთაშორისო სამართალი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტი გაეროს წესდებაა, ითვალისწინებს როგორც ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენული სახელმწიფოების საზღვრების ურღვეობის პრინციპს, ასევე, ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას. დღემდე მიმდინარეობს დავა ამ ორი პრინციპის ურთიერთმართების შესახებ, თუმცა აშკარაა, რომ მათგან პირველს უპირატესობა ენიჭება, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ხალხის უფლებათა დაცვის გათვალისწინებით.

1990 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს არ დაურღვევია არც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტალური პრინციპები, რამეთუ იცავდა სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. რაც მთავარია – ოლქის გაუქმების გადაწყვეტილებაში ნათლად ეწერა, რომ საქართველოში დაცული იქნებოდა ოსი მოსახლეობის უფლებები, მათი კულტურული ავტონომია. საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო არა ეთნიკური სარჩული, არამედ პოლიტიკური – სახელმწიფოს ერთიანობის დარღვევის მცდელობა.

ამგვარად, იურიდიული თვალსაზრისით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება სამართლიან აქტს წარმოადგენდა. რაც შეეხება ამ გადაწყვეტილების პოლიტიკურ ნაწილს, ვფიქრობ, რომ აქცენტი უფრო მეტად უნდა გაკეთებულიყო იმაზე, რომ სეპარატისტებმა თავად თქვეს უარი ავტონომიურ ოლქზე მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსეთი „საბჭოთა რესპუბლიკად“ გამოაცხადეს. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას უფრო მეტად აღნიშნული ფაქტის კონსტანტაციისა და დადასტურების სახე ჰქონოდა, რადგან შემდგომში ოლქის გაუქმება სეპარატისტულმა ძალებმა, საბჭოთა ხელისუფლებამ და საინფორმაციო საშუალებებმა ცხინვალის კონფლიქტის ათვლის ნერტილად და უმთავრეს მიზეზად წარმოაჩინეს, რაც ასე ნამდვილად არ ყოფილა, როგორც კონფლიქტის წინაპირობებისა და მიზეზების მიმოხილვამ დაგვარწმუნა.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკასა და ცხინვალის სეპარატისტულ ძალებს შორის ე.წ. „კანონთა ომის“ ფაზა დასრულდა. ამჟამად იყო, რომ დაპირისპირება ამით არ დასრულდებოდა.

12 დეკემბერს ცხინვალში დაუდგენელმა პირებმა მოკლეს სამი ადამიანი, მათ შორის ორი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტი იყო. თავდასხმის დროს დაიჭრა ორი ადამიანი. რეგიონის ოსურმა და ქართულმა მოსახლეობამ პიკეტების მოწყობა დაიწყო. სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა²³. იმავე დღეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება 13 დეკემბრიდან ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში საგანგებო წესების შემოღების შესახებ²⁴. 1991 წლის 4 იანვარს ქალაქ ცხინვალში ექსტრემისტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლებს, მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ტაბელური იარაღი წაართვეს.²⁵ 5 იანვარს საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალში მილიციის კონტინგენტის გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. 6 იანვარს ქალაქში მილიციის დამატებითი ძალები შევიდნენ.

7 იანვარს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხაილ გორბაჩოვმა გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს სსრ-ში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ“. ბრძანების მიხედვით, სსრ კავშირის პრეზიდენ-

23 ეროვნული ხელისუფლების 419 დღე: მეორე რესპუბლიკის ყოველდღიური მატინე, ავტორ-შემდგენლები: გიორგი არქანიას, გიგი გიოშვილი, გიორგი ბუცხრიკიძე, „არტანუჯი“, 2021, გვ. 346.

24 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №7, 1991.

25 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №4 (24), 1991.

ტი აუქმებდა როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ასევე სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს გადაწყვეტილებას ოლქის რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ. ბრძანებულების თანახმად, სამი დღის ვადაში რეგიონი უნდა დაეტოვებინათ შეიარაღებულ ფორმირებებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გარდა.²⁶

აღნიშნული ბრძანებულება იმით იყო დასაბუთებული, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის, 108-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „სსრ კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სსრ კავშირის 1990 წლის 26 აპრილის კანონის მე-6 და მე-2 პუნქტის საფუძველზე, ნებისმიერი გადაწყვეტილება ავტონომიურ ფორმირებათა სტატუსის შესახებ, იურიდიულ ძალას იძენდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები; აგრეთვე, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და „სსრ კავშირის კანონების და კანონმდებლობის სხვა აქტების მოქმედების უზრუნველყოფის შესახებ“ სსრ კავშირის 1990 წლის 24 ოქტომბრის კანონის შესაბამისად²⁷.

1991 წლის 9 იანვარს შედგა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ“. ამ დადგენილებით, სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულება იცნო „ანტიკონსტიტუციურად“, რადგან: 1) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სსრკ კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფო იყო და თავისი საზღვრების ფარგლებ-

26 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №5 (25), 1991.

27 იქვე.

ში ახორციელებდა ტერიტორიულ უზენაესობას, მისი კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეეძლო სსრ კავშირის ხელისუფლების არცერთ ორგანოს; 2) საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო იმის საფუძველზე, რომ ექსტრემისტები და სეპარატისტები ცდილობდნენ საქართველოსთვის მოენყვიტათ ცხინვალის რეგიონი; 3) ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დამტკიცების საკითხი არ დასმულა სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წინაშე, ვინაიდან ამგვარი წესი არც სსრ კავშირის კონსტიტუციაში და არც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში არ იყო გათვალისწინებული. ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტის დადასტურებას არ ითვალისწინებდა არც 1990 წლის 26 აპრილის კანონი²⁸, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამოქმედოდ არც იყო შემოღებული; 3) საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებს, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ენიჭებოდათ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლება და თანასწორუფლებიანობა ცხოვრების ყველა სფეროში (ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-

28 1990 წლის 26 აპრილს მიიღეს კანონი „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“. ამ კანონის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრა როგორც „სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც სსრკ-ში ნებაყოფლობითაა გაერთიანებული“, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკები – „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის – სსრ კავშირის სუბიექტებს“. დოკუმენტში ეწერა, რომ ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური წარმონაქმნები შედიან მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე (სტატია 1); მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ავტონომიური წარმონაქმნების ტერიტორიის ცვლილება დაუშვებელი იყო მათი თანხმობის გარეშე (სტატია 3); საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა ახალი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების შექმნის დამტკიცება, აგრეთვე უკვე არსებულთა სტატუსის შეცვლის დამტკიცება (სტატია 6).

მუხლი, პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის და სხვა აქტები). უზენაესმა საბჭომ დაადასტურა 11 დეკემბრის კანონის იურიდიული ძალა და უკანონოდ მიიჩნია მოთხოვნა რეგიონიდან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის ქვედანაყოფთა გამოყვანის შესახებ.²⁹

მიხაილ გორბაჩოვის ბრძანებულებამ დაძაბულობის შესუსტების ნაცვლად, პირიქით – მდგომარეობა უფრო გაამწვავა. საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა უკმაყოფილებით შეხვდა მას, სეპარატისტულ ძალებს კი წარმატების იმედი მიეცათ.

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ შესასრულებლად მიიღო მიხაილ გორბაჩოვის ბრძანებულება და სსრკ-ს პრეზიდენტს სთხოვა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მისი კონტროლი შინაგანი ჯარების მიერ. 1 თებერვალს მორიგმა სესიამ ცხინვალში დისლოცირებულ საბჭოთა ძალოვანს სტრუქტურებს პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულება სთხოვა. 4 თებერვალს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ“ მიხაილ გორბაჩოვს მიმართა და მოუწოდა, გაეყვანათ ქართული შეიარაღებული ფორმირებები ცხინვალის რეგიონიდან. ისევ გამოთქვეს სურვილი, მიეღოთ პრეზიდენტის ბრძანებულების პირობები, თუ საქართველოს ხელისუფლებაც იგივეს გააკეთებდა.³⁰

სამართლებრივი თვალსაზრისით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საკითხი საქართველოში პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა არც უფიქრია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება მოხდა ყველა სამართლებრივი

29 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესახებ, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 6, 1991.

30 Южная Осетия: хроника событий грузинской агрессии 1988 – 1992 гг, <http://cominf.org/node/1137017124>. წვდომა განხორციელდა: 08.11.2023.

ბიორგი არქანია

ნორმის დაცვით. რაც შეეხება ამ თემის პოლიტიკურ მხარეს, საბჭოთა კავშირმა, შემდგომში კი რუსეთის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა, რათა მიერქმალა რეგიონში კონფლიქტური ვითარების შექმნის ნამდვილი მიზეზები და წინაპირობები, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება გამოიყვანა ცხინვალში ომის დაწყების მაპროვოცირებლად და საერთაშორისო მასშტაბით აამუშავა მძლავრი დეზონფორმაციული მანქანა. საბჭოთა კავშირის/რუსეთის ფედერაციის მიერ პროვოცირებული სეპარატისტებმა ძალა არ დაიშურეს ცხინვალის რეგიონის საქართველოს იურისდიქციიდან მონყვეტისათვის. რა თქმა უნდა, ამ პროცესის საფუძველი გახლდათ საბჭოთა კავშირის კოლონიური პოლიტიკა და შემდგომში მისი სამართალმემკვიდრის – რუსეთის ფედერაციის მიერ ამუშავებული ნეოკოლონიური პოლიტიკა, რათა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო არ შემდგარიყო, ცხინვალის რეგიონი კი დარჩენილიყო სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზების მნიშვნელოვან პუნქტად. სწორედ ეს გახდა მთავარი ფაქტორი 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული მორიგი ინტერვენციისა.

1990–1992 წლების ამერიკული პრესა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე კონფლიქტის შესახებ

(ომის პერიოდში „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ
სტატიათა მიხედვით)

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლობის ზღურბლთან მდგარი ჩვენი ქვეყნის წინაშე მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. მათგან განსაკუთრებული სიმწვავეით, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემა გამოირჩეოდა. ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწვევით რუსეთი აქტიურად შეეცადა, წინ აღდგომოდა საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ მიზნით იგი ყველანაირად უწყობდა ხელს ეთნოკონფლიქტების გაღვივებას. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების პარალელურად, რუსეთმა მიზანმიმართულად ამოქმედდა აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მის მიერვე ადრე ჩადებული დაყოვნებული მოქმედების ნაღმები, რასაც შედეგად ჯერ სამოქალაქო ომი, ცოტა მოგვიანებით კი საქართველოს ამ ძირძველ ისტორიულ რეგიონებზე საქართველოს იურისდიქციის დროებითი დაკარგვა მოჰყვა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ომის პერიოდში გამოქვეყნებული მასალების გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში არგუმენტირებულადაა ნაჩვენები ის დამოკიდებულება, რომელსაც ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით იჩენდნენ იმხანად ამერიკელი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის პრობლემის მათეული შეფასებისაგან განსხვავებით, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის კომენტირებისას ისინი გაცილებით მეტ შეცდომებს

უშვებდნენ როგორც ისტორიულ მოვლენათა, ისე იმხანად არსებული ვითარების განალიზების დროს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაინც 1990-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული წერილები ხასიათდებიან.

აღნიშნული გარემოება, ჩემი აზრით, იმით იყო განპირობებული, რომ აფხაზეთის პრობლემაზე დაწერილი სტატიებისგან განსხვავებით, რომელთა უდიდესი ნაწილი ავტორებს უშუალოდ კონფლიქტის ზონაში მათ მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით ჰქონდათ დაწერილი, ამ წერილების უმეტესობა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მოსკოვის ბიუროდან მიღებულ ინფორმაციებს ემყარებოდა. ეს გარემოება კი მნიშვნელოვანწილად უშლიდა ხელს სტატიათა ავტორებს, ობიექტურად შეეფასებინათ რეგიონში არსებული კონფლიქტური ვითარება.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ მასალებში ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები მიუკერძოებელი ობიექტურობით არაა განალიზებული, მათი უყურადღებოდ დატოვება გამართლებულად მაინც არ მიმაჩნია, რადგან აღნიშნულ წერილებში დაშვებული შეცდომების იგნორირება და მათთვის პასუხის გაუცემლობა ნეგატიურ როლს შეასრულებს საქართველოსთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საქმეში.

პირველი სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ნიუ-იორკ ტაიმსში“ 1990 წლის 12 დეკემბერსაა გამოქვეყნებული, საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების მეორე დღესვე. კერძოდ, მასში ნათქვამია: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკამ გააუქმა ჯიუტი ეთნიკური უმცირესობის ავტონომია, რათა თავიდან აიცილოს მყარად ფესვგადგმული კონფლიქტების განახლება.“

ადგილობრივი ჟურნალისტების განცხადებით, ნაციონალისტებით დომინირებულ საქართველოს პარლამენტში დაასრულეს 70 წლიანი კომუნისტური მმართველობა და ასევე ხმა მისცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონის გაუქმებას. ამიერიდან ოსური უმცირესობა მართული იქნება უშუალოდ საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან, განაცხადეს მათ.

სამხრეთ ოსეთი, 1922 წელს კრემლის მიერ მისი შექმნიდან დღემდე, წარმოადგენდა მრავალი ეთნიკური დაპირისპირების ასპარეზს“.¹

მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულ წერილში კი საუბარია იმ ფატალურ შედეგზე, რომელიც მყისიერად მოჰყვა ავტონომიის გაუქმების ზემოთაღნიშნულ გადაწყვეტილებას: „საქართველოს უზენაესმა საბჭომ, გააუქმა რა 1922 წლიანი ავტონომია სამხრეთ ოსეთში, დაავალა რეგიონალურ სამხედრო ხელმძღვანელობას დაანესოს კონტროლი პრესასა და რეგიონში ყველა შემსვლელ-გამომსვლელზე და აკრძალოს მანიფესტაციები და სხვა სახის სახალხო დემონსტრაციები...“

მსგავს აკრძალვებს სამხრეთ ოსეთში ოთხშაბათ საღამოს მოჰყვა სამი ფატალური გასროლა... ინტერფაქსის ცნობით, უცნობმა შეიარაღებულმა მამაკაცმა, რომელიც მანქანას მართავდა ცხინვალში ლენინის ქუჩაზე, გახსნა ცეცხლი, რის შედეგადაც დაიღუპა პოლიციის ოფიცერი, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირადი დაცვის წევრი და ერთიც სამოქალაქო პირი. ორი სხვა ადამიანი კი დაიჭრა“.²

ასეთი ლოკალური შეიარაღებული ინციდენტებით დაინყო კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც მოგვიანებით ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდა, რასაც შედეგად, კრემლის უშუალო ძალისხმევით, ჩვენი ქვეყნის ამ ისტორიულ რეგიონზე დროებით საქართველოს იურისდიქციის დაკარგვა მოჰყვა. თუმცა, ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ კონფლიქტის დაწყების ერთგვარ საბაზად ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ პოლიტიკურად გაუთვლელი იმ გადაწყვეტილების მიღებაც იქცა, რომელიც აღნიშნული რეგიონისთვის ავტონომიურობის სტატუსის ჩამორთმევას ითვალისწინებდა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსშიც“ აღნიშნული პრობლემის გან-

1 Authorless, Soviet Georgia Revokes Autonomy for Region, *New York Times*, December 12, 1990.

2 Authorless, A Curfew Is Declared In the Soviet Caucasus, *New York Times*, December 14, 1990.

ოთარ ნიკოლეიშვილი

მაპირობებელ ძირითად მიზეზად სწორედ ეს ფაქტია დასახელებული, თუმცა აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განსხვავებით აფხაზეთის შესახებ დაწერილი სტატიებისაგან, მთლიანობაში, „სამხრეთ ოსეთის“ საკითხზე დაწერილ პუბლიკაციათა უმრავლესობა არ შეიძლება შეფასდეს ობიექტურად და რეალური ვითარების ღრმად განსწავლულობით შესწავლის შედეგად. ნათქვამის დასტურად დავასახელებ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს.

შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების, მისი უშუალო მიმდინარეობისა თუ დაზარალებულთა მდგომარეობის აღწერის დროს ძირითად მსხვერპლად, ანუ ჩაგრულ მხარედ, მიუხედავად ამ მხარისადმი კრემლის აშკარა მხარდაჭერისა, მხოლოდ რეგიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობაა მიჩნეული, იქაურ ქართველებზე კი, რომლებიც აშკარა დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ როგორც ოსი სეპარატისტების, ისე რუსეთის რეგულარული არმიის ჯარისკაცების მხრიდან, არაფერია ნათქვამი. უფრო მეტიც, ზოგიერთ სტატიაში საქართველოს იმჟამინდელი, კანონიერად არჩეული ხელისუფლება ყოფილი სამხრეთ ოსეთის იმდროინდელ რეაქციონერ ლიდერებთანაც კია გაიგივებული. ყოველივე ზემოთქმულის შესახებ ქვემოთ მოვიყვან შესაბამის ადგილებს გაზეთიდან.

მაგალითად, 1991 წლის 10 თებერვლის „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ნათქვამია: „ლტოლოვილები და დაჭრილი ბავშვები უფრო იოლი სანახავია, ვიდრე სიმართლე ამ მთიან რეგიონში, სადაც ახლახანს წარმოიქმნა კონფლიქტი კრემლსა და თავდაჯერებულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის... თორმეტი ოსი და ქართული მილიციის ოთხი თანამშრომელი დაიღუპა გამართულ ბრძოლებში. მილიცია არის საქართველოს ლიდერის – ზვიად გამსახურდიას კონტროლქვეშ. იგი არ გახლავთ კომუნისტი, არამედ სეპარატისტული მრგვალი მაგიდის ხელმძღვანელია, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება წინა წლის ოქტომბერში გამართულ მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში და მოვიდა უმრავლესობით...“

ოსები, რომლებიც მთის მოსახლეები არიან და ქართველე-

ბი, რომელნიც უმეტესად ბარში სახლობენ, საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს. უახლესი კონფლიქტი კი მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც ბატონი გამსახურდიას საპარლამენტო ბლოკი იქნა არჩეული მოსკოვისაგან სრული დამოუკიდებლობის მიღწევის პლატფორმით...

ამ კონფლიქტის შედეგად კი ცხინვალის 65 ათასი მცხოვრებიდან 15 ათასი ლტოლვილად იქცა. ქართველები ნავიდნენ თავიანთ დედაქალაქ თბილისში, ოსები კი ცდილობენ გადავიდნენ ჩრდილოეთ ოსეთში, რეგიონში, რომელიც რუსეთის ნაწილი უფროა, ვიდრე საქართველოსი“.³

როგორც ზემოთ ციტირებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, მასში ბევრგანაა დაშვებული როგორც ისტორიული, ისე იმხანად არსებულ ვითარებასთან მიმართებით დაშვებული უზუსტობები. კერძოდ, ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ჩრდილოეთ ოსეთის შესახებ ჟურნალისტის მიერ გამოთქმული მოსაზრება.

ასევე პრინციპულად მცდარია და სრულიად უსაფუძვლო საქართველოს მოხსენიება „სეპარატისტულ რესპუბლიკად“ (სწორედ ამ სტატუსითაა ნახსენები ჩვენი ქვეყანა 1991 წლის 25 მარტის „ნიუ-იორკ ტაიმსში“) და მისი გაიგივება დე-ფაქტო რეჟიმთან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი სახის შეცდომები შემდეგდროინდელ სტატიებშიც არაერთგზის დაფიქსირებულა. მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმის“ 7 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში, სადაც საუბარია „შეიარაღებული ოსების მცირე რაზმსა და 1500 კაცთან ქართულ მილიციას შორის დაპირისპირებაზე“, ასეთი კომენტარია გაკეთებული: „საქართველოს ნაციონალისტი ლიდერები, რომელთაც ფიცი დადეს, რომ მიიყვანდნენ რესპუბლიკას დამოუკიდებლობამდე, რეპრესიებს უწყობენ ქვეყნის ეთნიკურ უმცირესობებს“.

„ნიუ-იორკ ტაიმის“ ჟურნალისტი ფრანსის კლაინსი კი, რომელსაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე სტატია აქვს გამოქვეყნებული, უფრო შორსაც მიდის. იგი ნამ-

3 Authorless, Kremlin Role Questioned in Georgian Ethnic Strife, *New York Times*, February 10, 1991.

დვილად არ გამოირჩევა ვითარების ობიექტურად ასახვითა და ქართველებისადმი კეთილგანწყობით და იმდენად შორსაც კი მიდის, რომ ცდილობს „დეტალურად აღწეროს“ ქართველების მიერ ოსების მიმართ გამოჩენილი „სისასტიკე“. იმ დევნა-შევიწროებაზე კი, რომელსაც ეთნიკური ქართველები განიცდიდნენ როგორც ოსი სეპარატისტების, ისე რუსი ოკუპანტების მხრიდან, არაფერს ამბობს.

ნათქვამის დასტურად მოვიყვან ციტატას ზემოთ აღნიშნული ჟურნალისტის ერთ-ერთი სტატიიდან: „ოსეთის ერთ დროს მშვიდობიან დედაქალაქში მცხოვრები ოსი უმცირესობა ებრძვის ქართველებს, რომლებიც რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ...“

შეუსაბამობა აღინიშნება ქვეყნის ახალ საშიშ პოლიტიკაში სეპარატიზმთან მიმართებით. საქართველოს მთავრობა ერთის მხრივ ითხოვს დამოუკიდებლობას კრემლისგან, მეორეს მხრივ კი ებრძვის ოსებს, რომლებიც მოითხოვენ უფრო ცოტას – მეტ თვითმმართველობას საქართველოსაგან“. ამის შემდეგ ჟურნალისტი პოულობს ომის შედეგად დაზარალებულ რამდენიმე ოს მოქალაქეს და გადმოგვცემს მათ ნაამბობს, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ამ საომარი მოქმედებების დროს მხოლოდ ისინი დაზარალდნენ, აგრესორებად კი ქართველები გვევლინებოდნენ. მეტი სიცხადისთვის მოვიყვან შესაბამის მაგალითს:

„ისინი მირტყამდნენ, ცეცხლს მისცეს ჩემი ტანსაცმელი და თან მეუბნებოდნენ, რომ მე ოსი ვიყავი და აუცილებლად უნდა დამეტოვებინა აქაურობა“, – განაცხადა 76 წლის აქსეინა ბაგაიევამ, რომელიც საავადმყოფოში იწვა მკლავის მოტეხილობით. შემდეგ კი დასძინა: „მე ჩემს სოფელში 35 წელი ვიცხოვრე მშვიდობიანად, მაგრამ შემდეგ მოვიდნენ ქართველები და განგვიცხადეს, „ეს ჩვენი მიწაა, გაეთრიეთ აქედან“. ამის გარდა, იქვე მოყვანილია 11 წლის ოსი ბავშვის „მუქარა“. მისი თქმით, იგი „ყველანაირად იძიებდა შურს ქართველებზე, როგორც კი ამას შეძლებდა“.⁴

4 Francis X. Clinnis, *Strife in Georgia Republic Reveals Danger in New Soviet Separatism*, *New York Times*, March 24, 1991.

ასე თანდათანობით, არა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით, არამედ პრესის საშუალებებითაც ჩამოყალიბდა ოს ეთნოსში ქართველისაგან მტრის ხატი, რის შედეგებსაც დღესაც იმკის ჩვენი ქვეყანა.

მსგავსი პათოსითაა დაწერილი „ნიუ-იორკ ტაიმის“ კიდევ ერთი სტატია, რომლის ავტორია ჟურნალისტის ჯეიმს ბრუკი (James Brooke). ავტორი მოვლენათა არასწორი ანალიზითა და მცდარი ისტორიული არგუმენტებით ცდილობს ოსი ხალხი ქართველებისაგან დაჩაგრულად წარმოაჩინოს. კერძოდ, მასში ნათქვამია:

„დაპირისპირება არსებობს მდიდარ და ამაყ საქართველოს რესპუბლიკასა (რომელმაც ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა) და ოსებს შორის, რომლებიც არიან ირანულენოვანი ანკლავი საქართველოს შიგნით და რომელთაც სურთ დამოუკიდებლობა. ქართველები და ოსები სხვადასხვა კულტურისა და ენის ხალხები არიან, რომლებისთვისაც წლების განმავლობაში, მოსკოვის მმართველობის პერიოდში, რუსული გახლდათ საერთო ენა. ქართველებს სურთ ერთ დროს ავტონომიურ რეგიონში თავიანთი პირდაპირი მმართველობის დამყარება, რამაც ძალზე გაანაწყენა არა მარტო ოსები, არამედ რუსებიც, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის ათ პროცენტს შეადგენენ“. ამის შემდეგ გაზეთში მოყვანილია „სამხრეთ ოსეთის“ „რეგიონალური საბჭოს“ (გაზეთის ტერმინია – ო. ნ.) თავმჯდომარის კომენტარი და ომის მსხვერპლთა მისეული სტატისტიკა. კერძოდ, მისი განცხადებით: „20-იანი წლების დასაწყისში ქართველებმა გადაწვეს სამხრეთ ოსეთის სოფლები და ახლაც, 70 წლის შემდეგ, ისინი იგივეს იმეორებენ“. „ოსთა ლიდერის განცხადებით, იანვრიდან მოყოლებული ქართველებმა დაწვეს 80 სოფელი, მოკლულია 214 ოსი, 740 დაჭრილია, 106 კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება... მაგრამ დასავლეთის მოსკოველი დიპლომატის სტატისტიკით, 1989 წლიდან მოყოლებული, დაღუპულია 300 ოსი ეროვნების ადამიანი“.

გაზეთის შეფასებით, ასეთი „უმონყალო ტერორის“ შედეგად, უკვე 83 ათასი ოსი – საქართველოს ოსური მოსახლეო-

ბის ნახევარი – ცდილობს გადალახოს თოვლიანი მთები და გადავიდეს ჩრდილოეთ ოსეთში, რომელიც არის ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში. ლტოლვილთა კომიტეტის განცხადებით, ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით, შესაძლოა ეს რიცხვი გაიზარდოს და ასი ათას კაცს მიაღწიოს“. რაც შეეხება ქართველების მხრიდან დალუპულთა და დევნილთა რაოდენობას, ამასთან დაკავშირებით გაზეთი დასძენს, რომ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, გარდაცვლილია 35, ხოლო ლტოლვილადაა ქცეული 10 ათასი ქართველი“.⁵

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასევე გაზეთის დამოკიდებულებას საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული მოძრაობის იმჟამინდელი ლიდერებისადმი. მაგალითად, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის მეორე დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტი ფრანსის კლაინსი წერს: „ოფიციალური შედეგები ჯერ-ჯერობით არ გამოცხადებულა, თუმცა ეჭვი არ არის, რომ ზვიად გამსახურდია მოიპოვებს ხელმოსაჭიდ გამარჯვებას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში...“

მაგრამ ქართული რეფერენდუმი, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, სეპარატისტული ხასიათისაა და ხელს უწყობს საბჭოთა კავშირში პოლიტიკური სუვერენიტეტის საბაზით სიტუაციის ბალკანიზაციას...

გასულ წელს, მან (ზვიად გამსახურდიამ – ო. ნ.) იწინასწარმეტყველა არჩევნებში 80 პროცენტის მხარდაჭერა და დაპირდა ხალხს, რომ იგი ამ შემთხვევაში ახალ ბიძგს მისცემდა სეპარატისტულ მოძრაობას და მოაცილებდა კომუნისტურ მმართველობას კავკასიის ამ მთიანი რესპუბლიკის პარლამენტიდან...“

თუმცა, თავის მხრივ, ჟურნალისტის აზრით, „იმის პასუხად, რომ ოსებმა მოითხოვეს მზარდი ქართული ნაციონალიზმისაგან თავიანთი უფლებების უფრო ძლიერი დაცვა, საქართვე-

5 James Brooke, A Centralized Rule Wanes, Ethnic Tension Rises Anew in Soviet Georgia, *New York Times*, October 2, 1991.

ლოს პარლამენტმა მათ დეკემბერში ნახევრად ავტონომიური სტატუსიც კი ჩამოართვა...”

სტატიის ავტორის აზრით, სწორედ ამის გამო იყო, რომ „ოსებმა, რომლებიც წარმოადგენენ პრომოსკოვურ უმცირესობას და რომელნიც ამჟამად საომარ მდგომარეობაში არიან ქართველებთან, ბოიკოტი გამოუცხადეს რესპუბლიკის პლენისციტს“.⁶

როგორც ზემოთ ციტირებული ფრაგმენტიდანაც ნათლად ჩანს, ადგილი აქვს კიდევ ერთ არა მარტო ისტორიულ, არამედ ინფორმაციულ უზუსტობასაც. კერძოდ, ჟურნალისტის მიერ მოწვდილი ცნობა, თითქოს ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრებმა მოსახლეობამ რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა, მცდარია. როგორც ცნობილია, აღნიშნული რეფერენდუმი საქართველოს უკლებლივ ყველა კუთხეში, მათ შორის, რა თქმა უნდა, აფხაზეთშიც და ე. წ. „სამხრეთ ოსეთშიც“ გაიმართა და მასში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურად ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა მიიღო.

დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღის დადგენის შემდეგ, ჟურნალისტი სერჟ შემმანი წერს, რომ მისი არჩევა საქართველოს პარლამენტს შემთხვევით არ მოუხდენია და იგი „საბჭოთა ჯარების მიერ თბილისში 19 მომიტინგის მკვლელობის მეორე წლისთავს ემთხვევა“.⁷ თუმცა გაზეთი მიიჩნევს, რომ ჩვენი ქვეყნის გამოყოფა იმპერიიდან მხოლოდ ფორმალური იქნებოდა, რადგან „თანამედროვე საქართველო ეკონომიკურად ძალზე შეჭირვებული ქვეყანაა და იგი დამოკიდებულია მოსკოვის მხრიდან სხვადასხვა ტიპის დახმარებაზე“.⁸

მართალია, ზემოთ მოყვანილ სტატიაში ჟურნალისტი ფრანსის კლაინსი სწორ შეფასებას აკეთებს ჩვენი ქვეყნის იმდროინ-

6 Francis X. Clinnes, Soviet Georgians Vote in Independence Plebiscite, *New York Times*, April 1, 1991.

7 Serge Schmemmann, Workers defying Gorbachev's call for end to unrest, *New York Times*, April 11, 1991.

8 Francis X. Clinnes, Secession Decreed by Soviet Georgia, *New York Times*, April 10, 1991.

დელ ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩემი აზრით, მსგავსი მნიშვნელობის მქონე მოვლენის მხოლოდ ამ კუთხიდან შეფასება შეცდომა იყო, რადგან მასში არაფერია ნათქვამი იმ ისტორიული, თუ იურიდიული სამართლიანობის აღდგენაზე, რაც აღნიშნულ ფაქტს მოჰყვა შედეგად.

საქართველოს დამოუკიდებლობისადმი გაზეთის დამოკიდებულების მაგალითად მოვიყვან ციტატას ჟურნალისტ სერჟ შემემანის სტატიიდან, რომელშიც საუბარია პირველ ქართულ საპრეზიდენტო არჩევნებზე და რომლის სათაურიც ასეთია: „სეპარატისტი იმარჯვებს საბჭოთა საქართველოს არჩევნებში“. მასში ნათქვამია: „დღეს გამოცხადებული შედეგების მიხედვით, კვირას გამართულ რესპუბლიკის პირველ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა საქართველოს ნაციონალისტმა ლიდერმა...“

საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ზვიად გამსახურდიამ, რომელიც გახლდათ ყოფილი პოლიტპატიმარი და ასევე პროსეპარატისტულად განწყობილი პარლამენტის პრეზიდენტი, მიიღო ამომრჩეველთა 87 პროცენტი. მისმა უახლოესმა მეტოქემ, ვალერიან ადვაძემ მხოლოდ 6 პროცენტი, დანარჩენმა კანდიდატებმა კი 2 პროცენტზე ნაკლები“.

ჟურნალისტის აზრით, არჩევნების ამგვარი შედეგი იმითაც იყო განპირობებული, რომ „საარჩევნო კამპანიის დროს ბატონი გამსახურდია განუწყვეტილად ადანაშაულებდა თავის ოპონენტებს მოსკოვისა და კვბ-ს აგენტობაში. ხოლო, როდესაც ბატონმა ადვაძემ მის პირად მცველად ოთხი რუსი პიროვნება დაიქირავა, ქართული უშიშროების ძალებმა ისინი დააპატიმრეს“.⁹

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ჩვენ სიმართლის გარკვეულ ელემენტებსაც ვხვდებით, ვფიქრობ, სტატიის ავტორის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი და მისი მხრიდან საქართველოს კვლავ საბჭოთა რესპუბლიკად, ხოლო მისი დემოკრატიულად არჩეუ-

9 Serge Schmemmann, Separatist Wins Soviet Georgia Vote, *New York Times*, May 28, 1991.

ლი პრეზიდენტის სეპარატისტად მოხსენიება კატეგორიულად მიუღებელი და დასაგმობია.

ჟურნალისტი ასევე უარყოფითად აფასებს დამოუკიდებლობის მოსურნე სხვა რესპუბლიკათა შორის ურთიერთთანამშრომლობის სურვილსაც. მაგალითად, იგი წერს: „ქართულ არჩევნებთან ერთად, მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში იქმნება „ეროვნულ ფრონტთა ასამბლეა“ (Assembly of National Fronts). მის შემადგენლობაში ის ექვსი რესპუბლიკა შევა, რომელთა განზრახვაც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფაა. საქართველოსა და მოლდავეთის გარდა, ესენი არიან: სომხეთი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა.

მონაწილეთა განცხადებით, ასამბლეის მიზანი იქნება „კოორდინირება გაუნიოს ამ ექვსი რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ნაბიჯებს“. სტატიის ავტორის თქმით, ეს მაშინ ხდება, როცა „ცხრა დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკის ლიდერი – სლავური და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები – აპრილში შეხვდნენ ბატონ გორბაჩოვს, რათა შეთანხმებულიყვნენ ახალი კავშირის ჩამოყალიბებაზე, თავისი ახალი კონსტიტუციით“.¹⁰

მოვლენათა შეფასების მხრივ სიტუაცია ოდნავ უკეთესობისაკენ საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ იცვლება, რაც იმაში გამოიხატა, რომ გაზეთში აღარც საქართველოს მოიხსენიებენ საბჭოთა და სეპარატისტულ რესპუბლიკად და არც ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ხელისუფალთ სეპარატისტთა ლიდერებად. თუმცა, ჩემი აზრით, ეს არა მარტო პიროვნული ფაქტორებით იყო განპირობებული, არამედ იმითაც, რომ იმხანად უკვე საბჭოთა იმპერიის დაშლა ოფიციალურად იყო გაფორმებული (იგი ფორმალურად 1991 წლის 25 დეკემბერს გამოცხადდა) და შესაბამისად, ძველი მოკავშირე რესპუბლიკების კვლავ საბჭოთა სტატუსით მოხსენიება აზრს კარგავდა.

რაც შეეხება უშუალოდ კონფლიქტის მიმართ გაზეთის დამოკიდებულებას, ამ მხრივ აქ ბევრი არაფერი შეცვლილა.

10 იქვე.

ოთარ ნიკოლეიშვილი

მართალია, იმგვარ სტატიათა რიცხვი შემცირდა, სადაც ქართველები აშკარა აგრესორებად იყვნენ გამოყვანილნი, მაგრამ კვლავ თითქმის არაფერია ნათქვამი იმ უარყოფით როლზე, რომელიც რუსეთმა შეასრულა კონფლიქტის გაღვივებისა თუ უშუალოდ საომარი მოქმედებების მიმდინარეობის საქმეში. ნათქვამის დასტურად ქვემოთ მოვიყვან შესაბამის მაგალითებს გაზეთიდან.

ერთგან წერია: „კონფლიქტი სამხრეთ ოსეთში წარმოადგენს ყველაზე მსხვერპლიანს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის. რამდენიმე ასეული კაცი იქნა დაღუპული 1989 წლის შემდეგ რეგიონში, სადაც შეიარაღებულ პირებს სურთ თბილისის დაქვემდებარებიდან გამოსვლა და რუსეთის რეგიონ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთება“.¹¹

თუმცა, გაზეთი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ეს კონფლიქტი არ წარმოადგენს ერთადერთს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მაგალითად, ჟურნალისტს, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე საუბრის დროს, მოჰყავს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) გაერთიანებული ძალების მთავარსარდლის ევგენი შაპოშნიკოვის შემდეგი სიტყვები: „თუ სხვა მხარე ჩაერევა სომხეთ-აზერბაიჯანის ბრძოლაში, ჩვენ დავდგებით III მსოფლიო ომის დაწყების ზღვარზე“.¹²

ვფიქრობ, რუსი სამხედრო მაღალჩინოსნის ზემოთ მოყვანილი კომენტარი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ ვინ იდგა რეალურად ამ კონფლიქტების უკან და რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად იქცნენ, ოფიციალური მოსკოვი მაინც თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა და მზად იყო ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებაზეც კი წასულიყო, თუ ცივილიზებული დასავლეთი მათ რაიმე ფორმით დახმარებას გაუწევდა.

11 Authorless, 30 Killed in Ambush of Refugee Bus in Caucasus, *New York Times*, May 21, 1992.

12 Serge Schmemmann, Ethnic Battles Flaring In Former Soviet Fringe, *New York Times*, May 24, 1992.

ნათქვამის დასტურად მოვიყვან კიდევ ერთ ფრაგმენტს გაზეთიდან: „რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებით, მათ გააფრთხილეს საქართველო, თუ იგი არ შეწყვეტდა ბრძოლას, რუსეთი მოახდენდა სამხრეთ ოსეთის ანექსიას. [...] რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარის რუსლან ხაზბულატოვის განცხადებით კი, თუ საქართველო არ დათანხმდებოდა ცეცხლის შეწყვეტას, [...] რუსეთს შესაძლოა განეახლებინა სამხრეთ ოსეთის თხოვნა რუსეთის ფედერაციასთან მისი მიერთების შესახებ“.¹³

ვფიქრობ, ზემოთქმულს ზედმეტი კომენტარის გაკეთება ნამდვილად არ სჭირდება. უბრალოდ საკვირველია, რომ ყოველივე ამის შემდეგ რუსი სამხედრო მოსამსახურეები და ხელმძღვანელები აგრესორების ნაცვლად ლამის მსხვერპლად არიან გამოყვანილნი. მაგალითად, სტივენ ერლანგერის სტატიაში ნათქვამია, რომ „ყოფილი საბჭოთა არმიის ბევრი ჯარისკაცი ამჟამად რუსეთის დაქვემდებარებაშია და ისინი რჩებიან იქ, სადაც იმყოფებოდნენ, როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა. ერთ დროს იმპერიული მოსკოვის წარმომადგენლები დღეს არიან ნარჩენები დაშლილი იმპერიისა და შიშით შეჰყურებენ კვლავ გამოცოცხლებულ ნაციონალიზმს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო საბჭოეთის მიერ რეპრესირებული“.¹⁴

ჩემი აზრით, რუსეთის სამხედრო ძალების მსგავსი შეფასება პრინციპულად მცდარია, რადგან ისინი არათუ შეშინებული დამკვირვებლის როლში არ იმყოფებოდნენ, არამედ მკვეთრად უარყოფით როლსაც კი ასრულებდნენ ამა თუ იმ ქვეყნისათვის ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ კონფლიქტი აფხაზეთში, სადაც აფხაზი სეპარატისტები პირდაპირი გზით მარაგდებოდნენ იარაღით გუდაუთის ბაზიდან; ასევე ყირიმისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტები – შესაბამისად უკრაინისა და მოლდოვაში.

13 Authorless, Azerbaijan Retakes Region From Armenians, *New York Times*, June 16, 1992.

14 Steven Erlanger, Yeltsin Voices Russia's Anger at Ethnic Wars Roiling the Old Soviet Empire, *New York Times*, June 22, 1992.

მიუხედავად ამისა, გაზეთი მაინც დადებითად აფასებს სოჭის ხელშეკრულების დადებასა და იქ სამშვიდობო კონტიგენტად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდით, მხოლოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების შესვლას. მაგალითად, 25 ივნისის „ნიუ-იორკ ტაიმსში“ წერია:

„ბატონი შევარდნაძე სოჭში დაგეგმილზე რამდენიმე საათის დაგვიანებით ჩავიდა. დაახლოებით ოთხსაათიანი შეხვედრის შემდეგ იგი ბატონ ელცინთან და ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ლიდერებთან ერთად გამოჩნდა, რის შემდეგაც მან და ბატონმა ელცინმა განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილია, ხოლო კონფლიქტი – დასრულებული.

ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულება ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, რაც ითვალისწინებს ცეცხლის შეწყვეტას, ორმხრივ თანამშრომლობას და სხვა მრავალს“ – განუცხადა ბატონმა ელცინმა რეპორტიორებს.

მისი თქმით, „ჩამოყალიბდებოდა სამშვიდობო ძალები, რომელიც დაამორიშორებდა მეომარ მხარეებს და განლაგდებოდა სამხრეთ ოსეთის საზღვრის გასწვრივ. სხვა მეტი დეტალი აღარ გაცხადებულა“.¹⁵

სხვა დეტალი კი, როგორც განვითარებული მოვლენებიდანაც გამოჩნდა, მდგომარეობდა იმაში, რომ ქართველებმა უპირობოდ და სრულად დატოვეს როგორც ქალაქი ცხინვალი, ისე ყველა ის ტერიტორიაც, რომელსაც ყოფილ ავტონომიურ ოლქში ჩვენი ქვეყნის საჯარისო შენაერთები აკონტროლებდნენ უდიდესი მსხვერპლისა და გმირობის ფასად. მათი ადგილი კი იქ რუსმა ე. წ. „მშვიდობისმყოფელებმა“ დაიკავეს, რომელთაც ერთ დროს შიდა ქართლის რეგიონში შესასვლელი ადმინისტრაციული საზღვარი ფაქტობრივ სახელმწიფო საზღვრად აქციეს.

სწორედ რეგიონში ე. წ. „სამშვიდობო მისიის“ დაწყებას ეძღვნება „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 15 ივლისის სტატიაც, რომელშიც ნათქვამია: რუსულ-ქართული სამშვიდობო ძალები, რომლებიც გაეროს ლურჯ ფორმაში იქნებიან გამონყობილნი, დღეს (ე. ი.

15 Serge Schmemmann, A Day's Work in Georgia: Shevardnadze Dodges a Coup and Ends a Wars, *New York Times*, June 25, 1992.

14 ივლისს – ო. ნ.) დაიწყებენ ოპერაციებს, რათა შეაჩერონ ბრძოლა საქართველოს რეგიონ სამხრეთ ოსეთში.

ეს იყო პირველი მცდელობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მსგავსი სამშვიდობო მისიის ჩამოყალიბებისა...

რუსული საინფორმაციო სააგენტოს გადმოცემით, 500 რუსი ჯარისკაცი 104 სადესანტო ბატალიონიდან განლაგდება ბუფერულ ზონაში, რომელიც ჰყოფს სამხრეთ ოსეთს დანარჩენი საქართველოდან...

გავრცელებული ინფორმაციით, მოგვიანებით სამშვიდობო ძალებს შეუერთდებიან ჩრდილოეთ ოსეთის მილიციისა და უკრაინის საჯარისო შენაერთები...

დილის 11 საათზე კი საქართველოს ეროვნული გვარდიის შენაერთებმა, რომლებიც იბრძოდნენ სეპარატისტთა წინააღმდეგ, დატოვეს ცხინვალის ტერიტორია¹⁶.

როგორც შემდეგში გახდა ნათელი, რუს ე. წ. მშვიდობის-მყოფელებს” სხვა ეროვნების არცერთი ჯარისკაცი არ დამატებია, რის შედეგადაც ჩვენ რეალურად კონფლიქტის მომრიგებელი სამშვიდობო ძალების ნაცვლად, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი საოკუპაციო ჯარები მივიღეთ. თუმცა, ყველაფერ ამაზე, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობას, ისე, ცხადია, პრესასაც თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არ დაუფიქსირებია, რაც, ჩემი აზრით, იმით იყო გამოწვეული, რომ მათი მთავარი მიზანი – არ წარმოქმნილიყო „მეორე ბალკანეთი“ კავკასიის სახით, მიღწეული აღმოჩნდა. ცალკეული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა კი იმხანად ნაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ამგვარად, განსხვავებით „ნიუ-იორკ ტაიმსში“ აფხაზეთის პრობლემაზე გამოქვეყნებული სტატიებისაგან, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ დაწერილ პუბლიკაციათა უმრავლესობა არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენ მხარდამჭერად, თუმცა მათი სიღრმისეულად გაანალიზება მაინც აუცილებელია საკითხის არსში ძირეულად გასარკვევად.

16 Authorless, Peacekeepers Occupy Former Soviet Region, *New York Times*, July 15, 1992.

გამოყენებული ლიტერატურა:

The The New York Times, December 12, 1990.

The The New York Times, December 13, 1990.

The The New York Times, February 10, 1991.

The The New York Times, March 24, 1991.

The The New York Times, April 1, 1991.

The The New York Times, April 10, 1991.

The The New York Times, April 11, 1991.

The The New York Times, May 28, 1991.

The The New York Times, October 2, 1991.

The The New York Times, May 21, 1992.

The The New York Times, May 24, 1992.

The The New York Times, June 16, 1992.

The The New York Times, June 22, 1992.

The The New York Times, June 25, 1992.

The The New York Times, July 15, 1992.

ნათმელაძე მ., დაუშვილი ა. „საქართველოს უახლესი ისტორია“, თბილისი, 2004 წ.

შველიძე დ., „საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012)“, თბილისი, 2021 წ.

POST-SOVIET TRACES AND EMOTIONS IN POLAND AFTER 1989

Selected examples

1. SOVIET DOMINATION IN POLAND: 1939-1989 – „FROM DZHUGASHVILI TO SHEVARDNADZE”

The Soviet Union had dominated Poland for many decades in the 20th century. Already shortly after the First World War the Bolsheviks made a first attempt (ironically, in the footsteps of the Tsarist Russian Empire) to ‘restore’ the former Russian dominion over the new Poland, arisen in 1918, after 123 years of partitions of the ‘Rzeczpospolita Obojga Narodow’ (= the Polish-Lithuanian Commonwealth). They almost succeeded: one part of the Red Army reached the suburbs of Warsaw, another one the suburbs of Lviv. The last one was led by a Georgian commander: Joseph Dzhugashvili, called Stalin. Fortunately for Poland, the two Bolshevik parts did not unite their attack on the Polish capital city; Stalin was not successful at this time (Davies 1984).

Almost twenty years later, on 23rd August 1939, Stalin signed a secret pact with Nazi Germany that went into history as the Ribbentrop-Molotov-Pact. The name of this pact is *not correct*; it was invented by the Soviets to hide the fact that it was Stalin himself who made a ‘devil pact’ with the Führer. It was in fact a Hitler-Stalin pact, that made the outbreak, on 1st September 1939, of the Second World War possible (German-Soviet Pact | Holocaust Encyclopedia (ushmm.org)). And on 17th September 1939 the Soviet Union had attacked Poland from the East, taking more than a half of the territory of this state. This situation lasted until the attack of Germany on the Soviet Union in June 1941.

One could ask: what, if Hitler had won the war? Then all these Polish territories would remain German for decades. It turned out the other way... Hitler did not conquer the world; Stalin, the great dictator from Moscow, came out as the final winner of WW II. And it was *his* army that took Berlin, not the American one... So the Americans (and the British) accepted Stalin's 'rule over Poland' (Preston 2020).

And Stalin kept 'his' Polish territories from 1939, with Ukrainian, Belorussian and Lithuanian majority, fully in line with the Curzon-line, developed in 1919, after the First World War, by the British ministry of foreign affairs Lord George Curzon.

When in 1989, exactly 50 years after the Hitler-Stalin-Pact and the Soviet domination (one could call it 'Soviet occupation'), the new (democratic) Polish government of Tadeusz Mazowiecki, led by Solidarnosc with Lech Wałęsa, peacefully but radically rejected the Soviet influences, there was another Georgian politician who agreed with this political change and the end of the Soviet domination. It was the last minister of Foreign Affairs of the Soviet Union, Eduard Shevardnadze.

So, one can say that the Soviet domination / occupation of Poland in the 20th century was spread between two Georgian politicians: from Dzhughashvili to Shevardnadze.

2. „GRATITUDE FOR THE LIBERATION”: STALINIST ERA AND LATER TIMES

On 3rd January 1944 the Red Army (defeating the Wehrmacht) again crossed the old Polish border near the town of Sarny (*Сарни*, today in Ukraine), and did not stop until Berlin. After the victory over Germany the Soviet influence overwhelmed for the second time whole Poland – now in its new borders: with former North- and East-German territories and cities like Olsztyn (German: Allenstein), Szczecin (German: Stettin) or Wrocław (German: Breslau), up to the new Polish-German Oder-Neisse-Border. The Eastern part of the former Polish „Second Republic” (declared as 'being true and traditional Belorussian and

Ukrainian') was again incorporated to the USSR. The (new) Communist Polish government accepted this without discussion.

And what about the Polish living in the former Eastern part of Poland as the minority? They should be 'moved' from these territories. Where to? Stalin 'offered' the Polish a 'compensation' with former German territories in the East and in the North, up to the already mentioned 'Oder-Neisse-Border', with (at that moment) an exclusively German population that should be expelled to 'make place' for the 'Eastern Poles' (see Hryciuk *et al.* 2008). In the official 'political language' this was called 'Repatriation': transferring to the motherland. But: was this indeed a Polish *Patria*? No, this was a German *Patria*, now taken over by the new Polish authorities. There was also a 'Soviet undertone': Stalin would be the only one guarantee that these *Ziemie Odzyskane*: 'new', 'regained', 'postulated' (German) territories would 'forever' become Polish (Curp 2006: 55-79). That meant: Soviet domination over the post-war Poland, from 1944 on.

It must be stated that the wish for a territorial 'compensation' after the war was also discussed by the non-Communist Polish government, residing in London. This so-called London-government made plans for a takeover of... East- and North-German territories – just like Stalin, but (of course) with *all the pre-war territories* of the „Second Republic“. Not one inch of it should be given to Stalin (Dymarski 2005).

And they were not the only ones in post-war Europe. The Czechoslovak president Eduard Beneš ordered in 1945 a complete 'Odsun' (Expulsion) of the Sudeten-Germans (Mandler 2002); even the Dutch had made comparable plans with West-German territories. There was more: they also demanded 'German lands *without* Germans' (NPO Geschiedenis – 'Eisch Duitschen grond!' (archive.org)).

The Polish communists planned – and realised – the same: practically all Germans were expelled behind the Oder-Neisse-line. Well, which Neisse? There are two of them, both flowing to the Oder: one is the Nysa Kłodzka (Glatzer Neisse, Eastern Neisse), and another one

is the Nysa Łużycka (Lausitzer Neisse, Lusatian or Western Neisse). Stalin firstly made plans with the Glatzer Neisse. After the end of the Soviet Union and the (temporarily) opening of the Soviet state archives in Moscow, a secret map was discovered that had shown the first plans (see fig. 1).



Fig. 1. Stalin's secret plan from 1944 for new borders of Poland (Przybytek, Tyszkiewicz 2022).

Later the Polish communists proposed the Lausitzer Neisse. But: the British Prime Minister Winston Churchill was radically against bigger war gains for Poland. Only, in July 1945 there was an election in the United Kingdom; and Churchill... had lost it. The British had surely great respect for the 'Hero of the War', but thought visibly that Winston Churchill was not a good figure for the Peace. The new Prime Minister Clement Attlee was not so 'radical' anti-Polish anymore... And so the new Poland had got in 1945 the borders known till today (see fig. 2).




Fig. 2. 'Old' and 'New' Poland in 1945, with the Curzon Line from 1919.

Author: radek.s, File:Curzon line en.svg – Wikimedia Commons

What followed, was 45 years of Soviet domination (1944-1989) over this new Poland. These years were filled with constant interventions in Polish politics, in Polish economy, in Polish culture... They were also marked by visible traces in the Polish 'landscapes', to 'celebrate the Polish gratitude for the liberation'. It started with many Stalin-streets in different Polish cities (Bydgoszcz, Sopot near Gdańsk, Warszawa, Wrocław), one Stalin-city (in the years 1953-1956, Stalinogrod = Katowice, see fig. 3), and with many monuments of the 'Soviet-Polish Brotherhood in Arms'. And there was more...




Fig. 3. From Stalinogrod to Katowice in 1956 (Duch 2013).

3. „LITTLE MOSCOWS” EVERYWHERE...

Because there was another visible sign: thousands of soldiers of the Northern Group of Forces (Северная группа войск) of the Red Army (later: Soviet Army), especially in the Western parts of Poland, near the border to the German Democratic Republic. Up to 1980, the year of Solidarity, one could meet them in Polish streets.

In the (fully exterritorial, for Poles inaccessible) garrisons in Legnica, Swidnica or Borne Sulinowo, these soldiers stayed even after the end of the Soviet Union. And with the Soviet officers there were also their wives (in Soviet army clubs), and their children (in Soviet army schools) – all on Polish territory. It felt like... ‘Little Moscows’ everywhere...

Indeed: the main garrison in Legnica was called ‘Little Moscow’. And years later, in 2008, a film with this title was made: *Mala Moskwa* (from director Waldemar Krzystek). The film was announced with a very romantic phrase: „During the Cold War, a married young Soviet woman and a Polish officer are drawn together by music” (Mala

Moskwa – Box Office Mojo) and it was based on a true story of a forbidden love affair of the wife of a Soviet officer to a Polish officer. It ended with a tragedy: Lidia Sergeevna Novikova committed suicide (see Fig. 5)...



Fig. 5. Grave of Lidia Sergeevna Novikova on the cemetery in Legnica.
*Fot. Aw58, File:Cmentarz komunalny w Legnicy(Aw58)SDC11685.JPG –
 Wikimedia Commons*

But generally, the Soviet soldiers residing in Poland, or at least the officers and their families, were quite content about their stay in this country. This was confirmed e.g. through photographs of friendly people, standing in a Polish train station in front of an extraterritorial Soviet train with a board with the directions. Only two stations: the starting one and the finishing one. Nothing in between; the train did not stop along the way. It started in Moscow and... stopped only at the last station Legnica, where the (again: extraterritorial) Soviet garrison was situated (see Fig. 6). To be more precisely: it stopped on the train station Legnica, that was reachable for everyone. But the so-called Soviet 'Kwadrat' (Square

Place; a name given by the Polish inhabitants) was 'a forbidden city' for the Poles. Because: here the head quarter of the 'Soviet Army in Poland' was situated.



Fig. 6. Soviet train Moscow-Legnica. Fot. Unknown.

*Legnica w czasach stacjonowania w mieście wojsk radzieckich
| Legnica Nasze Miasto*

'Legnica': for many Soviet citizens this name was well known. There were even postcards in Russian with the words 'To the Memory of Legnica' – „На память о Легнице”. However: this was not a tourist postcard, with historical monuments of the city, e.g. the Renaissance castle of the Piast knights, or the Ritter Academy from the 18th century. No: one could see on this postcard only a medieval church, and... the buildings of the Soviet head quarter, laughing soldiers, and of course: Lenin (see Fig. 7).



Fig. 7. 'To the Memory of Legnica' – „На память о Легнице”

Soviet postcard from 1993

(muzeum-miedzi.art.pl)

In 1984, the Soviet headquarter was reorganised. Due to the new political and military situation between the NATO and the Eastern Block, in the 'Soviet Legnica', the High Command of the new established Western Direction Forces was established. The headquarter of the (former) Northern Group of Forces was moved to Swidnica, a town situated some 60 km to the South-East. In this way, two most important military points were situated near to the border with the GDR. No garrisons were situated in 'New' Eastern Poland, but of course the 'communication roads' of the Soviet Army (with military bases, military airports, even nuclear weapons warehouses, or simply: road checkpoints) led through the whole Polish territory.

4. 1989-1993: „GOOD BYE, LENIN!”

As was already mentioned, in 1989 the political situation in Poland had changed: the Polish society protested already earlier against the Polish communists; in September of this year they lost power, and the

new democratic government regained Polish sovereignty. One of the most important points was the liquidation of the Soviet military domination. „No more Soviet colonialism!”, „Soviets go home!”, one could hear and read on Polish streets (see Fig. 8). The statues of Lenin (also today, in the third decade of the 21st century, an emblematical symbol of Soviet influences) were liquidated, as were also all the Polish Lenin museums. The ‘Muzeum Lenina’ in Warsaw became ‘Muzeum Niepodleglosci’ (Museum of Independence)...



Fig. 8. Demonstration on the Main Square in Krakow, 16.05.1989.

*Sowieci jada do domu – Przystanek Historia – Instytut Pamieki
Narodowej – Krakow (ipn.gov.pl)*

Gradually, the Soviet Army was withdrawn from Poland. This took few years; the Soviet generals were not so willingly... But finally: on 17th September 1993 – a symbolic date – the very last Soviet soldiers left the very last Soviet military training areas in Poland. Well, officially there was not a Soviet Army anymore, as there was no Soviet Union anymore. A new state emerged: the Russian Federation; with (from

7th May 1992) a new army: the Armed Forces of the Russian Federation (Вооружённые силы Российской Федерации).

What is left today, more than thirty years later, of these Soviet traces in Poland?

On the one hand: Soviet military cemeteries. Most of them are, till today, well cared by Polish authorities; one can find them in Legnica or in Wroclaw (see Fig. 9).



Fig. 9. Wrocław, Soviet Officers Cemetery. Fot. Siliesiac;
*Cm of radz wroc – Cmentarz Oficerow Radzieckich we
Wrociawiu – Wikipedia, wolna encyklopedia*

On the other hand: there were numerous Polish ‘footprints’ on Soviet ‘colonial’ monuments to find; the Polish did never accept them. One ‘central’ example is ‘Памятник Благодарности Солдатам Красной Армии’ (Monument of Gratitude to the Soldiers of the Red Army) in Warsaw. It was several times vandalised (see Fig. 10); finally it was liquidated in 2018.



Fig. 10. Warsaw, vandalised Monument of Gratitude to the Soldiers of the Red Army, 2011.

Fot. Wistula, File:PSWAW4DSC 1175.jpg – Wikimedia Commons

On the third hand: there are some contemporary memories of former Soviet soldiers or their children, growing up decades ago in ‘Soviet Poland’ and living today in Russia. They are sometimes published on Internet. An example of such memories was the website *svidnica.ru* of the former pupils from the School no. 20 of the NGF (Primary School no. 20 of the Northern Group of Forces, Школа №. 20 СГБ) in the city of Swidnica, Poland, as the subtitle of the website was: *г. Свидница, Польша*. This is correct, as this city lies indeed in Poland. But this territory is Polish only from 1945. And the feelings of the Russian pupils were sometimes different... On the home page there was a text:¹

Дорогие Свидничане! Этот сайт создан для поиска друзей, знакомых, одноклассников, сослуживцев и всех, кому не безразличен польский город – Свидница (Swidnica). Смотрите и вспоминайте родные места.

Dear residents of Swidnica! This site was created for the search for friends, acquaintances, classmates, colleagues, and all those who are

1 Although the website seems to be taken down, it is still possible to access its ‘traces’ at <https://sur.ly/i/swidnica.ru/>. I was able to find quotes from the previously existing website on another page (as indicated in the brackets).

not indifferent to the Polish city – Swidnica. Look and remember your native places. (sur.ly/i/swidnica.ru/)

„Вспоминайте родные места”, remember your native places... This sounds very interesting: Świdnica is a ‘Polish city’, and in the same time these are Russian ‘native places’...

On the website *svidnica.ru* I found, however, more intriguing statements about the Polish city Świdnica, that before 1945 was the German city Schweidnitz. A pupil of the school no. 20 from the 1940s had written „О жизни в Швейднице...”, about the life in ‘Schweidnitz’. Not to be missed: his ‘German attitude’. Even at the beginning of the 21st century, many decades after his stay in ‘Svidnica’, that today undoubtedly is a Polish city, he wrote:

Я принадлежу к довольно большой группе людей, резонансных к немецкой культуре – это многочисленная группа военнослужащих и членов их семей, живших в Германии сразу после войны и вплоть до вывода советских войск из Германии.

I belong to a rather large group of people resonating with German culture. This is a large group of soldiers and their relatives living in Germany immediately after the war and up until the withdrawal of Soviet troops from Germany. (learngerman.dw)

This perspective must be stressed: Soviet soldiers and their relatives living ‘in Germany’ up to the withdrawal ‘from Germany’. Only once the former pupil (who came here, just 7 years old, from a small Russian village in the autumn of 1945), now an older man living in St.Petersburg, realised that Świdnica is a Polish city, but still – he was also as an adult impressed by the ‘German order’:

Я жил в городе Швейдниц (сейчас польская Свидница) с 1945 по 1947 год, где служил мой отец – майор ВВС. Мы с матерью приехали к нему из небольшой подмосковной деревни Квашенки осенью 1945 года. Из быта заснеженной деревеньки военной поры, я вмиг (...) оказался в городской квартире, с огромными

STEFAN KIEDROŃ

перинами на кроватях, с двумя радиоприемниками, велосипедом на толстых шинах. Во дворе пахло свежее испеченными булочками, которые пек немецкий булочник. До сего времен ощущаю немецкий стиль и Ordnung – порядок во всем.

I have lived in the city of Schweidnitz (now Polish Swidnica) from 1945 to 1947, where my father, an Air Force major, served. My mother and I came to him from the small village Kvashenki near Moscow in the autumn of 1945. From the life of a snow-covered village during the war, I instantly (...) found myself in a city apartment, with huge featherbeds on the beds, with two radios, a bicycle with fat tires. The yard smelled of freshly baked buns baked by a German baker. Until now, I feel the German style and *Ordnung* – order in everything. (learngerman.dw)

And when he and his family two years later came back home, they were ‘enriched’ not only with feelings, but also with things:

С собой везли, как шутили офицеры, „трофеи наших войск“: посуду, ковры, швейные машинки, фотоаппараты, радиоприемники, велосипеды... И вот теперь, оглядываясь назад, обнаруживаешь самые настоящие ностальгические чувства по этой далекой стране детства. (...) Интересно, что и большой пласт „немецкой бытовой материальной культуры“ того времени осел в квартирах россиян.

We carried with us, as the officers joked, „trophies of our troops“: dishes, carpets, sewing machines, cameras, bicycles... And now, looking back, you discover the most real nostalgic feelings for this distant land of childhood. (...) It is interesting that a large layer of „German everyday material culture“ of that time settled in the apartments of Russians. (learngerman.dw)

And the man from St. Petersburg concludes:

Этим письмом я хотел рассказать вам о частице моего сознания (а скорее подсознания) в котором живет память о *Deutschland*.

With this letter I wanted to tell you about a particle of my consciousness (or rather unconsciousness) in which my memory of *Deutschland* lives. (svidnica.ru/1945.htm)

Different perspectives: 'native places', 'Polish city Svidnica', 'Life in Schweidnitz', German 'Ordnung', 'memory of Deutschland' in a new-Polish city... This can be explained with different times and feelings: there were of course other circumstances in the late 40s and the late 80s of the 20th century. But still: the 'colonial' perspective in these texts is undeniable...

5. "FROM THE PAST TO THE FUTURE": THIRTY YEARS AFTER

- Blanchard, Jean-Marc and Fujia Lu. 'Thinking Hard About Soft Power: A Review and Critique of the Literature on China and Soft Power.' *Asian Perspectives* 36, no. 4 (2012): 565-589.

- Hayden, Craig. *The Rhetoric of Soft Power: Public Diplomacy in Global Contexts*. Lanham: Lexington Books, 2012.
- Keohane, Robert. 'Stephen Krasner: Subversive Realist.' In *Back to Basics: State Power in a Contemporary World*, edited by Martha Finnemore and Judith Goldstein, 28-54. New York: Oxford University Press, 2013.
- Mattern, Janice. 'Why Soft Power Isn't So Soft: Representational Force and the Sociolinguistic Construction of Attraction in World Politics.' *Millennium* 33, no. 3 (2005): 583–612.
- Mattern, Janice. 'Why Soft Power isn't so Soft' in *Power in World Politics*. Edited by Felix Berenskoetter and Michael Williams, 98-119. London: Routledge, 2007.
- Nye, Joseph. *Bound to Lead: the Changing Nature of American Power*. New York: Basic Books, 1990.
- Nye, Joseph. *The Means to Success in World Politics*. New York: Public Affairs, 2004.
- Nye, Joseph. *The Future of Power*. New York: Public Affairs, 2011.
- Ohnesorge, Hendrik. *Soft Power: The Forces of Attraction in International Relations*. Cham: Springer, 2020.
- Patalakh, Artem. 'Assessment of Soft Power Strategies: Towards an Aggregative Analytical Model for Country-Focused Case Study Research.' *CIRR* 22 no. 76 (2016): 85-112.
- Solomon, Ty. 'The affective underpinnings of soft power.' *European Journal of International Relations* 20, n. 3 (2014): 720–741.

ეროვნული პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ ცენტრალურ ევროპაში

შესავალი

დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის¹ პოსტკომუნისტური განვითარება განიხილებოდა როგორც ახალი, პოსტიმპერიული ლიბერალური დემოკრატიების დასავლეთ ევროპულ მოდელთან დაახლოების პროცესი. დემოკრატიის მშენებლობა ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით, უნგრეთსა და პოლონეთში) ფასდებოდა როგორც სრულყოფილი და სანიმუშო. „კონსოლიდირებული დემოკრატიების“ ახალი ნარატივი, რომელიც დასავლური ლიბერალური საზოგადოების წარმატებულ შენებაზე აკეთებდა აქცენტს, მხედველობის მიღმა ტოვებდა რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც იმპერიულ მემკვიდრეობასთან ბრძოლასთან და ლიბერალური დემოკრატიის შენების სირთულეებთან, ასევე თავად ლიბერალიზმის მზარდ პრობლემებთან. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში პოლიტიკური საზოგადოებისა და ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობა დღემდე ცხარე დისკუსიის საგნად და დაპირისპირების გამომწვევ პრობლემად რჩება. პოლ ბლოკერის აზრით, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა უნგრეთი და პოლონეთი, დემოკრატიის კრიზისი და დემოკრატიულ პროცესზე საზოგადოების ნეგატიური რეაქცია პოსტკომუნისტური ტრან-

1 ქვემოთ გამოვიყენებთ ტერმინს „ცენტრალური ევროპის რეგიონი“, რადგან ნაშრომი შეეხება ძირითადად უნგრეთის და ნაწილობრივ პოლონეთის შემთხვევებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევაში გაანალიზებული პოპულიზმის თავისებურებები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ვლინდება.

სფორმაციის ნაწილია.² ეროვნული პოპულიზმის საფრთხის ქვეშ დადგა როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების ლიბერალურ-დემოკრატიული განვითარება, ასევე, ზოგადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგი, რაც გულისხმობს კონსტიტუციურ დემოკრატიას, ადამიანის უფლებების საყოველთაოობას, კანონის უზენაესობას და სხვ. თავისუფალი და სამართლებრივი საზოგადოების შენების საერთაშორისო პროექტი მძაფრი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. იზრდება პრობლემები, შიშები თანამედროვე ცხოვრების მიმართ. ამ პრობლემების და შიშების გადანყვეტის გზებს (ან ილუზიებს) საზოგადოებებს პოპულისტები სთავაზობენ. დღევანდელობამ მოიტანა უზარმაზარი პროგრესი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, თუმცა, ამავე დროს, განაპირობა უნდობლობა არსებული პოლიტიკური წესრიგის მიმართ, არასტაბილურობის განცდა. შიში გახდა პოლიტიკის მამოძრავებელი. არავის უნდა მუდმივ შიშში ცხოვრება, ამიტომ საზოგადოება ყოველთვის ეძებს ვინმეს, ვინც ამ შიშის დაძლევაში დაეხმარება. უფრო მეტი ადამიანი ითხოვს სიმშვიდეს, სტაბილურობას, პოპულისტები კი სთავაზობენ ხალხს ამ შიშს დაძლევის გზას, ან ქმნიან მის ილუზიას.³ პოლონეთსა და უნგრეთში შიშების დაძლევის, ან დაძლევის ილუზიის პოპულისტური ნარატივი უპირისპირდება შიშების გაცნობიერების, მასთან შეგუების და თანაცხოვრების ლიბერალურ მიდგომას. ლიბერალური ელიტა ხალხს ასწავლის, თუ როგორ იარსებოს მისთვის არასასურველ გარემოში, როგორ გაუმკლავდეს მას, როგორ ეცადოს რაციონალური მიდგომების შემუშავებას, მაშინ, როდესაც პოპულისტები საზოგადოებას შიშებისგან გათავისუფლებას ჰპირდებიან. შიშისგან გათავისუფლების პოპულისტური რიტორიკა ახლოს

2 Blokker, Paul. Conservative Populism in Defiance of Anti-Totalitarian Constitutional Democracy. In: *Anti-Constitutional Populism*. Eds. Martin Krygier, Adam Czarnota, Wojciech Sadurski. Cambridge University Press, 2022, გვ. 298-299.

3 Populism, Polish Style: Can Liberal Democracy Be Saved? *Minda de Gunzburg Center for European Studies*, <https://youtu.be/FDYGZ3UefsA?si=p7yCQAQZ-pyxjisiQ> (ბმულეზე ნეღომა განხორციელდა: 24.10.2023).

დგას რელიგიასთან. ლიბერალ-დემოკრატიული ელიტები საზოგადოებას ცვლილებისკენ მოუწოდებენ, რათა ის ადაპტირდეს ახალ რეალობასთან, პოპულისტები კი პირიქით – სამყაროს შეცვლას და მათ ცხოვრების წესთან შესაბამისობაში მოყვანას სთავაზობენ. „ლიბერალები ჩვენგან ითხოვენ ცვლილებას, პოპულისტები – სამყაროსგან.“⁴

პოპულიზმის ძირითადი წყაროა შიში, თუმცა თავად შიშის წყარო დიდწილად განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. მიუხედავად გლობალური სამყაროს უნივერსალური მახასიეთებლებისა, შიშს განაპირობებს ლოკალური, ისტორიული და კულტურული კონტექსტი. პოპულისტებში ფართოდ არის გავრცელებული შიშის წარმოების პრაქტიკა. საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხებზე აპელირებით პოპულისტები აღვივებენ, უტრირებული ფორმით წარმოადგენენ, ზოგჯერ იგონებენ საფრთხეებს და მათ საფუძველზე აწარმოებენ შიშს, ხოლო შემდეგ თავადვე სთავაზობენ საზოგადოებას ამ საფრთხეებისა და შიშების განეიტრალების რეცეპტებს.

„პოპულიზმის ტალღას“ 1990-2000-იან წლებში წინ უსწრებდა „დემოკრატიული ტრანზიციის“ პერიოდი ცენტრალური ევროპის ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ამ თვალსაზრისით, პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან განსაკუთრებით წარმატებული იყო უნგრეთი, სადაც დღეს პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის მთავარ გამონწვევად იქცა. ნაშრომში, ძირითადად უნგრეთის და პოლონეთის მაგალითზე, გაანალიზებული იქნება წინააღმდეგობები ლიბერალურ დემოკრატიულ წესრიგსა და ეროვნულ პოპულიზმს შორის.

ლიბერალიზმის კრიზისი და „ნამდვილი დემოკრატიის“ ძიება

დაპირებები, რომელთა ძირითადი გზავნილია საზოგადოების საბაზისო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხელს უწყობს პოპულისტურ პოლიტიკურ ელიტას, რომ მძაფრი რეაგირების

4 იქვე.

გარეშე დარჩეს მის მიერ გატარებული პოლიტიკის ის ნაწილი, რომელიც მიუღებელია ხალხისთვის. განვლილი ორი ათწლეულის განმავლობაში, ლიბერალური დემოკრატია, მიუხედავად მის მიერ შემოთავაზებული სიკეთეებისა, უფრო და უფრო ნაკლებად უზრუნველყოფს უსაფრთხოების, დაცულობის და ოპტიმიზმის გრძობას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მოთხოვნას ახალ მიდგომებზე, ხედვებზე, დაპირებებზე.⁵ პოპულიზმი არის არა პრობლემა, არამედ სიმპტომი, რომელიც სხვა ფუნდამენტურ პრობლემაზე მიუთითებს.⁶ ვაკუუმი, რომელსაც უსაფრთხოებისა და დაცულობის გრძობის არქონა ბადებს, ვინმემ უნდა ამოავსოს და ამას წარმატებით ახერხებენ პოპულისტები. ისინი ყოველთვის არ იტყუებიან. ლიბერალ-დემოკრატებმა ხალხი დაკარგეს, რომელიც იპოვნეს პოპულისტებმა.

„ლიბერალური დემოკრატია ძველი ფორმით ვერ შენარჩუნდება, ვერ გადარჩება. ჩვენ ხელახლა უნდა გამოვიგონოთ ლიბერალიზმი, შევქმნათ პოლიტიკური იდეა, რომელიც ხალხს შიშებისა და ნუხილებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას მისცემს, ოპტიმიზმითა და ახალი ენერჯით აავსებს ლიბერალ-დემოკრატიულ მოძრაობას. ლიბერალ-დემოკრატებს სჭირდებათ ახალი ოცნება, ახალი სახელი, ახალი ლიდერები, ახალი ენა, ახალი ორგანიზაციები, ახალი იდეები, რომელთა გარშემო შესაძლებელი იქნება მოქალაქეების მობილიზება. დღეს გარკვეული მობილიზაცია მხოლოდ პროტესტის გზით ხდება ხელისუფლების ანტილიბერალური მოქმედებების წინააღმდეგ. ლიბერალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა პოლონეთში დაკარგეს საზოგადოების მხარდაჭე

5 ფუკუიამა, ფრენსის. ლიბერალიზმი და მისით უკმაყოფილონი. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2022, გვ. 10-11.

6 Urbinati, Nadia. *Me the People. How Populism Transforms Democracy*. Harvard University Press, Cambridge, MA, 2019, გვ. 76.

ერა, განყდა კავშირი თუნდაც საპროტესტო სოციალურ მოძრაობებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. შესაბამისად, ეს მოძრაობები ვერ აღწევნენ წარმატებას, რადგან მათი პროტესტი 'არ ითარგმნება' პოლიტიკურ მოძრაობაში."⁷

ეს არის პოლონელი ჟურნალისტისა და ინტელექტუალის, იაცეკ ზაკოვსკის პასუხი ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას დასმულ კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ლიბერალური დემოკრატიის გადარჩენა.

პოპულიზმს არ აქვს პრობლემები დემოკრატიის საბაზისო ელემენტებთან, როგორებიცაა: არჩევნები, საბაზრო ეკონომიკა, თავისუფლების იდეა და სხვ. პოპულისტების დიდი ნაწილი წარმატებით მანიპულირებს დემოკრატიის ძირითად პრინციპებით, ამბობს რა, რომ თავად განასახიერებს ნამდვილ დემოკრატიას, ნამდვილ თავისუფლებას და ნამდვილ პროგრესს.

პოპულიზმის თანამედროვე აღმასვლას რევოლუციურ მოვლენებს ადარებენ. 2010 წელს, უნგრეთის საპარლამენტო არჩევნებში ტრიუმფის შემდეგ, გამარჯვებული პარტიის ლიდერმა და მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა არჩევნების შედეგებს რევოლუცია უწოდა.⁸ მისი მტკიცებით, 2010 წლის არჩევნების შედეგები ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენა იყო პოსტკომუნისტური უნგრეთის ისტორიაში. ორბანის სიტყვით, ამ არჩევნების შედეგად უნგრელმა ხალხმა უარი თქვა ლიბერალურ დემოკრატიაზე და აირჩია „ნამდვილი დემოკრატია,“ რომელიც არ ცნობს ლიბერალიზმის პრინციპებს. დღეს ვიქტორ ორბანი საყოველთაოდ აღიარებული პოპულისტი ლიდერია, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება ლიბერალიზმს. უნგრეთის დღევანდელი ხელისუფლე-

7 Populism, Polish Style: Can Liberal Democracy be saved? Minda de Gunzburg Center for European Studies, <https://youtu.be/FDYGZ3UeFA?si=p7yQQAQZpyxjJisQ>

8 Hungary's Fidesz wins historic two-thirds mandate. <https://www.reuters.com/article/uk-hungary-election-idUKTRE63O1KI20100425/>

ბის პოლიტიკას „არალიბერალურ დემოკრატია“ უწოდებენ,⁹ სადაც დაკნინებული ან სრულად იგნორირებულია როგორც ინდივიდუალური, ასევე უმცირესობათა უფლებები. სანაცვლოდ, ორბანი ყოველთვის მოქმედებს და საუბრობს უმრავლესობის სახელით. მის გადაწყვეტილებებს ხშირად უმაგრებს ზურგს საყოველთაო გამოკითხვები და პლემბისციტები. ხალხის ნებით მანიპულაცია და დემოკრატიის სახელით მოქმედება პოპულისტების მთავარი იარაღია.

2014 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის ოთხი წლის თავზე, ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ მათ (უნგრეთის ხელისუფლებამ) მიატოვეს საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზების ლიბერალური მეთოდები და პრინციპები, ასევე სამყაროს ლიბერალური ხედვა. მისი სიტყვით, დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ვარსკვლავებია – სინგაპური, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი, რუსეთი, სადაც არ არის ლიბერალური წესრიგი. „ჩვენ აღარ ვიზიარებთ დასავლეთ ევროპულ დოგმებს, თავისუფლები ვართ მათგან.“ – განაცხადა მან. ორბანმა ასევე ხაზი გაუსვა სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას უნგრეთში და მათ უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი დაქირავებული აგენტები უწოდა. მისი განცხადებით, ხორციელდება უნგრეთის სახელმწიფოს რეორგანიზაცია, რომელიც უარს ამბობს ლიბერალურ წესრიგზე და გადადის „ნამდვილ დემოკრატიაზე,“ რომელიც სრულად გამოხატავს უნგრელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. „ლიბერალიზმი, რომელმაც პოლიტიკური კორექტულობის აღზევება განაპირობა, ტოტალიტარიზმის ერთგვარი ფორმაა და უპირისპირდება დემოკრატიას. ამიტომ მე მჯერა, რომ ილიბერალიზმი (illiberalism) აღადგენს ნამდვილ თავისუფლებას, ნამდვილ დემოკრატიას.“¹⁰

2019 წელს წარმოთქმულ სიტყვაში ვიქტორ ორბანმა განაცხ-

9 Halmi, Gabor. "Populism or Authoritarianism? A Plaidoyer Against Illiberal or Authoritarian Constitutionalism." In: *Anti-Constitutional Populism*. Eds. Martin Krygier, Adam Czarnota, Wojciech Sadurski. Cambridge University Press, 2022, გვ. 371.

10 იქვე, გვ. 366-367.

ხადა, რომ ქრისტიანული თავისუფლება ინდივიდუალურ თავისუფლებაზე მაღლა დგას და ამით ეჭვის ქვეშ დააყენა თავისუფლების ლიბერალური ხედვა. მისი სიტყვით, „ქრისტიანული თავისუფლება“ სამყაროს ერებად დაყოფას გულისხმობს. „ლიბერალური თავისუფლებისგან“ განსხვავებით, რომელიც გულისხმობს ყველა სიკეთეს ინდივიდისთვის, „ქრისტიანული თავისუფლება,“ უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს ერის ინტერესებს და ზრუნავს საზოგადო სიკეთისთვის. ორბანი მანიპულირებს ლიბერალიზმის პრინციპებით და ავითარებს უკიდურეს იდეას, რომლის მიხედვით ლიბერალური ელიტების მთავარი მიზანი გლობალური მთავრობის და მართვის სისტემის ჩამოყალიბებაა, სადაც ნიველირებული იქნება ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტი და ეროვნული ინტერესები. ამის საპირისპიროდ, „ქრისტიანული თავისუფლება“ გულისხმობს ერების სრულ სუვერენიტეტს, რომელთაც ვერავინ აიძულებს გლობალური წესრიგის მიხედვით ცხოვრებას. „გლობალური მთავრობის“ შექმნის პოტენციურ საფრთხეზე აპელირება თანამედროვე პოპულისტების საყვარელი თემაა. ისინი წარმატებით მანიპულირებენ ამ საკითხით, ავითარებენ გლობალური შეთქმულების თეორიებს და ახერხებენ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მათი პოლიტიკის მხარდასაჭერად დარაზმვას. მსგავსი კონსპირაციები არ საჭიროებს სიზუსტეს და კონკრეტულ ფაქტებს, მთავარია ზოგადი იდეა, რომ არსებობს „გლობალური შეთქმულება“ ეროვნული ერთობების წინააღმდეგ, რომლის უკან ლიბერალური წესრიგის შემოქმედები დგანან. ამ გზით პოპულიზმი სპეკულირებს საზოგადოების ყველაზე მგრძნობიარე და მოწყვლადი თვისებით, მძაფრად აღიქვას ეროვნული იდენტობისკენ მიმართული საფრთხეები. ვიქტორ ორბანი მოქმედებს „გლობალურ ძალებთან“ ბრძოლის კონტექსტში, როდესაც უპირისპირდება ბრიუსელს ან დევნის ფონდ „ლია საზოგადოების“ (იგივე „სოროსის ფონდის“) მიერ დაფინანსებულ ინსტიტუციებს უნგრეთში, მათ შორის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტს, რომელიც იძულებული გახდა სასწავლო პროცესი ბუდაპეშტიდან ვენაში გადაეტანა.

ინტელექტუალური ელიტა და საგანმანათლებლო სივრცეები პოპულისტების მთავარი სამიზნეა, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ აქ ინარმოება ლიბერალური იდეები, იქმნება ალტერნატიული ნარატივები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქვეყმარტების ფლობის და სწორად ცხოვრების მათ მიერ შემოთავაზებულ რეცეპტებს.

პოპულისტები საუბრობენ ხალხის სახელით და ცდილობენ საკუთარი პარტიული პლატფორმა და ელექტორატი მთელ ერთან გააიგივონ. 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ ვიქტორ ორბანმა არ აღიარა მარცხი და განაცხადა, რომ შეუძლებელი იყო მისი პარტიის ოპოზიციაში გადასვლა, რადგან „ერი საკუთარი თავის ოპოზიცია ვერ იქნებოდა.“ 2010 წელს, გამარჯვებისა და ხელისუფლებაში დაბრუნების დროს, მთავარი გზავნილი ისევ უნგრელი ხალხის, როგორც ერთი მთლიანობის საერთო ნებაზე აპელირება იყო. პოპულისტებისთვის მიუღებელია მრავალფეროვნება და განსხვავებული შეხედულებების თანაარსებობა – არსებობს ერი, რომელიც მათ უჭერს მხარს და სხვები, უცხო ქვეყნების/გლობალური ძალების აგენტები, რომლებიც მოქმედებენ ეროვნული ინტერესების სანინააღმდეგოდ. საკუთარი პოლიტიკური ერთობის ხალხთან გაიგივების და ხალხის სახელით საუბრის კარგი მაგალითია ორბანის გამოსვლა ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამართული დებატების დროს 2018 წლის 11 სექტემბერს. ევროპული ინსტიტუციის კრიტიკის საპასუხოდ ორბანმა განაცხადა, რომ კრიტიკოსები უნგრეთის მთავრობას კი არ უყენებდნენ ბრალდებებს, არამედ უნგრეთს და უნგრელ ხალხს. „თქვენ გმობთ უნგრეთს, რომელიც ათასი წელია ევროპის ქრისტიან ხალხთა ოჯახის წევრია. უნგრეთს, რომელმაც როგორც საქმით, ასევე სისხლით შეიტანა წვლილი ევროპის დიდებული კონტინენტის ისტორიაში. თქვენ გმობთ უნგრეთს, რომელიც წინ აღუდგა მსოფლიოს უდიდეს საბჭოთა არმიას და გაიღო უზარმაზარი მსხვერპლი თავსუფლებისა და დემოკრატიის დასაცავად.“¹¹ მისი სიტყვით, უნგრეთს ბრალს

11 იქვე, გვ. 373-374.

უყენებდა ხალხი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო დემოკრატია და არასოდეს დაუყენებია საკუთარი თავი რისკის ქვეშ მის დასაცავად. ვიქტორ ორბანმა ბრალი დასდო ევროპარლამენტარებს უნგრეთის და უნგრელი ხალხის შეურაცხყოფაში. „რასაც თქვენ ამტკიცებთ, სხვა არაფერია, თუ არა იმის თქმა, რომ უნგრელი ხალხი უუნაროა საკუთარი ინტერესების განსაზღვრაში. თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენ უკეთ იცით, თუ რა სჭირდება უნგრეთს, ვიდრე თავად უნგრელმა ხალხმა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.¹² მისი სიტყვით, უნგრეთში გადაწყვეტილებებს ამომრჩევლები იღებენ არჩევნების გზით.

საზოგადოებრივი აზრის მრავალფეროვნების და პლურალიზმის უგულვებლყოფა, ხალხის როგორც მონოლითური ერთობის სახელით საუბარი პოპულისტების საერთო თვისებაა. საკუთარი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების ლეგიტიმაციას ისინი ამ გზით ახდენენ – ასე სურს არა კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს, არამედ ხალხს, წინ ვერავინ აღუდგება უმრავლესობის ნებას. ამგვარად, პოპულისტები უპირისპირდებიან ლიბერალიზმის საკვანძო პრინციპებს ინდივიდუალური თავისუფლების, უმცირესობათა უფლებების დაცვის, განსხვავებული ინტერესებისა და დამოკიდებულებების თანაარსებობის შესახებ. უმრავლესობის უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე ზრუნვაში იგნორირებულია, ან, უარეს შემთხვევაში, იდეენება უმცირესობები, ინტელექტუალური ელიტები, განსხვავებულად მოაზროვნეები, იზღუდება მათი ინტერესები და საზოგადოებრივი როლი. პოპულისტები არ აღიარებენ ლიბერალურ წესრიგს, სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ძალაუფლება დაბალანსებული და შეზღუდულია სხვა შტოების, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებისა და თავისუფალი მედიის საშუალებით. მათი მტკიცებით, შეუძლებელია შეზღუდო და დაბალანსო ხალხის ნება, რომელიც აბსოლუტურია და ლიდერებშია განსხვავებული. აღნიშნულის გამო, პოპულისტების (მათ შორის, უნგრეთში და პოლონეთში) სამიზნე ხშირად ხდება სასამართლო სისტემა,

12 იქვე.

მედია, არასამთავრობო სექტორი, ანუ ინსტიტუციები, რომლებიც აკონტროლებენ ხელისუფლების მოქმედებას.

ლიბერალიზმის საპირწონედ, თანამედროვე პოპულისტები ცდილობენ საკუთარი ანტილიბერალური პოლიტიკის აკადემიურ ლეგიტიმაციას, ეძებენ მის მეცნიერულ საფუძვლებს და ინტელექტუალურ წყაროებს. ერთ-ერთი ასეთი ავტორია კარლ შმიტი, ძლიერი, ავტორიტარული მმართველობის მომხრე გერმანელი პოლიტიკის თეორეტიკოსი, რომელიც დაახლოებული იყო ნაცისტებთან. შმიტის იდეები ძლიერი სახელმწიფოს, კოლექტიური უფლებების ინდივიდუალურზე პრიმატის შესახებ მიმზიდველია დღევანდელი ავტორიტარული მიდრეკილებების მქონე მმართველებისთვის. შმიტის შეხედულებით, კონსტიტუციები სრულად უნდა ემყარებოდეს კოლექტიურ ნებას და ხალხის, როგორც ჰომოგენური ერთობის ეგზისტენციურ უფლებებს. იგი ფიქრობდა, რომ ლიბერალიზმი და დემოკრატია ერთმანეთთან შეუთავსებელი იდეოლოგიებია. მისი აზრით, პლებისციტური დემოკრატია, რომელიც ერის როგორც ჰომოგენური და განუყოფელი ერთობის იდეას ემყარება, დემოკრატის ერთადერთი სწორი ფორმაა.¹³ მისი იდეები საინტერესოდ ისახება დღევანდელი პოპულისტების როგორც რიტორიკაში, ასევე მათ მიერ გატარებულ პოლიტიკაში.

აღნიშნულ ტენდენციებზე, როგორც ლიბერალური უსაფრთხოების არქიტექტურის მთავარ გამონწვევაზე, მიუთითებს ფრენსის ფუკუიამა, როდესაც საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ დემოკრატიულ უმრავლესობას გადაწყვეტილებების მიღების შეუზღუდავ შესაძლებლობას არც ერთი ლიბერალური დემოკრატია არ ანიჭებს. „ლიბერალიზმის ფუძემდებლებს კარგად ესმოდათ, რაოდენ დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა. ასე ფიქრობდნენ ამერიკის დამფუძნებლები. მათ დიდი დრო დაუთმეს დემოკრატიის გადაცდომების თავიდან აცილების მექანიზმებზე მუშაობას და შექმნეს კომპლექსური სისტემა, რომელიც აკონტროლებს და ზღუდავს დემოკრატიული არ-

13 იქვე, გვ. 370-371.

ჩევენის აბსოლუტურ თავისუფლებას.¹⁴ ფუკუიამას სიტყვით, აშშ-ს სამოქალაქო ომამდე სამხრეთელ ამომრჩეველთა სრული უმრავლესობა მონობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. აბრაამ ლინკოლნის ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ უპირატესობა დემოკრატიული არჩევანის მხარეს უნდა ყოფილიყო. არ ჰქონდა მნიშვნელობა, ხალხი მონობის წინააღმდეგ აძლევდა ხმას თუ პირიქით. მთავარი მათი არჩევანის დაცვა და აღსრულება იყო. საპასუხოდ ლინკოლნი ამბობდა, რომ არსებობდა პრინციპები, რომელთა დაცვა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დემოკრატია და მათ შორის იყო ადამიანთა თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის საბაზისო კომპონენტია. მონობა ამ პრინციპს არღვევდა, რაც მიუღებელი იყო, მიუხედავად იმისა, უჭერდა თუ არა მის შენარჩუნებას მხარს უმრავლესობა.¹⁵

დღევანდელი პოპულისტები კვლავ უპირისპირდებიან ლიბერალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს, ისევე აპელირებენ ხალხის (უმრავლესობის) ნების აბსოლუტურობაზე, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების სტაბილური ცხოვრების ხანგრძლივი ტრადიციის მქონე წესრიგს და დასავლეთის უსაფრთხოების არქიტექტურას.

პოპულიზმი და ევროსკეპტიციზმი ცენტრალურ ევროპაში

საზოგადოების მტრებად და მეგობრებად დაყოფის იმპერიული (განსაკუთრებით, საბჭოთა) მემკვიდრეობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის პოპულიზმის განვითარებისთვის პოსტკომუნისტურ სამყაროში. ყველა სახის პოპულიზმის საბაზისო იდეა ორი ანტიგონისტური ერთობის – უბრალოდ ხალხის (უმრავლესობის) და კორუმპირებული/ამორალური ჯგუფის (პოლიტიკური თუ ინტელექტუალური ელიტის, უმცირესობის), შეურიგებელი წინააღმდეგობაა. მსგავსი კატეგორიზაციის საფუძველი შეიძ-

14 ფუკუიამა, ფრენსის. *ლიბერალიზმი და მისით უკმაყოფილონი*, გვ. 152-153.

15 იქვე.

ლება მრავალგვარი იყოს – პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სახის განსხვავებულობა. ზოგჯერ მხოლოდ ის ფაქტიც საკმარისია, რომ საზოგადოების „ცუდი“ ნაწილი არჩევნებზე განსხვავებულ აზრს აფიქსირებს. „პოპულიზმი შესაძლოა იდენტიფიცირებული იყოს როგორც ხალხისგან „ნამდვილი ხალხის“ გამოყოფის პროცესი.“¹⁶

პოპულიზმი პირდაპირ მმართველობას გულისხმობს, მას არ ყირდება შუამავლები დამოუკიდებელი მედიის, პოლიტიკური, ლეგალური და სოციალური ინსტიტუტების, არაარჩეული ოფიციალური პირების, მოსამართლეების, სამოქალაქო საზოგადოების წევრების და სხვა კონსტიტუციური ელიტების სახით. „ნამდვილ დემოკრატიას“ არ სჭირდება კონსტიტუციური ელიტა. პოპულისტური აქტივობები, რომლებიც ფორმალურ შესაბამისობაშია კონსტიტუციასთან, ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმს როგორც ფასეულობას და კონსტიტუციურ პრინციპებს.

დღეს განსაკუთრებით საინტერესოა პოპულიზმის მზარდი ტენდენციები ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, რომლებმაც გაიარეს ან გადაიან დემოკრატიული ტრანზიციისა და კონსოლიდაციის პროცესს. ევროპულ აკადემიურ სივრცეში იზრდება ინტერესი დემოკრატიის პრობლემების მიმართ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა ხშირად ყურადღების მიღმა რჩება საქართველოს შემთხვევა, რომელიც საინტერესოდ თავსდება რეგიონის ზოგად სურათში. მნიშვნელოვანი განსხვავებებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოში განვითარებული პროცესების კონტექსტუალიზაცია და მათი შედარებითი პერსპექტივიდან შესწავლა. ეს, ერთი მხრივ, დაგვეხმარება საქართველოს შემთხვევის სრულყოფილ გააზრებაში, ხოლო მეორე მხრივ, გაამდიდრებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის შესწავლას პოპულიზმის განვითარებისა და დემოკრატიული ტრანზიციის

16 Krygier, Martin. "Introduction: Anti-Constitutional Populism." In: *Anti-Constitutional Populism*. Eds. Martin Krygier, Adam Czarnota, Wojciech Sadurski. Cambridge University Press, 2022, გვ. 2.

თვალსაზრისით. მარტინ კრაიგერის სიტყვით, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესების ანალიზი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ისინი ქმნიან ერთგვარ მოდელს და ახდენენ პოპულისტური, ანტიდემოკრატიული და ავტორიტარული პოლიტიკის ექსპორტს დემოკრატიული განვითარების უფრო ქვედა საფეხურზე მდგომ სახელმწიფოებში. ამ მიმართულებით დიდ ინტერესს იწვევს საქართველო, რომლის ხელისუფლებები ცდილობ(დ)ენ დაუახლოვდნენ და სანიშნოდ მოდელად დასახონ ცენტრალური ევროპის ქვეყნები (მაგალითად, უნგრეთი) და მათი განვითარების მოდელი, თუმცა საქართველოს შემთხვევის კონტექსტუალიზაციის საკითხი ჩვენი შემდგომი კვლევის საგანია.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ხალხებზე საუბრისას, მკვლევრები მიუთითებენ, რომ აქ მიღებული და გაზიარებულია ერის არა სამოქალაქო და პოლიტიკური, არამედ კულტურული და ეთნიკური გაგება. ეს, ძირითადად, განპირობებულია რეგიონის ქვეყნების ისტორიით, იმპერიულ სივრცეებში განვითარების კონტექსტით. შესაბამისად, პოპულისტურ დისკურსში „ხალხი“ გაიგივებულია ეთნიკურ/კულტურულ ერთან და ყველა, ვინც არ ეკუთვნის ამ გაგებით „ჩვენ“ ჯგუფს, სტიგმატიზებულია როგორც უცხო/მტერი. ასეთი შეზღუდული კონსტრუქცია კარს უღებს სხვადასხვა სახის ექსკლუზიას, ამა თუ იმ ჯგუფის გამორიცხვას ეროვნული ერთობიდან. ხანგრძლივი კოლონიზაციისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის კონტექსტში ეროვნული იდენტობები კონსტრუირდა როგორც კოლონიზატორებთან, ასევე, იმპერიის სხვა ჯგუფებთან მიმართებით ან დაპირისპირებით.¹⁷ გამომდინარე აღნიშნულიდან, ჯგუფები, რომლებიც ატარებენ განსხვავებულ ფასეულობებს, ადვილად შეიძლება შეირაცხონ მტრებად, რომლებიც ემუქრებიან ტრადიციულ ცხოვრების წესს და მორალურ წესრიგს. ასეთ მტრებად ხშირად განიხილებიან არა

17 Mach, Zdzisław. "Right-wing Populism, Euroscepticism, and Neo-Traditionalism in Central and Eastern Europe." In: *The Right-Wing Critique of Europe*. Eds. Joanna Sondel-Cedarmas, Francesco Berti. Routledge, London, 2022, გვ. 22-23.

მხოლოდ სხვა ერები, არამედ ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები, სექსუალური უმცირესობები, სხვა იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ჯგუფები, უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ. ბოლო წლებში, ცენტრალური ევროპის საზოგადოებებისთვის მსგავს ჯგუფებად კონსტრუირდნენ მუსლიმი ლტოლვილები და სექსუალური უმცირესობები. რეგიონის მემარჯვენე პოპულისტურ დისკურსში ხალხი იდენტიფიცირებულია, როგორც ერთგვაროვნად მოაზროვნე მყარი მორალური ერთობა, რომლის ტრადიციებსაც საფრთხეს უქმნის გლობალური, კოსმოპოლიტური ლიბერალიზმი. გლობალისტი ლიბერალები განიხილებიან ძალად, რომელსაც სურს, გაანადგუროს საზოგადოების ტრადიციული ფასეულობები და ცხოვრების წესი. გლობალური, ანტიეროვნული ძალის როლს ხშირად არგებენ ტრანსნაციონალურ ინსტიტუციებს. ცენტრალური ევროპის რეგიონის ქვეყნების პოპულისტურ დისკურსებში ასეთ როლს ხშირად თამაშობს ევროკავშირი, რომლის წევრი თავად ეს სახელმწიფოები არიან. პოპულისტების ნარატივში ბრიუსელი ებრძვის ტრადიციულ ინსტიტუციებს, როგორებიცაა ოჯახი, ეკლესია, უგულვებელყოფს ადგილობრივ კულტურებში მიღებულ ცხოვრების წესს და საზოგადოებებს თავს ახვევს მათთვის უცხო და მიუღებელ ლიბერალურ წესრიგს.¹⁸

2023 წლის 23 ოქტომბერს, ბუდაპეშტში, უნგრეთის 1956 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების 67-ე წლისთავზე, პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ევროკავშირი საბჭოთა კავშირს შეადარა.¹⁹ მისი განცხადებით, როგორც მოსკოვი ცდილობდა, რომ უნგრელებს მის დაკრულზე ეცეკვათ, იგივეს ცდილობს ბრიუსელი. ევროკავშირი უნგრეთს თავს ახვევს თამაშის წესებს, რომლებიც მიუღებელი და შეუთავსებელია ადგილობრივი კულტურისთვის. ორბანის პოპულისტურ ნარატივში მთა-

18 იქვე, გვ. 24.

19 Orban compares EU to Soviet Union in speech marking 1956 anniversary. <https://intellinews.com/orban-compares-eu-to-soviet-union-in-speech-marking-1956-anniversary-298173/?source=hungary>.

ვარი მტერი ევროკავშირის ლიბერალური ელიტაა ბრიუსელის სახით. მას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კულტურული ომი აქვს გამოცხადებული ევროკავშირის ლიბერალურ პოლიტიკასთან. „ჩვენ ვერ ვიბრძობებთ წარმატებულად ლიბერალური საშუალებებით, რადგან ჩვენი ოპონენტები სარგებლობენ ლიბერალური ინსტიტუტებით, კონცეპტებით, ენით. პოლიტიკა არ არის საკმარისი – ეს არის კულტურათა ომი. ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ ჩვენი ეკლესიები, ჩვენი ოჯახები, ჩვენი უნივერსიტეტები, ჩვენი საზოგადოებრივი ინსტიტუტები. უნგრეთი არის ძველი, ამაყი, დავითის ზომის ერი, რომელიც მარტო დგას გლობალისტი გოლიათის წინააღმდეგ.“²⁰ – განაცხადა ორბანმა 2022 წელს.

ევროსკეპტიციზმი ევროპული პოპულისტური დისკურსის მთავარი კომპონენტია. ბოლო წლებში ევროსკეპტიკური ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა ცენტრალური ევროპის რეგიონის ქვეყნებში. ეს განაპირობა ორმა ღრმა და ყოვლისმომცველმა კრიზისმა, რომლებმაც დიდწილად განსაზღვრეს პოლიტიკური პროცესები ევროპაში. ეს იყო ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც შეარყია ევროკავშირის ფინანსური სტაბილურობა და მიგრაციული კრიზისი, როდესაც ასობით ათასი ლტოლვილი მიანყდა ევროპის საზღვრებს. ცენტრალური ევროპის რეგიონის პოპულისტმა პოლიტიკოსებმა ისარგებლეს შექმნილი არასტაბილური გარემოთი და შეძლეს საზოგადოებრივი აზრის მათ სასარგებლოდ მობილიზება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მიგრაციული კრიზისი და მისი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე. დღეს ვიქტორ ორბანი და მისი პოლიტიკური პარტია „ფიდესის“ ლიდერები, ასევე პოლონეთის ყველაზე ძლიერი პარტიის „კანონი და სამართალი“ წარმომადგენლები, ამაცობენ, რომ წარმატებულად გაუმკლავდნენ არალეგალური მიგრაციის მაღალ ტალღას და, მიუხედავად ბრიუსელის ზენოლისა, შეძლეს საკუთარ ქვეყნებში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. ევროპარლამენტარი

20 'I Know George Soros Very Well': Viktor Orbán Slams Open Society Founder. https://www.youtube.com/watch?v=ieF_RqTy-28.

პოლონეთიდან დომინიკ ტარჩინსკი აღნიშნავს, რომ პოლონეთი ყველაზე დაცული და ეკონომიკურად წარმატებული ქვეყანაა ევროპაში. მისი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ მათ შეძლეს და შეინარჩუნეს არალეგალური მიგრაციის ნულოვანი მაჩვენებელი. „ისწავლეთ პოლონეთისგან და იყავით პოლონეთის მსგავსი.“²¹ – განაცხადა მან ევროპარლამენტის სესიაზე. ვიქტორ ორბანი ასევე ამაცობს უნგრეთში ნულოვანი არალეგალური მიგრაციით და ამ ქვეყნის მაგალითი სანიმუშოდ მიაჩნია მთელი ევროპისთვის. იგი საუბრობს იმაზე, რომ მიგრანტების კრიზისმა დასავლურ პოლიტიკაში გააქტიურა იდენტობის საკითხი, რომელიც დავინწყებული იყო პოლიტიკურ დებატებში. აქტუალური გახდა თვითგანსაზღვრის პრობლემა – ვინ ვართ ჩვენ, რა ხდება ჩვენს საზოგადოებებში, როგორია ჩვენი ეროვნული და რელიგიური იდენტობა. ორბანის სიტყვით, ადრე ამ საკითხებზე საუბარი არ იყო მოდური.

„დისკუსიები იდენტობის საკითხების გარშემო ფართოდ გაიშალა და ეს ძალიან კარგია. ჩვენ მოგვეცა შანსი, მოვიპოვოთ საზოგადოების უმრავლესობის კეთილგანწყობა. მიგრაციის კრიზისის ფონზე, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, ხალხამდე მიგვეტანა ჩვენი იდეები და ჩვენ იგი გამოვიყენეთ. ეს ჩემი ძლიერი მხარეა. მიგრაციის კრიზისმა გააღვიძა ეროვნული იდენტობა და აჩვენა მისი მნიშვნელობა. იყო დრო, როდესაც ცენტრალური ევროპა საფრთხედ აღიქმებოდა დანარჩენი ევროპისთვის. დღეს ეს ასე აღარ არის. დღეს ცენტრალური ევროპის რეგიონი აერთიანებს ერების ყველაზე წარმატებულ ჯგუფს ევროპაში.“²²

მსგავსი ნარატივები ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს

21 Why? Because there are zero terrorist attacks in Poland – MEP Tarczynski – speech from 14 Sep 2023. <https://www.youtube.com/watch?v=mv8bfh5SMIM>.

22 ‘I Know George Soros Very Well’: Viktor Orbán Slams Open Society Founder. https://www.youtube.com/watch?v=ieF_RqTy-28.

პოპულისტი ლიდერებისა და მათი პარტიების წარმატებაში. მიგრაციული კრიზისის დროს ხალხში გაღვივებულმა პანიკამ განმსაზღვრელი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე პოლონეთში 2015 წელს. ლტოლვილები სტიგმატიზდნენ როგორც უცხო კულტურის მქონე, ტერორიზმის საფრთხის მატარებელი ჯგუფები, რომლებიც ემუქრებოდნენ ქრისტიანულ ცივილიზაციას. ასევე ადგილი ჰქონდა მიგრანტების, როგორც ინფექციური დაავადებების მატარებელი და გამავრცელებელი ჯგუფების სრულ დეჰუმანიზაციას. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო ანტიმიგრაციული განწყობების ჩამოყალიბებას პოლონურ საზოგადოებაში.²³ ამავე პერიოდში, პოპულისტებს შეექმნათ ხალხის სახელით საუბრის მათთვის ტრადიციულად ხელსაყრელი სივრცე. ვიქტორ ორბანის განცხადებით, მათ ჩაატარეს რეფერენდუმი და ჰკითხეს უნგრელ ხალხს, უნდოდათ თუ არა ქვეყანაში არალეგალური მიგრაცია. „უნგრელმა ხალხმა გადაწყვიტა, რომ არ უნდოდა არალეგალური მიგრანტები, ანუ მემარცხენე „პროგრესისტების“ წესებით თამაში. მათ (ხალხმა) გვაიძულეს ჩვენ, ლიდერები, რომ გვემოქმედა – და ჩვენ შევაჩერეთ არალეგალური მიგრაცია იმ პირობებში, როდესაც ჩვენს საზღვრებთან 400 000 არალეგალური მიგრანტი იდგა.“²⁴

ეროვნული პოპულიზმის პერსპექტივიდან განსაკუთრებით მტრულად არის აღქმული ევროკავშირის პოლიტიკური ელიტა. ცენტრალური ევროპის ქვეყნების პოპულისტურ ნარატივებში დასავლეთ ევროპა ბრიუსელის სახით წარმოადგენს ტრადიციული ეროვნული ფასეულობების ალტერნატივას, რომელიც ქმნის განსხვავებულ დისკურსს, სადაც ადამიანებს სთავაზობს „ერთი შეხედვით“ მიმზიდველ „კოსმოპოლიტურ“ ცხოვრების წესს. პოპულისტები შიშობენ, რომ ეს ალტერნატივები შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, ამიტომ მაქსიმალურად ზღუდავენ მათ განვითარებას

23 Mach, Zdzisław. "Right-wing Populism, Euroscepticism, and Neo-Traditionalism in Central and Eastern Europe", გვ. 24-25.

24 'I Know George Soros Very Well': Viktor Orbán Slams Open Society Founder.

და პოპულარიზაციას საკუთარ საზოგადოებებში. მსგავსი შეზღუდვები და ბრძოლა ალტერნატივებთან ანგრევს პლურალიზმს, როგორც ლიბერალიზმის საბაზისო პრინციპს და ხელს უწყობს ავტორიტარული ტენდენციების განვითარებას. პოპულისტები საუბრობენ სუპრანაციონალური (საერთო ევროპული) იდენტობის ჩამოყალიბების პერსპექტივებზე, რომელიც საშიშია, რადგან გადაფარავს და გააქრობს ეროვნულ იდენტობებს.²⁵ მსგავს პროცესებზე მრავალი წელია დისკუსია მიმდინარეობს, მაგრამ რეალურად, ყველა დიდ საერთაშორისო გაერთიანებაში გადამწყვეტ როლს კვლავ ერი-სახელმწიფოები თამაშობენ. პოპულისტებისთვის მნიშვნელოვანია არა რეალობა და გამქრალი ან შემცირებული საფრთხე, არამედ შიშების და საფრთხეების მუდმივად არსებობა ან არსებობის ილუზია. ეს მათ საზოგადოებრივ აზრზე განგრძობადი ზემოქმედების შესაძლებლობას აძლევს.

ცენტრალურ ევროპაში პოპულიზმის საფუძველი და პოპულისტური დისკურსის განმსაზღვრელია ევროსკეპტიციზმი. ამ მოვლენის სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებში იგი, ძირითადად, იდენტობაზე დაფუძნებული ფენომენია.²⁶ ნატაშა სტიჩინსკას დასკვნით, ევროსკეპტიციზმი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ემყარება წინააღმდეგობას ეროვნულ და ევროპულ იდენტობებს შორის. იგი დაკავშირებულია „ინტეგრაციის დილემასთან,“ რასაც განაპირობებს ტრანსნაციონალური ორგანიზაციების მიერ შთანთქმის შიში.²⁷ რეგიონის სახელმწიფოებში პოლიტიკურ დისკურსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა და დღემ-

25 Mach, Zdzisław. “Right-wing Populism, Euroscepticism, and Neo-Traditionalism in Central and Eastern Europe”, გვ. 25.

26 Styczyńska, Natasza. “Populist Euroscepticism in Poland: Towards Framework for Analysis.” *Faces of Populism in Central and South-Eastern Europe*. Eds. Haris Dajč, Natasza Styczyńska. Jagiellonian University Press, 2023, გვ. 177-208.

27 Styczyńska, Natasza, “Eurosceptic parties in the Central and Eastern European countries: a comparative case study of Poland, Hungary and Bulgaria.” *The Routledge Handbook of Euroscepticism*. Eds. Benjamin Leruth, Nicholas Startin and Simon Usherwood. New York: Routledge, 2018, გვ. 140-141.

ირაკლი ჩხაიძე

დე განსაზღვრავს, ერთი მხრივ, ევროკავშირში ინტეგრაციის სურვილი (გაერთიანების ნევრად ყოფნა ბევრი მატერიალური სიკეთის გამო) ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული იდენტობის დაკარგვის მუდმივად კულტივირებული საფრთხე. რეგიონის ქვეყნების ბრიუსელთან წინააღმდეგობის აღნიშნულ კონტექსტში შესწავლა ღრმა და კომპლექსური კვლევის საგანია.

ბამოყენებული ლიტერატურა

ფუკუიამა, ფრენსის. *ლიბერალიზმი და მისით უკმაყოფილონი*. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2022.

Blokker, P. Conservative Populism in Defiance of Anti-Totalitarian Constitutional Democracy. In: *Anti-Constitutional Populism*. Eds. Martin Krygier, Adam Czarnota, Wojciech Sadurski. Cambridge University Press, 2022, pp. 297-335.

Halmai, G. "Populism or Authoritarianism? A Plaidoyer Against Illiberal or Authoritarian Constitutionalism." In: *Anti-Constitutional Populism*. Eds. Martin Krygier, Adam Czarnota, Wojciech Sadurski. Cambridge University Press, 2022, pp. 366-398.

Krygier, M. "Introduction: Anti-Constitutional Populism." In: *Anti-Constitutional Populism*. Eds. Martin Krygier, Adam Czarnota, Wojciech Sadurski. Cambridge University Press, 2022, pp. 1-24.

Mach, Z. "Right-wing Populism, Euroscepticism, and Neo-Traditionalism in Central and Eastern Europe." *The Right-Wing Critique of Europe: Nationalist, Sovereignist and Right-Wing Populist Attitudes to the EU*. Edited By Joanna Sondel-Cedarmas and Francesco Berti. London: Routledge, 2022, pp. 22-31.

Styczyńska, N. "Eurosceptic parties in the Central and Eastern European countries: a comparative case study of Poland, Hungary and Bulgaria." *The Routledge Handbook of Euroscepticism*, ed. Benjamin Leruth, Nicholas Startin and Simon Usherwood (New York: Routledge, 2018), pp. 139-154.

ეროვნული პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ ევროპაში

Styczyńska, N. “Populist Euroscepticism in Poland: Towards Framework for Analysis.” *Faces of Populism in Central and South-Eastern Europe*. Eds. Haris Dajč, Natasza Styczyńska. Jagiellonian University Press, 2023, pp. 177-208.

Urbinati, N. *Me the People. How Populism Transforms Democracy*. Cambridge, MA: Harvard University Press, 2019.

ელექტრონული რესურსები (წვდომა განხორციელდა: 30.10.2023)

Intellinews, “Orban compares EU to Soviet Union in speech marking 1956 anniversary”, 24.10.2023, <https://www.intellinews.com/orban-compares-eu-to-soviet-union-in-speech-marking-1956-anniversary-298173/>

Forbes Breaking News, ‘I Know George Soros Very Well’: Viktor Orbán Slams Open Society Founder, 11.08.2022, <https://youtu.be/ieF-RqTy-28?si=-5un4qdDDp154Fev>

Minda de Gunzburg Center for European Studies, *Populism, Polish Style: Can Liberal Democracy Be Saved?* (28.03.2018) <https://youtu.be/FDYGZ3UefsA?si=p7yQQAQZpyxjJisQ>

Reuters, “Hungary’s Fidesz wins historic two-thirds mandate”, 25.04.2010. <https://www.reuters.com/article/uk-hungary-election-idUKTRE63O1KI20100425/>

VideoParliament Ireland, Why? Because there are zero terrorist attacks in Poland – MEP Tarczynski – speech from 14 Sep 2023 (24.09.2023), <https://youtu.be/mv8bfh5SMIM?si=Wk6fhXPm-7sKJQTNf>

“RUSSIAN EXODUS” – “WHAT DOES IT BRING TO US?”¹ **Russian relocation process and its impact on Georgia**

1. Regarding the term ‘relocants’: Firstly, why use ‘relocants’ (derived from ‘relocate’ – to move or transfer something or someone from one place to another) instead of ‘migrants’? A migrant, according to the UN definition, refers to any person who changes their country of usual residence due to political, climatic, economic, or other reasons. Similarly, a relocant also leaves their country. What prompted the need for a new term, and what makes it distinctive within the context of the Russian-Ukrainian war?

Let’s outline the most obvious reasons:

1. The term ‘migration’ still carries political connotations (particularly for citizens in the post-Soviet space), hence ‘relocant’ may be more acceptable for individuals leaving their country of residence.
2. Emigration typically denotes either a political protest, an attempt to evade repression, or a hope for improved economic conditions. Relocation may involve these reasons, but it additionally encompasses the aspiration to build a successful career or run a more prosperous business, which for a number of reasons becomes difficult or impossible in one’s own country.
3. ‘Emigration’ implies a more permanent nature compared to ‘relocation’ – emigration is usually long-lasting, while relocation tends to be temporary. Emigration is a strategic decision, whereas relocation is often more tactical. Generally,

1 “There is a new turn in the road... what does it bring to us” – words from the song of the famous Russian rock group “Time Machine” banned in Russia – “Turn”. This group was not favored at one time either in Soviet times!

the relocant retains their citizenship and property in their home country.

4. An emigrant is compelled to adapt to a new social environment (customs, language) and integrate into it. In contrast, a relocant typically doesn't pursue such objectives. They usually do not aim to assimilate into the temporary society where they relocate.

2. Economy: Pros and Cons. The Georgian society hasn't yet developed a clear strategy for interacting with Russian relocants. The perception of Russian relocants in Georgian society is mixed and uncertain, often leaning towards negativity. The issue is relatively recent, complex, and extremely delicate, heavily influenced by the ongoing events in Ukraine. Simultaneously, the country's authorities view the mass relocation of Russians as a potential economic opportunity. However, a significant portion of the population and the expert community highlight the risks associated with this process, encompassing political, economic, socio-cultural, and national security concerns.

In the early days of the war, economic forecasts for Georgia, both by local economists and major international institutions, were more than disappointing. Before the war, Russia and Ukraine were Georgia's two largest trading partners, both in terms of exports and tourism. On the very first day of the war, the national currency of Georgia fell sharply in value.

Gradually, the expert community began to focus on the positive impact of relocation processes on the Georgian economy. For example, the Asian Development Bank doubled its projected economic growth in Georgia to 7 percent.² The war, which was supposed to bring an economic collapse to Georgia, turned into a

2 K. Kakachia, S. Kandelaki, Migration from Russia: danger or opportunity for Georgia?, in Georgian, (November, 2022), Georgian Institute of Politics, <https://gip.ge/ka/publication-post/migracia-rusetidan-safrtxe-tu-shesadzlebloba-saqart-velostvis/>, p.1 (all links accessed: 25.10.2023).

sharp jump, the likes of which have not been seen since the day of independence... 10% economic growth, strengthening of the national currency, an increase in employment...³

The influx of Russian citizens to the main cities of Georgia turned out to be beneficial for the part of the national economy – for banks, for the service sector (restaurants, shops, hotels, tourism, delivery), for transport, especially for taxi drivers; for those who rent real estate; for the construction business.

Transit has increased, warehouses, terminals, seaports, and railways are more fully involved. In 2022, transit traffic through the territory of Georgia increased by 50%. Georgia becomes a major transit hub from Asia to Europe.⁴

Russians open companies, create businesses. In March 2022, 9,114 companies were registered in Georgia (72% more than in 2021). In April, May, and June there are 6419 more companies. Data on relocants who applied for jobs in the first quarter of 2023 – 9.3 thousand (in the first quarter of 2022 – 3.6 thousand (growth +160%).

Tens of thousands of Russian citizens have opened and have active bank accounts in Georgian banks. The number of bank deposits amounted to more than one billion lari. 72% of them are placed in dollars, only 0.06% (1.2 million) in rubles. In the second quarter of 2022, currency points bought 949.8 million rubles and sold 929.4 million, which is approximately three times more than in the same period of 2021. From March to August 2022, loans were issued in the amount of 482.8 million GEL. The indicators of money transfers from Russia to Georgia increased significantly, which had a positive impact on several economic parameters, including the strengthening of the exchange rate.

At the same time, some experts believe that the positive eco-

3 Тенгиз Аблотия. Год великого русского исхода, Эхо Кавказа [Tengiz Ablotia, The Year of Great Russian Exodus, *Ekho Kavkaza*], 16.03.2023. <https://www.ek-hokavkaza.com/a/32321413.html>

4 Ibid.

conomic effect may turn out to be short-term, which will depend, among other things, on the state of the Russian economy. So, regarding the same money transfers, some experts suppose that this process can strengthen the Georgia’s economic dependence on Russia, both in the case of their (cash receipts) growth, and in the event of their quite possible decrease in the near future.⁵

The positive economic effect associated with the relocation process has had a heterogeneous effect on the population of the country. As we have already said, certain sectors of the national economy have benefited, but the low-income citizens have become even more limited in obtaining certain services, they are suffering from rising food, real estate, and housing prices. So, for many students from the regions, living in the capital and, for example, in Batumi, has become practically financially impossible. Rental prices have risen by at least 200%. The companies and individuals providing services are focused on making a profit, therefore, often, the interests of Russian citizens who provide this profit are put above the Georgian ones, causing discontent among a part of the population.

Several European politicians and experts express concern that Georgia is receiving economic benefits from the war in Ukraine. There are risks that this may significantly reduce the quality and quantity of assistance from the West, which, in turn, will increase Russia’s ability to influence the political and economic processes in Georgia.

Russians can stay in Georgia for up to one year. Against the backdrop of many Georgian citizens leaving the country (population – 3.5 million), a possible process of further increase in the influx of relocants from Russia may create demographic problems (imbalance) in the country. On April 12, 2023, a draft law was initiated in Russia, which is designed to create a digital system for notification of military service (possibly from the spring draft).

5 K. Kakachia, S. Kandelaki, Migration from Russia, p. 2.

Observers say those who receive an online draft notice will be banned from leaving the country, making draft evasion nearly impossible. Those who do not report to the military enlistment office within 20 days after receiving an electronic call-up notification will not be able to take out loans, work as self-employed, conduct real estate transactions, they will be limited in their rights to drive vehicles, etc. These provisions may also affect those Russians who have already left the country, forbidding them to continue to work remotely or sell property.

There are concerns within society that relocants might displace Georgians from job opportunities. It's worth noting that in certain economic sectors, Russians demonstrate a significant level of competitiveness.

In Georgia, there has been an unprecedented surge in the real estate market over the past year and a half, with around 45,000 apartments purchased by Russians within a year.⁶ Citizens of Russia and a few other countries began buying real estate in Tbilisi and Batumi well before the events in February. Most of the purchases were made by residents of Moscow, although Ukrainians and Belarusians were also actively involved in this market. Short-term tours that combined tourism and entertainment with real estate acquisitions became a common practice.

In Batumi, there is an area under the unofficial name "New Boulevard" (the continuation of the "Old Boulevard" along the seashore), where active development is underway and where the overwhelming majority of the population is not Georgian and where the Russian language dominates. Russian is spoken with the local population not only by Russians, but also by citizens from Ukraine and Belarus. By the way, Russians, and sometimes Belarusians, often impersonate Ukrainians, knowing that Georgians are more friendly towards them. In this area of Batumi, a large number of apartments belong to the Russian citizens, which indi-

6 Tengiz Ablotia, *The Year of Great Russian Exodus*.

cates a trend of compact settlement. Here we should recall the Russian doctrine of protecting the rights of the Russian population by those means and methods that will be acceptable to the Kremlin in a particular situation. In these buildings, house committees have to communicate with Russian apartment owners (the number of which in new buildings varies from 10 to 70 percent) in Russian.

There are no barriers for relocants to buying apartments. The restrictions apply only to agricultural land. Acquisition of real estate worth \$100,000 is considered an investment and the owner can obtain a residence permit for a year (there must be a conclusion of a licensed audit office). Buying \$300,000 in real estate, or making an investment of the same amount, you may be eligible for residency for 5 years, after which you may be eligible for permanent residency. There has been an increase in the number of those who obtain the right of residence because of marriages with residents, which gives the right to obtain the right to permanent residence. This will enable Russian relocants to visit EU countries, that have a visa-free regime with Georgia. In the case of mass obtaining Georgian citizenship, we can also get a significant increase in the pro-Russian electorate...⁷

There is the complicated issue with education. For many private schools, the children of relocants are the most economically acceptable contingent. It also causes a feeling of discontent among the local population. The issue of educational programs in the Russian-speaking sectors of schools, which are becoming more and more, is also actual and topical.

3. Relocants and Georgian society. Communication problems. In 1989, the percentage of Russians in Georgia was 6.3%, in 2014 it was only 0.5%. Despite the presence of the Georgian diaspora in Russia, as well as a large share of Russians in the tourist flow, the process of cultural alienation between Georgian and Russian societies continues. Georgian youth have much more in common

7 K. Kakachia, S. Kandelaki, Migration from Russia, p. 8.

with the West. This is obvious from reading, musical and cinematic preferences, from knowledge of languages, from the countries they would like to live and receive education in, etc., including graffiti on the walls. Over the past 30 years, a generation has grown up, for which Russia is a completely alien country. Moreover, in the eyes of Georgian youth, Russia manifests itself as an aggressive force, both politically and culturally. A large flow of relocants (not tourists, namely relocants) for, especially young people, was like a kind of cultural shock. The process of integrating relocants into Georgian society practically did not begin. The Russian and Georgian communities coexist, almost without touching and not experiencing much interest either in each other or in the process of this integration.

The first, February wave of the great Russian exodus was the so-called IT generation, more or less wealthy, advanced, educated and able to work remotely. Many of this wave are anti-Kremlin. The September wave of relocation, mainly related to mobilization, brought the number of Russians to about 150,000. The first wave of relocators, without causing much enthusiasm, on the whole, did not cause sharp hostility. In the autumn wave of relocation, among them who fled from mobilization, there are many who are generally satisfied with Putin's policy, if only they don't have to risk their lives for it. This flow of relocants is more problematic, including in terms of communication. In relations with this second stream, frictions are more predictable.

There is an opinion, that the best thing that could happen in relation to the relocants is that the Georgian society has simply got used to the crowds of Russian faces in Tbilisi and Batumi. That the topic has lost its relevance – indignant posts about Russian migrants have ceased to be written on social networks, they are no longer talked about on TV, this topic is practically not touched upon by the opposition.⁸ Is it so? I am more skeptical about this,

8 Tengiz Ablotia, The Year of Great Russian Exodus.

I have a feeling that Georgia is sitting on a powder keg, waiting for a social explosion. Any offense, any inconvenience, that we are inclined to forgive a compatriot, committed by a representative of another country and another nationality, causes rejection and aggression. Information about various domestic conflicts with relocants comes almost daily. The main risk group is the Georgian youth. Let's not forget about the role of alcohol and the differences in terms of communication relationships.

The attitude of the Georgian population towards the relocants is significantly influenced by a sentiment akin to 'ressentiment.' There's a Soviet-era joke about a Georgian teenager in the resort town of Kobuleti who, when asked about his aspirations for adulthood, replied that he aspired to become a vacationer. This response stemmed from the teenager's observation that vacationers enjoy ample free time, wealth, stylish attire, a sense of well-being, and dine in restaurants. Relocants, a group with relatively few individuals from rural areas such as miners or tractor drivers, visually resemble vacationers. Most exhibit a modern and successful appearance—well-dressed, establishing trendy cafes and bars, and frequently dining out. Notably, some Batumi restaurants now experience queues, an occurrence previously unheard of, reflecting a similar trend observed in Tbilisi.

The fact that there are many Russian buyers and customers in popular supermarkets and restaurants irritates and causes a feeling of resentment not only among those Georgians who see them as representatives of the aggressor country, but also among that part of the population whose standard of living is lower than that of Russian relocants. An anecdote appeared on a Georgian social network about a cashier at a supermarket who burst into tears when a Georgian customer finally approached her, and they even sang a Georgian folk song together!

The attitude of Georgians towards Russian migration is naturally influenced by the memory of the recent wars in separatist regions (in Abkhazia and Samachablo, the latter so called „South Ossetia”),

and the problem of refugees (internally displaced persons from Abkhazia and the Samachablo region), and the consequences of the 2008 war with Russia – the occupation of a part of Georgian territory and the process of “borderization”: since 2011, Russia has been working on the creation of “border infrastructure” (barriers, barbed wire, banners, etc.) around the territory of the Samachablo region.

Is it possible for the relocants to form a political agenda? Today it seems unlikely, but the situation can change any day and it depends on multiple factors and actors.

4. The process of relocation and its impact on the internal politics of Georgia. It is not always easy to separate short-term risks from long-term ones, but we will try. The short-term ones include – the penetration of sabotage groups, espionage, provocations, an increase in the level of crime, an increase in the background of corruption. Provoking tension between Ukrainians and Russians in Georgia.

An increase in the level of crime may be caused by the depletion of resources for relocants to live when some of them will be forced to look for other means of replenishing them.

The relocants came from a country where corruption and bribery are as common as it was in Georgia in the recent past, so we can predict some increase in the corruption background.⁹

Long-term risks are associated with Kremlin propaganda as part of the soft power in the arsenal of hybrid warfare. In political science, a discourse has been formed about countries with unguaranteed democracy, in which traditional, liberal, and post-liberal clusters coexist. In these countries, drift is possible both towards post-liberalism and towards an authoritarian tradition. These countries are a good target for a hybrid war, one of the tasks of which is to identify vulnerable population clusters of the country against which it is waged. Naturally, this policy is “packaged” and articulated through a certain set of theses: “Georgia’s

9 K. Kakachia, S. Kandelaki, Migration from Russia, pp. 9-10.

only path to economic and social well-being goes through Russia”; “Europe is rich, but far and unattainable”; “Only through Russia can Georgia’s territorial problems be resolved”; “NATO is good, but because of Russia, Georgia will not be accepted into it”; “Russia is an Orthodox country, while in Europe Georgia is waiting for the loss of traditions,” etc.

People often feel discomfort when faced with complex questions or situations, leading them to seek straightforward and unequivocal answers and solutions. The inclination towards a black-and-white worldview serves as a foundational element for the radical sentiments of the masses. A segment of the population finds the Russian narrative more accessible, as it offers simpler solutions to intricate issues. Moreover, understanding the European narrative is challenging due to its intricate and ever-evolving nature across time and space. This complexity contrasts with the monolithic framework presented by the Kremlin and Putin, which remains static and uniform.

The country carries a significant psychological burden among its populace. A large portion of the population hasn’t reaped benefits from the new economic and political landscape. Numerous individuals acknowledge that they won’t emerge as beneficiaries of the ‘new Georgia’ due to factors such as their age, skills, and abilities. Consequently, a segment of the population harbors frustration. This sense of hopelessness, coupled with uncertainty and anger within a faction of Georgian society, forms the primary fertile ground for the predominant anti-Western narrative propagated by Russian propaganda.

The surge of anti-Western sentiments within Georgia gained momentum following Georgia’s denial of candidate membership status in the European Union (June, 2022), despite both Ukraine and Moldova securing such status. The prospect of obtaining candidate status had heightened pro-European sentiments in society, yet the denial led to feelings of resentment and disillusionment among a portion of the

populace regarding Europe and its envisioned future.¹⁰ The issue of EU membership candidacy remains a paramount concern in the country's domestic policy. Disillusionment with Western politics naturally amplifies pro-Russian inclinations. Consequently, pro-Russian sentiments persist within a segment of Georgian society. This predominantly encompasses older individuals more inclined toward the Russian narrative, which romanticizes Soviet-era realities over Western ideologies. This group of the population is generally dissatisfied with the situation in Georgia and, moreover, frightened by the war – both the Russian-Georgian war of 2008 and the current war in Ukraine. It is easier for relocants to contact this part of the population...

It's also important to consider the policy of partial warming, which involves spreading positive information about the object of a hybrid war. This policy constitutes a part of the aggressor's overall war strategy.

Regarding the relocants in Adjara, there's an opinion suggesting a more tolerant attitude towards them in this region compared to, for instance, Tbilisi. This perspective could be partially attributed to Batumi being a resort and port city. Additionally, the legacy of Aslan Abashidze's pro-Russian regime (1991-2003) and the region's proximity to Turkey, which for some segments of the population serves as a counterbalance to Russia, may contribute to this tolerance. In the context of Adjara, the Kremlin continues to employ traditional methods. Thus, Andrey Klimov, Deputy Chairman of the Foreign Relations Committee of the Federation Council, made a statement last spring that Adjara, following the example of Abkhazia and so called South Ossetia (Russian occupied Samachablo region), could begin the procedure for secession from Georgia: "I do not exclude that against the background of the created conditions, Adjara will follow the example of Abkhazia and South Ossetia. Considering the historical, religious, and geographical position, it will not be difficult to imagine that Ankara will try

10 On December 14, 2023, Georgia was granted the candidate status by the EU.

to increase its influence in the north-east of the Black Sea with the help of the Adjarian separatists.”¹¹

Hence, Batumi is poised to become Georgia’s second political center, especially concerning the issue of relocants.

REFERENCES

Kakachia, K., Kandelaki, S. Migration from Russia: danger or opportunity for Georgia?, in Georgian, (November, 2022), Georgian Institute of Politics, <https://gip.ge/ka/publication-post/migracia-rusetidan-safrtxe-tu-shesadzlebloba-saqartvelostvis/> (links accessed: 25.10.2023)

Russian senator suggests that Turkey can help Adjara secede from Georgia (in Russian), Civil.ge 12.08.2023, <https://civil.ge/ru/archives/483395>.

Аблотия, Т. Год великого русского исхода, Эхо Кавказа [Tengiz Ablotia, The Year of Great Russian Exodus, Ekho Kavkaza], 16.03.2023. <https://www.ekhokavkaza.com/a/32321413.html>

11 Russian senator suggests that Turkey can help Adjara secede from Georgia (in Russian), Civil.ge, 12.08.2023, <https://civil.ge/ru/archives/483395>.

პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების დეკოლონიზაცია:

კრიტიკული ანალიზი რეფლექსური მეცნიერული
დიალოგის (Reflexive Scholarly Dialogue) მეშვეობით¹

გ. თ.: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმის აღიარება, რომ პოსტსაბჭოთა კონტექსტი „ნეოკოლონიურია“. რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოში განხორციელებული აგრესიის, ასევე, 2014 და 2022 წლებში რუსეთის მხრიდან უკრაინაში განხორციელებული სამხედრო ქმედებების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ვითარება ზუსტად არ იქნება აღწერილი, თუკი მხოლოდ ტერმინ „პოსტკოლონიურს“ გამოვიყენებთ. უფრო მართებული იქნება, თუკი ამ მდგომარეობას „ნეოკოლონიურს“ ვუწოდებთ. მსოფლიო მონმე იყო, თუ როგორ უარყო რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინის უფლება სახელმწიფოებრიობაზე თავის სატელევიზიო გამოსვლაში 2022 წლის თებერვალში, რომელიც წინ უსწრებდა უკრაინაში რუსეთის ჯარების სრულმასშტაბიან შეჭრას. მსოფლიო, ასევე, მონმე იყო, თუ როგორ მიიტაცა რუსეთმა ყირიმი 2014 წელს და როგორ აწარმოა სადამსჯელო ომი საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს. შესაბამისად, ჩვენ ნეოკოლონიურ კონტექსტში ვიმყოფებით: ყოფილი იმპერია აგრესიულად ცდილობს, აღიდგინოს დაკარგული გავლენა და ყველა საშუალებას იყენებს თავისი მეზობლების დასამორჩილებლად. ეს ვითარება მახსენებს ნენსი კონდეს შენიშვნას, რომელიც მან 2006 წელს გააკეთა: „მხოლოდ უდიდესი ოპტიმისტი დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ რუსეთის სამოქალაქო გაერთიანებებმა, – არჩევნების დამოუ-

1 წინამდებარე ტექსტი წარმოადგენს ინგლისურენოვანი ტექსტის შემოკლებულ თარგმანს. იხ. Anatoly V. Oleksiyenko, Giorgi Tavadze, Decolonization of Post-Soviet Higher Education: Critical Inquiry Through a Reflexive Scholarly Dialogue, *Cultural Studies* ←→ *Critical Methodologies* (2024, forthcoming). თარგმნა გ. თავაძემ.

კიდებელმა მონიტორინგმა, მედიამ, ვეტერანთა ასოციაციებმა, გარემოს დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფებმა, პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტებმა და ა.შ., – განვითარება განაგრძეს. ამის ნაცვლად, ბერი ფილოფის უხეში პარაფრაზირება რომ მოვახდინოთ, დინასტიური იმპერია დაეცა, რომელსაც მოჰყვა სოციალისტური იმპერია და ახლა მესამე იმპერია ახდენს საკუთარი ინსტიტუტების კონსოლიდირებას ნაცნობი ტრადიციებით. [...] რუსეთი, რომელიც თანდათანობით ძალას იკრებს პოსტ-იმპერიული დაღლილობის შემდეგ, მაინც იმპერიად რჩება (თუმცა შეცვლილი სახით)“ (Condee in Spivak et al., 830). დერეკ გრეგორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ „კოლონიურ ანმყოში“ ვცხოვრობთ (Gregory, 2004).

ამჟამად ჩემი ქვეყნის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული. რუსი ჯარისკაცები მავთულხლართებს ავლებენ სამაჩაბლოში, უკანონო ბორდერიზაციას ახორციელებენ, აპატიმრებენ და კლავენ საქართველოს მოქალაქეებს. ერთ-ერთ ადგილას ე.წ. საზღვარი მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული ცენტრალური ავტომაგისტრალისგან, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთთან აკავშირებს. ამ ხისტი ძალის გარდა რუსეთი ეფექტურად იყენებს ე.წ. რბილ ძალასაც. უკანასკნელ წლებში საქართველოში სულ უფრო მეტად გააქტიურდნენ პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც არ მალავენ საკუთარ კავშირებს რუსეთთან, აშკარად უარყოფენ დემოკრატიულ ღირებულებებს და ანტიდასავლურ პოზიციებს აფიქსირებენ. მთელ რიგ შემთხვევებში ისინი არ ერიდებიან ძალის გამოყენებას და განსხვავებულად მოაზროვნე ჯგუფების დაშინებას. საგანგაშოა, რომ ზოგიერთ ასეთ ჯგუფში გავრცელებულია რუსი ფსევდო-ინტელექტუალის ალექსანდრე დუგინის შეხედულებები. ეს ის დუგინია, რომელმაც 2014 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ თქვა: „მე მიმაჩნია: მოკვლა, მოკვლა და მოკვლა. მეტი საუბარი არ უნდა იყოს. როგორც პროფესორი, მე ასე ვფიქრობ“² (CNN, 2022).

2 <https://youtu.be/dwgn3JGNrUo?si=YDMwo30QzfrfZH4S>. ამ და სხვა ბმულებზე წვდომა განხორციელდა: 10.11.2023

თავის ნაშრომში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ (2000) დუგინი უარყოფს მთელი რიგი ქვეყნების სუვერენიტეტს (უკრაინისა და საქართველოს ჩათვლით) და მათ „რუსეთის სამხრეთს“ მიაკუთვნებს (Дугин, 2000).

ესაა ის კონტექსტი, რომელშიც ჩვენ, მეცნიერ-მკვლევრები, ვიმყოფებით. თავის მოკატუნება და იმგვარად მოქცევა, თითქოს ეს კონტექსტი არ არსებობს ან ფოკუსის სხვა განზომილებაზე გადატანა საკუთარი თავის მოტყუება იქნება. საფრთხე, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, **ექსისტენციალურია**: მან შეიძლება საერთოდ შეწყვიტოს არსებობა, რადგან ბალტიისპირეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებიც „ნატო“-ს წევრები არიან, საქართველოს არ გააჩნია უსაფრთხოების ასეთი გარანტიები. ჩვენ ვხედავთ, რომ თვით უკრაინის შემთხვევაშიც, რომელიც გაცილებით უფრო დიდი ქვეყანაა, ვიდრე საქართველო, ამგვარი გარანტიების არარსებობა სერიოზულ პრობლემას ქმნის.

ნეოკოლონიური ვითარების, როგორც ექსისტენციალური საფრთხის არსებობის აღიარება, უნდა იყოს ის ნანამძღვარი, რომელსაც ყველა სახის პოსტკოლონიური/ნეოკოლონიური დისკუსია დაემყარება. ჩვენ ვერ მოვახდენთ იმ ფაქტის უგულვებელყოფას, რომ კვლავაც ვექვემდებარებით იმპერიული ძალის დინამიკას და ვერ ვიტყვით, რომ პოსტკოლონიურ ვითარებაში ვიმყოფებით („პოსტ“-ზე განსაკუთრებული ხაზგასმით).

თუმცა, ამ იდეის მიწოდება დასავლელი კოლეგებისთვის ყოველთვის არ ხერხდება. როგორც ჩანს, ისინი ყოველთვის არ ერკვევიან საბჭოთა ისტორიაში. მაგალითად, 2008 წელს, როდესაც რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, ნოამ ჩომსკიმ დიდი უვიცობა გამოავლინა, როდესაც შემდეგი რამ დაწერა: „ძირითადი ფაქტები ეჭვქვეშ არც კი დგას. სამხრეთ ოსეთი, ისევე როგორც აფხაზეთის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რეგიონი, სტალინმა მშობლიურ საქართველოს მიაკუთვნა. დასავლელი ლიდერები მკაცრად მოგვინოდებენ, რომ პატივი ვცეთ სტალინის დირექტივებს, ოსებისა და აფხაზების ძლიე-

რი წინააღმდეგობის მიუხედავად³. ჩომსკი ფუნდამენტურ შეცდომებს უშვებს. უპირველეს ყოვლისა, ეს რეგიონები სტალინის არ მიუკუთვნებია „მშობლიური საქართველოსთვის“. საუკუნეების განმავლობაში ისინი ხან ქართული სამეფოების ნაწილს წარმოადგენდნენ, ხან კიდევ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდნენ, ვიდრე არ მოხდა მათი ანექსია გარე იმპერიული ძალების მიერ. გარდა ამისა, ჩომსკი თვალს ხუჭავს რუსულ იმპერიალიზმზე და კონფლიქტის მთელ ტვირთს კოლექტიურ დასავლეთს აკისრებს, რაც უბრალოდ სასაცილოა.

ამ ჭრილში მე მაინტერესებდა, თუ რამდენად შევძლებთ, ავუხსნათ ეს პრობლემები ჩვენს კოლეგებს, რომლებიც არ იცნობენ საბჭოთა ისტორიას, ასევე, საქართველოსა და უკრაინის ისტორიას. თუკი გლობალურ სამხრეთში მცხოვრები მკვლევრების გარკვეული ნაწილი ეთანხმება ძველ, ანტიდასავლურ დისკურსს, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ იყო მხარდაჭერილი, როგორ შეგვიძლია ჩვენ დავასაბუთოთ თანამედროვე ეპოქაში რუსეთისა და მისი პოლიტიკის გადააზრების საჭიროება?

ა. ო.: ეს რთული საკითხია. მართლაც, ბევრმა მკვლევარმა არ იცის საბჭოთა ისტორია და ის როლი, რომელიც იმპერიულმა კრემლმა ითამაშა გეოპოლიტიკური ევრო-აზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე მცხოვრები განსხვავებული ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების დაქვემდებარებაში. მე საბჭოთა უკრაინაში დავიბადე, თუმცა საბჭოთა ისტორიას, როგორც ასეთს, არ ვიცნობდი. მხედველობაში მაქვს, მაგალითად, ე.წ. „გულაგის“ ისტორია, რომელიც იმათ მიერ იყო აღწერილი, ვინც ის გამოსცადა (მაგალითად, ალექსანდრე სოლჟენიცინმა ან ივან სვიტლიჩინიმ), ან ანტიდასავლური ძირგამომთხრელი საქმიანობის ისტორია და დასავლელი მწერლების გამოყენება ლენინის „სასარგებლო იდიოტებად“, რაც ლუდმილა შტერნს აქვს გაანალიზებული (Stern, 2006). როგორც იცი, საბჭოთა კურიკულუმი სრულიად განსხვავებულ ისტორიას შეიცავდა. მარქსისტულ-

3 https://chomsky.info/200809__2/

-ლენინისტური პოლიტიკური ეკონომია და ფილოსოფია აცხადებდა, რომ დასავლური კაპიტალიზმის წარუმატებლობებისა და გადაგვარების შედეგად საბჭოთა წარმატება **გარდაუვალი** იყო. ჩემი საბჭოთა გამოცდილება გულისხმობდა იდეოლოგიურად გაჯერებული ტექსტების დაზუთხვას, რომლებიც აღსავსე იყო რუსული ენის, ლიტერატურისა და მმართველობის გრანდიოზულობისა და აღმატებულობის მტკიცებით. ეს მძლავრი ნაზავი მიზნად ისახავდა „ბედნიერი მომავლის“ აშენებას, რომელიც, გაურკვეველი მიზეზების გამო, „ბოროტი დასავლეთის“ კრახის **შემდეგ** უნდა დამდგარიყო. რამდენადაც მახსოვს, ისტორიისა და ფილოსოფიის კურიკულუმი ამ მომავალს სმირად დასავლური მარცხის გარდაუვალობით ხსნიდა. კოლაფსი მართლაც მოხდა, თუმცა ეს იყო საბჭოთა რეჟიმის კოლაფსი, რაც მოჰყვა ნეო-იმპერიალისტურ შექრას ავღანეთში და სოციალისტურ ბანაკში კონკურენტებთან დაპირისპირებას. აღნიშნული კარგად აქვს გადმოცემული ოსტინ ჯერსილდს თავის კვლევაში, რომელიც ჩინურ-საბჭოთა ალიანსს ეხება (Jersild, 2014). ის მკვლევრები, რომლებიც საბჭოთა ისტორიას სიღრმისეულად იკვლევდნენ და კვლევას საკუთარი პოლიტიკური პროგრამის მხარდასაჭერად არ იყენებდნენ, ნათლად აჩვენებდნენ რუსეთის იმპერიულ ბუნებას (იხ., მაგალითად Plokhy, 2017).

ამ გარდაუვალობაზე ფიქრისას სმირად ვინტერესდები, თუ რატომ ამახვილებდა ყურადღებას საბჭოთა ანტიდასავლური დოქტრინა მომავლის შესახებ საუბრისას „ბედნიერებაზე“ და არა „წარმატებაზე“. საკლასო ოთახში მოსწავლეებისთვის მნიშვნელობა ჰქონდა კერძო წარმატებას (მიგელო ოქროს მედალი და გაგელწია კორუმპირებულ საუნივერსიტეტო სისტემაში) და არა საყოველთაო ბედნიერებას. ვფიქრობ, რომ ბედნიერება იყო პროეცირებული ემოცია, რომელიც არსებითი გახდა საბჭოთა პროპაგანდისტებისთვის, რათა მისი მეშვეობით შეემსუბუქებინათ ის ტანჯვა და სილატაკე, რომელსაც კრემლი იწვევდა ჰოლოდომორით (სტალინის მიერ ხელოვნურად გამოწვეული შიმშილობა), გულაგით და წარუმატებელი დაგეგმილი ეკონომიკით. რა თქმა უნდა, სკოლებსა და უნი-

ვერსიტეტებში კვლავაც იყვნენ მოაზროვნეები, რომლებმაც იცოდნენ, რომ ბედნიერება (ისევე როგორც წარმატება) რელატივისტური ცნება იყო სიმნიშვნელობის ეკონომიკაში, რომელსაც პოლიციური სახელმწიფო განკარგავდა. როდესაც მოქალაქეთა უმრავლესობა იბრძოდა იმისთვის, რათა გრძელ რიგებში მრავალსაათიანი დგომის შემდეგ ერთი პური და ერთი ბოთლი რძე მიეღო, მათთვის ბედნიერება იყო ის, რომ მოეპოვებინათ კალორიების აუცილებელი რაოდენობა საკუთარი თავისა და თავიანთი ოჯახებისთვის; ხოლო ის, ვისაც კარგი კავშირები („ბლავი“) ჰქონდა, კიდევ უფრო ბედნიერი იყო, რადგან თავს არიდებდა გრძელ რიგებს და საკვების ნაკლებობას.

თუმცა, თუკი მაგალითისთვის განვიხილავთ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, რომელიც შესაძლოა, ინჟინერი (ე.ი. სავარაუდოდ ნიჭიერი და სასარგებლო სპეციალისტი) გამხდარიყო, ის ვერ იქნებოდა ბედნიერი „ბლავის“ გარეშე. ასეთ შემთხვევაში მას მოუწევდა მწირი რესურსებისთვის კონკურენციაში ჩაბმა, რაც ხშირად იმედგაცრუებითა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით შეიძლება დასრულებულიყო (ეს ალკოჰოლიც ფარულად იქნებოდა ნაყიდი საეჭვო პირებისგან, რომლებიც მოგებას ნახულობდნენ სიმნიშვნელობის ეკონომიკით, საბჭოთა რეჟიმის მიერ განზრახ რომ იყო შენარჩუნებული). მისგან განსხვავებით, გონებაჩლუნგი პარტიული „აპარტიკი“ შეიძლება უფრო წარმატებული და ბედნიერი ყოფილიყო, თუკი გამოიყენებდა საკუთარ იდეოლოგიურ კავშირებს და შიშს დათესავდა რიგით მოქალაქეებში. რუსეთის „დიადი ლიტერატურა“, – თანამედროვე გლობალურ გეოპოლიტიკაში არსებული თვითგანდიდების ეს ამოუხსნელი ენიგმატური განსაზღვრება და პროპაგანდისტული ინსტრუმენტი, – ვერ ხსნიდა საბჭოთა კორუფციის ფენომენს და ეს აკრძალულიც იყო. იდეოლოგიათა დაპირისპირების ფონზე საბჭოთა „აპარტიკებისთვის“ მთავარი იყო ბედნიერების ილუზია. ეს ერთადერთი საშუალება იყო, დაერწმუნებინათ ღარიბი განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა, მხარი დაეჭირათ საბჭოთა სამყაროსთვის. „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ – ეწერა პოსტკოლო-

ნიურ პლანეტაზე საყოველთაოდ გავრცელებული აფიშებზე.

ამ „კეთილშობილური“ მოწოდების გლობალური სამხრეთის კოლონიზების ხერხად მიჩნევა იმ პერიოდში ცინიზმად შეიძლება ჩაეთვალოს. რუსული ენისა და რუსული სამხედრო ძალის გამოყენება პოსტკოლონიურ ქვეყნებში ცალსახად აღიქმებოდა, როგორც მუშათა კლასსა და მის ხელმძღვანელობას შორის სოლიდარობის შექმნის მცდელობა იმისთვის, რათა დაემარცხებინათ დასავლეთი და მისი ბურჟუაზია, რომელიც ღატაკთა ექსპლუატაციას ახდენდა. მხოლოდ უნგრეთში (1956 წ.), ჩეხოსლოვაკიაში (1968 წ.) და ავღანეთში (1981 წ.) განხორციელებული სასტიკი აგრესიის შემდეგ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ რუსული ექსპანსიონიზმი და საბჭოთა განზრახვების არაკეთილსინდისიერება გამოააშკარავდა. რატომ თვლიდნენ რუსები, რომ ხელშეუხებელი უფლება ჰქონდათ, ჩარეულიყვნენ ეროვნული დღის წესრიგში სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე, თუკი გათავისუფლებული ხალხის სუვერენიტეტი საერთაშორისო ანტიკოლონიური მოძრაობის პრიორიტეტი იყო? რატომ იყვნენ რუსი კოლონიზატორები, – თუნდაც გამათავისუფლებლებად წარმოჩენილები, – უკეთესი კოლონიზატორები, ვიდრე დასავლელები?

ხშირად ვფიქრობ იმ საუბრებზე, რომლებიც მქონდა უცხოელ სტუდენტებთან გლობალური სამხრეთიდან, ჩემთან ერთად რომ სწავლობდნენ კიევის უნივერსიტეტში. ისინი ვერ იქნებოდნენ ძალიან გახსნილები იმის შიშით, რომ არ წარმოჩენილიყვნენ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების კრიტიკოსები. ვფიქრობ, რომ პოსტკოლონიურ ქვეყნებში გაურბოდნენ შეკითხვებს რუსეთის განზრახვების შესახებ, რადგან ამ ქვეყნების ხელისუფალნი ეძებდნენ შესაძლებლობებს, რათა **დამეგობრებოდნენ** რუს კოლონიზატორებს. დიახ, „დამეგობრებოდნენ“! ისინი არ განიხილავდნენ მათ როგორც „კოლონიზატორებს“, არამედ როგორც „მეგობრებს“, რომლებიც იბრძოდნენ თანასწორობისა და სამართლიანობისთვის დასავლეთის მიერ გაკონტროლებულ გლობალურ სივრცეებში. ისევე როგორც საბჭოთა ტერიტორიებზე, ასეთ დროს მმართველ

რეჟიმებს გადარჩენა შეეძლოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ-
კი ისინი გაკონტროლდებოდნენ „უზენაესი ლიდერის“ და არა
კანონის უზენაესობის პრინციპის მიერ. კანონის უზენაესობა
არაპროგნოზირებადად მიიჩნეოდა, რადგან მას შეეძლო, დაე-
საჯა ლიდერი კორუფციისთვის. **კორუმპირებული ელიტები-
სთვის ადვილი იყო, შეექმნათ სავაჭრო ქსელები ასევე კორუმ-
პირებულ და ავტორიტარულ საბჭოთა სისტემებთან ერთად.** ამ
მიმართებით რუსები (ასე უწოდებდნენ საბჭოელებს საზღვარ-
გარეთ, რადგან დანარჩენი თოთხმეტი რესპუბლიკის კულტურ-
ა და ენა მათ მიერ იყო დაქვემდებარებული) უფრო ახლოს
იდგნენ „სულიერად“, ვიდრე დასავლელები. დასავლელებისგან
(განსაკუთრებით აშშ-სგან, სადაც მილიონობით ემიგრანტი და
დისიდენტი იყო რუსეთთან „დამეგობრებული“ საზოგადოებე-
ბიდან) განსხვავებით, რუსები, სულ მცირე, კითხვის ნიშნებს
არ სვამდნენ არადემოკრატიული პრაქტიკების ან კორუმპირე-
ბული ეკონომიკის გამო, რაც ხშირად წარმოადგენდა მოცე-
მულობას განვითარებად ქვეყნებში. თუმცა, გასაოცარი იყო
ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებისთვის ფასეული იყო მხოლოდ
უნარი, ყოფილიყავი აქტიურად ანტი-დასავლელი. ამავე დროს,
საბჭოთა უშიშროების ოფიცრები ხშირად თვალს ხუჭავდნენ იმ
ფაქტზე, რომ საერთაშორისო სტუდენტებს საბჭოთა სტუდენტ-
ურ საცხოვრებლებში გასაყიდად შეჰქონდათ ყველა სახის
„პრესტიჟული საქონელი“: ჯინსის შარვლები, საღებავი რეზი-
ნები, გლამურული ჟურნალები და ა.შ., ანუ ყველაფერი ის,
რაც „დეფიციტურად“ ითვლებოდა და რაც აკრძალული იყო
ამავე ოფიცრების მიერ ადგილობრივ მაღაზიებში, რათა მათ
არ „გაერყვნათ“ პატრიოტული საბჭოთა ახალგაზრდების ცნო-
ბიერება და სულისკვეთება.

„ბლატის“ საბჭოთა პრაქტიკა ამ საერთაშორისო სტუდენტ-
ებს კარგად ესმოდათ. საბჭოელთა სამიზნე, პირველ რიგ-
ში, ელიტური ოჯახების შვილები იყვნენ. რადგან რუსები უზ-
რუნველყოფდნენ განსაკუთრებულ საცხოვრებელ პირობებს
და სტიპენდიებს მათი შვილებისთვის საბჭოთა უმაღლესი გან-
ათლების დანესებულებებში, განვითარებული ქვეყნების პრი-

ვილეგირებულ კლასებს იოლად შეეძლოთ ალიანსების ფორმირება თავიანთ მფარველებთან კრემლში. მმართველ ფენას ერჩინა, მათი შვილები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვედრილიყვნენ და არა, მაგალითად, ოქსფორდში. მოსკოვში სწავლა ფინანსურად უფრო ხელსაყრელი იყო (რადგან ასეთი სტუდენტებისთვის გადასახადებს ხშირად აუქმებდნენ ან კიდევ ისინი შედარებით დაბალი იყო). ჩაბარებაც უფრო ადვილი იყო „ბლატის“ ან რუსული რბილი ძალის სტრატეგიის მეშვეობით, რომლის მიზანი იყო უცხოელებთან დამეგობრება და საზღვარგარეთ ერთგულების კერების შექმნა. საბჭოელებისთვის ასეთი ერთგულება უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საუნივერსიტეტო გამოცდები. გარდა ამისა, ამით კიდევ უფრო მყარდებოდა სავაჭრო კავშირები საბჭოთა იმპერიასა და ახლად დეკოლონიზებული გლობალური სამხრეთის ეკონომიკურ ანკლავებს შორის, რომლებიც რუსული დიპლომატიისა და სამხედრო ძალის მეშვეობით კონტროლდებოდა.

ამრიგად, ამ პოსტკოლონიურ საზოგადოებებში საბჭოთა კონტროლის მემკვიდრეობის უგულვებელყოფა თანამედროვე დისკურსისთვის შესაძლოა, პრობლემატური იყოს. მაია ჩანქსელიანი აჩვენებს, რომ „რბილი ძალის“ ადმინისტრირების რუსული პოლიტიკა საბჭოთა კოლაფსის შემდეგაც გრძელდება (Chankseliani, 2022). არ ვფიქრობ, რომ ის გაქრება, რადგან **რუსულ „დახმარებაზე“ დამოკიდებულების მემკვიდრეობას მყარად აქვს ფესვები გადგმული გლობალურ სამხრეთში**. რატომ უნდა უკუაგდონ საკუთარი ინვესტიციები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმ მკვლევრებმა, რომლებმაც წარსულში საბჭოთა განათლება მიიღეს და საკუთარი კავშირები იმ სივრცეში ჩამოაყალიბეს (და ეს იმ ფონზე, როდესაც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი გახდა)? აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსული უნივერსიტეტები ცდილობენ, გლობალური საუნივერსიტეტო რანჟირების სქემების მეშვეობით უფრო მეტი ცნობადობა და პრესტიჟი მოიპოვონ. როგორც ჩირიკოვი აჩვენებს, ისინი ცალსახად კორუფციაში არიან გახვეულები (Chirikov, 2018, 2023), თუმცა, ეს ცალკე ისტორიაა.

გ. თ.: მოკლე შენიშვნას გავაკეთებ ლოკალურ ელიტებსა და კოლონიურ ძალას შორის თანამშრომლობის შესახებ. კოლონიურ ძალებთან თანამშრომლობაში მყოფი („კომპრადორი“) ლოკალური ელიტების ცნება კარგადაა ცნობილი პოსტკოლონიურ ლიტერატურაში (Fanon, 2005) და ამის შესახებ აქ უფრო მეტს არ ვიტყვი. უბრალოდ მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი ტენდენცია შეინიშნება საქართველოს ისტორიაშიც. განსხვავებულ პერიოდებში ლოკალური ელიტები განსხვავებულ ძალებთან (ირანი, ოსმალეთის იმპერია, რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი) თანამშრომლობას ცდილობდნენ. თანამშრომლობა ამ ელიტებისთვის ეკონომიკური და სხვა სახის სარგებლის მომტანია, თუმცა ეს არაა ისეთი რამ, რაც აუცილებლობით უკავშირდება კანონის უზენაესობასა და დემოკრატიას.

ა. ო.: გეთანხმები, რომ ეს მათთვის სასარგებლოა. თუმცა, ერთი შეკითხვა განსაკუთრებით მანუხებს: როდესაც რუსეთი მოქმედებს როგორც იმპერიული ძალა და პოსტსაბჭოთა ტერიტორიების ხელახალ კოლონიზაციას ახდენს, რატომ უნდა დაემორჩილონ მკვლევრები კორუმპირებული ელიტების წესებს? ნუთუ მათ არ ანუხებთ ის გარემოება, რომ რუსეთი არღვევს საერთაშორისო სამართალს, იტაცებს ტერიტორიებს საქართველოში და გენოციდურ ომს აწარმოებს უკრაინაში? შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაკლებად იქნება ინტერესი იმ ეკონომიკური ძალებისთვის, რომლებიც საბჭოთა ოპერმუშაკების მიერ კარგად კულტივირებულ მოკავშირე ქვეყნებში მოქმედებენ (იხ., მაგალითად, პოკალოვას არგუმენტები, Pokalova, 2023). თუმცა, ჩემი აზრით, მკვლევრები უფრო კრიტიკულად უნდა მიუდგნენ როგორც რუსულ ნარატივებს, ასევე, საკუთარი ელიტების რუსეთთან კავშირებს, არა?

გ. თ.: დიახ, გეთანხმები. ამასთან დაკავშირებით მე ერთმანეთისგან განვასხვავებდი **საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერისა** (scholar) და **აკადემიურად აქტიური მეცნიერის** (academic) ცნებებს. „საზოგადოებრივად აქტიურ მეცნიერში“ ვგულისხმობ ისეთ ადამიანს, რომელიც არა მხოლოდ შინაგანი მოწოდების საფუძველზე იკვლევს თავის სფეროს, არამედ ფიქრობს

საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ და საჯაროდ განიხილავს მათ კოლეგებთან ერთად, კონფერენციებზე, სოციალურ მედიაში და ა.შ. ამ განსხვავებას პროფ. პოლ გიბსს ვუმადლი. საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერის ცნება უფრო ფართოა აკადემიურად აქტიური მეცნიერის ცნებაზე: საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერი შესაძლოა, არ იყოს დასაქმებული უნივერსიტეტში, ხოლო აკადემიურად აქტიური მეცნიერი, როგორც წესი, საუნივერსიტეტო საზოგადოების ნაწილია.

ეს განსხვავება იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერი აკადემიურად აქტიურ მეცნიერზე შინაგანად მაღლა დგას. უბრალოდ იმის თქმა მსურს, რომ საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერები სოციალურად უფრო ანგაჟირებულები არიან (ამავე დროს, აკადემიურად აქტიური მეცნიერები შესაძლოა, დიდი ენთუზიაზმით იკვლევდნენ თავიანთ სფეროში არსებულ საკითხებს და აქტიურად არ ერთვებოდნენ საზოგადოებრივ დისკუსიებში).

საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერის კიდევ ერთი არსებითი თავისებურება **პარესიის** პრაქტიკაა (Foucault, 2010⁴): აქ იგულისხმება საუბარი იმის შესახებ, რაც ადამიანს ჭეშმარიტებად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ საუბრის ფაქტი, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ამ ადამიანის მდგომარეობაზე აკადემიურ სივრცეში თუ საზოგადოებაში. შესაბამისად, **საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერი შეგნებულად იყენებს პარესიას (გაბედულად საუბარს), როგორც ჭეშმარიტების თქმის საშუალებას სტუდენტებთან, კოლეგებთან და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობისას.** საქართველოს უახლოეს ისტორიაში საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერის თვალსაჩინო ნიმუშია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი **მერაბ მამარდაშვილი (1930-1990).**

საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში, როდესაც უნივერსი-

4 იხ., ასევე, მიშელ ფუკო, „ცინიკოსები და მათი ხერხები (1983 წლის ლექციიდან)“, თარგმნა გაგა ლომიძემ, „სჯანი“, 22 (2021), https://sjani.ge/?page_id=5056.

ტეტები უკვე აღარ წარმოადგენენ ე.წ. სპილოს ძვლის კოშკებს, ანუ ფართო საზოგადოებისგან იზოლირებულ მიკროსამყაროებს. დღესდღეობით უნივერსიტეტების პასუხისმგებლობების შესახებ აქტიური დისკუსიები მიმდინარეობს. საკუთარ ვებ-გვერდებზე უნივერსიტეტები სიამაყით გადმოსცემენ საკუთარ „მესამე“ (საზოგადოებისადმი სამსახურის) მისიას. განათლების ფილოსოფოსები აღნიშნული ცნების ფარგლებში განსხვავებულ განზომილებებს გამოყოფენ. მაგალითად, პოლ გიბსი აცხადებს, რომ „უნივერსიტეტებს დიდი პასუხისმგებლობა მიუძღვით კაცობრიობის მომავლის ჩამოყალიბებაში. ამის სანაცვლოდ, მათ საგანგებო ვალდებულება აქვთ, ბოროტად არ გამოიყენონ ის პასუხისმგებლობები და პრივილეგიები, რომლებიც მათ გააჩნიათ“ (Gibbs, 2004, გვ. 82). რონალდ ბარნეტმა განავითარა უნივერსიტეტის ეკოლოგიური მოდელი, რომლის თანახმად უნივერსიტეტებს გლობალური პასუხისმგებლობები გააჩნიათ (Barnett, 2022, გვ. 244 და შმდ.). ამ კონტექსტში შესაძლებელია, ვისაუბროთ უნივერსიტეტების „მაკორექტირებელი“ პასუხისმგებლობების შესახებ (თავაძე, 2022).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტები არ არიან აბსტრაქტული ერთეულები. საუნივერსიტეტო საზოგადოება ინდივიდებისგან (სტუდენტები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) შედგება, რომელიც ინტერაქციამა უნივერსიტეტის ფიზიკურ განზომილებასთან (კამპუსის ტერიტორია). იდეალურ უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო საზოგადოების ყოველი წევრი მთელი საზოგადოების კეთილდღეობას ესწრაფვის. სხვადასხვა ადამიანური ფაქტორის გამო, ამის მიღწევა რეალურ უნივერსიტეტში, რომელიც სტრუქტურული ძალებისა და ადამიანური ვნებების ქსელშია მოქცეული, საკმაოდ რთულია. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრების **ინდივიდუალური** ქმედებები, ასევე, მათი კოორდინირებული მოქმედებები, არის ის, რაც აღასრულებს უნივერსიტეტის კონკრეტულ პასუხისმგებლობებს.

ქართულ აკადემიურ სივრცეზე დღეს ორი ძალა ახდენს

ზეგავლენას. ერთი მხრივ, მზარდი ნეოლიბერალიზაციის გამო, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები სულ უფრო მეტად იხრებიან იმისკენ, რასაც მკვლევრებმა „აკადემიური კაპიტალიზმი“ უწოდეს (Slaughter & Leslie, 1997). აკადემიური კაპიტალიზმის პირობებში განათლების სფეროში არსებობს ინტენსიური კონკურენცია დაფინანსების მოსაპოვებლად უნივერსიტეტებსა და მკვლევრებს შორის; ითვლება, რომ საჭიროა სამეცნიერო პუბლიკაციების „გაზომვა“; განათლება აღიქმება სერვისად, ხოლო სტუდენტი – მომხმარებლად. მე არ ვთვლი, რომ ეს პროცესი თავიდან ბოლომდე უარყოფითია, რადგან როგორც ჩანს, ის ხელს უწყობს კვლევების ინტერნაციონალიზაციას და ზოგადად, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. თუმცა, ის, ამავდროულად, ხელს უწყობს აკადემიური საჯარო სივრცის ფრაგმენტაციას, ინდივიდუალიზაციას და გაძლიერებული კონკურენციის გამო აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს შორის უნდობლობის გაღვივებას. ინგლისურ ენაზე პუბლიკაციების გამოქვეყნების რბილი თუ ხისტი ზენოლა კი სულ უფრო მეტად განაცალკევებს ინტერნაციონალიზებულ ქართველ მკვლევრებს ნაკლებად ინტერნაციონალიზებული მკვლევრებისგან და ფართო საზოგადოებისგან.

მეორე მხრივ, საბჭოთა მემკვიდრეობა განამტკიცებს იმას, რასაც შენ „სუროგატი აკადემიური თავისუფლება“ უწოდებ (Oleksiyenko, 2021), რაც გამოხატულებას პოულობს აკადემიურ კონფორმიზმსა და აქტუალური საკითხების განხილვისგან თავის არიდებაში (იქნება ეს უნივერსიტეტში, აკადემიურ სივრცეში თუ ფართო საზოგადოებაში). როგორც ნეოლიბერალიზაცია, ასევე, საბჭოთა მემკვიდრეობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანსაღი აკადემიური საჯარო სივრცის არსებობას („სივრცის“ უფართოესი აზრით: აქ ვგულისხმობ როგორც ფიზიკურ სივრცეს, ასევე, სამეცნიერო ნაშრომებს და სოციალურ მედიას). მამარდაშვილის ნააზრევზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ ვკარგავთ „აგორებს“, ანუ იმ სივრცეებს, რომლებშიც აზრი კუნთებს იძენს (მამარდაშვილი, 2020, გვ. 26), სადაც ინდივიდები დისკუსიის მონაწილეებად გვევლინე-

ბიან და სადაც შესაფერისი პირობები იქმნება აზრების მოქმედებებად გარდაქმნისთვის. ჩვენ არა მხოლოდ ვკარგავთ ასეთ აგორებს, არამედ როგორც შენ ადრე აღნიშნე, როდესაც ამ ცნებაზე ვსაუბრობდით, ჩვენ **აგორაფობიულები** ვხდებით. მართლაც, სამწუხაროდ, აგორაფობია ქართული აკადემიური სივრცის წყევლად იქცა.

ამის ფონზე არ ვარ დარწმუნებული, თუ რა ხდის კრიტიკულ ანალიზს ლეგიტიმურ და მძლავრ ინსტრუმენტად იმ დისკურსების განსაბჭოებისთვის, რომლებიც გლობალურ სამხრეთში მცხოვრები მკვლევრების ანტიდასავლურ არგუმენტებს ემყარება. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ არ გვისაუბრია იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც დასავლელი მემარცხენეები განამტკიცებენ. როგორი უნდა იყოს მკვლევრების როლი ამ მიმართებით?

ა. ო.: ჩემი აზრით, **მეცნიერული კვლევისას პირველ ადგილზე კრიტიკული ანალიზი უნდა იდგეს. კრიტიკული ანალიზი პროფესორებსა და სტუდენტებს უბიძგებს, შეკითხვები დასვან საკუთარი ელიტებისა და უნივერსიტეტების შესახებ. მე გავაგრძელებ კონკრეტული მაგალითებით ჩვენი საერთო (ან შეიძლება ეს არც იყოს საერთო) პოსტსაბჭოთა გამოცდილებიდან. რას ნიშნავს რეალურად ანტიდასავლური საბჭოთა ისტორიის გაგრძელება თანამედროვე გეოპოლიტიკურ დისკურსში, რომელიც ზეგავლენას ახდენს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე? ვინ ნახულობს სარგებელს დასავლური მემკვიდრეობისგან დისტანცირებით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, ან უკრაინა? ეს ქვეყნები და მათი ხალხი, თუ რუსული იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელიც ცდილობს, დაყოს ისინი და იბატონოს მათზე შუღლის, ტყუილისა და დივერსიების მეშვეობით? უფრო მცირე და უფრო მონყვლადი პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებიც არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ კონცეპტუალურადაც ევროპას ეკუთვნიან, ძალიან გაბედულები არიან და ღიად უჭერენ მხარს განათლებისა და ბიზნესის სფეროებში თავიანთი პოლიტიკისა და პრაქტიკების ევროპეიზაციას. მათ, ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის წევრობის იდეის ჩამოყალიბებაში და, ასე-**

ვე, აქტიურად არიან ჩართულები ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მუშაობაში. უკრაინამ გამორჩეული აქტიურობა გამოავლინა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრობისკენ მიმავალ გზაზე. ამ პერიოდის განმავლობაში მან ათასობით საუკეთესო მოქალაქე დაკარგა რუსი დამპყრობლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. საქართველომაც შეიძლება, დასვას შეკითხვა, თუ რატომ უნდა იყოს ის იძულებული, მხარი დაუჭიროს ევრაზიული ეკონომიკური კავშირის რუსულ იდეას ევროკავშირის სანაცვლოდ.

რადგან ჩვენი დიალოგი პოსტკოლონიურობაზეა ფოკუსირებული (ან ნეოკოლონიურობაზე, როგორც შენ ამბობ), ვფიქრობ, რომ რუსული იმპერიული სისტემა უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს. როგორც ამ სფეროში არსებული კვლევები აჩვენებს, რუსეთი თავის კოლონიურ პოლიტიკას იწყებდა თითქოსდა ნეიტრალური სავაჭრო დასახლებებით, თუმცა შემდეგ იქ სამხედრო შენაერთები გადაჰყავდა მათი დაცვის მოტივით (იხ. Allworth, 1994; Pokalova, 2023). უცხო ტერიტორიებზე საკუთარი ვაჭრობის კონტროლით რუსები თანდათანობით ახდენდნენ ამ ტერიტორიების ათვისებას ან ანექსირებას. რადგან რუს მოვაჭრეებს საერთაშორისო სამართლის ან კანონის უზენაესობის დიდი პატივისცემა არ გააჩნდათ, რუსეთისთვის ტრადიციად იქცა, ბიზნესის კეთებიდან გადასულიყო კონფლიქტების „კეთებაზე“. ამ დროს სტრატეგიული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ის, თუ როგორ ხდება კერძო საკუთრების უსაფრთხოება მათი ელიტების „ეროვნული ინტერესის“ საგანი. ეს „კერძო-როგორც-ეროვნული“ ინტერესი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა ოკუპირებული ტერიტორიების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთი ხშირად ვერ ახერხებდა საზოგადოების და უბრალო ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებას.

შესაბამისად, ანტიდასავლური რიტორიკა, როგორც ჩანს, ემყარება საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფის საჭიროებას და მის საპირისპიროდ, „ეროვნული (ბიზნეს) ინტერესებისთვის“ უპირატესობის მინიჭებას. ასე რომ, ამით

ვუბრუნდებით იმ დაპირისპირებას, რომელიც არსებობს პრივილეგირებული ადამიანის მმართველობასა და კოლექტიური, ამ ადამიანის ძალაუფლების შემზღვეველი სამართლის მმართველობას შორის. რუსეთის პრივილეგირებული ბიზნესმენები ამტკიცებდნენ, რომ სხვა იმპერიებიც არღვევდნენ კანონს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ. შუა საუკუნეების იმპერიალისტური სამეფო კარებისა და მეფის სამსახურში მყოფი სწავლულებისთვის ეს უცხო ხილი არ იყო. ისინი აერთიანებდნენ სამხედრო და სავაჭრო ინტერესებს იმისთვის, რათა განემტკიცებინათ კორპორატიული ინტერესები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის დაპყრობისა და იქ კონფლიქტების გაჩაღების მეშვეობით. ოსტ-ინდოეთის კომპანიის მაგალითი ამის ნათელი ნიმუშია. თუმცა, წარსულის ლოგიკა და პრაქტიკა წარსულის კუთვნილებაა. მასობრივი განადგურების ტექნოლოგია და წინააღმდეგობის განევის ტექნიკები დღეს მთელს მსოფლიოში გავრცელდა. დღეს მცირე ერსაც კი შეუძლია, მისი დაპყრობის შემთხვევაში დამპყრობელს უფრო მეტი ზიანი მოუტანოს, ვიდრე სარგებელი. თანმხლები ზიანის მკვეთრი ზრდის გამო დღეს აზრი არა აქვს იმპერიული მმართველობის იმ პრინციპებზე დაყრდნობას, რომლებიც თავის დროზე გამოიყენებოდა ავსტრო-უნგრეთის, ბრიტანეთის ან ოსმალეთის იმპერიების მიერ. მოწყვლადი ერების თანამედროვე კოლექტიურ წინააღმდეგობას შეუძლია, სერიოზული გამოწვევა შეუქმნას დამპყრობელთა ტაქტიკას. უკრაინის შემთხვევა ამას ნათლად აჩვენებს.

ამრიგად, ლოგიკურია, რომ ამის ნაცვლად ევროპულმა იმპერიებმა მიმართეს დეკოლონიზაციისა და დეიმიპერიალიზაციის პროცესებს, რათა შეემცილებინათ საკუთარი დანახარჯები და განვითარებინათ ახალი წესები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობასა და უსაფრთხოებაზე იქნებოდა დაფუძნებული. მიჩნეული იქნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების წრილში ეს ალტერნატივა სარგებლისა და დანახარჯების ბალანსის უფრო ეფექტურ ვერსიას წარმოადგენდა სხვა ალტერნატივებთან შედარებით. ასეთი რეზულანსირების საჭიროება აშკარა გახდა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ყველამ გააცნობიერა გენოციდისა და დეჰუმანიზაციის მორალური და მატერიალური ზიანი, რომელიც იმპერიული (თვით)განადგურებიდან გამომდინარეობდა.

თუმცა, როგორც ჩანს, პოსტსაბჭოთა იმპერიალიზმმა გადაზრების ამ პროცესიდან ვერაფერი ისწავლა. „ჰიბრიდული ომის“ სტრატეგიები რუსეთში, რომლებიც თავიანთი მანიქეველი სოციალური მკვლევრებით არიან სტიმიულირებულნი, მხოლოდ და მხოლოდ ფეოდალიზმის ახალი ფორმების გამოგონებით არიან დაკავებულნი, რაც, როგორც ჩანს, ყველაზე უკეთ ესმით. ისინი ძველ დოგმებს მსოფლიოს ახალი წესრიგის საფუძვლად მიიჩნევდნენ (როგორც ჩემი ძმა იტყოდა, ისინი შეცდომით ასხამდნენ ძველ რუსულ „სამოგონს“ ახალ ღვინის ტიკებში). შესაბამისად, ისინი პოზიციონირებას ახდენდნენ საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ ფორმატზე, რომელიც მე-19 საუკუნეზე იყო მოდელირებული. კრიტიკულად განწყობილი და გულახდილი სოციალური მკვლევრების არარსებობის ფონზე, რუსეთში უბრალოდ არაა ძლიერი და მძლავრი ინტელექტუალები, რომლებიც ღიად ეტყვიან ფსევდო-მეფე პუტინსა და მის ვასალებს, რომ ასეთი აზროვნება აბსოლუტურად უმართებულო და თვითგამანადგურებელია.

ამრიგად, კრიტიკული აზროვნება მნიშვნელოვანია პოსტკოლონიური პროცესების კონტექსტში, რომელმაც, როგორც შენ მართებულად აღნიშნავ, ნეოკოლონიური განზომილებები შეიძინა. დისკურსის განსაბჭოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კუთხით, რათა საბოლოოდ მოხდეს საბჭოთა მემკვიდრეობის მიერ შექმნილი გეოპოლიტიკური პრობლემის აღიარება. ეს პრობლემა **შიშის** პრობლემაა. ისევე როგორც სტალინური რეჟიმის დროს, **შიში დღესაც აკავებს ბევრ ქვეყანასა და მკვლევარს. ეს უკანასკნელნი თვითცენზურას მიმართავენ და ვერ ახერხებენ ავტორიტარულ რეჟიმთან მტკიცედ დაპირისპირებას.** „იდუმალი რუსული სული“ უფრო იმ შიშის დამთესავი ატმოსფეროს კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, რომლის უკან რუსი ოლიგარქები დგანან, რომლებიც ასევე

აფინანსებენ კვლევით ცენტრებს დასავლეთსა და სხვა ქვეყნებში. „დიადი რუსული ლიტერატურის“ მეშვეობით ეს სული თესავს შიშს და ძალადობის დაკანონებას ახდენს. თვითგანდიდების მანიით შეპყრობილი პოლიტიკური ფსიქოპათებისთვის რუსეთში ტერორი და ტერორიზმი საერთშორისო ურთიერთობებში საკვანძო პოლიტიკური ინსტრუმენტებია, რაც სათანადო ანალიზს მოითხოვს. გლობალური მასმედია არ განიხილავს რუსულ იმპერიალიზმს, როგორც გლობალური ტერორიზმის უკან მდგარ საკვანძო ძალას. მთელი ეს დისკურსი ბუნდოვანებასა და გაურკვეველობაშია გახვეული.

კრიტიკულმა ანალიზმა უნდა გამოამხეუროს კარადაში დამალული ჩონჩხი, – შიშის დამთესავი პრაქტიკები უნდა აიკრძალოს. საერთშორისო ინსტიტუტებმა შიშისა და პანიკის დათესვა დიპლომატიურ, სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობებში არალეგალურად უნდა გამოაცხადონ. ამ ქრილში, დისკურსის განსაბჭოება და შესაბამისი კვლევა საჭიროა, რათა ნათელი მოეფინოს საერთაშორისო ვაჭრობის ომის ინსტრუმენტად გამოყენების საკითხს. **განსაბჭოება გულისხმობს იმ გლობალური დისკურსის დეკოლონიზაციას, რომელიც პოლიტიკური და ეკონომიკური შიშის პრიორიტიზებას ახდენს** და მსოფლიო წესრიგს უკვე ბევრი ათწლეულის (თუ სულაც საუკუნეების) განმავლობაში აკონტროლებს.

დაბოლოს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, თუ რა შეიძლება გაკეთდეს პრაქტიკულ ქრილში, რათა შეწყდეს საბჭოთა ყაიდის სიცრუისა და პოსტ-ჭეშმარიტების ეპოქის პოლიტიკის ტირაჟირება. კოგნიტური აქტივობის ყველა დონეზე ძალისხმევა უნდა გავნიოთ და დავფიქრდეთ, თუ რა ხარისხით აკონტროლებს კოლონიური პრაქტიკები ჩვენს აზროვნებას, მეტყველებას, მოქმედებას და რა იქნება საჭირო მათ უკუსაგდებად. ეს შეიძლება იყოს დაგეგმილი საგანმანათლებლო პროცესი ან მარტივი შეკითხვა „სად მივყავარ ამას?“. მკვლევრები ამ მხრივ პირველები უნდა იყვნენ.

გ. თ.: პირველ რიგში, მოკლე შენიშვნა მინდა გავაკეთო იმპერიული ძალის მერ შიშის დათესვის ფენომენის შესახებ. სო-

ციალურ მედიაში ერთ-ერთი ჩემი ანტიკოლონიური პოსტის გამოქვეყნების შემდეგ ერთ-ერთი ჩემი ყოფილი სტუდენტი, რომელიც პრორუსული ორიენტაციისაა, ჩემთან ცხარე ონლაინ-დისკუსიაში ჩაერთო. დისკუსიის პროცესში მან გამომიგზავნა განადგურებული ბახმუტის ფოტო და განაცხადა, რომ „არ უნდა, საქართველოსაც ასე დაემართოს“. ჩემთვის ეს ნათელი ნიმუშია იმისა, თუ როგორ მოქმედებს **შიშის კულტურა: არსებობს მრისხანე კოლონიური ძალა და უმჯობესია, თუ არ გააღიზიანებ მას, რადგან ამას შეიძლება შენი განადგურება მოჰყვეს**. ასეთ დროს დუმილის შენარჩუნება კეთილგონივრულ მოქმედებად მიიჩნევა, რადგან ეს ხელს უწყობს უსაფრთხოების (თუნდაც მყიფე!) განცდის შენარჩუნებას.

შეგვიძლია თუ არა დავუპირისპირდეთ ამ კულტურას და თუ კი, მაშინ როგორ? დავინყებ შემდეგი მაგალითით: ფილმში „მე, რობოტი“ (2004 წ., რეჟისორი: ალექს პროიასი), ფილმის ბოლოს, რობოტები, რომლებიც მორჩილად ასრულებენ იმ ბრძანებას, მეგაფონიდან რომ ისმის, შენიშნავენ სონის, იმავე მოდელის რობოტს, რომელსაც მათგან განსხვავებით, შეკითხვების დასმის უნარი აქვს და სიზმრებსაც კი ხედავს. ისინი ჩერდებიან, შემდეგ კი ჯგუფდებიან და არ ემორჩილებიან ბრძანებას, რომელიც მოუწოდებს მათ, კონტეინერებში შევიდნენ (რაც მათ ფრამენტაციას და ინსტრუმენტალიზაციას მოასწავებს). როგორც ჩანს, ისინი საკუთარ ავტონომიას და თავისუფლებას ირჩევენ.

ვფიქრობ, ეს სცენა კარგად გამოხატავს ჩემს სათქმელს. მე არ ვუიგივებ სონის ფიგურას საზოგადოებრივად აქტიურ მეცნიერს და არ ვგულისხმობ, რომ მხოლოდ აკადემიურად აქტიური მეცნიერები უბრალო რობოტები არიან. არც იმაზე მივანიშნებ, რომ საჭიროა აკადემიურად აქტიურ მეცნიერთა გლობალური გაერთიანება და მათი გარდაქმნა საზოგადოებრივად აქტიურ მეცნიერებად (მარქსის ყაიდაზე). უბრალოდ იმის თქმა მსურს, რომ აკადემიურად აქტიურ ნებისმიერ მეცნიერს **შეუძლია**, გახდეს სონი, თუკი იგი ამას გადაწყვეტს. არ არის საჭირო, შეიქმნას ერთი გლობალური აგორა, მოენ-

ყოს ერთი დიადი რევოლუცია, ან თუნდაც ის, რომ ერთმა ამბიციურმა პროექტმა მთელი უნივერსიტეტი მოიცვას. ჩემი აზრით, ჩვენ (სულ მცირე, ჩვენს სპეციფიკურ ვითარებაში საქართველოში) გვჭირდება შემდეგი რამ: ლექციების, პრეზენტაციების, სტატიების, კონფერენციების, საგრანტო აპლიკაციების და ა.შ. დაუსრულებელ ნაკადში საჭიროა, როგორმე შევწინააღმდეგოთ, შევჩერდეთ, დავუფიქრდეთ რომელიმე საზოგადოებრივ პრობლემას და საკუთარ თავს ვკითხოთ: „რა **შემიძლია** გავაკეთო, რომ ის გადაიჭრას ან შემსუბუქდეს?“ „რა შემიძლია გავაკეთო **სხვებთან ერთად**, რომ ის გადაიჭრას ან შემსუბუქდეს?“ ღრმად მწამს, რომ ასეთი შეკითხვების დასმა აუცილებლობით გამოგვიყვანს ჩვენი ინდივიდუალური ჩაკეტილი ზონებიდან და აღმოგვაჩენინებს **სხვებს** ჩვენს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ან მის მიღმა. **სხვებთან შეხვედრებითა და დისკუსიებით ბევრი აგორა შეიქმნება, სადაც მოხდება აზრების გაცვლა-გამოცვლა და მათი დახვეწა; ამავე დროს, წარმოიქმნება ანტიდემოკრატიული ძალებისადმი წინააღმდეგობის მომენტალური წრედები, რომლებიც შეიძლება სწრაფად გაუჩინარდეს, მაგრამ მალევე იჩინოს თავი სხვაგან, სხვა აგორ(ებ)ის წიაღში.** მე არ ვამბობ იმას, რომ ამგვარი რამ ჩვენს აკადემიურ სივრცეში არ ხდება. მე იმის თქმა მიინდა, რომ ეს უფრო ხშირად უნდა მოხდეს. ეს შესაძლოა იყოს გზა იმის ჩამოყალიბებისკენ, რასაც ბურდიე „ავტონომიურ კოლექტიურ ინდივიდს“ უწოდებს (Bourdieu, 2000).

ეს **ანარქისტული** სამუშაოა, რომელიც პარესიით იწყება, მაგრამ მასზე არ ჩერდება. **გამბედავი პარესიასტი ინტელექტუალის ხატი, რომელიც განცალკევებით დგას, ცვლილების გამომწვევი ვერ იქნება. ცვლილების გამომწვევა შეუძლია ბევრ აგორას, სადაც განსხვავებული შეხედულებების მქონე ინდივიდები გაცვლიან აზრებს და საზოგადოებრივი პრობლემების შესახებ იმსჯელებენ.**

განათლების ფილოსოფოსები ხშირად გვთავაზობენ ყოვლისმომცველ ნორმატიულ მოდელებს, მაგრამ იშვიათად მიუთითებენ, თუ როგორაა შესაძლებელი ამ მოდელების პრაქტიკული

განხორციელება. ვფიქრობ, რომ პრაქტიკული განხორციელებადობის საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და რომ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. ქვემოთ რამდენიმე სავარაუდო ტრანექტორიას მივუთითებ, რომელთა განხორციელებაც **ანარქისტული უნივერსიტეტის** განვითარებას შეუწყობს ხელს:

- შეეცადეთ, დაამყაროთ კონტაქტი აკადემიური სფეროს იმ წარმომადგენლებთან, რომლებიც თქვენი უნივერსიტეტის კედლებს მიღმა მოღვაწეობენ და დაინტერესებულნი არიან აკადემიური სფეროსა და ზოგადად, საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემებით. სცადეთ რეფლექსური მეცნიერული დიალოგის გამოყენება დისკურსის შექმნისა და მისი განმტკიცებისთვის (წინამდებარე დიალოგი სწორედ ასეთი მცდელობის ნიმუშია).
- შეეცადეთ, შექმნათ რაიმე სივრცე (ფიზიკური ან ვირტუალური), სადაც ამ ადამიანებს შეხვდებით. მაგალითად, ჩვენს უნივერსიტეტში მე დავაარსე მუდმივმოქმედი სემინარი განათლების შესახებ, რომელიც, სულ მცირე, ორ თვეში ერთხელ იკრიბება. სემინარის შეხვედრებს ესწრებიან როგორც ჩვენი უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. შეხვედრებზე სემინარის მონაწილეები საუბრობენ თავიანთი კვლევითი პროექტების შესახებ, ხოლო შეხვედრის მეორე ნაწილში ეწყობა თავისუფალი დისკუსია ქართული განათლების სივრცეში არსებული სხვადასხვა პრობლემის შესახებ. მე, ასევე, ჩამოვაყალიბე ინტერდისციპლინური პოსტკოლონიური ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც პოსტ-(და ნეო)კოლონიური პრობლემები განსხვავებული დისციპლინების კონტექსტში განიხილება.
- შეეცადეთ, გაამყაროთ თქვენი დისკურსი სამეცნიერო კრებულებისა და საკონფერენციო მასალების გამოქვეყნებით. არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი Scopus-ში იყოს ინდექსირებული. ლოკალური დისკურსის განვითარება არანაკლებ მნიშვნელოვანია. წინამდებარე კრებული სწორედ

ასეთი ლოკალური დისკურსის განვითარების მცდელობას წარმოადგენს.

- ეცადეთ, ჩართოთ სტუდენტები ამ აქტივობებში. ითანამშრომლეთ როგორც თქვენი უნივერსიტეტის, ასევე, სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთან და წახალისეთ მათი აქტიურობა ჯგუფებში. შეეცადეთ, შექმნათ ისეთი ადგილები და სივრცეები უნივერსიტეტში, სადაც ლექტორები და სტუდენტები ერთმანეთს საკუთარ იდეებს და გამოცდილებას გაუზიარებენ (Tavadze, 2023).

რა თქმა უნდა, ეს ადვილი არაა. როგორც იტყვიან, ჭამაც კი არაა ადვილი და ძალისხმევას მოითხოვს. ზოგადად, ცხოვრებაც ძალისხმევაა, უწყვეტი ძალისხმევა. ანაქრისტული უნივერსიტეტის განვითარება თამამ გადაწყვეტილებებს, ძლიერ ენთუზიაზმს და იდეისადმი ერთგულებას მოითხოვს. თუმცა, მხოლოდ პირადი ძალისხმევა არაა საკმარისი, თანამშრომლობა აუცილებელია. ამრიგად, ანარქისტი მკვლევრის დევიზი იქნება: „საზოგადოებრივად აქტიურო მეცნიერებო, დაუკავშირდით სხვებს!“ სხვებთან დაკავშირება აქ სტუდენტებთან, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებას გულისხმობს.

ა.ო.: უკრაინელი (და შესაძლოა, ქართველი) განათლების მკვლევრებისთვის იმპერატივი უნდა იყოს, უბიძგონ საკუთარ კოლეგებსა და სტუდენტებს, დასვან შემდეგი შეკითხვა: რომელია ის (პასუხგაუცემელი) საკვლევი შეკითხვები და (აუთვისებელი) სასწავლო რესურსები, რომელთა მეშვეობით კოლონიური ისტორიისა და გამოცდილების შესახებ კრიტიკული პერსპექტივის განვითარებას შეეძლებო? მაგალითად, „ბიზნესის მშვიდობიანი განვითარებისთვის“ რუსეთის მიერ წარმოებული ომის საკითხები ხშირად გაუანალიზებელი რჩება როგორც ლოკალურ, ასევე, გლობალურ დონეზე.

რუსეთში ან უკრაინაში მცხოვრებ რუსებს შეუძლიათ, ხელი შეუშალონ საკუთარ სკოლებსა და უნივერსიტეტებში არასწორი კურიკულუმის განვითარებას, რომელშიც დადებითადაა

წარმოჩენილი რუსული დაპყრობები. შეუძლიათ თუ არა მათ, დაარღვიონ კოლონიური სტილი, რომელიც დამპყრობლებს „გამათავისუფლებლად“ წარმოაჩენს? არ ვიცი. სამწუხაროდ, რუსული იმპერიალიზმის კრიტიკა რუსი ინტელექტუალების მხრიდან ხშირად გაკიცხულია. რუსულ ელიტარულ მკვლევრებზე ჩემი დაკვირვებით, ასეთი კრიტიკა, ისევე როგორც რუსული იმპერიალიზმისა და დაპყრობილი ტერიტორიებისთვის მიყენებული ზიანის თემები არ ქმნის მათი „პრესტიჟის ეკონომიკის“ ნაწილს. მარეკ კვიეკი და სხვა მკვლევრები, რომლებიც გლობალური რანჟირების სისტემებში წამყვანი ადგილებისთვის წარმოებულ ფუჭ და გულუბრყვილო კონკურენციას აკრიტიკებენ (Kwiek, 2022; Shahjahan et al. 2022), აღნიშნავენ, რომ პრესტიჟის ეკონომიკა უპირატესობას ანიჭებს ისეთ დისკურსებს და პუბლიკაციებს, რომელთა ფართომასშტაბიანი და უსაფრთხო ცირკულაცია შეიძლება და რომლის მეშვეობით დიდი რაოდენობის ციტირებების გენერირებაა შესაძლებელი. გარდა ამისა, „დიადი“ რუსული მომენტების ამსახველი რიტორიკის მეშვეობით, რომელიც უცხო ქვეყნების წარმატებულ დაპყრობასა და ექსპლუატაციას გადმოსცემს, ეს მკვლევრები, ძირითადად, საკუთარ ინტერესებს ემსახურებიან. რაც უფრო მეტ „პრესტიჟს“ მოიპოვებს მათი ქვეყანა, მით უფრო მეტი ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებას შეძლებენ ისინი მსოფლიოს განსხვავებულ რეგიონში არსებულ საკონფერენციო დარბაზებში. სამწუხაროდ, რაც უფრო მეტ მონონებას იღებენ ისინი დასავლეთში, მით უფრო მეტი თავდაჯერებულობით ახდენენ „უნიკალური რუსული იდეის“ ტირაჟირებას როგორც თავიანთ ქვეყანაში, ასევე, საზღვარგარეთაც. ამრიგად, თვითკმაყოფილების წარმოების ამ მავნებლური ციკლის და, ასევე, გლობალური პრესტიჟის ეკონომიკის მთელი იდეის შეწყვეტა მნიშვნელოვან პასუხისმგებლობად იქცევა არა მხოლოდ უკრაინელი და ქართველი მკვლევრებისთვის, არამედ მსოფლიოში არსებულ პროგრესულ უნივერსიტეტებში და ინტელექტუალურ წრეებში მყოფი კოლეგებისთვისაც.

ზემოთქმული პოსტსაბჭოთა უმაღლეს განათლებაში ინტე-

ლექტურული ლიდერების როლებისა და პასუხისმგებლობების კრიტიკულ გადააზრებას მოითხოვს. რა მოვალეობები უნდა იყოს არსებითი ინტელექტუალებისა და განმანათლებლებისთვის პოსტკოლონიურ ქვეყნებში? როგორ შეუძლიათ მათ, ხელი შეუწყონ კრიტიკული მიდგომის განვითარებას იმ ცოდნის მიმართ, რომელიც ოკუპირებულ ან „დამეგობრებულ“ ქვეყნებში რუსეთის იმპერიის მიერ კონტროლდებოდა? რომელია ის გზები, რომელთა მეშვეობით რუს პედაგოგებს შეუძლიათ, განავითარონ თვითკრიტიკული პერსპექტივა თავიანთ ინსტიტუციებში უკრაინაში მონყობილ გენოციდთან და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასთან მიმართებით? როგორი შეიძლება იყოს ეფექტური მიდგომა, რომელიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში იმპერიული ძალისადმი უფრო მედეგი პოსტკოლონიური სივრცის შექმნას ისახავს მიზნად?

ეს შეკითხვები ბევრი ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, თუმცა, ისინი უნდა დაისვას დასავლეთსა და გლობალურ სამხრეთში მცხოვრები ჩვენი კოლეგების მიერაც. ლენინის „სასარგებლო იდიოტებთან“ დაპირისპირების გარეშე ხელახლა აღზევებადი იმპერიული დისკურსის დამარცხება ადვილი არ იქნება. ასეთ შემთხვევაში რუსული იმპერიალიზმის პრობლემა „გადაბრალების“ რიტორიკის ნაწილი გახდება, რომელიც დასავლეთს ყველაზე დიდ ბოროტებად წარმოაჩენს. „განა რუსეთი იმას არ იმეორებდა, რაც დასავლურ იმპერიალიზმს უკვე ჰქონდა გაკეთებული?“ – მესმის ხოლმე რუსული იმპერიული ლოგიკის დამცველებისგან. მათი ცინიზმი (ან შიში) აშკარაა: რატომ უნდა განვიხილოთ რუსეთის მიერ კოლონიზებული და დაქვემდებარებული ქვეყნები, როდესაც არსებობს დასავლეთი, რომელსაც უფრო უსაფრთხოდ გადავაბრალებთ მთელ ბოროტებას? დასავლეთი გაცილებით უსაფრთხო განტევების ვაცია, რადგან რუსეთის კრიტიკა შეიძლება საშიში იყოს, თუკი გავითვალისწინებთ გულაგის ისტორიას, შეკვეთილ მკვლევობებსა და საზღვარგარეთ დისიდენტების მონამვლის შემთხვევებს. ასეთია რუსული იმპერიალიზმის გამამართლებელთა შინაგანი ლოგიკა.

დასკვნის სახით შემდეგ ვიტყვოდი: უფრო მეტად გათვით-ცნობიერებული მეცნიერული კვლევა-ძიება უფრო მეტ ანალიტიკურ სიღრმესა და კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვს. ნინაალმდეგ შემთხვევაში, რუსული იმპერიალიზმის მიერ გამოწვეული პრობლემები დაუსრულებელი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

თავაძე, გ. (2022). „რა პასუხისმგებლობები აკისრია უნივერსიტეტს? ფილოსოფიური ანალიზი“, კრებულში: შ. მაჭავარიანი, გ. თავაძე (რედ.), „უნივერსიტეტები მოძრაობაში: გამონწვევები და პასუხისმგებლობები“, ვარლამ ჩერქეზიშვილის სახ. ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი, გვ. 16-48.

მამარდაშვილი, მ. (2020). „ცნობიერება და ცივილიზაცია“. თარგმნა დ. უჩანეიშვილმა. გამომცემლობა „აქტი“.

ფუკო, მ. „ცინიკოსები და მათი ხერხები (1983 წლის ლექციიდან)“, თარგმნა გაგა ლომიძემ, „სჯანი“, 22 (2021), <https://sjani.ge/?page-id=5056>

Allworth, E. (Ed.). (1994). *Central Asia, 130 years of Russian dominance: A historical overview*. Duke University Press.

Barnett, R. (2022). *The Philosophy of Higher Education: A Critical Introduction*. London and New York: Routledge.

Bourdieu, P. (2000). For a Scholarship with Commitment, *Profession*, (2000), pp. 40-45.

Chankseliani, M. (2022). *What happened to the Soviet University?*. Oxford University Press.

Chirikov, I. (2023). Does conflict of interest distort global university rankings?. *Higher Education*, 86, 791–808. <https://doi.org/10.1007/s10734-022-00942-5>

Chirikov, I. (2018). The Sputnik Syndrome: How Russian Universities Make Sense of Global Competition in Higher Education. In: A.

- Oleksiyenko, Q. Zha, I. Chirikov, J. Li, *International Status Anxiety and Higher Education: The Soviet Legacy in China & Russia*, Comparative Education Research Centre & Springer, pp. 259-279.
- CNN (2022). Who is Alexander Dugin, the high priest of a virulent brand of Russian nationalism? Retrieved from <https://edition.cnn.com/2022/08/21/europe/alexander-dugin-russia-profile-intl/index.html>
- Fanon, F. (2005). *The Wretched of the Earth* (Translated by Richard Philcox). Grove Press.
- Foucault, M. (2010). *The Government of Self and Others. Lectures at the Collège De France: 1982-1983*. New York: Palgrave Macmillan.
- Gibbs, P. (2004). *Trusting in the University: The Contribution of Temporality and Trust to a Praxis of Higher Learning*. New York: Kluwer Academic Publishers.
- Gregory, D. (2004). *The Colonial Present*. Blackwell Publishing.
- Jersild, A. (2014). *The Sino-Soviet Alliance: An International History*. University of North Carolina Press.
- Kwiek, M. (2022). Global Vertical Stratification of Institutions and the Academic Profession: The Role of Research in Future High Participation Environments. In: Klemenčič, M. (eds) *From Actors to Reforms in European Higher Education*. Higher Education Dynamics, vol 58. Springer, Cham. <https://doi.org/10.1007/978-3-031-09400-2-21>
- Oleksiyenko, A. V. (2021). Is academic freedom feasible in the post-Soviet space of higher education?. *Educational Philosophy and Theory*, 53(11), 1116-1126.
- Plokhly, S. (2017). *Lost kingdom: The quest for empire and the making of the Russian nation*. Hachette UK.
- Pokalova, E. (2023). The Wagner group in Africa: Russia's quasi-state agent of influence. *Studies in Conflict & Terrorism*, 1-23, <https://doi.org/10.1080/1057610X.2023.2231642>

- Shahjahan, R. A., Estera, A. L., Surla, K. L., & Edwards, K. T. (2022). "Decolonizing" Curriculum and Pedagogy: A Comparative Review Across Disciplines and Global Higher Education Contexts. *Review of Educational Research*, 92(1), 73-113. <https://doi.org/10.3102/00346543211042423>
- Slaughter, S. & Leslie, L. (1997). *Academic capitalism: Politics, policies, and the entrepreneurial university*. Baltimore: Johns Hopkins University Press.
- Spivak, G. C., Condee, N., Ram, H. and Chernetsky, V. (2006) Are We Postcolonial? Post-Soviet Space, *PMLA*, Vol. 121, No. 3 (May, 2006), 828-836. <http://www.jstor.org/stable/25486358>
- Stern, L. (2006). *Western Intellectuals and the Soviet Union, 1920-40: From Red Square to the Left Bank*. Routledge.
- Tavadze, G. (2023). Places and spaces in and outside of the university. *Philosophy and Theory of Higher Education Society*. <https://pathes.org/2023/10/21/places-and-spaces-in-and-outside-of-the-university/>
- Дугин, А. (2000). Основы геополитики. 4. изд. Арктогея-центр.

ნაშრომთა რეზიუმეები

ანა ხვედელიანი

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანმანათლებლო კონცეფცია

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას ქართული საგანმანათლებლო სისტემის ძირეული გარდაქმნა, რიგ შემთხვევებში კი, – მისი ხელახალი შექმნა წარმოადგენდა. ის თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდებოდა ისეთ რეფორმებს, როგორც არის სამეურნეო, ეკონომიკური თუ თვითმმართველობის რეფორმა. ეს უკანასკნელი დაკავშირებული იყო კიდევ განათლების რეფორმის დემოკრატიზაციის პროცესებთან. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია დემოკრატიის ქართული მოდელის ნიმუშად არის შეფასებული. თუმცა, სწორი იქნებოდა აღგვინიშნა, რომ დემოკრატიის ქართული მოდელის ძიება პირველი რესპუბლიკის საგანმანათლებლო პოლიტიკაშიც უნდა გავაგრძელოთ. მით უფრო იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ეს მოდელი ერთდროულად მოიცავს ეროვნულ ნიადაგზე კულტურული თანასწორობისა და დემოკრატიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო სისტემას.

პოსტკოლონიური ქვეყნის საგანმანათლებლო დისკურსში ევროპული განათლების იდეა აქტუალური საკითხი იყო და ეს განპირობა შემდეგმა გარემოებებმა: ახალმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმა ახალი მოთხოვნები წამოაყენა და აუცილებელი გახდა მაშინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკურ-კულ-

ტურული ვექტორის მიმართულების მკაფიოდ განსაზღვრა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული სააზროვნო სივრცე ტიპოლოგიურად ევროპული სივრცის ნაწილს წარმოადგენდა, ე.წ. ხელახალი ევროპეიზაციის პროცესი ტრადიციულ სააზროვნო სივრცეში დაბრუნების ტოლფასი იქნებოდა.

განათლების სამინისტროდან წამოსული ყველა ინიციატივა, რომელიც საგანმანათლებლო პრობლემატიკას ეხებოდა, იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. ეს საკითხი ქართველი პუბლიცისტებისა და პოლიტიკოსების მთავარი განხილვის თემა იყო, რომელზეც მსჯელობდა ქვეყნის პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა, მისი სამთავრობო და ოპოზიციური ფრთა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით და ზოგჯერ ისინი ერთმანეთის მწარე კრიტიკასაც არ ერიდებოდნენ, საგაზეთო სტატიები ნათლად ადასტურებენ მაშინდელი ქართული ელიტის თავდაუზოგავ შრომას ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვისა და მისი სწორად წარმართვისათვის. რაც მთავარია, ეს დისკუსია გამართულია პოსტკოლონიური ქვეყნის მომავალი, საგანმანათლებლო პოლიტიკის პერსპექტივიდან. ამ თვალსაზრისით, დისკუსიისას შრეობრივად იშლება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების, საგანმანათლებლო პოლიტიკაში ევროპეიზმის იდეებთან ერთად, – ეროვნული უმცირესობების განათლების უფლების, კულტურული მრავალფეროვნების, სეკულარიზაციის დამკვიდრების საკითხები, კულტურულიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის ელემენტები, – რადგან სამოქალაქო ნაციონალიზმის იდეაზე დაფუძნებული ეროვნული სახელმწიფო სწორედ თითოეული ამ საკითხის ჯეროვნად დაგეგმარებას მოითხოვდა. მსგავს იდეოლოგიურ დისკუსიებს თავისი როლი უნდა შეესრულებინა პოსტკოლონიური ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში.

ნიკოლოზ სარაჯიშვილი

**საბჭოთა კავშირის „ხალხთა მეგობრობის“ იდეის
ისტორიული საფუძვლები**

საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს მრავალი იდეოლოგიური საყრდენებიდან ერთ-ერთია „ხალხთა მეგობრობის“ იდეა, რომლის ტირაჟირებაც მთელი მისი არსებობის განმავლობაში მიდინარეობდა. როგორც თანამედროვე კვლევები გვიჩვენებს, იმ პროპაგანდამ, რომელიც სსრკ-ში ამ მიმართლებით წარმოებდა, შედეგი გამოიღო და საზოგადოებაში ამ იდეით აპელირება კვლავ აქტუალურია.

ხალხში იმ თეზისის დანერგვა, რომ რუსი და ქართველი, ისევე როგორც სსრკ სხვა ხალხები, ძმურად უკავშირდებიან ერთმანეთს, საბჭოთა კავშირში აქტიურად მიმდინარეობდა და ამ პროცესის ბუნებრივ განხორციელებას ხელი დიდად შეუწყო მეორე მსოფლიო ომმა.

ზოგადად, ეს პროცესიც, ისევე როგორც სხვა პროპაგანდისტული საქმიანობანი სსრკ-ში, არ იყო თავის ნებაზე მიშვებული და კონკრეტული დირექტივებით წარიმართებოდა. თუმცაღა, თავდაპირველად ამას არ ჰქონდა ისტორიული კონტექსტის სახე და მხოლოდ თეორიულ-პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენდა. „ხალხთა მეგობრობის“ იდეა საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი იდეოლოგიური საყრდენი იყო. მოკლე განმარტებამდე რომ დავიყვანოთ – მასში იგულისხმებოდა სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარი ხალხების ძმური თანამშრომლობა.

სტატიაში ავტორი განიხილავს უშუალოდ საქართველოს გარშემო არსებულ რეალობას და იმ ძირითად ისტორიულ ფაქტორებს, რომელსაც იმპერიული ცენტრი და მისი პროპაგანდისტული მანქანა ხალხთა „მეგობრობის“ დასამტკიცებლად იყენებდა.

„ღრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ღამეს დაიწყო“

ნაპრომში განხილულია 1989 წლის 9 აპრილი – საქართველოს თანამედროვე ისტორიის პარადიგმული მოვლენა, რომელმაც დაანგრია საბჭოთა სისტემის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს საზოგადოების კულტურული და სიმბოლური ჩარჩოები და დიდი ხნით განსაზღვრა საზიარო მესხიერება და იდენტობა.

კვლევის თეორიული საფუძველია კოლექტიური მესხიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიები (იან და ალეი-და ასმანები, ჯეფრი ალექსანდერი, პიოტრ შტომპკა). ნაპრომი მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა (ოფიციალური დოკუმენტები, საგაზეთო პუბლიკაციები, ფოტო და ვიდეო მასალა, საისტორიო და მხატვრული ტექსტები, მესხიერების სხვადასხვა არე), რომლებიც საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ 9 აპრილის, როგორც კულტურული ტრავმის ჩამოყალიბების პროცესს და მის გარდაქმნას პარადიგმულ მოვლენად.

პარადიგმული მოვლენის მენტალური რეპრეზენტაცია ემყარება კულტურულ ნიმუშებს – ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულ ხატებს, რომელთა მეშვეობით კონკრეტული ერთობის წევრები ხედავენ, აღიქვამენ, აფასებენ და მნიშვნელობას ანიჭებენ ფაქტებს თუ მოვლენებს, რაც უზრუნველყოფს განგრძობადობის განცდას მკვეთრი ცვლილების პირობებში. 9 აპრილის ნარატივში მკაფიოდ იკვეთება ეროვნული ერთობისა და მამულისთვის თავგანწირვის კულტურული ნიმუშები. ტრავმის ნარმოდგენა გმირობის აქტად და ძალადობის წინააღმდეგ თავგანწირვად ხელს უწყობს სიკვდილის გარდაქმნას უკვდავების სიმბოლოდ, განამტკიცებს აზრს ჯგუფის/ერთობის განსაკუთრებულობის შესახებ, რომლისთვის სიცოცხლის გაღება საპატიო მისიაა. განცდილი ტრავმა მომავალი ბრძოლისათვის მნიშვნელობის მინიჭების საშუალებად იქცევა. 9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენის, ნარატივში გაერთიანდა ტრავმისა (შოკი, ტკივილი, უმწეობის, უსამართლობის, დაბნეულობის განცდა) და ტრიუმფის (სიკვდილით სიკვდილის

დათრგუნვა, ამალღება, სახელოვან წინაპართა საქმის გაგრძელება) ელემენტები.

9 აპრილის, როგორც პარადიგმული მოვლენის რეზონანსმა (ალეიდა ასმანი) ერთმანეთს დაუკავშირა მნიშვნელოვანი და მტკივნეული მოვლენები, რომლებიც უფრო ადრე იმავე ადგილას მოხდა, სადაც 9 აპრილის ღამეს ტრაგედია დატრიალდა. ამავე დროს, 9 აპრილი მომავალი ისტორიისა და მენსიერების ათვლის ნერტილად იქცა და დღემდე უზრუნველყოფს მენტალურ ბმას რუსთაველის გამზირის იმავე მონაკვეთზე შემდგომში განვითარებულ, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენებს შორის.

ღალი ზაქარაძე

დისიდენტური ფილოსოფია საქართველოში: გიორგი ცინცაძე

ქართველი დისიდენტი ფილოსოფოსების შემოქმედება ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში საგანგებო და ფუნდამენტური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. არადა, მე-20 ს-ის ქართულ ფილოსოფიაში იყვნენ რეპრესირებული ქართველი ფილოსოფოსები, რომლებმაც უდიდესი ბოროტების და დანაშაულებრივი რეჟიმის პირობებში იგემეს და თავის თავზე გამოცაადეს „არყოფნის რისკი“, იცხოვრეს „ცხოვრების გარეშე“, მუდმივი შიშის, ლანძღვის, ეჭვის, ღირსების შელახვის და არათავისუფლების გარემოში. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ღირსების, პატიოსნების, თავისუფალი და საზოგადოებრივი სულისკვეთების შენარჩუნება. სამშობლოს სიყვარულის გამო გიორგი ცინცაძე, სტუდენტობისას, 21 წლის ასაკში, დააპატიმრეს და 12 წელი კოლიმას (მაგადანი) საკონცენტრაციო ბანაკის მკაცრ პირობებში იმყოფებოდა.

სტატიის გაანალიზებულია ტერმინ „დისიდენტის“ გენეზისი და ისტორია; დისიდენტური აზროვნების წარმოშობის წინაპირობები, დისიდენტური მოძრაობების ტენდენციები და პერიოდები საბჭოეთში/საბჭოთა საქართველოში; რევოლუციური

ნაშრომთა რაზიუმეები

ცვლილებებით განადგურებული ღირებულებების რეაქტუალიზაციის პროცესები დისიდენტურ აზროვნებაში.

რეფლექსია დისიდენტურ აზროვნებაზე, დისიდენტი მოაზროვნების შემოქმედების საფუძვლიანი კვლევა ხელს შეუწყობს დისიდენტური აზროვნების როლის გადააზრებას ახალი სამყაროს და ახალი საზოგადოების შენების გზაზე. გადააზრებული იქნება „დისიდენტური აზროვნების“ ცალმხრივობა, კერძოდ, მხოლოდ პოლიტიკური კონტექსტი და გააზრებული იქნება რეალური ინტელექტუალური საქმიანობის შედეგები, რაც ხშირად, შესაძლოა, იგნორირებული, მეორეხარისხოვანი, ან კიდევ, სულაც უცნობი იყო საზოგადოების ფართო წრეებისთვის. ამგვარი მიდგომა ობიექტურ სურათს შექმნის საბჭოთა ჰუმანიტარული მეცნიერების მიერ დანერგილი ანტიმეცნიერული ტენდენციების შესახებ.

გიორგი ცინცაძის საარქივო მასალების სისტემატიზაცია და მისი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომების შესწავლა-ანალიზი ხელს შეუწყობს ამ დისიდენტი ფილოსოფოსის შემოქმედების ადეკვატურ შეფასებას და დასავლური ფილოსოფიის საკვანძო თემების რეცეფციის გააზრებას საქართველოში.

გიორგი თავაძე

მერაბ მამარდაშვილის ნააზრები პოსტკოლონიური კვლევების ჟრილში

სტატიაში მერაბ მამარდაშვილის შეხედულებები პოსტკოლონიური პრობლემატიკის კონტექსტშია განხილული. ავტორი თვლის, რომ საჭიროა ქართველი ფილოსოფოსის ნააზრების პოსტკოლონიურ „განზომილებაში“ განხილვა. სტატიაში განაწილებულია საბჭოთა სისტემისა და საბჭოთა ადამიანის ფენომენის მამარდაშვილისეული ხედვა, რაც მამარდაშვილთან რუსეთის იმპერიის, ქართველი და რუსი ხალხების და საქართველო-რუსეთის მიმართებების შესახებ განაზრებებთანაა დაკავშირებული. ავტორი პარალელს ავლებს, ერთი მხრივ,

იდეოლოგიის შესახებ მამარდაშვილის შეხედულებებსა და მეორე მხრივ, ლუი ალთუსერისა და მიხეილ ჰელერის იდეებს შორის. სტატიაში, ასევე, განხილულია პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოების განვითარების მამარდაშვილისეული ხედვა (თავისუფალი შრომისა და „აგორას“ კონცეფციები). ავტორი მიიჩნევს, რომ გარკვეული წინააღმდეგობები, რაც მამარდაშვილის შეხედულებებში არსებობს, პოლიტიკურ-რიტორიკული მომენტებითაა განპირობებული.

გიორგი არქანია

როგორ და რატომ გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი?

1980-1990-იანი წლების მიჯნა საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პერიოდია, რომელიც აღინიშნა მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო მასშტაბის მნიშვნელოვანი მოვლენით, მაგალითად: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობით, პირველი მრავალპარტიული არჩევნებით, საერთო-სახალხო რეფერენდუმით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით, საბჭოთა კავშირის დაშლით, ცივი ომის დასასრულით და სხვ. ამავე დროს, კოლონიური დაქვემდებარებიდან გამოსვლის პარალელურად, აღნიშნულ ეპოქას კრიზისული და კონფრონტაციული მოვლენებიც ახასიათებს, მათ შორის ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი ერთ-ერთია.

ცხინვალის რეგიონის საკითხი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი გამოწვევაა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ამ რეგიონზე კონტროლი სრულად დაკარგა, იგი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელმაც მისი დამოუკიდებლობა აღიარა და ყველა შესაძლო მეთოდებით ცდილობს კონფლიქტის ხანგრძლივ „გაყინვას“, რეგიონის საერთაშორისო აღიარებას, სეპარატისტული ხელისუფლების მხარდაჭერას, სადემარკაციო ხაზის უკანონოდ გავლენას და ქართველებსა და ოსებს შორის

ნაშრომთა რაზიუშაეაზი

კონსტრუქციული ურთიერთობებისთვის ხელის შეშლას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ნაშრომი და პროექტი, რომელიც ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს, მის ისტორიას, გენეზისს, გამომწვევ მიზეზებს, მიმდინარეობას და ა.შ. შეეხება, აქტუალურია და მნიშვნელობას არ კარგავს.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს, მიმოიხილოს ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დაწყების გარემოებები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების მიზეზები და შედეგები, გასცეს პასუხი შეკითხვებს: რამდენად მართებული იყო ოლქის გაუქმება სამართლებრივი თვალსაზრისით და რა როლი შეასრულა ამ აქტმა რეგიონში კონფლიქტის გამწვავების თვალსაზრისით.

ოთარ ნიკოლეიშვილი

1990-1992 წლების ამერიკული პრესა

ი.ნ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე კონფლიქტის შესახებ

(ომის პერიოდში „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიათა მიხედვით)

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დამოუკიდებლობის ზღურბლთან მდგარი ჩვენი ქვეყნის წინაშე მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. მათგან განსაკუთრებული სიმწვავეით, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემა გამოირჩეოდა. ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწვევით რუსეთი აქტიურად შეეცადა, წინ აღდგომოდა საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესსა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ამ მიზნით იგი ყველანაირად უწყობდა ხელს ეთნოკონფლიქტების გაღვივებას. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების პარალელურად რუსეთმა მიზანმიმართულად აამოქმედა აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ მის მიერვე ადრე ჩადებული დაყოვნებული მოქმედების ნაღმები, რასაც შედეგად ჯერ სამოქალაქო ომი, ცოტა მოგვიანებით კი საქარ-

თველოს ამ ძირძველ ისტორიულ რეგიონებზე საქართველოს იურისდიქციის დროებითი დაკარგვა მოჰყვა.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ომის პერიოდში გამოქვეყნებული მასალების გაანალიზების საფუძველზე ნაშრომში არგუმენტირებულადაა ნაჩვენები ის დამოკიდებულება, რომელსაც ქართულ-ოსურ კონფლიქტთან დაკავშირებით იჩენდნენ იმხანად ამერიკელი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები. ავტორის აზრით, აფხაზეთის პრობლემის მათეული შეფასებისაგან განსხვავებით, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხის კომენტირებისას ამერიკელი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები გაცილებით მეტ შეცდომას უშვებდნენ როგორც ისტორიულ მოვლენათა, ისე იმხანად არსებული ვითარების გაანალიზების დროს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მაინც 1990-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნებული წერილები ხასიათდებიან.

სტეფან კედრონი

კოსტსაჭოთა კვალი და ემოციები პოლონეთში 1989 წლის შემდეგ:

რამდენიმე მაგალითი

მე-20 საუკუნეში საბჭოთა კავშირი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ბატონობდა პოლონეთზე. პირველი მცდელობა იყო 1920 წელს, რასაც 1939 წელს მოჰყვა ჰიტლერ-სტალინის პაქტი და მეორე მსოფლიო ომის დაწყება. ომის დასრულების შემდეგ საბჭოელთა ბატონობა 1989 წლამდე გაგრძელდა. სტალინმა პოლონეთის მეორე რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილი საბჭოთა კავშირს მიუერთა, ხოლო დასავლეთ ნაწილს შეუერთდა ყოფილი გერმანიის იმპერიის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტერიტორიები, რითაც თანამედროვე პოლონეთის საზღვრები მოიხაზა.

საბჭოთა ბატონობა ამ ახალ პოლონეთში მთელი 45 წლის განმავლობაში (1944-1989) ხასიათდებოდა პოლონურ საქმეებში გაუთავებელი პოლიტიკური და ეკონომიკური ჩარევებით.

გარდა ამისა, ამ ჩარევებმა პოლონურ „ლანდშაფტს“ თავისი კვალი დაატყო: გაჩნდა სტალინის სახელობის ქუჩები, სტალინის ქალაქი და „საბჭოთა-პოლონური სამხედრო მეგობრობის“ ამსახველი ბევრი ძეგლი. სხვა ხილულ ნიშანს წარმოადგენდა საბჭოთა არმიის ჩრდილოეთის ჯგუფი, განსაკუთრებით პოლონეთის დასავლურ ნაწილში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვართან, – ლეგნიცაში, სვიდნიცაში ან ბორნე სულინოვოში განლაგებული (ექსტრატერიტორიული) გარნიზონების სახით, სადაც საბჭოთა ოფიცრები თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ.

რა კვალი დარჩა საბჭოთა პერიოდიდან სამი ათეული წლის შემდეგ? საბჭოთა სამხედრო სასაფლაოები, რომლებსაც კარგად უვლიან; გაუქმებული საბჭოთა „კოლონიური“ ძეგლების „ნაკვალევი“; დაბოლოს, ყოფილი საბჭოთა ჯარისკაცების და მათი ოჯახების კოლექტიური მეხსიერება „საბჭოთა პოლონეთის“ შესახებ. წინამდებარე სტატიაში ავტორი ამ ნაკვალევთა ანალიზს გვთავაზობს.

ვლადიმერ ლიპარტელიანი

რუსეთის რბილი ძალა საქართველოში ადრეულ პოსტსაბჭოთა პერიოდში

სტატიაში გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში (1990-იანი წლები და 2000-იანი წლების დასაწყისი) რუსეთის რბილი ძალის მუშაობის ტრანექტორიები. ავტორი მიუთითებს, რომ რუსული რბილი ძალა ამ პერიოდში ეთნოკულტურული ნაციონალიზმის იდეასა და რუსული კულტურისა და ენის პოპულარიზაციას ემყარებოდა. აღსანიშნავია, რომ ადრეული პოსტსაბჭოთა პერიოდი „რბილი ძალის“ შესწავლის კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ის მეთოდები და შესაძლებლობები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებისთვის დღეისთვის ხელმისაწვდომია, იმ პერიოდში მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო. შესა-

ბამისად, წინამდებარე კვლების ფარგლებში გაანალიზებულია ბექდური (არაციფრული) გამოცემები. ავტორი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ გამოყენებული რბილი ძალის სტრატეგიები ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა იმ ხისტი ნეოკოლონიალური პოლიტიკისთვის, რომლის წარმოებაც რუსეთმა კავკასიის რეგიონში საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიწყო. ნაშრომი აჩვენებს, რომ ე.წ. „კონსერვატიული შემოტრიალება“ და ტრადიციონალიზმის აღორძინება რუსეთში 2012 წლიდან შემთხვევითი კი არ იყო, არამედ უკვე არსებული ნარატივების, მეთოდებისა და ტაქტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა.

ირაკლი ჩხაიძე

ეროვნული პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის წინააღმდეგ ცენტრალურ ევროპაში

პოპულიზმის ტალღას 1990-2000-იან წლებში წინ უსწრებდა დემოკრატიული ტრანზიციის პერიოდი ცენტრალური ევროპის ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში. ამ თვალსაზრისით, პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან, განსაკუთრებით წარმატებული იყო უნგრეთი, სადაც დღეს პოპულიზმი ლიბერალური დემოკრატიის მთავარ გამოწვევად იქცა. „კონსოლიდირებული დემოკრატიების“ ახალი ნარატივი, რომელიც დასავლური ლიბერალური საზოგადოების წარმატებულ შენებაზე აკეთებდა აქცენტს, მხედველობის მიღმა ტოვებდა რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც იმპერიულ მემკვიდრეობასთან ბრძოლასთან და ლიბერალური დემოკრატიის შენების სირთულეებთან, ასევე თავად ლიბერალიზმის მზარდ პრობლემებთან. პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში პოლიტიკური საზოგადოებისა და ლიბერალური დემოკრატიის მშენებლობა დღემდე ცხარე დისკუსიის საგნად და დაპირისპირების გამომწვევ პრობლემად რჩება. ეროვნული პოპულიზმის საფრთხის ქვეშ დადგა როგორც ცენტრალური ევროპის სახელმწიფოების

ნაშრომთა რეზიუმეები

ლიბერალურ-დემოკრატიული განვითარება, ასევე ზოგადად მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგი, რაც გულისხმობს კონსტიტუციურ დემოკრაციას, ადამიანის უფლებების საყოველთაოობას, კანონის უზენაესობას და სხვა. თავისუფალი და სამართლებრივი საზოგადოების შენების საერთაშორისო პროექტი მძაფრი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. ნაშრომში, ძირითადად უნგრეთის და პოლონეთის მაგალითზე, გაანალიზებულია წინააღმდეგობები ლიბერალურ დემოკრატიულ წესრიგსა და ეროვნულ პოპულიზმს შორის.

გიორგი მასალკინი

რუსული რელიოკაციის პროცესი და მისი გავლენა საქართველოზე

სტატიაში ავტორი ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს „მიგრანტი“, „მიგრაცია“, „რელიოკანტი“ და „რელიოკაცია“. იგი განიხილავს ახალი ტერმინის (რელიოკაციის) დამკვიდრების მიზეზებს. ნაშრომში გაანალიზებულია რუსული რელიოკაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ამ გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ძირითადი რისკები და გამოწვევები. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რუსული რელიოკაციის სოციო-კულტურულ გავლენაზე ქართულ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით, ქართული საზოგადოების ახალგაზრდა სემენტზე. სტატიაში გაანალიზებულია რელიოკაციის პროცესის გრძელვადიანი და მოკლევადიანი რისკები, ასევე, კავშირები რელიოკაციის პროცესსა და რუსეთის მიერ წარმოებულ ჰიბრიდულ ომს შორის. ცალკეა განხილული აჭარის რეგიონის (ბათუმის) სიტუაცია და მისი სპეციფიკა რელიოკაციის პროცესთან მიმართებაში.

ანატოლი ოლექსიენკო, გიორგი თავაძე

**პოსტსაბჭოთა უმაღლესი განათლების დეკოლონიზაცია:
კრიტიკული ანალიზი რეფლექსური მეცნიერული დიალოგის
(Reflexive Scholarly Dialogue) მეშვეობით**

ავტორთა აზრით, რეფლექსური მეცნიერული დიალოგი არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობით დეკოლონიური პრაქტიკები უნდა განხორციელდეს. მოცემულ დიალოგში ანატოლი ოლექსიენკო და გიორგი თავაძე უკრაინასა და საქართველოში უმაღლესი განათლების წინაშე არსებულ გამოწვევებს პოსტკოლონიურ კონტექსტში განიხილავენ. ანატოლი ოლექსიენკო აანალიზებს საბჭოთა კავშირის დროს არსებულ პრაქტიკებს, რომლებიც განვითარებადი ქვეყნების ელიტების საბჭოთა უმაღლეს განათლებაში ინტეგრირებას ისახავდა მიზნად. რუსეთისთვის, რომელიც საბჭოთა კავშირში ჰეგემონურ ძალას წარმოადგენდა, ასეთი კავშირები საკუთარი იმპერიული პოლიტიკის განმტკიცების მიზანს ემსახურებოდა. ოლექსიენკო, ასევე, განიხილავს ანტიდასავლურ პარადიგმას, რომელიც საბჭოთა პროპაგანდის განუყოფელი ნაწილი იყო. იგი თვლის, რომ აღნიშნული პარადიგმა დღესაც ახდენს გავლენას დასავლელ და გლობალურ სამხრეთში მცხოვრებ იმ ინტელექტუალებზე, რომლებიც, დასავლურ იმპერიალიზმზე ცალმხრივი ფოკუსირებით, ნებისთნე უნებლიედ, რუსული იმპერიალიზმის ლეგიტიმირებას ახდენენ. ოლექსიენკოს აზრით, რუსული იმპერიალისტური პარადიგმის დასაძლევად საჭიროა დამკვიდრებული შიშის ატმოსფეროს დაძლევა და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ამ მხრივ უმაღლეს განათლებაში მოღვაწე ინტელექტუალებს საკვანძო როლი ენიჭებათ.

გიორგი თავაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის ბოლოდროინდელი აგრესიული სამხედრო მოქმედებების ფონზე უფრო მართებული იქნება, თუკი თანამედროვე მოცემულობას შვედფასებით როგორც „ნეოკოლონიურს“ და არა როგორც „პოსტკოლონიურს“. ნეოკოლონიური მოცემულობა განსაკუთ-

ნაპროგნოზო რეკომენდაციები

რეზულტატულ გამოწვევებს ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საფეროსთვის, მათ შორის, უმაღლესი განათლებისთვისაც. ამ ქრილში, თავადის აზრით, სასარგებლო იქნება, თუკი ერთმანეთისგან განვასხვავებთ საზოგადოებრივად აქტიური მეცნიერისა და აკადემიურად აქტიური მეცნიერის ცნებებს. საზოგადოებრივად აქტიურ მეცნიერთა ძალისხმევა ბევრი აგორის, – კრიტიკული საჯარო სივრცეების, – შექმნისკენ უნდა იყოს მიმართული, რაც ანარქისტული უნივერსიტეტის განვითარებას შეუწყობს ხელს. გიორგი თავაძე ჩამოთვლის კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც, მისი აზრით, საჭიროა ასეთი სახის უნივერსიტეტის განსავითარებლად.

კრეჯულის ავტორები

გიორგი არქანია არის უახლესი ისტორიის ცენტრის მკვლევარი და კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი. **ელ. ფოსტა:** giorgiarkania1@gmail.com

ლალი ზაქარაძე არის ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის კავკასიური ფილოსოფიის განყოფილების გამგე. **ელ. ფოსტა:** ngu.lzakaradze@gmail.com

გიორგი თავაძე არის ფილოსოფიის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. **ORCID:** 0000-0003-3492-6357. **ელ. ფოსტა:** g.tavadze@eeu.edu.ge

ვლადიმერ ლიპარტელიანი არის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის მკვლევარი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი) და დარემის უნივერსიტეტის თანამედროვე ენებისა და კულტურის სკოლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი. **ORCID:** 0000-0001-5501-6745. **ელ. ფოსტა:** v.liparteliani@eeu.edu.ge

სტეფან კედრონი არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჰაბილიტირებული დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის პროფესორი და ნიდერლანდისტიკის კათედრის ხელმძღვანელი (ფილოლოგიის ფაკულტეტი). **ORCID:** 0000-0002-3564-7053. **ელ. ფოსტა:** stefan.kiedron@uwr.edu.pl

კრეპულის ავტორები

გიორგი მასალკინი არის ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. **ელ. ფოსტა:** giorgi.masalkini@bsu.edu.ge

ოთარ ნიკოლეიშვილი არის ისტორიის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. **ელ. ფოსტა:** otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

ანატოლი ოლექსიენკო არის ფილოსოფიის დოქტორი, ჰონგკონგის განათლების უნივერსიტეტის პროფესორი (საერთაშორისო განათლების დეპარტამენტი). **ORCID:** 0000-0002-1035-9186. **ელ. ფოსტა:** anatoly@eduhk.hk

ნიკოლოზ სარაჯიშვილი არის უახლესი ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელი. **ელ. ფოსტა:** nikasarajishvili99@gmail.com

ნინო ჩიქოვანი არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორი. **ORCID:** 0000-0002-8294-0586. **ელ. ფოსტა:** nino.chikovani@tsu.ge

ირაკლი ჩხაიძე არის კულტურის კვლევების დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევათა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი. **ORCID:** 0000-0001-5826-1578. **ელ. ფოსტა:** irakli.chkhaidze@tsu.ge

ანა ხვედელიანი არის კულტურის კვლევების დოქტორი (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). **ელ. ფოსტა:** anna.khvedeliani@gmail.com

სახელთა საძიებელი

- აბულაძე, მ. 70
ადვაძე, ვ. 156
ალექსანდერი, ჯ. 266
ალიგიერი, დ. 63
ალთუსერი, ლ. 87, 92-93, 115-116, 269
ანთელავა, გ. 70
არქანია, გ. 142, 269, 277
ასათიანი, ა. 132
ასმანი, ა. 46-47, 53-54, 56, 266-267
ასმანი, ი. 266
ახობაძე, ე. 41
ახობაძე, მ. 34, 42

ბაგაიევა, ა. 152
ბალანჩივაძე, რ. 76
ბართაია, ნ. 49
ბარნეტი, რ. 247
ბარნოვი, ვ. 29-30
ბეგინი, მ. 72
ბერიაშვილი, მ. 74, 76
ბლაგიძე, ჟ. 38-39, 42
ბლოკერი, პ. 204
ბონავენტურა 75
ბოცვაძე, ლ. 15-16
ბრუკი ჯ. 153
ბუკოვსკი, ვ. 66
ბურდიე, პ. 255

ბუცხრიკიძე, გ. 142
გამსახურდია, ზ. 48, 56-57, 61, 67, 100, 109, 111-113, 118-119, 121, 130-132, 135, 140, 150-151, 154, 156
განდი, მ. 102
გვაზავა, გ. 21-22
გვახარია, გ. 50, 60
გვერდნითელი, გ. 51, 60
გერცენი, ა. 40
გიბსი, პ. 246-247
გინზბურგი, ე. 72
გიორგაძე, გ. 28-29, 31
გიოშვილი, გ. 142
გოგატიშვილი, მ. 67, 75
გოგებაშვილი, ი. 38, 40-42
გოგიბერიძე, მ. 70
გოლიათი ბიბლ. 218
გორბაჩოვი, მ. 49, 67, 126, 142, 145, 157
გრეგორი, დ. 237
გუმბარიძე, გ. 50
გურამიშვილი, დ. 39

დავითი ბიბლ. 218
დანელია, ს. 16-18
დანიელი, ი. 66
დარიანი, ს. 24-25, 28

სახელთა საძიებელი

დობროლიუბოვი, ნ. 40
დოდაშვილი, ს. 39
დუგინი, ა. 237-238
დხიტი, ვ. 37

ელცინი, ბ. 160
ერლანგერი, ს. 159

ვართაგავა, ი. 23-24
ვერნანი, უ. პ. 68, 76
ვოლკანი, ვ. 47, 54

ზალდასტანიშვილი, თ. 70
ზაკოვსკი, ი. 208
ზამზა, გ. 81
ზანდუკელი, მ. 18-19
ზაქარაძე, ლ. 63-64, 76, 267, 277
ზერუბაველი, ე. 56-57

თაბორიძე, ი. 74, 76
თავაძე, გ. 64, 78, 84, 86-87,
89, 92-93, 120-121, 236, 247,
260, 268, 275-276
თომა აქვინელი 75

იესო ქრისტე 49
ირემაძე, თ. 64, 66, 71, 75-77
ირინეოს ლიონელი 75
ივანე მრისხანე 91, 116

კალანდაძე, ა. 51, 60
კალანდია, ი. 63
კანტი, ი. 113, 120
კაფკა, ფ. 81, 101

კაჭარავა, ი. 41
კედრონი, ს. 271, 277
კვაჭანტირაძე, ე. 78, 122
კვიციანი, მ. 258
კილურაძე, ნ. 78, 122
კლაინსი, ფ. 151, 154-155
კობუში, თ. 74, 76
კონდე, ნ. 236
კოსტავა, მ. 48, 67
კრაიგერი, მ. 216
კულუმბეგოვი, ტ. 130, 135

ლაბუჩიძე, დ. 64, 76
ლეჟავა, ა. 33, 42
ლენინი, ვ. 239, 259
ლინკოლნი, ა. 214
ლიპარტელიანი, ვ. 272, 277
ლომიძე, გ. 119, 122, 246, 260
ლორთქიფანიძე, კ. 39
ლუთერი, მ. 75

მათიაშვილი, ა. 33
მამარდაშვილი, მ. 64, 67-68,
75-77, 75-122, 246, 248, 260,
268-269

მარქსი, კ. 254
მასალკინი, გ. 274, 278
მალულარია, გ. 70
მაჩაიძე, ი. 70
მაჭავარიანი, შ. 260
მახარაძე, ნ. 53
მედვედევი, რ. 66
მელაძე, ა. 70
მელიქიშვილი, ნ. 42

- მეჩითოვი, ი. 53
 მთიბელაშვილი, თ. 83, 121-122
 მიქელაძე, ზ. 70
 მიშველაძე, ე. 52, 61
 მონტესკიე, შ. ლ. 64, 76
 მუნეი, ე. 73
 მჭედლიძე, გ. 46, 60
- ნანეიშვილი, მ. 70
 ნემცევი, მ. 99, 114
 ნიკოლაძე, ნ. 39
 ნიკოლეიშვილი, ო. 147, 270, 278
 ნობელი, ა. 66
 ნოღია, გ. 81, 111, 121
- ოდიშარია, ბ. 111, 121
 ოლექსიენკო, ა. 236, 275, 278
 ორბანი, ვ. 208-212, 217-220
 ორბელიანი, ს.-ს. 39
 ორჯონიკიძე, ს. 41
 ოსეტროვი, ა. 38
- პავლე მოციქული 75
 პავლოვი, ი. 73
 პატიაშვილი, ჯ. 49
 პაჭკორია, ო. 70
 პეინი, თ. 112
 პეტრინი, ი. 39
 პითაგორა 110
 პლატონი 97, 110
 პოლმანი, ა. 74, 76
 პროიასი, ა. 254
 პუტინი, ვ. 252
- რეიგანი, რ. 67
 რენანი, ე. 98, 106
 რეხვიაშვილი, ჯ. 53, 55 , 58-59, 61
 როსტი, ი. 45
 რუსთაველი, შ. 39
 რუსო, ჟ. ჟ. 64, 76
 რცხილაძე, ვ. 67
- საიდი, ე. 78
 სანიკიძე, გ. 78, 122
 სარაჯიშვილი, ნ. 32, 38, 43, 265, 278
 სარიშვილი, ტ. 38-39, 43
 საყვარელიძე, პ. 12
 სახაროვი, ა. 66
 სეფიაშვილი, ჯ. 51
 სვიტლიჩნი, ი. 239
 სიმონოვი, კ. 37
 სინიაესკი, ა. 66
 სოლჟენიცინი, ა. 66, 69, 72, 239
 სოკრატე 68, 76, 110
 სპენსერი, პ. 64, 76
 სპივაკი, გ. ჩ. 78
 სტალინი, ი. 69, 238-240
 სტიჩინსკა, ნ. 221
- ტარჩინსკი, დ. 219
 ტურჩინი, ვ. 66, 72
 ტუხაშვილი, ლ. 34, 43
- ურბინატი, ნ.
 უჩანეიშვილი, დ. 81, 121, 260

სახელთა საძიებელი

- ფაიბიშენკო, ვ. 99, 114
ფენონი, ფ. 78
ფილოფეი 237
ფოჩხუა, ბ. 70
ფოცხიშვილი, მ. 51
ფრომი, ე. 64, 76
ფუკო, მ. 118-119, 122, 246, 260
ფუკუიამა, ფ. 207, 213-214, 222
- ქამუშაძე, ნ. 63
ქევანიშვილი, ე. 50, 62
ქორიძე, თ. 55, 60
ქუთათელაძე, ნ. 9-10
- ყაველაშვილი, ე. 53
ყეინაშვილი, ო. 36, 43
- შალამოვი, ვ. 72
შაპოშნიკოვი, ე. 158
შევალიე, ა. 81
შევარდნაძე, ე. 35, 39, 41, 50,
157, 160
შველიძე, დ. 109, 113, 122
შველიძე, ზ. 38
შემემანი, ს. 155-156
შმიტი, კ. 213
შნაიდერი, პ. 64, 76
შტერნი, ლ. 239
შტომპკა, პ. 50, 266
- ჩაადაევი, პ. 109, 113
ჩანქსელიანი, მ. 244
ჩერენენკო, კ. 39
ჩერნიშევსკი, ნ. 40
- ჩირიკოვი, ი. 244
ჩიქოვანი, ნ. 45, 266, 278
ჩომსკი, ნ. 238-239
ჩხაიძე, ი. 204, 273, 278
- ცინცაძე, გ. 63, 69-77, 267-268
ცინცაძე, ნ. 12-15
ცისკარიშვილი, გ. 63
- ძიმისტარაშვილი, კ. 70
ძიძარია, გ. 41
- წერეთელი, ა. 39, 76
წერეთელი, გ. 39
წერეთელი, ვ. 21
წერეთელი, ი. 52
წმ. გიორგი 48
წულუკიძე, ა. 41
- ჭავჭავაძე, ი. 18, 22, 39
- ხაზბულატოვი, რ. 159
ხანანაშვილი, ი. 20
ხარბედია, მ. 68, 76
ხვედელიანი, ა. 9, 263, 278
ხუხუა, ბ. 70
- ჯაბადარი, ი. 38, 43
ჯანელიძე, ო. 20, 31
ჯერსილდი, ო. 240
ჯიჯაძე, შ. 70
ჯონსი, ს. 46, 60
ჯორბენაძე, რ. 67, 77

- ჰაიდგერი, მ. 74
 ჰეგელი, გ. ვ. ფ. 64, 76
 ჰელერი, მ. 84, 86-87, 89, 92,
 115-116, 269
- Abashidze, A. 234
 Ablotia, T. 226, 228, 230, 235
 Alexander, J. 50, 60
 Allworth, E. 250, 260
 Althusser, L. 87, 123
 Arendt, H. 87, 123
 Asnyk, A. 177-178
 Assmann, A. 46-48, 53-54, 56, 60
 Attlee, C. 166
- Barnett, R. 247, 260
 Bedorf, T. 88, 122
 Beneš, E. 165
 Berenskoetter, F. 184, 203
 Berti, F. 216
 Bhabha, H. 98, 123
 Blanchard, J. 186-187, 202
 Blokker, P. 205, 222
 Bourdieu, P. 255, 260
 Brooke, J. 153-154
- Chankseliani, M. 244, 260
 Chernetsky, V. 79-80, 123, 262
 Chirikov, I. 244, 260
 Christiano, T. 119, 124
 Churchill, W. 166
 Clinnes, F. X. 152, 155
 Condee, N. 79-80, 123, 237, 262
- Curp, D. 165, 179
 Curzon, G. 164
 Czarnota, A. 205, 209, 215, 222
- Dajč, H. 221, 223
 Danakari, R.A 35, 44
 Davies, N. 163, 179
 DeBlasio, A. 111
 Duch, W. 180
 Dugin, A. 261
 Dymarski, M. 165, 179
 Dzhugashvili, J. იბ. Stalin
- Edwards, K. T. 262
 Erlanger, S. 159
 Erll, A. 60
 Estera, A. L. 262
- Fanon, F. 245, 261
 Faybyshenko, V. 89, 92, 100, 111,
 114, 123
 Finnemore, M. 185, 203
 Foucault, M. 119, 122, 246, 261
 Fruchtman, J. Jr. 112, 122
- Gandhi, L. 78, 122
 Gibbs, P. 247, 261
 Goldstein, J. 185, 203
 Gregory, D. 237, 261
 Gvakharia, G. 191
- Halmai, G. 209, 222
 Hayden, C. 183, 186, 203
 Herrmann, S. 88, 122


სახელთა სანიშნავი

- Hirschberger, G. 47, 51, 60
Hitler, A. 163-164
Hryciuk, G. 165, 179
Huffman, C. 109, 122
- Jersild, A. 240, 261
- Kakachia, K. 225, 227, 229, 232, 235
Kandelaki, S. 225, 227, 229, 232, 235
Keohane, R. 185, 203
Kiedroń, S. 163
Klemenčič, M. 261
Klimov, A. 234
Kohn, M. 78, 122
Koplatadze, T. 79-80, 93-94, 123
Krasner, S. 185, 203
Krygier, M. 205, 209, 215, 222
Krzystek, W. 168
Kwiek, M. 258, 261
- Lenin 170-172
Leruth, B. 221-222
Leslie, L. 248, 262
Li, J. 261
Lu, F. 186-187, 202
Luarsabishvili, V. 87, 99, 123
- Mach, Z. 216, 220-222
Mamardashvili, M. 80, 87, 89, 92, 99-100, 106, 111, 114, 123
Mandler, E. 165, 179
Masalkin, G. 224
Mattern, J. 184, 186, 203
Mazowiecki, T. 164
- Mekhuzla, S. 201
Molotov, V. 163
Moore, D. C. 78, 123
Morozov, V. 79, 123
- Naguib, S.-A., 46, 60
Nemtsev, M. 89, 92, 100, 111, 114, 123
Nodelman, U. 78, 122
Novikova, L. 169
Nunning, A. 60
Nye, J. 183-186, 203
- Ohnesorge, H. 185-186, 203
Oleksiyenko, A. 236, 248, 261
Orban, V. 217, 219-220, 223
- Paine, T. 112, 122
Patalakh, A. 186, 203
Pavlyshyn, M. 78, 123
Philcox, R. 261
Ploky, S. 240, 261
Pokalova, E. 245, 250, 261
Preston, D. 164, 179
Przybytek, D. 166, 179
Pythagoras 109, 122
- Ram, H. 79-80, 123, 262
Reddy, K. 78, 122
Renan, E. 98, 123
Ribbentrop, J. von 163
Roche, A. 203
Ruchniewicz, M. 179

- Sadurski, W. 205, 209, 215, 222
 Schmemann, S. 155-156, 158, 160
 Sondel-Cedarmas, J. 216
 Shahjahan, R. A. 258, 262
 Shevardnadze, E. 163-164, 177
 Shortt, L. 54, 56, 60
 Slaughter, A. 80, 123
 Slaughter, S. 248, 262
 Solomon, T. 183, 203
 Soros, G. 218-220, 223
 Spivak, G. C. 79-80, 123, 237, 262
 Stalin 163-167
 Startin, N. 221-222
 Stern, L. 239, 262
 Stordalen, T. 46, 60
 Styczyńska, N. 221-223
 Sumbadze, N. 203
 Surla, K. L. 262
 Sushytska, J. 80, 123
 Szaynok, B. 179
 Sztompka, P. 50, 60
- Tarczynski, D. 219, 223
 Tavadze, G. 236, 257, 262
 Tyszkiewicz, J. 166, 179
- Urbinati, N. 207, 223
 Usherwood, S. 221-222
- van der Zweerde, E. 87, 123
 Volkan, V. D. 47, 58, 60
- Wałęsa, L. 164
 Walzer, M. 119, 124
- Williams, M. 184, 203
- Zakowski, J.
 Zalta, E. N. 78, 110, 122
 Zawadzki, J. 179
 Żbikowski, A. 179
 Zerubavel, E. 56-57, 61
 Zha, Q. 261
- Аблотия, Т. 226, 235
 Айдинов, М. 196, 198-199, 202
 Альтюссер, Л. 87, 124
 Андроникашвили, З. 112, 124
- Бацаев, И. 69, 77
 Бегин, М. 77
 Белявский, А. 197
- Галыга, В. 33, 43
 Геллер, М. 84, 93, 124
 Гинзбург, Е. 77
- Дзидзария, Г. 41, 43
 Дугин, А. 238, 262
- Иванишвили, Д. 195
- Качарава, Ю. 41, 43
 Козлов, А. 69, 77
 Корабач, В. 33
 Кротов, М. 187
- Майсурадзе, Г. 112, 124

სახელთა სანიშნავი

მამარდაშვილი, ე. 87, 124	სურჯიკ, დ. 33, 44
მამარდაშვილი, მ. 87, 92, 97, 99- 100, 104, 114, 124	ტირონს, უ. 97, 124
მათვიენკო, ვ. 187	ტომаш, გ. 200
მიშარინ, ა. 197	ტუმანიშვილი, ლ. 192
	ტურჩინ, ვ. 71
პოპოვა, ვ. 197	
პრავაუსკას, ა. 78, 124	ცულეისკირი, ვ. 194
პულატოვა, ზ. 33, 43	
	ჩაადაევ, პ. 109, 124
რაჰმანოვა, მ. 33, 43	ჩხეიდზე, ნ. 198
როსტ, იუ. 45, 62	
	შარონოვ, ა. 196
სტროკოვა, ე. 188, 202	შველიძე, ზ. 38, 44



ISBN 978-9941-501-66-1



9 789941 501661

